

✦ ომარ სეიფუდინი ✦



# პირველი ცოდვა



102.859  
3



✦ ომარ სიფაღინი ✦

# პირველი ცოდვა

მოთხრობები

თურქულიდან თარგმნა  
გიორგი შაყულაშვილმა



გაქცა სულაჰიანი  
განმომხმარებელი



ქართული ენციკლოპედია  
საქართველოს ენციკლოპედია

ომერ სეიფედინ  
პირველი ცოფვა  
მოთხრობები

მთარგმნელი: გიორგი შაყულაშვილი  
რედაქტორი: მერი ნეზიერიძე  
ყდის დიზაინერი: ნათია კვარაცხელია  
დამკაბადონებელი: თინათინ ბერბერაშვილი

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა  
თბილისი, 2012

ქართული გამოცემა © ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2012  
ქართული თარგმანი © გიორგი შაყულაშვილი, 1979  
ვეელა უფლება დაცულია

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“  
დავით აღმაშენებლის 150  
0112 თბილისი  
ტელ: 291 099 54, 291 11 65  
ელფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-15-667-0

ÖMER SEYFEDDİN  
İLK ÇİNAYET  
HİKAYELER  
Translated by Giorgi Shakulashvili

Georgian edition by Bakur Sulakauri Publishing, Tbilisi 2012  
All rights reserved

This translation has been published with the financial support of TEDA

Bakur Sulakauri Publishing  
150 Agmashenebeli Ave.  
0112 Tbilisi, Georgia

www.sulakauri.ge

K287.853



## შინაარსი

პირველი ცოდვა	5
ყოვლისმცოდნე	11
ალალ-მართალი	21
ეჭვი	27
როგორ გადაარჩინა	39
გულადი	45
ჩერქეზული ქამარი	55
აი, ახლა მოიფიქრე!...	59
საჩუქარი	75
გაზაფხულის ბრალია	85
ანტიესპეტიკა	101
რესტორნის საიდუმლოება	107
უფსკრულის პირას	117
ზეთისხილი და პური	125
კოლექცია	149
პროგრესი	157
სიყვარული და ფეხის თითები	163
სიმახინჯის საიდუმლოება	169
მოპარსული უღვაშები	179
გამომგონებელი	185
მაღალი ქუსლები	203
სიბრალულის ნდობა	209



მემკვიდრეობა	
საიდუმლო ტაძარი	229
დანიშნულები	241
ალი	247
ბაყაყების შელოცვა	259
პირველი ჭალარა	271
რა თავში ვიხლი სიმდიდრეს...	287
ძმადნაფიცები	301
ყურანზე დაფიცება	311

## პირველი ცოდვა

მთელი სიცოცხლე სინანულსა და ნუხილში გამიტარებია. ეს საშინელი სასჯელი თან მას შემდეგ მდევს, რაც შევიცან თავი ჩემი. ალბათ ოთხი წლისაც კი არ ვიქნებოდი, როდესაც პირველი ცოდვა ჩავიდინე და დღესაც კი, სამი ათეული წლის შემდეგ, მისი გახსენება ჯოჯოხეთურ ტკივილს მაყენებს. საოცარი ისიც არის, რომ არც ერთი მსგავსი ამბავი არ დამვიწყებია და ჩემი მეხსიერებაც თითქოს იმისთვის არსებობს, რომ დაუსრულებელი მწუხარება მომაყენოს.

\*\*\*

ჰო, ოთხი წლისა თუ ვიქნებოდი... როგორც მოგახსენეთ, იმაზე ადრინდელი ამბები არ მახსენდება. ცნობიერება უეცრად იჩენს თავს, უცებ მეხივით დაგვეცემა ხოლმე... ტოლსტოი იმასაც კი ამბობს, მშვენივრად მახსოვს, რვა-ცხრა თვის ბავშვი აბაზანაში როგორ ჩავძვერიო. სამყაროს პირველი შეცნობა ხომ დიდი ბედნიერებაა!

პირველი ამბავი, რომელიც ჩემს გონებაში აღიბეჭდა, გემზე მოხდა. ახლაც ცხადად მიდგას თვალწინ, თითქოს ქვეყნად იმწამს გავჩენილიყავ. დედას გულში ვყავდი ჩახუტებული. ჩვენ გარშემო ქალები ირეოდნენ, ხმაურობდნენ. დედაჩემი ერთ ყვითელთმიან ახალგაზრდა ქალს ებაასებოდა, თან პაპიროსს ეწეოდნენ. დედამ პა-

პიროსი პატარა ვერცხლის მაშას წამოაცვა. მე იმ მაშას  
წავეპოტინე.

– აილე, მაგრამ პირში არ ჩაიდო!

დედამ ის პატარა ლამაზი მაშა მე მომცა, პაპიროსის  
ნამწვი კი ზღვაში გადაისროლა.

მგონი, ზაფხული იყო – მზიანი კაშკაშა დღე იდგა.  
დედა მეზობელ ქალს ებაასებოდა, თან ცისფერფრთე-  
ბიანი მარათი წყნარად ინიავებდა. მე დედას მკერ-  
დიდან ჩამოვუცურდი, მაგრამ მან ხელის წაველება  
მოასწრო და გვერდით მომიხვა. ვერცხლის პანია მაშის  
რგოლს თითი გავუყარე და დედისგან მალულად პირში  
ჩავიდე, თან კბილები გამეტებით მოვუჭირე.

ყვითელთმიან ქალს ცისფერი თავსაფარი ეხვია... მე  
თეთრებში ვიყავი გამონწყობილი. თავზე არაფერი მე-  
ხურა. არ მჭირდებოდა. ხშირი, გაბურქული თმა მქონდა.  
დედა თავზე ხელს მისვამდა, თმას მისწორებდა, მე კი  
უნებლიეთ თავს მალლა ვწევდი. მზისგან გახურებული  
ტენტის კიდეზე შევნიშნე, რომ ხელისგულისტოლა რა-  
ღაც ჩრდილი ირწეოდა.

– დედა, შეხედე, – ავყვირდი უცებ.

დედამ თავი აიღო.

– ჩიტო ჩამომჯდარა.

– დედა, ის ჩიტო მინდა!

– ვერ დავიჭერთ, შვილო.

მე არ მოვეშვი. იმ ჩრდილს დედამ ქოლგა აუქნია,  
მაგრამ ჩრდილი არ განძრეულა. მაშინ თანამოსაუბრეს  
მიუბრუნდა:


– არც კი ინძრევა.

– ნეტავ, რატომ?

– ბარტყი იქნება.

– ...

– დედა, ბარტყი მინდაა!



დედამ მარაო დაკეცა, ილღიებში ხელი ჩამავლო და მალლა ამწია. ისე გეჭირე, თითქოს იმ ბარტყს პატარა თოფს უმიზნებდსო.

- აბა, უცებ წაავლე ხელი!

თავი ტილოს ტენტიკენ რომ შევაბრუნე, მზის კაშკაშა სხივებმა თვალი მომჭრა. ხელები მაინც გავიწოდე და... ჩიტი დავიჭირე. დედამ გამომართვა და აკოცა, ყვითელთმიანმა ქალმაც აკოცა, მეც ვაკოცე.

- აჰ, საცოდავი, ბარტყი ყოფილა.

- თოლიის ბარტყი.

- ამას ფრენა არ შეუძლია.

- ზღვაში თუ ჩავარდა, დაიხრჩობა.

- ...

საუბარში სხვებიც ჩაერივნენ. თავს დანანებით აქნევდნენ და ამბობდნენ - ამას რალა აცოცხლებსო.

- აჰ, საცოდავი, საცოდავი, - წუხდა დედაჩემი.

იგი ბარტყს დიდხანს, დიდხანს ეფერებოდა, ბოლოს მე მომცა, შინ წავიყვანოთ, იქნებ იცოცხლოსო, მაგრამ გაფრთხილდი, არ დაახრჩოო.

- არ დავახრჩობ.

- ისე გეჭიროს.

ვერცხლის პატარა მაშას პატარა პაპიროსი წამოაცვა, კვლავ მეზობელ, ყვითელთმიან ქალთან გააბა საუბარი.

საცოდავი ფრინველი ისეთი თეთრი იყო, ისეთი, რომ... ფრთების წვრილი ძვლები აშკარად უჩანდა. წითელი ფეხები კი ისეთი სუსტი ჰქონდა, რაში გამოადგებოდა, არ ვიცი... წითელი ნისკარტის კიდეზე ყვითელი ნიშა ემჩნეოდა, თითქოს რალაც უჭამია და ზედ დარჩენიაო. თვალები კი მრგვალი, ძალზე მრგვალი თვალები ჰქონდა. ბარტყი კისერს იგრძელებდა და აქეთ-იქით იხედებოდა.

დედას თვალი შევაველე. საუბარში ისე იყო გართული,



ჩემკენ არც იყურებოდა. ფრინველის განვდილ კის-  
ერს ხელი ჩავავლე და ნელ-ნელა მოვუჭირე. გამწარე-  
ბულმა ფრთები გაასავსავა. მაშინ ერთი ხელი ფრთებში  
ჩავავლე, მარჯნისფერი განრიოკებული ფეხები მუხ-  
ლებშუა მოვიქციე და უფრო მაგრად მოვუჭირე ხელი.  
ისე ვუჭერდი, რომ კბილები მტკიოდა... ჩიტს ყვითელ-  
ნიშა ნისკარტი აუკანკალდა, ალისფერი ნამახული ენა  
გადმოაგდო, მრგვალი თვალები ჯერ გაუფართოვდა,  
დაებერა, მერე ძალიან დაუპატარავდა და ბოლოს უპე-  
ებში ჩაემალა კიდევ. მე უეცრად ხელი შევუშვი, საცო-  
დავი ფრინველი ტყაპანით დაეცა ძირს.

- ...

დედა მობრუნდა, დაიხარა და ჯერ ისევ თბილი  
ფრინველი ხელში აიღო. სანყალი, მომკვდარაო, ნამოიძ-  
ახა, მერე კი ეჭვით მომაჩერდა.

- რა ქენი?

- ...

- დაახრჩვე?

- ...

- თქვი!

- ...

პასუხი არ გამიცია, უცებ ავლრიალდი. ყვითელ-  
თმიანმა ქალმა დედას მკვდარი თოლია გამოართვა.

- აჰ, რა დიდი ცოდვაა!

- ...

- საცოდავი.

- ...

დანარჩენი ქალებიც აყაყანდნენ. ჩვენ წინ ერთი  
სქელი მოხუცი ქალი იჯდა. ჩემი საქციელი ყველას  
გააგებინა:

- დაახრჩო, ლმერთმანი, დავინახე, რა საძაგელი ბი-  
ჭია!

- ...

ფერდაკარგული დედაჩემი მოლუშული შემომცქე-  
როდა. ხმის კანკალით მითხრა:

- შე მხეცო, შენა...

იმდენი ვიტირე და ვიღრიალე, რომ დღესაც არ ვიცი,  
როდის, სად და როგორ გამაჩუმეს. ასე მგონია, სამუ-  
დამოდ მტირალი დავრჩი...

\*\*\*

უნებლიეთ ჩადენილი ცოდვის შემდეგ ოცდაათ  
წელზე მეტი გავიდა. ახლაც, როდესაც გემბანზე ავდი-  
ვარ, როცა თოლიას მოვკრავ თვალს, გუნება მომეშ-  
ხამება და ბავშვივით ტირილი მომინდება ხოლმე...  
მკერდის შიგნით რალაცა ტკივილი გამკრავს, თან ყურე-  
ბში სანყალი დედაჩემის აკანკალებული ხმა მიდგას:

- შე მხეცო, შენა...

## ყოვლისმცოდნე

„ბევრის მცოდნე ბევრჯერ შეცდებოა“.  
(ანდაზა)

შარშან მე და სერმეთი შიშლისკენ<sup>1</sup> მივდიოდით. უცებ, სად იყო, სად არა, ეფრუზ ბეი გამოგვეცხადა, რომელსაც ჯიბე-უბე წიგნებით გამოეცინა, ილლიაშიც წიგნები ამოეჩარა და დაფიქრებული მიალაჯებდა. ჩვენკენ არც გამოუხედავს, თითქოს ვერც კი შეგვამჩნიაო.

– ეი, ბონჟურ, ეფენდი, საით მიიჩქარი? – ველარ მოითმინა სერმეთმა.

– ააა, ბონჟურ, მეგობრებო, სამკითხველოსა შინა...

– რომელ სამკითხველოში?

– ჯერ მეც არ ვიცი.

– როგორ თუ, არ იცი, – არ ეშვებოდა სერმეთი.

– ნამდვილად რომ მოგახსენოთ, მეც არ ვიცი. ერთი წიგნი დამჭირდა და ალბათ ბევრგან მომიწევს შევლა.

ეფრუზ ბეის თმა ჩვეულებრივზე მეტად გასჩეჩოდა, თუმცა დანამდვილებით ვიცოდით, რომ პოეზიით გატაცებამ კარგა ხანია გაუარა, მაგრამ ახლა სოციოლოგიის ცეცხლი შემოსდებოდა და გამუდმებით ლექციებს ესწრებოდა „თურქულ ნაპიეზე“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> სტამბოლის ერთ-ერთი რაიონი

<sup>2</sup> ადმინისტრაციული ერთეული თურქეთში

– კაცო, ამ მშვენიერ ამინდში ნესტიან სამკითხველოში შეისვლება, ათასგვარი მიკრობებით სავსე ნიგნებს ხელი მოეკიდება? – შევეცადე ეფრუზ ბეისთვის ხასიათი წამეხდინა.

სერმეთმა მაშინვე მხარი ამიბა.

ეფრუზმა ჯერ კოპები შეიკრა და ორივე სათითაოდ აგვათვალიერ-ჩაგვათვალიერა, მერე კი მრავალმნიშვნელოვნად ჩაილიმა:

– შეისვლება, რათა ვეძიოთ და ვიპოვოთ ცხოვრების რთული კანონები... თქვე უსაქმურებო, ქარაფშუტებო... ქვეყანას მეცნიერება სჭირდება, ქვეყანას მსოფლმხედველობისა და აზროვნების შექმნა სჭირდება, სამშობლოს შრომა და გარჯა სჭირდება... ახლა თუ რამე გვიხსნის, ისევ სოციოლოგია თუ გვიხსნის... თქვენ კი აგილიათ თავი და დაეხეტებით...

უცებ ენა ჩაგვივარდა.

სერმეთი მზად იყო, ეფრუზისთვის კვერი დაეკრა და თხასავით თავის კანტური დაენყო, მაგრამ მე აღარ ვაცალე.

– მაპატიე, ეფრუზ ბეი, – ვუთხარი ნახევრად ხუმრობის კილოთი, – მაგრამ ნიგნი თუ წყაროა ცოდნისა, სიბრძნე უშუალოდ ცხოვრებისეული მოვლენა გახლავს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ უმჯობესია, იყო ბრძენი, ვიდრე სწავლული, რამეთუ, ძვირფასო ეფრუზ, ჭეშმარიტება უშუალოდ ცხოვრებაშია საძებნელი და არა ნიგნებში...

ეფრუზ ბეი შედგა, შავი წარბები შეიჭმუხნა, ჩაფიქრდა და თქვა:

– მეც ასე ვფიქრობ!

– ჰოდა, გიშველოს ღმერთმა. დაეხსენ ამ ოხერ ნიგნებს, ახლოს მიდი ცხოვრებასთან, შეისწავლე. ეს გამაყეყეჩებელი ნიგნები კი არა, ცხოვრება იკითხე, ცხოვრება!

- სოციოლოგიაც ხომ ამას გვეუბნება.

- კიდეც უკეთესი, მე თუ არა, მეცნიერებას მაინც ერწმუნე.

- მართალი ხარ.

- აბა, მაშ, ერთად გავწიოთ.

- ...

გზას გავუდექით. დილის მზე ისეთ ნათელს აფრქვევდა, რომ თვალს გვჭრიდა.

ეფრუზ ბეიმ სოციოლოგიაზე გაგვიბა საუბარი. საბრალო სერმეთი დიდსულოვნად უსმენდა. მე კი, როგორც ყოველთვის, ოცნებაში წასულს, კანტიკუნტად მესმოდა: „აგრარული“, „სოციალური“, „საზოგადოებრივი საკუთრება“, „მორალური“, მესმოდა და ყურს მიხვრეტდა.

შიშლის გავცდით. შორს ქათჰანეც<sup>1</sup> გამოჩნდა. ყურე ფეტვის ყანასავით ლაპლაპებდა. არ ვიცი, რანაირად, მაგრამ სერმეთმა მოახერხა ეფრუზ ბეი გაეჩუმებინა და საუბრის თემა შეცვალა:

- ეჰ, ახლა წყალში ჩაგვაყურყუმელავა?!

ეფრუზმა სიშორე მოიმიზეზა.

- მაგრამ, რა სასიამოვნო ამინდია, - დავუმატე მე და ცოტა ხნის შემდეგ დავუმტკიცე კიდეც, რომ ცხოვრება მოძრაობაა, ხოლო ტანვარჯიში ფიზიკო-სოციალური, ე. ი. ადამიანის ორგანულ-საზოგადოებრივი თვისება!..

ამ „მეცნიერულმა“ ტერმინოლოგიამ ჩვენი სოციოლოგი მოალბო:

- ნავიდეთ, მაგრამ ეს წიგნები?

- კაცო, ხიდის ყურესთან ბუჩქებში ჩავმალეთ. როცა დავბრუნდებით, წამოვიღოთ.

- რომ მოიპარონ?

<sup>1</sup> მდინარე სტამბოლის სიახლოვეს, რომლის ლამაზი სანაპიროები გასული საუკუნის თურქეთში წარმოადგენდა სტამბოლელთა დასასვენებელ ადგილებს.



— ორი წელიც რომ ენყოს, კაციშვილი ხელს არ მოჰკიდებს. წიგნებს ვინ რაში გამოიყენებს?!

— მაშ, წავიდეთ.

— წავიდეთ. ნაბიჯით იარ!..

ქვის ხიდამდე სწრაფად დავეშვით სწორი, ლარივით გაბმული შარაგზით. გამვლელ-გამომვლელთ ყურადღებას არ ვაქცევდით და კვლავ ტანჯვით ვისმენდით ეფრუზ ბეის ლექციას სოციოლოგიის რთულ საკითხებზე. ჩვენი მეგობრის წიგნები ხიდის ყურესთან საგულდაგულოდ დავმალეთ. ეფრუზ ბეი ისე შემსუბუქდა და ისე თავისუფლად განაგრძო გზა, თითქოს ფრთები გამოესხაო.

ქათჰანესთან მყუდრო ადგილი მალე მოვძებნეთ. ჩაკიდებული ტირიფების ქვეშ მთვრალეებივით ტორტმანებდნენ და თვლემდნენ დაბმული ნავეები. შეყვარებულთა ბანალური ნყვილები და ბოშათა კარვები რალაც არასასიამოვნო ელფერს აძლევდა მიდამოს. ეფრუზ ბეი კვლავ არაფერს აქცევდა ყურადღებას და ჯიუტად განაგრძობდა ლექციას ჩვენი რენესანსის, ნედიმისა<sup>1</sup> და იბრაჰიმ ფაშას<sup>2</sup> შესახებ. დანგრეულ კოშკებსა და იავარქმნილ სასახლეთა შორის მივდიოდით და ეს გზა თავისი ნაღვლიანი, უკაცრიელი იერით რალაც შეუცნობ კაეშანს გვგვრიდა.

— იბრაჰიმ ფაშა თავისი საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სოციოლოგი იყო, — კვლავ უსიამოდ ჟღარუნობდა ეფრუზის ხმა.

<sup>1</sup> XVIII საუკუნის თურქული კლასიკური ლიტერატურის წარმომადგენელი

<sup>2</sup> სულთან აჰმედ III-ის (1672-1736) დიდგვირი, რომელიც დაიღუპა 1730 წელს, სახალხო აჯანყების დროს. მოთხოვნაში ის ფაქტია აღნიშნული, რომ ამ აჯანყების ამბავი სულთანმა და დიდგვირმა დაგვიანებით გაიგეს.



ერთ პატარა ბორცვზე ისე ავედით, რომ ეფრუზის ლაქლაქისთვის ყურადღება არ მიგვიქცევია. ბორცვიდან ხელისგულივით გამოჩნდა სოფელი ალი ბეი, რომლის მოწყენილი და სევდიანი იერი ახლახან ნანახ განადგურებულ სასახლეებს გვაგონებდა.

– ვითომდა, რა იქნება, რომ წავიდეთ და დავათვალიეროთ? – მოულოდნელად წამოიძახა სერმეთმა, – მე ჯერ არასოდეს ვყოფილვარ იქ.

ეფრუზი სასწრაფოდ დაეთანხმა და მე ისლა დამრჩენოდა, რომ უჩუმრად გავყოლოდი.


პაპანაქება სიცხეში გაოფლილები, თავჩაქინდრულები გავყევით ოღოროღორო გზას, რომელზეც აუარებელი ხვლიკი დარბოდა.

ეფრუზ ბეიმ საუბარი ახლა სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის ზნე-ჩვეულებებზე გაგვიბა. თურმე ისინი ერთმანეთისგან ისე განსხვავდება, როგორც ცა და მიწა. უზნეობა და სიმდაბლე, აუგი და ურცხვობა, ერთი სიტყვით, ყველა უმსგავსობა, რაც კი დედამიწის ზურგზეა, ქალაქის კუთვნილება ყოფილა. სოფლის მცხოვრებნი კი ზნეობრივადაც მალლა დგანან და სინდის-პატიოსნებითაც გამოირჩევიან...

ამასობაში სოფელს მივადექით. ეფრუზი შედგა, მარჯვენა ხელის სალოკი თითი შემართული რევოლვერივით სოფელს დაუმიზნა და რიხით თქვა:

– ახლა თქვენ ნახავთ და დარწმუნდებით, თუ რა არის დიდსულოვნება და სტუმართმოყვარეობა. ნახავთ და დარწმუნდებით, როგორ არის ფეხმოკიდებული სიმართლისა და ადამიანის სიყვარული ამ უბრალო ხალხში!

გაგანია სიცხე და ეფრუზ ბეის დაუსრულებელი ლექცია ბოლოს მიღებდა. თანაც ძალზე მოგვშივდა. როცა სოფელში შევედით, ასე მეგონა, ალექსეულ მინაზე, სამოთხეში შევალნიეთ-მეთქი...



მინგრეულ-მონგრეული ორლობები ნაკელთ იყო სავსე. ქათმების მეტი სოფელში სულიერი არ ჩანდა. მხოლოდ ეგ არის, ზოგჯერ ძაღლები აგვედევნებოდნენ ყეფით და მერე სიცხით შენუხებულები, კუდამოძუბულნი ისევ ჩრდილებისკენ მილასლასებდნენ. ერთ სახლთან ქალები გამოჩნდნენ, დაგვინახეს თუ არა, ჭუჭყიანი ჩვრები სახეზე აიფარეს და სანამ კარგა არ გავშორდით, არ განძრეულან. რამდენიმე დავრდომილი და გასაცოდავებული მოხუციც შემოგვხვდა, რომლებმაც სალამი კი არა, ზედაც არ შემოგვხედეს... ასე მეგონა, უხსოვარ დროთა ნანგრევებში დავხეტიალობ-მეთქი.

ეფრუზ ბეის ნირი ნაუხდა. ჩვენ ბედზე ერთი შავტუხა, ნახევრად ტიტლიკანა ბიჭი შემოგვხვდა და ჩვენდა გასაოცრად გაგვიცინა კიდეც...

– შვილო, სადმე ყავახანა ხომ არ არის? – შეეკითხა სერმეთი.

– არის, ბიძაჩემო, როგორ არ არის!

– სად?

– აი, იქით...

– თუ არ გეზარება, მიგვასწავლე...

– მეზარება არა!..

იმ ბავშვის მოთხუპნული სახე ისეთი სიმპათიური გვეჩვენა, რომ სამივემ სიყვარულით გადავხედეთ. როცა ყავახანასთან მივედით, ეფრუზ ბეიმ ჯიბიდან რამდენიმე გროში ამოიღო, უნდოდა ბიჭისთვის მიეცა, მაგრამ იმან იუარა.

ყავახანა პირუტყვისგან მიტოვებულ საჯინიბოს უფრო ნააგავდა. სკამებზე, რომლებიც კაცს ნაპირებ-მომტვრეული, ცარიელი გობები ეგონებოდა, ჭრელა-ჭრულა ტანსაცმელში გამონყობილი თხუთმეტიოდე კაცი ჩამწკრივებულიყო. არც ერთ მათგანს ჩვენთვის არ შემოუხედავს.



ყავა შევუკვეთეთ. ყავახანის პატრონს სახეზე რა-  
 ლაც ბოროტმა ელფერმა გადაჰკრა და საქმეს უგულოდ  
 შეუდგა, როცა პურიც მოვითხოვეთ, გულმოსული მოგ-  
 ვიბრუნდა:

– პური რა, აქ სახაშე კი არ არის!..

პასუხი არ გაგვიცია. აქაც იმ ტიტლიკანა ბიჭმა  
 დაგვიხსნა, რომელიც კარებში მდგარიყო.

– ძია, თუ გინდათ, მე გიშოვით!

მაშინვე მივეცით ფული. ყავა ჯერ სანახევროდაც  
 მზად არ იყო, რომ ბიჭმა პური მოგვითანა. ეფრუზმა  
 კვლავ ჯიბეზე გაიკრა ხელი, ბავშვის დასაჩუქრება უნ-  
 დოდა, მაგრამ ბიჭმა ფულს ხელი არ ახლო. ეფრუზ ბეიმ  
 ახლა კი გამარჯვებული კაცის იერი მიიღო, მოგვიბ-  
 რუნდა და სოფლელების ადათ-წესების ქება-დიდებას  
 მოჰყვა:

– აი, ჭეშმარიტი კეთილშობილება იხილეთ! მართა-  
 ლია, პირველად გლეხები ცოტა ცივად შეგვხვდნენ, მა-  
 გრამ თუ გეოგრაფიულ გარემოს მივიღებთ მხედველო-  
 ბაში, მაშინ ყველაფერი ადვილი ასახსნელია. ეს სოფელი  
 სტამბოლთან ახლოს მდებარეობს და მისი გავლენის  
 უტყუარი კვალიც ატყვია. მაგრამ ჭეშმარიტი გლეხი,  
 ჭეშმარიტი ბუნების შვილი, აი, ეს ძონძებში გახვეული ბი-  
 ჭია. ასეთმა ღარიბ-ღატაკმა ნაჩუქარ გროშებს ხელი არ  
 მოჰკიდა და სრულიად უსასყიდლოდ მოგვემსახურა. ეს  
 კი მის გულკეთილობასა და უანგარობაზე მიუთითებს!..

ამ დროს შევნიშნეთ, რომ ყავახანის პატრონმა ზო-  
 გიერთ მუშტარს მანონი მიუტანა და თითო ულუფაში  
 ათი ყურუში<sup>1</sup> გამოართვა.

– ჩვენც მოგვითანე ერთი ოყა მანონი, – შეეხმაურა  
 ეფრუზ ბეი მედუქნეს.

K287.853  
3

<sup>1</sup> თურქული ლირის მეთხუთმედი ნაწილი



ყავის ფინჯნები აქეთ-იქით მივნიეთ და მოზრდილი, სავსე მათლაფა შუაში ჩავიდგით.

– კოვზები მოგვიტანე!

– კოვზები არა, მოვზები! – ქვებივით მოგვაყარა მე-დუქნემ.

პასუხის გასაცემად ვაუკაცობა აღარ გვეყო.

– აბა, თურქულად, მამა-პაპურად! – შევძახე მე და პური მანონში ამოვასველე.

ჭამა ხელით დავინყეთ.

ყავახანაში რალაც უსიამოვნო დუმილი ჩამონვა. ყველა ჩვენ მოგვჩერებოდა. ისე შევწუხდი, ყავაზე უარი ვთქვი და ფეხზე წამოვხტი:

– ახლა კი ნავიდეთ!

ეფრუზ ბეი დანახარჯის გადასახდელად გაემართა. გაურკვეველი წლოვანების ქოსა, ჩასუქებულ მედუქნეს თვალი არც კი დაუხამხამებია, ისე მიახალა:

– ოთხმოცი ყურუში!

– რაო?

– რაო და ოთხმოცი ყურუში მერგება!

ეფრუზ ბეიმ ჯერ ჩვენ შემოგვხედა, მერე მდუმარე გლეხებს მიუბრუნდა და იკითხა:

– კაცო, სამი ყავა და ერთი ოყა მანონი ოთხმოცი ყურუში?

– ყავა ათ-ათი ყურუში...

– მერედა, ერთი ოყა მანონი რა ღირს?

– ორმოცდაათი ყურუში...

– სხვებს რომ ათ-ათ ყურუშად მიეცი?

– მივეცი!

– მერე, ჩვენ ამდენს რატომ გვართმევ?

– საქონელი ჩემია და როგორც მინდა, ისე გავყიდი!

– ეს ხომ უსინდისობაა!..



- უსინდისოც ხარ და იმაზე მეტიც, შენი... - ქოსა ადგილიდან წამოხტა და წელში გაიმართა.

მე მივხვდი, რომ აქ აყალმაყალი ატყდებოდა და გვარიანადაც მიგვტყუებდნენ...

- მიეცი, ეფრუზ... რასაც გთხოვენ, მიეცი, - ვუთხარი სისხლივით განითლებულ ეფრუზ ბეის.

ეფრუზმა ოთხმოცი ყურუში გადაუთვალა, გამოსვლისას თავი ველარ შეიკავა, გლეხებს მიუბრუნდა და ახალბედა ორატორივით დაიწყო:


- ბატონებო!.. რაოდენ სამწუხაროა, რომ თქვენ ყველანი ესოდენ უსინდისოები ყოფილხართ... გლეხოზა ყოველთვის პატიოსნებითა და სტუმართმოყვარეობით გამოირჩეოდა და გამოირჩევა. თქვენ კი?.. როცა შემოვედით, არც ერთი თქვენგანი არ მოგვესალმა, ორყურუშიანი ყავა ათ ყურუშად მოგვეყიდეთ, ათყურუშიან მანონში ორმოცდაათი ნაგვეგლიჯეთ... დიახ, არც ერთი თქვენგანი კაცთმოყვარე არ ყოფილა, არც ერთი თქვენგანი ნამდვილი თურქი გლეხი არ ყოფილა!

- ...

მერე მობრუნდა, კარებში მდგარ შავტუხა ბიჭზე მიუთითა და განაგრძო:

- თქვენ შორის ნაუმხდარი მხოლოდ ეს ბიჭი აღმოჩნდა. როცა სოფელში შემოვედით, გზა ამის მეტმა არავინ მოგვასწავლა, ლუკმა არავინ გამოგვინოდა. მერე? საჩუქრად მიძღვნის ფულს ხელი არ ახლო!.. აი, ასეთი უნდა იყოს ნამდვილი თურქი გლეხი. გაუმარჯოს ჭეშმარიტად თურქ ბიჭუნას!..

ყავახანაში სიცილმა იფეთქა. აქამდე მიჩუმებული გლეხები ახლა თავშეუკავებლად ხარხარებდნენ. გავოცდით. პატარა ბიჭი კარებში გაძვრა და მიიმალა. ქოსა მედუქნე სიცილით იგუდებოდა.



– რა გაცინებთ? – გულმოსულად იკითხა ეფრუზ ბეიმ.

– ის ბიჭი თურქი არ არის!..

– სტამბოლელია?

– არა.

– მაშ, ვინ არის, სადაურია?

– ბოშაა!..

ეფრუზ ბეის ხმა აღარ ამოუღია. სიცილი მე და სერმეთსაც გადაგვედო.

სოფლიდან გამოვედით და სტამბოლის გზას გავუდექით. ეფრუზ ბეის მარცხმა მის ცოდნაშიც მეტისმეტად დაგვაეჭვა. ახლა ნათელი იყო, თუ რა დიდი სოციოლოგი უნდა ყოფილიყო იბრაჰიმ ფაშა, რომელმაც ექვსი საათის წინ, ვიდრე ნაკუნ-ნაკუნ აკაფავდნენ, ვერ გაიგო რევოლუციის არსი, იმ რევოლუციისა, რომელიც ნალექვით ემუქრებოდა.

სერმეთი და ეფრუზი რაზე ფიქრობდნენ, არ ვიცი, ეს კია, სულ გადაგვავიწყდა, ჩვენი მეგობრის წიგნები მოგვეძებნა, დილას რომ ხიდის ყურესთან დავმალეთ.

## ალალ-მართალი

ათი წელი იქნება, მეჰმედ ეფენდი ამ პატარა ქალაქში ცხოვრობს. რაც სოფლად ადგილ-მამული ჰქონდა – მინდორი, ბალი, ბაღა, ყველაფერი მოზიარეს დარჩა. ხშირად თავის დარდსა და ნალველს ახლო მეგობარს, ჰაჯი ალი ეფენდის გაუზიარებდა ხოლმე.

– ამ ქვეყანაზე ყველას ცეცხლი უნდა წაუკიდო და ნაცრად აქციო... მთელ დუნიაზე ერთ პატიოსან კაცსაც ველარ იპოვი...

მუფთი<sup>1</sup> ჰაჯი ალი ეფენდი კი, რომელსაც ამქვეყნად ღირსებისა და სიკეთის არსებობა ძვალ-რბილში სარწმუნოებასავით ჰქონდა გამჯდარი, შეეკამათებოდა ხოლმე:

– ეჰ, რას ამბობ, კაცო. არის, როგორ არ არის, მაგრამ შენ ვერ გიპოვია!..

ამის გამგონე მეჰმედ ეფენდი ცოფდებოდა ხოლმე:

– არ არის, არ არის, არ არის!.. ღმერთი და რჯული, არ არის! ყველა ცრუ და მატყუარაა... არავინ დამრჩენია, რომ არ გამომეცადოს – არც მტერი და არც მოკეთე. ძმა რომ ძმია, იმანაც კი არ დამინდო და მომატყუა!

– კაცო, თუკი ასეა, წადი და შენს ქონებას მიეპატრონე!

– მართალს ამბობ, ტყუილად კი არ არის ნათქვამი:

<sup>1</sup> უმაღლესი სასულიერო პირი, იურიდიული ავტორიტეტი შარიათის საკითხებში



„თუ გემი მოგეცეს, საქესთან უნდა იჯდე, თუ მამული —  
იქიდან არ უნდა მოიცვალო ფეხიო“. როგორ მოვიქცე,  
აქაც ამდენი საქმე მაქვს, დრო ვერ მიპოვია.

— მაშინ ადექი და რაც სოფელში რამ გაბადია, ყველაფერი მიყიდ-მოყიდე.

— როგორ გავყიდო?! ქვეყანას პირი შეუკრავს, იმის მამულს არავინ გაეკაროსო, არც ყიდულობენ...

მუფთი ეფენდი დარწმუნებული იყო, რომ ამქვეყნად სიკეთისა და სიმართლის მიმყოლი კაცი ჯერ კიდევ არსებობდა, მაგრამ თავისი მეგობარი ამაში როგორ დაერწმუნებინა? ყველაზე დასანანი კი ის არის, რომ მეჭმედ ეფენდით, ზოგიერთები ვილაც გაქსუებულ, უგვანო პირების სიცრუის ბადეში ებმებიან და რწმენა ერყვიათ. მერე? მერე ისა, რომ ერთხელაც დრო დადგება და კაცი კაცს აღარ დაუჯერებს. კაცი კაცს აღარ ენდობა...

— ერთი ნაცნობი მწყემსი მყავს, ძალზე ალალ-მართალი კაცია.

— მწყემსი?

— ჰო...

მეჭმედ ეფენდის სახე ისე მოექცა, თითქოს ჭრილობაზე კიდევ ჭრილობა მიუმატესო.

— მწყემსი, კაცო! რას ამბობ, — მეჭმედმა ღრმად ამოიხვნეშა, — კაცო, მწყემსებმა მიყვეს, რაც მიყვეს, ათას ხუთასი სული ცხვრიდან ორმოცდაათილა დამიტოვეს...

— კარგი. აილე და ის შენი ორმოცდაათი ცხვარი ჩემს ნაცნობ მწყემსს მიაბარე. მოუვლის, უპატრონებს და ცოტა ხანში ასად გიქცევს!

— ...

— ნუ ხუმრობ, კაცო, — გაელიმა მეჭმედ ეფენდის.

— კი არ ვხუმრობ, მართალს გეუბნები.

ჰაჯი ალი ეფენდი მოდგა და თავის ნაცნობ მწყემსზე



მოჰყვა ლაპარაკს. თურმე ისეთი კაცია, ამ ქვეყანაზე სიცრუე და ბოროტება თუ არსებობს, ისიც კი არ იცის.

პირდაპირ წმინდანივით უცოდველი კაცია. მთელი სიცოცხლე მთასა და ველზე აქვს გატარებული. ამქვეყნად ლოცვისა და ღმერთის გარდა იმისთვის სხვა არაფერი არსებობს...

ჰაჯი ალი ეფენდიმ თავისი ნაცნობი მწყემსი იმდენი აქო, იმდენი, რომ ბოლოს და ბოლოს მეჰმედ ეფენდი მოაღბო.

– რაც არის, არის, ჩემი ცხვარი შენს ნაქებ მწყემსს მივაბაროთ!..

მეორე დღესვე იალალზე ამბავი აფრინეს და მწყემსი დაიბარეს.

მეჰმედ ეფენდიმ თავის მეგობარს შეთანხმების პირობები გააცნო: თავის ორმოცდაათ ცხვარს ამ მწყემსს გაატანდა, მიღებული ნაჭარბის ერთ მეხუთედს მას მისცემდა. ცუდი გარიგება არ იქნებოდა. გაურიგდა თუ არა, მაშინვე სოფლიდან ცხვარი ჩამოარეკვინა და ჩააბარა.

გაიარა დღემ, კვირამ, თვემ.

ერთხელაც მეჰმედ ეფენდი მეგობარს შეხვდა და უთხრა:

– ეს მწყემსი თუ პატიოსანი კაცი გამოდგა, სოფლის მთელ საქმეებს იმას ჩავაბარებ.

– ნახავ, ნახავ!

– ინშალაჰ!...

\*\*\*

გაიარა ერთმა წელმა. ერთ უქმე დღეს მეჰმედ ეფენდი სახლის ქვემო სართულზე იჯდა, როცა ის

<sup>1</sup> თუ ალაპი ინებებს, ღვთის მადლით, ღვთის შეწევნით



მწყემსი გამოეცხადა. ხელში დიდი რუხი ჩანთა და ცხვირის ჯერ ისევ სველი ტყავი ეჭირა. მწყემსმა მეჭმედ ეფენდის არც სალამი მისცა, არც შეხედა და ყველაფერი იქვე, ტახტის გვერდით ფანჯარასთან მიალაგა...

- მშვიდობით მოხვედი?
- მშვიდობით დამხვედი!
- აბა, ერთი, დაჯექი, ვნახოთ.
- ეივალაჰ!
- ცხვრისა რა ისმის, დოლი დაიწყო?
- რა დოლი, ერთსაც კი არ უსავსევია...
- არც ერთს არ მოუგია?
- არა...
- მატყლი რა უყავი?
- არ გამიპარსავს...

მეჭმედ ეფენდიმ კარგად ვერ გაიგო:

- რა თქვი?
- თორმეტი სული მოიპარეს...
- რას ამბობ, კაცო?..
- რამდენი სული დარჩებოდა?
- ოცდათვრამეტი.
- ოცდათორმეტს პეპელა გაუჩნდა და დახოცა...
- ჰა?
- რამდენი დარჩებოდა?
- ექვსი.
- ხუთი მგელმა მოიტაცა.
- ...
- რამდენი სული დარჩებოდა?
- ერთი!..

- იმ ერთ ცხვარს თვალის ჩინივით ვუფრთხილდებოდი. გუშინნინ სალამომდე სალ-სალამათი მყავდა.

<sup>1</sup> ღვთის მადლით, ღვთის შენეწით, თუ ალაჰი ინებებს



რძისგან მანონი გავაკეთე. გუშინ დილას საძოვრიდან რომ ჩამოვრეკე, საცოდავი ხევში გადაიჩეხა. ჩავედი, რას ვხედავ, კვდება... რაღას ვიზამდი, უსულადოდ ხომ არ მოვკლავდი. დავკალი და გავატყავე. ესეც ტყავი.

მწყემსმა ფანჯარასთან მიგდებულ ტყავზე მიუთითა. მეჰმედ ეფენდომ შეჭალარავებულ წვერზე ხელი იტაცა. ჯერ განითლდა, მერე გაყვითლდა...

მწყემსი კი განაგრძობდა:

– მანონი ორნახევარი ოყაა. ნახევარი ოყა ჩემია. ტყავი კი შენ მოგიტანე, ჩემი წილიც შენთვის მიჩუქნია!  
– ...

მეჰმედ ეფენდის კრინტი არ დაუძრავს. ფეხზე წამოდგა. მანვნის ქილას ხელი წამოავლო და მწყემსს მიუახლოვდა. უცებ ქილა მოიქნია და მთელი ძალით მწყემსს თავში სთხლიშა...

– აილე, შენი წილი აილე, შე პირუტყვო! – აღრიალდა მეჰმედ ეფენდი და მწყემსს მუშტები დაუშინა. მერე პანლურიც ამოჰკრა და გარეთ გააგდო.

\*\*\*

ამ დროს მუფთი თავის მეგობართან სტუმრად მოდიოდა. მანვნით თავპირმოსვრილი მწყემსი კარებში შეეჩეხა. მუფთი ეფენდი ძალზე გაოცდა:

– ეს რა მოგსვლია, ბიჭო?

მწყემსი ამ მოულოდნელი ამბით დაბნეული კი იყო, მაგრამ თავგზა მაინც არ დაჰკარგვია და თავის კეთილისმყოფელს საყვედურით მიმართა:

– რა უნდა მოხდეს, ეფენდი. იმ ღირსეულსა და ალალ-მართალ კაცს, ვინც სწორ ანგარიშს გასწევს, გარეთ აგდებენ...

– ?

## 2330

ალი ჯანიბს<sup>1</sup>

ეს მოთხრობა კარგა ხნის წინათ, ახალგაზრდობაში დაწერე, მაგრამ სითამამე აღარ მეყო, რომ სადმე დამე-ბეჭდა. ახლა საცოდავი დედაჩემის წიგნებში ვიპოვე, რალაც ცხოველი ინტერესით წავიკითხე და ძალიან მომეწონა. მაშინ რატომ დავინუნე, ან ახლა ასე რატომ მომწონს? ალბათ სანყალი, გულკეთილი დედაჩემი თუ გამახსენდა...

როგორც უნდა იყოს, საყვარელო ჯანიბ, დღეს ამ მოთხრობას ჩემს ერთ-ერთ საუკეთესო თხზულებად მივიჩნევ და შენ მოგიძღვნი.

– იმ დროს დიდი-დიდი ოცი წლის ჭაბუკი თუ ვიქნებოდი, – დაიწყო სუპრან ბეიმ, – მამაჩემს ფოსტა-ტელეგრაფის სამინისტროში საკმაოდ მაღალი თანამდებობა ეკავა. პირველ ხანებში მამა ჩემს თავაშვებულსა და წრეგადასულ ცხოვრებას ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ, როცა ყოველგვარ საზღვარს გადავედი, მოთმინების ძაფი გაუნყდა, საჩქაროდ შეკრიბა მთელი ოჯახი, დედაჩემი, დიდედაჩემი, ბებრუცუნა მამიდაც მოინვია და ერთხმად გადანყვიტეს – ვიდრე მთლად

<sup>1</sup> მეოცე საუკუნის თურქი პოეტი და კრიტიკოსი



ხელიდან არ წასულა, სტამბოლს მოვაშორეთ და სადმე  
გავგზავნოთ!

იმ ხანებში იანიას ვილაიეთის ინსპექტორად მამა-  
ჩემის მეგობარი იყო. ჰოდა, იმ ვილაიეთის ერთ დაბაში  
უნდა წავსულიყავ და ფოსტაში კორესპონდენციებზე  
მემუშავა. იმათი აზრით, იქ მე ჭკუაში ჩავვარდებოდი  
და დავდინჯდებოდი...

- ძალზე გახდი, შვილო, - ტკბილი ხმით შემომამარა  
დედამ, - ჰაერის გამოცვლა მოგიხდება. თანაც  
ქვეყნიერებას ნახავ, გონს მოიკრებ, ეგეც არ იყოს,  
ქვეყანას ხომ უნდა გამოადგე!.. - ვიდრე დედაჩემი  
თავის შესავალს დაამლერებდა, მე ველარ მოვითმინე  
და გაბრაზებულმა მივახალე:

- არსადაც არ წავალ!

მაგრამ ჩემი სიჯიუტის საპასუხოდ დედამ მიაბო,  
თუ როგორ გაშმაგდა მამაჩემი, როცა ჩემი მორიგი  
თავგადასავალი შეიტყო. დედამ დაიფიცა, რომ რამ-  
დენიმე თვის შემდეგ მამას შეევედრებოდა და ისევ უკან  
დამაბრუნებდნენ.

მე დედის ფიცსა და მიცხ რას დავუჯერებდი, მაგრამ  
იმ მხარის მონახულება თვითონვე მინდოდა.

- კარგი, მაგრამ იცოდე, სამ თვეზე მეტხანს არ  
გავჩერდები!

კარგა ბლომად ფული მომცეს წინასწარი ხარჯები-  
სათვის - ოთხას ორმოცდაათი ყურუში ხუმრობა საქმე  
როდი იყო, მაგრამ, მართალი გითხრათ, ჩემი საყვარელი  
სტამბოლის დატოვება ძალზე მეძნელებოდა. ხუთი  
წელი ქალაქიდან ფეხი არ გამიდგამს და ისე შევეჩვიე,  
თითქოს აქ ვყოფილიყავი დაბადებულ-აღზრდილი.

მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, კაცი თავის გასამართ-  
ლებელს ყოველთვის იპოვის!.. მეც გამახსენდა იმ  
საპორტო ქალაქების მშვენიერი ადგილები, რომლე-



ბიც მამაჩემის უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან კრეტადან<sup>1</sup> ბავშვობისას წამოსულს მენახა.

– ახლა ბევრად უკეთეს დროს გავატარებ, – გავივლე გულში, – მაშინ ხომ მთლად ბავშვი ვიყავი... და ოცნებას მივეცი თავი...

...პირველი პორტი, სადაც შევალ, სალონიკი<sup>2</sup> იქნება. შემდეგ იზმირი, ბეირუთი, პიროსი, ათენი, პელეპონესი<sup>3</sup>, ფერეუზი, იქიდან კი იანიაში, ჩემი სამსახურისაკენ გავნეგ. დიდებული მოგზაურობა იქნება!

ოჯახთან ხანმოკლე გამომშვიდობების მერე მამაჩემისგან იმსიგრძე დარიგება მოვისმინე, რომ ჩამენერა, ქალაქის სამ თაბახზე არ დაეტეოდა! როგორც იქნა, თავი დავიხსენი და გემბანზე ავვარდი.

სალონიკში ორ დღეს დავრჩი. აბა, იმის მოყოლა რა საჭიროა, როგორ გავატარე ორივე ღამე ერთ ხმაურიანსა და მხიარულ სახლში.

სალონიკის შემდეგ ცოტა უქეიფოდ გავხდი, იზმირშიც ორი დღე დავყავით, მაგრამ მე აქ დროსტარებაზე უარი ვთქვი, ბარემ მოვითმენ, ათენში ჩავალ და თუ დროსტარებაა, დროსტარება იყოს-მეთქი!.. მაგრამ ჩემი ჩალმიანი თანამგზავრებივით ღამეს გემზე რა გამათენებინებდა?! მაშინვე სასტუმროს მივაშურე.

ვახშამზე შევნიშნე, რომ ერთი ვილაც წვეროსანი ბატონი დაჟინებით შემომცქეროდა. ცოტა არ იყოს, ავნრიალდი, მაგრამ ეს მოუსვენრობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ვახშამის შემდეგ, როცა ყავას შევექცოდით, იმ ბატონმა სახელი მკითხა. მე ვუთხარი. მერე მამაჩემის ვინაობის გაგება ისურვა. ეგეც რომ

<sup>1</sup> კუნძული ხმელთაშუა ზღვაში  
<sup>2</sup> ქალაქი საბერძნეთში  
<sup>3</sup> ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთი ნაწილი

ვუპასუხე, მოხუცმა საოცარი მოძრაობით ხელი ზედ  
ცხვირთან მომიტანა და:

– აბა, აბა, ბიძაშენს ხელზე აკოცე!

ცოტა არ იყოს, დავიბენი, მაგრამ მალე გონი მოვიკრიბე, დავაკვირდი და ნელ-ნელა გამახსენდა... როცა მოხუცის ფუნჩულა ხელს ეკოცნიდი, მომაგონდა ჩემი თავაზიანი და კეთილი ბიძა, რომელიც სპარსეთში საელჩოს მდივნად მსახურობდა. იგი მე ბავშვობაში სპარსულ ენას მასწავლიდა. მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა, მაგრამ მოხუცი არ გვივინწყებდა, ყოველ წელიწადს მუჰარემის<sup>1</sup> სადღესასწაულოდ მოსალოც ბარათს გვიგზავნიდა ხოლმე.

საოცარი შეხვედრაა...

მოხუცი სტამბოლს ბრუნდებოდა.

ბიძამ დანვრილებით გამომკითხა ოჯახისა და მისი წევრების ამბავი. ღამის სამ საათამდე ყავახანაში ვისხედით და ვმუსაიფობდით. სასტუმროში რომ დავბრუნდით, ისე მეძინებოდა, დამძიმებულ ქუთუთოებს ზევით ვეღარ ვწევდი. ბიძაჩემი პირველ სართულზე ცხოვრობდა. როცა ოთახის კართან მივედით, მან მხრებზე ხელი მომითათუნა და მთხოვა:

– ღმერთმა სიკეთე ნუ მოგიშალოს, შვილო; დილით ადრე ვერ ვიღვიძებ, თუ შეიძლება, გამაღვიძე.

– ბატონი ბრძანდებით!

დავშორდით ერთმანეთს.

მე ჩემს ნომერს მივაშურე.

იმ საღამოს თავდაჭერილობამ ფასდაუდებელი შეხვედრა და სამაგიერო მომიზღო.

<sup>1</sup> მთვარის კალენდრის პირველი დღე. ამ თვეში (680 წ.) ქალაქ ქერბალასთან მონაშებრივად დაეცნენ მუჰამედ წინასწარმეტყველის ქალი ფატიმა და ხალიფა ალის ვაჟი ჰუსეინი. ამ დღის აღსანიშნავად მუსლიმები (შიიტები) მართავენ რელიგიურ დღეს, რომელსაც ახლავს ქართული სინამდვილისთვის ცნობილი ცერემონიალი „შაჰსეი-ვაჰსეი“, რაც ნიშნავს „შაჰ ჰუსეინ-ვაჰ ჰუსეინ“.



არავითარი ეჭვი არა მქონდა, რომ სტამბოლს დაბრუნებული ბიძაჩემი ჩემიანებთან კეთილ სიტყვას შემანევდა და წესიერ და პატიოსან ჭაბუკად დამახასიათებდა...

დილით ადრე გამელვიდა, უმაღლ ჩავიცვი და დანაპირების შესასრულებლად ძირს დავეშვი, მაგრამ მოხუცს ადგომაც დაესწრო, ჩაცმაც და ახლა ფესს იწმენდდა.

სარკეში თვალი შემასწრო და მომიბრუნდა:

– დილა მშვიდობისა, შვილო, იმედია, დღეს გამაცილებ!

– მაქვს პატივი, ეფენდი, – გამეცინა მე.

უცებ ყვითელთავეებიან რკინის საწოლთან რალაც უცნაურ საგანს შევასწარი თვალი. თეთრი ქურქი ეგდო... თუ ძალლი იწვა... ცნობისმოყვარეობით მივუახლოვდი და რა დავინახე? ორი მბრწყინავი შავი თვალი მე მომჩერებოდა... არც ძალს ჰგავდა, არც კატას...

– ვაჰ, რა ლამაზი რალაცაა! – უცებ წამოვიძახე.

ბიძაჩემმა განმენდილი ფესი დიდი გულისყურით დაიხურა, გაისწორა და ჩემთან მოვიდა:

– ნამდვილად რომ ლამაზია. ეს მაიმუნი ერთმა ინდოელმა ვაჭარმა მიფეშქაშა. ახლა, წამოსვლისას, ვერც გასაყიდად გავიმეტე და ვერც მივატოვე.

– ბიჭოს, ეს განა მაიმუნია? თეთრ მაიმუნს პირველად ვხედავ, – ვთქვი უფრო გაკვირვებულმა. მოხუცს გაელიმა, თეთრ მაიმუნს მოეაღერსა და მითხრა:

– ასეთი ჯიშის მაიმუნი მხოლოდ ინდოეთში იცის. არაჩვეულებრივად გონიერი და ლამაზია.

ვიდრე მე მაიმუნს ვათვალიერებდი, მოხუცი მიამბობდა, თუ როგორი ონავარი, დაუდეგარი იყო ეს პატარა ცხოველი და რა ჰქონდა ჩადენილი.

– მე როგორც გატყობ, ძალიან მოგეწონა. საჩუქრად მომიერთმევია.

აი, უბედურება თუ გინდა, ეს არის!

რაში მჭირდება ეს ერთი ციცქნა ცხოველი?

არა, მომწონდეს მაინც... ერთადერთი, რითაც ყურადღებას მიიპყრობს და გაგაოცებს, ის არის, რომ ძალზე თეთრი ბენვი აქვს.

– არ მინდა.

მოხუცმა ჩემი უარი თავაზიანობად ჩათვალა და მარწმუნებდა, რომ მოსარიდებელი არაფერი მქონდა.

რა უნდა მექნა, დავთანხმდი.

იმავე დღეს ბიძაჩემი სტამბოლს გაემგზავრა, მაიმუნი კი მე დამიტოვა. ეს თეთრი მაიმუნი ძუქნა ყოფილიყო. ისეთი ლამაზი, ისეთი კოხტა იყო, რომ... სხვა ჯიშის მაიმუნებივით სახე დაღრეჯილი კი არა ჰქონდა... არა, თეთრი მბრწყინავი ბენვი ესხა, წვრილი, ფაფუკი და კოხტა ხელები ჰქონდა. იმ ნახშირივით შავ თვალებს ისე საყვარლად აბრიალებდა, ისე, რომ... როცა ხელში ავიყვანე, ერთი ჭყიპინი ატეხა.

გემზე დიდი სენსაცია გამოიწვია. ჩემი არ იყოს, არავის ენახა თეთრი, კატასავით კრუტუნა მაიმუნი.

პიროსში გაყიდვა მოვუნდომე, მაგრამ ათ ლირაზე მეტი არავინ შემადლია. მეც ვიძუნნე, ასე იაფად არ მივეცი. ისე კი, ამ ლამაზ მაიმუნში თავისი ფასი არ გაიმეტეს. რას იზამ, ბერძნების ქვეყანაა!

ჩემი მოგზაურობის დასასრულს დღეები სიზმრებივით სწრაფად გარბოდა. ფერვეზი და იანია უკან მოვიტოვე და ბოლოს დანიშნულ ადგილს მივალნიე. იქაურობა ძალიან ლამაზი აღმოჩნდა. ყველაფერი ბალნარში იყო ჩაფლული. შორს, შორს ლურჯი მთები აყუდებულა, უფრო იქით მენამული მთებია... სამუშაო ოთახის მაღალ სარკმელში სასიამოვნო ნიავი იჭრება. დაბა მთლიანად ბერძნებითაა დასახლებული.

პირველი კვირა რაღაც უხალისოდ და უნდღილად



მიიწურა. გამახსენდა, დედაჩემს რომ ავუხიროდი — სამხრეთ-აღმოსავლეთი საქართველო

რა თქმა უნდა, არც ჩემი ნათქვამისა მჯეროდა და არც დედაჩემის დაპირებისა. აშკარა იყო, რომ აქ კარგა ხანს მომიხდებოდა ცხოვრება და საქმეების საფუძვლიანად მონესრიგებას შევეუდექი.

ჩემი კოლეგა მოფილოსოფოსო კაცი აღმოჩნდა, სამუშაო ოთახი თავმინებებული და მოუვლელი დამხვდა. გავასუფთავებინე, დავალაგებინე, სავარძელი ისე იყო ნირნამხდარი და გაჭუჭყიანებული, რომ იძულებული გავხდი, შალითა გამომეცვლევივინებინა. ცოტა რომ ამოვისუნთქე, წერილებისა და დეპეშების გაგზავნა დავიწყე.

ახლომახლო მხარის ტელეგრაფისტები მესალმებოდნენ:

- კეთილი იყოს თქვენი მოსვლა!
- კეთილი იყოს თქვენი დახვედრა, — მეც ტელეგრაფით ვპასუხობდი.

ზოგჯერ, ეს უაზრო საუბარი რომ არ გაგრძელებულიყო, უქეიფობას მოვიმიზეზებდი ხოლმე, მაგრამ ტყუილად, თავის დახსნის მაგიერ, უარეს დღეში ვვარდებოდი. ყოველ დილით მთელი რაიონის ტელეგრაფისტები მეკითხებოდნენ: — დღეს ხომ კარგად ბრძანდებითო...

ამ ტელეგრაფისტებს თავისი, სულ განსხვავებული სამყარო აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ აპარატთან მართოდმართო ზის, მაინც ახერხებს კონტაქტი იქონიოს თავის კოლეგასთან, რომელიც, ვინ იცის, რამდენი ფარსანგით არის მისგან დაშორებული. მიუხედავად იმისა, რომ თვალთ არ უნახავთ ერთმანეთი, ეს კონტაქტი, ეს ურთიერთობა ისეთი მჭიდროა, რომ, თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგჯერ ერთმანეთს ემდურებიან, ეუმძრახებიან



და ისევ ურიგდებიან ხოლმე. ჯერ სახელს გკითხავენ, მერე წლოვანებას, ცოლიანი ხარ თუ უცოლო, ერთი კვირის შემდეგ კი ისე გაგიშინაურდებიან და ისეთ რამეს გკითხავენ, რასაც უახლოესი მეგობარიც კი ვერ გაგიბედავდა.

ეს ყველაფერი კარგად ვიცოდი და ტელეგრაფისტების კითხვებს მოკლე-მოკლე პასუხებს ვაძლევდი. მათ ლაყობას ცივი სერიოზულობით ვახშობდი.

ჩემი ფართო სარკმლიდან შესანიშნავი სურათი იშლება. სარკმელთან სავარძელი მიდგას. სავარძელში საათობით ვზივარ და ლამაზ ბუნებას გავცქერო. ჯანმრთელობა, რომელიც დაულაგებელმა და გარყვნილმა ცხოვრებამ დამიზიანა, ნელ-ნელა გამომისწორდა.

ერთი ასეთი ანდაზა გამახსენდა: „ძილგატეხილი ახალგაზრდა და მძინარა მოხუცი – ორივე ავადმყოფიაო“, და ძილს არ ვიკლებდი, სავარძელში გამხლართულიც წავიძინებდი ხოლმე.

მაიმუნი ჩემი ჭკვიანი და დამჯერი მეგობარი გახდა, ხშირად მეხმარებოდა კიდეც. თუ ვანიშნებოდი, წყალი მწყურია-მეთქი, მომიტანდა, თუ წამეძინებოდა, რა დროც უნდა ყოფილიყო, ტელეფონის ზარზე გამალვიძებდა.

ერთ დღეს სადილის შემდეგ ცოტა წამთვლიმა. ვიგრძენი, რომ თმაზე რალაც მეხება. თვალები გავახილე და, რას ვხედავ?! მაიმუნი მეალერსება, თავზე ხელს მისვამს!.. ამ პატარა, სუსტი, თეთრი, რბილი ხელით მეფერებოდა და რალაც უცხო გრძნობით შეპყრობილი წინ დამჯდომოდა და მომშტერებოდა. ამის შემდეგ ყოველდღე ასე მეორდებოდა: მეალერსებოდა, მეფერებოდა, მერე კი წინ დამიჯდებოდა და სახეში შემომციცინებდა.

ერთ დილას უკვე პირდაბანილი, ფანჯრის რაფაზე დაყრდნობილი, ბურუსში მთრთოლვარე სივრცესა და



მზით შენითლებულ ღრუბლებს გავქცევროდი. უეცრად კარი გაიღო. მოვტრიალდი. ღია კარებში ახალგაზრდა, ლამაზი ქალი იდგა. მხოლოდ ბერძენი ქალებისთვის დამახასიათებელი თავისუფალი ქცევითა და სიკეკლუცით, ბერძნულად მკითხა:

– ტელეგრაფისტი თქვენ ბრძანდებით, ეფენდი?

– დიახ, რა გნებავთ? – ვუპასუხე მე.

აღმოჩნდა, რომ მას ათენში მამისთვის დეპეშის გაგზავნა სურდა, კარგად და კეთილად ვიმგზავრეო. იმის მამას ათენში საბაყლო დუქანი ჰქონია, თვითონ კი დეიდასთან სტუმრად ჩამოსულიყო.

ისე თავისუფლად და ბუნებრივად იქცეოდა, რომ უცნობობის ყოველგვარი საზღვარი ჩვენს შორის უცებ ნაიშალა და რაღაც ათ წუთში ათი წლის სალაპარაკო ვილაპარაკეთ. მე ვიგრძენი, რომ მადმუაზელს თვალში მოუვედი.

– აქაურობა ძალიან კარგია, მაგრამ ხმაურს შეჩვეულმა შესაძლოა მოიწყინოთ.

მეორე დილას, როცა ტელეგრაფის წინ გაიარა, მივესალმე, მან სალამზე ღიმილით მიპასუხა.

მალე დავმეგობრდით.

ტელეგრაფის წინ ხეივანი იყო, იმ ხეივანში საათობით დავსეირნობდით ხოლმე. ელენი ერქვა. არც ძალიან ჭკვიანი ქალი იყო, მაგრამ არც უჭკუო ეთქმოდა. ათენში ფრანგულ ენას სწავლობდა, მაგრამ ფრანგი მწერლებიდან რასინის, კორნელისა და ფენელონის გარდა, არავის იცნობდა.

ერთ სალამოს ჩვენ ხეივანში ვმუსაიფობდით. უცებ შევნიშნე, რომ მაიმუნი ჩემკენ მოდიოდა.

– რატომ მოდის? – იკითხა მადმუაზელმა.

– არ ვიცი, ვნახოთ, რას იზამს, – ვუპასუხე.

მაიმუნი ჩამაფრინდა და ქაჩვა დამიწყო.

ერთი ჩვევა ჰქონდა, მაშინ იწყებდა ჭყიპინს, როცა ტელეგრაფის ზარი რეკავდა. ეხლაც იმ ხმაზე აყვირდა.

– მადმუაზელ, მაპატიეთ, ალბათ ზარი რეკავს, – მოვიბოდიშე და შენობისკენ გავემართე. ტელეგრაფს რომ მივუახლოვდი, უკან მოვიხედე და ვნახე, რომ მაიმუნი რალაც კმაყოფილი სახით გამომცქეროდა.

შიგნით შევედი. აპარატი დავათვალიერე, არავითარი ნიშანი არ ჩანდა. ზარი დუმდა. აქეთ-იქით დავუკავშირდი, არავინ მეძახდა.

ნუთუ მაიმუნმა მომატყუა?

გამოვტრიალდი და კარი გავიხურე. უცებ ყვირილი შემომესმა. შორიდანვე შევნიშნე, რომ ელენს სახეზე ხელი აეფარებინა. თავქუდმოგლეჯილი გავიქეცი, მივვარდი და რას ვხედავ! სანყალ გოგოს თითებს შორის სისხლი სდიოდა. რა მოხდა-მეთქი, ვიკითხე შეშინებულმა.

– მაიმუნი მეცა და დამფხაჭნა, – მიპასუხა ტკივილისაგან თვალდახუჭულმა ელენმა.

უმალ მოხუც ექიმთან გავფრინდი. ელენი სახლში ნავიყვანეთ. მადლობა ღმერთს, ჭრილობა სერიოზული არ გამოდგა!

მაიმუნს პირველად გავუჯავრდი და როგორც აღმოჩნდა, ჩემი გაჯავრება პირველიც იყო და უკანასკნელიც. როცა ოთახში დავბრუნდი, მაგიდის ქვეშ შემძვრალი დამხვდა, კმაყოფილი თვალებით შემომცქეროდა. კუთხეში მიყუდებულ მსხვილ ხელჯოხს მივწვდი და კარგად მივტყიპე. მაიმუნს არ შეშინებია, მხოლოდ გაოცებული მიყურებდა. თავი ველარ შევიკავე, ცემა არ ვაკმარე, ქეჩოში ხელი ჩავავლე და გარეთ მოვისროლე... მინაზე როცა დაეცა, ისეთი თვალებით შემომხედა, დღემდე არ დამვიწყებია.

მთელ ღამეს კარს აფხაჭუნებდა, მეძახდა, მაგრამ მე ხმა არ გამიცია.

მეორე დილას გაქრა.

სამი დღე თვალი არ მომიკრავს.

მეოთხე დღეს ერთმა გლეხმა მომიყვანა, მდინარის სათავეში, კლდეებში ვიპოვეო.

საცოდავი, მთლად გალეულიყო, ტალახში იყო ამოსვრილი. ეტყობოდა, ოთხი დღის განმავლობაში არაფერი ეჭამა. მაშინვე მისი საყვარელი თხილი მივუტანე, მაგრამ ზედაც არ შეხედა... მერე თვალები დახუჭა და სლუკუნი აუტყდა. უეჭველად იტყოდით, ტირისო. მაიმუნი ისე შემეცოდა, ისე, რომ პირდაპირ გული მეტკინა, მით უმეტეს, რომ იმ ოთხ დღეში სიბრაზემაც გამიარა.

ვცადე, ძალით მეჭმია, მაგრამ არც ამ ხერხმა გაჭრა. პატარა თეთრმა მაიმუნმა არ ჭამა, არც დალია და ათი დღის შემდეგ მოკვდა.. მოკვდა კი არა, თავი მოიკლა!

საბრალო პატარა ცხოველი ჩემზე ეჭვიანობდა! მერე ჩემგან შეურაცხყოფილმა, განანყენებულმა თავი მოიკლა... ვუყურებდი იმის თეთრ ხელებს, თეთრ ფეხებს, გვერდზე გადაგდებულ თეთრ თავს და ჩემთვის მანამდე შეუცნობელი, ისეთი მწუხარება დამეუფლა, რომ ცრემლი მომერია.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ბევრი სიხარული ვიგემე და ბევრი მწუხარებაც გამოვცადე, ეჭვის გრძნობა კი ჩემთვის დღემდე უცნობია. მაგრამ, როცა მახსენდება ჩემი პატარა, თეთრი მაიმუნი, რაღაც გაუგებარი სევდა შემომანვება ხოლმე...

ზოგიერთი გრძნობა ცხოველებს უფრო მეტად აქვთ განვითარებული, ვიდრე ადამიანებს... მაგალითად, სიჯიუტე – სახედარს, ერთგულება – ძალს, უმადურება – კატას.

იქნებ ეჭვიც ასეთი რამ არის, ჰა?!

## როგორ გადაარჩინა

ყაზი<sup>1</sup> იბრაჰიმ ეფენდი მთელ დაბაში კაციშვილს არ უყვარდა. სქელი და ბანჯვგლიანი ნარბ-ნამნამიდან შავი თვალები ისე უბრწყინავდა და გაბუჩქული შავი წვერ-ულვაშიდან დიდრონი თეთრი კბილები ისე უელვარებდა, იტყოდით, ეს-ეს არის მეცემა და შუაზე გამგლეჯსო... ისეთი სახეშეჭმუხნილი და დაკოპილი დაიარებოდა, თითქოს ძმარი დაულევიანო. გაცინებული ხომ არავის უნახავს!..

ჩვეულებრივ, მშვიდ მასლაათშიც სიტყვას ნანყვეტ-ნანყვეტ ისროდა, თითქოს იყეფებოდა.

ხალხს იმისი არც საქციელი მოსწონდა და არც საუბარი ეპიტნავებოდა; ყაზი იბრაჰიმი მაინც თავისას არ იშლიდა – თავი გულკეთილ კაცად მიაჩნდა და დარწმუნებული იყო, რომ ყველასთვის სიკეთე სურდა.

მწარე და მკვახე სიტყვა ხომ იცოდა და იცოდა.

სინამდვილეში იოტისოდენა სიკეთეს არავის გაუკეთებდა, შესაძლებლობა რომ ჰქონოდა კიდევც.

ვისაც ყაზი ეფენდის სიტყვა არ მოეწონებოდა და უსაყვედურებდა, ასეთ პასუხს ღებულობდა ხოლმე:

– ეჰ, თქვენ რა გესმით. ხალხს ისე ვუყვარვარ, თვალშიც რომ ჩავუვარდე, ხელს არ ამოისვამს...

<sup>1</sup> იგივე ყაზი – მუსლიმთა სასულიერო მოსამართლე, რომელიც მოქმედებს სასულიერო-საყოფაცხოვრებო კანონთა კრებულის – შარიათის მიხედვით.

\*\*\*

ერთ პარასკევ დილას ყაზი იბრაჰიმ ეფენდი ვექილ ჰუსამედინის კანტორაში იჯდა. კანტორა შადრევნის მოედანზე იდგა. დაბის პატივცემულ საზოგადოებას ნამაზის მოლოდინში აქ მოეყარა თავი და იმაზე საუბრობდნენ, გაუცინარი სახისა და უკმეხი სიტყვის კაცი უკეთესია თუ ტკბილი სიტყვისა და მოცინარი სახის კაციო. იბრაჰიმ ეფენდი ყველას ნათქვამს თავის თავზე ღებულობდა. რამდენჯერმე პირიც დაალო, შეპასუხება უნდოდა, მაგრამ ისევ გაჩუმება ირჩია.

კამათმა კი მეტად სერიოზული სახე მიიღო:

– გაუცინარი კაცისთვის ჯოჯოხეთი ზედგამოჭრილია, – თქვა ერთმა.

– ასეთი კაცისა არც ნამაზი, არც ნიაზი,<sup>1</sup> არც ზეკათი<sup>2</sup> და არც მარხვა არის დასაჯერებელი; გულში ბოროტების ცეცხლი რომ უნთია, სახე იმიტომ აქვს...

ერთი სიტყვით, ყაზი ეფენდის გამოსაჯავრებლად ყველა ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი აბდაუბდა ეთქვა. ბოლოს და ბოლოს ყაზი ეფენდიმ თავი ველარ შეიკავა:

– ტკბილი სიტყვა და მცინარე სახე პირმოთნე კაცისთვისებაა. მართალი სიტყვა მუდამ მწარეა, მართალი კაცი კი – მუდამ მკაცრი პირი სახისა.

მასპინძელი, ვექილი ჰუსამედინ ეფენდი, რომელიც დაბაში პოეტის სახელით სარგებლობდა, ყაზის შეეპასუხა:

– სარკე სულისა სიტყვაა, არვინ უყურებს საქმესა...

<sup>1</sup> ნამაზი და ნიაზი – სანესჩვეულებო ლოცვა, რიტუალი

<sup>2</sup> რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: 1. რელ. ერთგვარი გადასახადი ლარიბლატაკ მუსლიმანთა დასახმარებლად; 2. მონყალეზა; 3. განწმენდა, სინწინდე, უცოდველობა. მოთხრობაში კონტექსტის მიხედვით სწორედ ეს ბოლო მნიშვნელობა უნდა იგულისხმებოდეს.



მერე ისიც დაუმატა, რომ კაცს რაც გულში უძევს, სახეზეც ის ეხატებაო. ყველა ერთი აზრისა იყო – უპირველესია ტკბილმოუბარი ენა და მცინარე სახე, დანარჩენი კი...

ამ დროს კანტორის კარებში ვილაც ახალგაზრდა ურუქი<sup>1</sup> გამოჩნდა. ხელში ვეება ლანგარი ეჭირა.

– ვის ეძებ? – ჰკითხა ჰუსამედინ ეფენდიმ...

– ყაზი ეფენდი აქ არის?

– აქ არის.

იბრაჰიმ ეფენდი, რომელიც ყურთბალიშზე იჯდა, შესწორდა, რაიმე სათხოვარი ექნება, ან რაიმე შესალოციო, გაიფიქრა და შეეკითხა:

– აბა, მითხარი, რისთვის მოსულხარ?

– ეფენდი, მამაჩემმა ეს მანონი გამოგიგზავნა, – უპასუხა შეცბუნებულმა ბიჭმა.

– რატომ?

– ისა...

– მე მანონი არავისთვის მითხოვია...

პატივცემულმა პირებმა ერთმანეთს გადახედეს – ეს მანონი იბრაჰიმ ეფენდის ქრთამად ხომ არ მოართვესო?! ყაზი უხერხულად აინურა, სისხლი თავში აუვარდა, ნარბები უფრო მეტად შეეჭმუხნა და თვალები სანყალსა და დამფრთხალ ახალგაზრდას ხანჯლებივით გაუყარა.

– მამაშენს რა ჰქვია?

– ჰათიბ ოლლუ აჰმეთ ალა...

– მე არ ვიცნობ, შვილო.

– ის გიცნობს, ეფენდი. ეს მანონი გამოგიგზავნა. შენ ისეთი სიკეთე გაუწიე, ისეთი, რომ...

პატივცემულმა საზოგადოებამ ყურები ცქვიტა –

<sup>1</sup> თურქული მომთაბარე ტომი, ამ ტომის ნარმომადგენელი



აბა, ვის დააჯერებდით, ყაზი ეფენდიმ დაბაში როდისმე ვინმეს სიკეთე გაუნიაო... ახლა კი...

იბრაჰიმ ეფენდიც დაინტერესდა, ასეთი რა მოვიმოქმედო;

- რა სიკეთე, შვილო?
- ცხვრები გადაურჩინე, ეფენდი...
- როდის?
- გუშინლამ...

ყაზიმ ჭაბუკი ყურადღებით შეათვალიერა და გაიფიქრა - ნამდვილად გიჟი იქნება, თორემ გუშინლამ სახლიდან ფეხი არ მომიცვლიაო.

- სად, შვილო? - შეეცადა ჭაბუკი ტყუილში დაეჭირა.
- სიზმარში, ეფენდი...

კანტორაში სიცილმა იფეთქა. ყაზი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა. სახე უფრო მოელრუბლა, მაგრამ „ქმნა სიკეთისა“, თუნდაც სიზმარში, საუარო საქმე როდი იყო...

იბრაჰიმ ეფენდიმ ისარგებლა შემთხვევით და მოჰყვა ფილოსოფიურ მსჯელობას. იგი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ არარეალური, სიზმარეული, წარმოსახვითი სამყარო ჭეშმარიტია, ხოლო ხელშესახები, რეალური და საგნობრივი მხოლოდ და მხოლოდ არაჭეშმარიტი და წარმოსახვითი. ჭეშმარიტების შეცნობა მხოლოდ სიზმარშია შესაძლებელი...

აი, იბრაჰიმ ეფენდი კეთილი გულის კაცი რომ გახლავთ, იქიდანაც ჩანს, რომ სიკეთეს სიზმარშიც თესავს...

თავისი თავის ქება როცა დაასრულა, ბიჭს მიუბრუნდა:

- შვილო, მამაშენს სალამი გადაეცი. ეგ ლანგარი კი, აი, აქ დატოვე, ნამაზის შემდეგ ვინმეს გავატან სახლში. ჭაბუკმა ლანგარი კანტორის კართან დადგა და ის

იყო, ნასვლა დააპირა, რომ ყაზი ეფენდიმ იფიქრა; ამ მიღმური სამყაროს მნიშვნელობა ხომ მშვენივრად ავხსენი და მსმენელიც დავარწმუნე, მოდი, ახლა იმასაც შევიტყობ, რა სიკეთე ჩავიდინეო და ჭაბუკი შეაჩერა:

– შეილო, ხომ არ იცი, როგორ გადავარჩინე მამაშენის ცხვარი?

ჭაბუკმა ისე მიიხედ-მოიხედა, თითქოს მოხერხებულ დასადგომ ადგილს ეძებსო. მერე უკან გაიხედა, ხელები წინ დაიწყო და ვეება ქამარი შეისწორა, ცისფერ შარვალზე რომ ერტყა. მერე ნერწყვი გადაყლაპა, თვალეები ჭერს მიაშტერა და დაიწყო:

– გუშინდამ სიზმარში მამაჩემი ცხვარს ალაბირიკის თავზე აძოვებდა.

– სადა?

– უცებ თურმე საიდანღაც ერთი უზარმაზარი მგელი გამოვარდა. ცხვარს უეჭველად დააფრთხოდა და სადმე გადაჩეხდა... ამ დროს შენ გამოჩნდი თურმე. ერთ უშველებელ, გაცოფებულ გარეულ ტახს ჰგავდი. იმ მგელს თვალი მოჰკარი თუ არა, ეცი... მგელი გაგექცა, შენ გამოუდექი. სად გაგექცეოდა, ეშვებით მუცელი გაუფატრე და მამაჩემის ცხვარი დალუპვას გადაარჩინე...

ბიჭმა მზერა თავისდა უნებურად ჭერს მოაშორა და ყაზი იბრაჰიმ ეფენდის გადახედა, მაგრამ როცა იმის თვალეებს წაანყდა, უცებ ხმა ჩაუნყდა. ისე აცახცახდა, თითქოს მართლა გარეულ ტახს ჩავარდნოდა ეშვებში, მაშინვე გარეთ გავარდა და მოკურცხლა...

ყველამ ერთმანეთს გადახედა და პირზე ხელები აიფარა, ხარხარი რომ არ ავარდნოდა.

ყაზი ეფენდი კი...

## გულადი

მე და ჩემი ამხანაგი საპარიკმახერო სალონის სულ ბოლოს, კუთხეში, რალაც უშნო, სახედრის ყურებივით ფოთლებგაფშეკილი პალმის ქვეშ ვისხედით და ჩვენს რიგს ველოდით. ნუთები საუკუნეებივით მიიზლაზნებოდნენ. მაკრატლების გაუთავებელი ჩხაკუნი ყარყატების ყბედობას მაგონებდა, მხოლოდ იმ ყარყატებისა, რომლებსაც ჩვეულებრივის მაგიერ რკინის ნისკარტები ჰქონდათ... მე მოთმინება აღარ მყოფნიდა და წარამარა ვოხრავდი, ვწრიალებდი. მარმარილოს გრძელ მაგიდასთან, რომელიც ვეება სარკის წინ იყო მიდგმული, დინჯად, აუჩქარებლად მუშაობდა ექვსი დალაქი.

- ნეტავ, დედის მუცელში ცხრა თვე რამ გაგაძლებინა? - მომიბრუნდა ჩემი ამხანაგი.

- ნახევარი საათია ველოდებით, ძმაო...

- არა, ჯერ არ იქნება მაგდენი!

- კაცო, ღმერთი არა გწამს, ავდგეთ და წავიდეთ!

- მოგწყინდა?

- მომწყინდა და ეგრე?!

- მაშ, უსაქმოდ ნუ გაჩერდები, გულს გადააყოლებ.

- მერედა, რა საქმე გამოვიჩინო?

- ხან მუშტარს შეხედე, ხან აგერ, კედლებზე ჩამწკრივებული სურათები დაათვალიერე, სალაროსკენაც გაიხედე...

მუშტრები, შემოვედი თუ არა, მაშინვე შევათვა-

ლიერე, მაინტერესებდა, რომელი მათგანი ადგებოდა ყველაზე ადრე. ერთიმეორეზე მოსაწყენი იყვნენ — ჭალარა, წვერშეკრეჭილი, მელოტი... რაც შეეხება იმ სურათებს, აბა, რა საინტერესო უნდა ყოფილიყო ოდეკოლონისა და ლოსიონის რეკლამები? თვალი სალაროსაკენ გავაპარე... შიგ ერთი ბენო, მოცუცქნული ბერძენი გოგო იჯდა.

— ეჰ, შენცა ხარ! ჯერ ისევ ბავშვია.

— ბავშვია და, შენც გონებაში გაზარდე. ორი წელი ფანტაზია ერთ წელ სინამდვილეს უდრის. დრო ისე გავა, ვერც კი გაიგებ.

— ...

ამხანაგის რჩევა ჭკუაში დამიჯდა. ვუყურებდი ამ ციცქნა გოგოს და წარმოსახვაში ათი წელი დავუმატე. დავუმატე და...

აჰა, სალაროში ოცდაორი-ოცდასამი წლის მშვენიერი ქალი გამოიჭიმა... თქმა არ უნდა, რომ ამ ასაკში ღია ნაბლისფერი თმა ცოტათი გაუმუქდება, სუსტი, ჩავარდნილი მკერდი ამოებურცება, ეს განრიოკებული კისერიც შეეცვება... მაგრამ ჩემი წარმოსახვა აქ არ შეჩერებულა: ჩემდა უნებურად ამ მომწიფებულ ქალს ათი წელი კიდევ მივუმატე, მერე არც ამას დავჯერდი და კიდევ ოცი წლით გავზარდე!

ეჰ, თეთრკანიანი ადამიანები რა მალე ბერდებიან!

ჩვენს მოლარეს სახე დაუნაოჭდა და ლაქებით დაეფარა, ქუთუთოები გაეცრიცა. ბოლოს გული გავიქვავე და ეს საცოდავი ოთხმოცი წლისა გავხადე!..

ღმერთო, მოწყალეო!

უეცრად ისე მძაფრად შევიგრძენი ამ წარმავალი წუთისოფლის ამაოება, სხეულში ისეთმა ტკივილმა დამიარა, თითქოსდა ნალვლის ბუშტში კენჭი მქონოდა...

თავის დასამშვიდებლად ჩემ წინ მელოტი, სამოც



წელს გადაცილებული კაცი რომ იჯდა, იმას წლები  
ჩამოვაკელი.

გოგრასავით მოტვლებილ თავზე უცებ თმა წამო-  
ეზარდა. დამჭკნარ-დაღარული სახე ამოევსო, გაცრე-  
ცილი ლოყები გაუვარდისფრდა, უღვაშები გაუშავდა  
და გალურჯებულ ტუჩებს ალუბლისფერი დაუბრუნდა!

მაკრატლები კვლავ გაუთავებლად ჩხაკუნებდნენ  
და თეთრად შეღებილი სალონის მყუდროებას არაფერი  
არღვევდა, გარდა პარიკმახერის შეძახილისა და მეზ-  
ღვაურის ტანსაცმელში გამონყობილი შეგირდის პა-  
სუხისა.

უცებ ქუჩაში გამავალი ფანჯრის მინები ისე საშინ-  
ლად აზრილდა, გვეგონა, მინა იძრაო. მაკრატლები  
მიჩუმდა. კლიენტები, პარიკმახერები, მე, ჩემი ამხანაგი,  
შეგირდი და ციცქნა გოგოც კარებს მივაჩერდით.

ღმერთო ჩემო! ლამის გამისკდა გული! კარებში ვი-  
ლაც მთაკაცი შემოეყუდა. ორი მეტრი მაინც იქნებოდა!..  
უღვაშები სელიმ მრისხანისებურად<sup>1</sup> დაეყენებინა და  
ისეთი საშინელი, ბრიალა თვალები ჰქონდა, იტყოდით,  
რასაც დაინახავს, უმალ გადასანსლავსო. ვეებერთელა,  
ნახევარმეტრიანი შავი ფაფახი უფრო ამალღებდა. მში-  
შარა კაცი არ მეთქმის, მაგრამ, უნდა გამოვტყდე, კან-  
კალმა ამიტანა.

გოლიათმა ზედ არავის შემოგვხედა, უშველებელი,  
რუხსაყელოიანი ტყაპუჭი გაიძრო და შეგირდს, რო-  
მელიც უმალ წინ გამოეჭიმა, მხრებზე მოასხა... სან-  
ყალმა ბიჭმა სიმძიმეს ვერ გაუძლო და ჩაიჩოქა. პარიკ-  
მახერებმა სამართებლები მიყარეს და ნაქციულს მიეშ-  
ველნენ. როგორც იქნა, ფეხზე წამოაყენეს...

მე უარესად ავკანკალდი.

<sup>1</sup> სელიმ მრისხანე – თურქეთის სულთანი (1467-1520)



– ამ ბიჭბუჭების მეტი სხვა არავინ გყავთ, რომ კაცს ადამიანურად მოემსახუროს? – აბუყბუყდა გოლიათი, ერთიც ვნახოთ და ფეხი დავადგა, ხომ უნდა გავსრისო?..

– ბატონი ბრძანდებით, ახლავე!..

ფეხებზე შევხედე, შეჯავშნულივით ჰქონდა, ბავშვს გასრესდა კი არა, ქვაფენილს რომ გამეტებით დაჰკრას, მიანგრ-მოანგრეს...

გოლიათმა ფაფახი მოიხადა და პიჯაკი გაიძრო. მსხვილ ნელზე ვერცხლის ქამარი ერტყა, ქამარზე რევოლვერი, ხანჯალი და ხანჯლისშვილა ეკიდა.

– კაცო, მომხედეთ-მეთქი! მე ცდა არ შემიძლია და ნუ გამაბრაზებთ, – აყვირდა უცებ გოლიათი.

შეშინებულმა პარიკმახერებმა კლიენტები მიატოვეს და გარს შემოეხვივნენ:

– მობრძანდით... მობრძანდით!..

– ასე...

...

– უნდა იცოდეთ, ვის როგორ მოემსახუროთ!..

– ...

– გეტყობათ, არც კი იცით, ვინა ვარ!..

– ...

საბედნიეროდ, ერთმა პარიკმახერმა პარსვა მოათავა და ეს საშინელი კაცი დასვა. მე აზრადაც არ მომსვლია, მეთქვა, ჩემი რიგია-მეთქი. მოლარე სალაროდან გამოძვრა, გაპარსულს ფული გამოართვა და თავის სალაროში ისე მიიმალა, როგორც ცისკარი ქარიშხლისგან აშლილ ღრუბლებში.

– გაფითრებულხარ, კაცო, – ჩამჩურჩულა ამხანაგმა.

– მაშ, რა მომივა; შენ სხვებსაც შეხედე ერთი, ძარღვებში სისხლი გაყინვიათ!..

– ჩვენ რას დაგვიშავებს?

– ვერაფერს დაგვიშავებს!



მარტო იმის შეხედვა კმაროდა, რომ კაცს გული გახეთქოდა... მერედა, რა სამარცხვინოა? მერედა, რა მოხდა? განა ცირკში, როცა ლომები ღრიალებენ და ბრდღვინავენ, თმა ყალყზე არ გვიდგება ხოლმე? რატომ გვეშინია, მშვენივრად ვიცით, რომ მხეცები გალიიდან გარეთ ვერ გამოვლენ და ვერაფერს დაგვაკლებენ, ვიცით, მაგრამ მაინც ვძრნით და ვკანკალებთ. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ასეთ ალიბს რალა ფასი აქვს? შიში გვერევა და გვაღაჩრებს.

მაკრატლების ჩახკუნი მისუსტდა. ყველა გასუსული იჯდა და იმ გოლიათის შეხედვა ვერავის გაებედა. ის კი არა, მე სარკეს თვალს ვარიდებდი, რათა იმის თვალებს არ ნავენყდომოდი! მხოლოდ მალულად ვათვალიერებდი იმის მსხვილ, წითურ კისერს და ფართო მხრებს. კაცს კი არა, გაცოფებულ ბულას ჰგავდა. იმისი გარეგნობა, გაფარჩხული წარბები, დიდი პირი, რალაც საშინელ შიშს მგვრიდა.

ვინ იცის, რა ცეცხლში მოხვედრილა და მაინც გადარჩენილა, - ვფიქრობდი მე, - მტრის რამდენი რაზმი დაუფრენია, რა გაუგონარი გმირობა ჩაუდენია! მე ამ გოლიათს გრანიტისგან გამოკვეთილ, სულჩადგმულ ქანდაკებას ვადარებდი. თურმე, დედამინის ზურგზე კიდევ ყოფილან ასეთი ზეკაცები და გოლიათები, ჯერაც არ ჩამქრალა „კან-კალესა“ და „ბათალღაზის!“ საუკუნეების ცეცხლი...

გამახსენდა ზოგიერთი პაციფისტი ფილოსოფოსი, რომელთაც სურდათ ომებისა და ბრძოლების აღხოცვა, გამახსენდა და გამეცინა.

მაშ, ალაჰმა ეს რჩეული გოლიათური სხეული რისთვის შექმნა, თუ არა ვაჟკაცობისთვის, ბრძოლისათვის,

<sup>1</sup> თურქული დასთანის ლეგენდარული გმირი

გმირობისათვის. თუ ადამიანში მოვსპობთ ამ გარეგნობას, ათლექობას, მაშინ ყველა წმინდა და სათაყვანებელი ტრადიცია დაირღვევა და გაიხრწნება, ჭეშმარიტება შეწყვეტს სიცოცხლეს, ხოლო დიდება, ღირსება თუ ისტორიული რეალობანი მოგონილ სახეს მიიღებენ და ლეგენდის მუქი ბინდით დაიფარებიან...

ამ ფილოსოფიური განსჯით იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ყოველი სრულყოფილებისა და სიკეთის საფუძველთა საფუძველი გმირობა და მამაცობაა!

ფიქრში გართულს არც გამიგია, როგორ გათავისუფლდა სავარძელი და როგორ მოიკალათა ჩემმა ამხანაგმა. ვიჯექი პალმის ძირში, თვალგაშტერებული და დაქანცული, ვფიქრობდი, ვფიქრობდი. სელიმ სირრი<sup>1</sup> გამახსენდა, რომელსაც უთქვამს: იმ ფიცარზე, რომელზედაც თეთრი და შავი კვადრატებია დახატული, შაშის კოჭებმა ფეხი რომ აიდგან და ათამაშდნენ, განა სპორტის ახალი სახეობა არ იქნებაო?

უეცრად საპარიკმახერო წელანდელზე ძლიერ შეინძრა და ახმაურდა. ამჯერად მარტო კარ-ფანჯრების შუშები კი არ აზრიალდა, გრძელი სარკე, მარმარილოს მაგიდა და სავარძლებიც აპყვა. გამოვერკვიე და რა დავინახე: ეს ჩვენი გოლიათი იატაკზე ჩაცუცქულა, ზურგით სალაროს მიპყრდნობია და განწირული ხმით ყვირის:

- ვაიმე, მიშველეთ!

- I?

ყველა გოლიათს შემოეხვია და შეშინებულნი, გოცებულნი ეკითხებოდნენ:

- რა მოხდა, რა არის?

- რა ამბავია?

<sup>1</sup> სელიმ სირრი თარჯანი - (1847) ფიზიკური აღზრდის ახალი სკოლის დამაარსებელი თურქეთში

- ვაიმე, მიშველეთ! აი, მაგაზე, ვალაჰ!
- რაზე, ვისზე?
- აი, იმაზე, იმაზე...
- ...

აკანკალებული გოლიათი იმ პარიკმახერზე გვითითებდა, რომლის სამართებელსაც გამოექცა და თან ისევ შეელას ითხოვდა. იმავე წუთს ეჭვის ჭია შემიჯდა – ამ პარიკმახერმა, ეშმაკმა იცოდეს იმისი თავი, ბერძენია თუ თურქი, ამ ლომკაცას არტერია ხომ არ გადაუჭრამეთქი?

მაშინვე ფეხზე წამოვიჭერი.

არა, განა ცოტაა ისეთი შემთხვევა, როცა ამგვარი ვაჟკაცები ლაჩართა და მფრთხალთა სიმუხთლის მსხვერპლნი ხდებიან? ისტორიას ბევრი ასეთი ფაქტი შემოუნახავს.

მე პარიკმახერები გავნი-გამოვნიე, გოლიათს თავს წავადექი და ვკითხე:

- ჩვენებურო, რა მოგივიდა, რა მოხდა?

შეშინებული თვალები გადმოატრიალა. ლაჟღაჟა სახე ახლა ლიმონივით გაჰყვითლებოდა. აკანკალებულ ყბებზე ისევ ეცხო აქაფებული საპონი.

- აი, იმაზე, ვალაჰ, ზედ... – საცოდავად ამოილულლულა.

- ...

ან დანის საქმეა, ან ნემსი აქვს გადაყლაპული, ან მონამლულია-მეთქი, გავიფიქრე; მერე იმ პარიკმახერს, რომელიც გოლიათს პარსავდა, თვალი თვალში გავუყარე და რიხიანად ვუთხარი:

- აბა, ერთი, ის შენი რალაც ამოილე!
- რა ამოვილო?

<sup>1</sup> შორისდებული, რომელსაც შეესატყვისება ქართული „ღმერთმანი“.

- მე გეუბნები, ამოიღე!

- რა ამოვიღო, ბატონო?..

- ...

არა, კაცმა რომ თქვას, რა უნდა ამოეღო? ეს მეც არ ვიცოდი. მზერა შიშისაგან თვალეზღაფეტილ პარიკმახერს მოვაცილე და სალაროს ძირას ჩაყუნტულ, ციებიანივით აცახცახებულ გმირს მივაშტერე.

- სად დამალა?

- არ და-უ-მა-ლავს!..

- მაშ, რა უყო?

შიშისგან სლოკინი აუტყდა და მეტყველება წაერთვა:

- ზედ ა... ა... ა... აქვს!

- სად ზედ?

- ...

- წელზე, ჯიბეში?

- აა, სა... ყე... ლოს... თან...

პარიკმახერს თეთრი ტილოს ხალათი ეცვა, დაკვირვებით ავხედ-ჩავხედე, ვერაფერი შევნიშნე. უეცრად გოლიათმა წამოიყვირა:

- ვალლაშ, მიცოცავს?

- მიცოცავს? - უფრო დავიბენი და გავოცდი...

გაურკვეველი ვითარება შეიქმნა. ცოტაც და, შესაძლოა, სასაცილო გავხდე! მე გუმანი რაიმე მჭრელ იარაღზე ან საწამლავზე მქონდა, ეს კი ცოცხალი, თანაც მცოცავი სულიერი ყოფილა?!

კლიენტები და პარიკმახერები გაუბედავად მიუახლოვდნენ და საყელოს სინჯვა დაუნყეს.

მე იმ გაიძვერასავით გავილურსე, რომელიც საქმეს უმალ აულებს ალლოს და გაჩუმდება ხოლმე...

სხვა რა უნდა ყოფილიყო, თუ არა მკბენარი, პანანინა ტილი... პანანინა, მაგრამ დიდი სიკვდილი?! დიახ, უეჭველად ტიფის გველეშაპი უნდა ყოფილიყო; ჩემმა



გონებამ, რომელიც მუდამ მზად იყო ფილოსოფიური განსჯისათვის, ახლა საქმის პედანტური ანონ-დანონა და ფიქრი დაიწყო.

ამ გოლიათის საქციელი სულაც აღარ მიკვირდა. ერთი მიბრძანეთ, ვინ არ წახდებოდა ასეთი მტრის წინაშე, მტრისა, რომელსაც ვერ შეებრძოლები... მე დარწმუნებული ვიყავი, ეს უზარმაზარჩექმებიანი, მრისხანე და გოროზი შესახედაობის წვეროსანი, რომელიც ყარადაღული რევოლვერითა და ჩერქეზული ხანჯლით იყო შეიარაღებული, სადმე მგლის ხროვას, რომელიმე გარეულ მხეცს ან ვეფხვს რომ გადაჰყროდა, თვალსაც არ დაახამხამებდა, ისე მოსპობდა და გაანადგურებდა. მაგრამ, რა უნდა ექნა, თუ შერჩვენებული ტიფის მიკრობი სხეულში შეუჯდებოდა? რაში გამოადგება ეს ბალავარი სხეული, ეს იარაღი ან ქვის გული?

ყოველივე ამან ელვის სისწრაფით გამიელვა თავში და როცა დასკვნა გამოვიტანე და შიშით აკანკალებული გოლიათიც გავამართლე, ამ დროს ვილაცამ იყვირა:

- აი, აი, სად ყოფილა!
- მკბენარია, არა, - მაშინვე ვიკითხე.
- არა.
- მაშ?

იმ პარიკმახერმა, რომელზედაც გოლიათი უთითებდა, და რომელიც მე დამნაშავე მეგონა, გაბრაზებულმა შემომხედა და მიპასუხა...

- რას ბრძანებთ, მკბენარი კი არა, კრაზანაა.
- კრაზანა?

მე გოლიათს მივუბრუნდი, რომელიც ჯერ კიდევ ცახცახებდა:

- კრაზანა ყოფილა!
- კარაზანა, ჰო, კრაზანა, ღვთის გულისათვის, დაიჭირეთ... დაიჭირეთ... დაიჭირეთ და ისე გასრისეთ...

ამ კრაზანებისა და ხოჭოებისა ისე მეშინია, ვკვდები  
კაცი! – აყვირდა იგი.

...

ამის თქმა იყო და, ის პატარა შეგირდი ბიჭი, რომელიც ახლახან ლამის ტყაპუჭმა ქვეშ მოიყოლა, გამოვარდა, კრაზანა დაიჭირა და უმალ გასრისა. აკანკალებული გოლიათი ძლივს წამოდგა, გაიმართა, კისრიდან პირსახოცი მოიგლიჯა და მაგიდაზე მიაგდო.

– დაბრძანდით, ეფენდი, გაგპარსოთ! – სავარძელზე მიუთითა პარიკმახერმა.

იმას კი არაფერი ესმოდა, არაფერს გრძნობდა, ჯიბიდან საფულე ამოიღო, საფასური გადაიხადა და:

– მე აქ გამჩერებელი აღარა ვარ! – მიუგო ნირნამხდარმა გოლიათმა, – მერე საჩქაროდ პიჯაკი და ტყაპუჭი ჩაიცვა, ის ვეებერთელა ჩერქეზული ბოხოხი თავზე ჩამოიმხო და ნახევრად გაპარსული, ნახევრად გასაპნული ტყვიასავით გავარდა გარეთ.

ჩვენ და სარკეში არეკლილი ჩვენი გამოსახულებანიც მონუსხულებივით გავცქეროდით მიმავალ გოლიათს.

საშინელი ქარაშოტის შემდეგ ჰორიზონტზე რომ ცისკრის ვარსკვლავი გამობუფტდება, ისე გამოიხედა სალაროდან ჩვენმა მოლარემ. ოლონდ ახლა ძალზე მხიარული და სახეგაბრწყინებული იყო. კარგა ხანს უყურა ჩვენს გაქვავებულ სახეებს, მერე გადაიკისკისა და წკრიალა ხმით აყვირდა: – ჰესთო<sup>1</sup>, დიავოლო... ჰესთო... დიავოლო...

<sup>1</sup> ჯანდაბას (ბერძნ.)

## ჩერქეზული ქამარი

ერთ ჩემს მეგობარ ოფიცერთან ერთად ყავახანაში ვიყავი. ჩვენ გვერდით მაგიდასთან, წვეროსანი, ფაფახიანი, გოროზი შესახედაობის ბრგე ვაჟკაცი იჯდა, რომელიც მკვეთრი ჩერქეზული აქცენტით ესაუბრებოდა მეინახეებს. კავკასიიდან ახალმოსულს ჰგავდა.

– მაშ, გზები გახსნილა, ჰა? – მივუბრუნდი ამხანაგს.

– რომელი გზები? – გაოცებით მომაჩერდა ჩემი თანამოსაუბრე.

– რომელი და... შავი ზღვისა!

– საიდან იცი?

– აგერ, შეხედე ამ ჩერქეზს, ეტყობა, ახალჩამოსული უნდა იყოს.

– ჩერქეზი?

ჩვენ გვერდით მჯდომზე ვანიშნე.

ჩემმა ამხანაგმა ისეთი ხარხარი ატეხა, რომ ლამის გაიგუდა.

– რას იცინი?

– ახა, ხა, ხაა... ეგ სადაური ჩერქეზია..

– მაშ, რა ენაზე ლაპარაკობს?

– ცოტა მოიჩერქეზულეbs...

– თავშესაქცევად?

– სრულიადაც არა, ძმაო.

– მაშ?

– მაშ და... თავს ჩერქეზად მიიჩნევს, მორჩა და გა-  
თავდა...

კვლავ წვეროსან გოლიათს შევხედე. სკამზე ისე გადაელაჯებიანა, თითქოს ცხენზე ამხედრებულიყო, თავს მძიმე-მძიმედ აქნევდა და თან ვერცხლისტარიან მათრახს წარამარა ჩექმაზე იტყაპუნებდა.

– ნუ ხუმრობ, – შევესიტყვე მეგობარს, – სუფთა ჩერქეზია.

– ალაპ, მართალს გეუბნები, – დაიფიცა მან.

– საიდან იცი?

– ჩემი კლასის ამხანაგია...

– მართლა?

– სადღესასწაულოდ და უქმე დღეებში ჩერქეზულად გამოეწყობა ხოლმე.

– მაშ, ქართველი იქნება?!

– არა!

– ჩეჩენი?..

– არრრააა!

– ლეკი?

– ?

– მაშ?..

– თურქია, ბიჭო, თურქიიი!

– სადაური?

– სადაური და აქაური, სტამბოლელი!..

– მერედა, რას აუხირებია ეს ჩერქეზობა?

– აქეთ მოიწი და გეტყვი, – გაიცინა ჩემმა მეგობარმა, – ამ ვითომ ჩერქეზს მაჰმედი ჰქვია. ადრე აზრადაც არასოდეს მოსვლია, რომ სხვა ერის კაცი გამხდარიყო. ერთხელ, როცა უფროსი კლასის მოსწავლეები ვიყავით, რამაზანის<sup>1</sup> არდადეგებზე, ერთმა ჩვენმა ამხანაგმა თავისთვის ყარამუსალიდან ლამაზი ჩერქეზული ქამარი ჩამოიტანა. ქამარი ყველას გვიჩვენა... მართლაც

<sup>1</sup> მთვარის კალენდრის მეცხრე თვე, რომლის დროსაც მუსლიმები მარხულობენ.



ძალზე შნოიანი რამ იყო. ბალთები ვერცხლით ჰქონდა მოსევადებული, თვითონ კი ლაუვარდისფერი გადაჰკრავდა. მაჰმუდმა ის ქამარი ნელზე შემოიკრა და... იმ დღის შემდეგ თურქობაზე ხელი აიღო, სულ იმას ცდილობდა, ჩერქებს დამსგავსებოდა. ერთი წლის შემდეგ, ყარამუსალში გასწია, თუმცა იქ ნაცნობი არავინ ჰყავდა. სანამ ჩვენ აქ ვომობდით, მუჰამედ ბეიმ თურქული გამოთქმა შესანიშნავი ჩერქეზული აქცენტით შეცვალა, მაგრამ მხოლოდ აქცენტით. ჩვენ მას „ჩერქეზ მაჰმუდი“ შევარქვით და წარმოიდგინე, სიხარულით ცას ეწია. ერთ დღეს ვილაც ჩერქეზ ფაშას გადაეყარა და იმასთან ერთად სტამბოლიდან გაქრა, ამბობდნენ, კავკასიაში გაიქცაო. ბევრი იხეტიალა, ბოლოს ჩერქეზის ქალი შეირთო. კონსტიტუციის შემდეგ სტამბოლს დაუბრუნდა. ახლა, სადაც კი მივა, თავისი ჩერქეზული აქცენტით თავს იწონებს და თან ჩერქეზების ქება-დიდებას მოჰყვება ხოლმე... ახლა თურმე „ჩერქეზების ისტორიის“ დაწერასაც აპირებს.

კვლავ ძალად ჩერქეზი შევათვალთქვე...

– ალბათ ვინმე ნათესავი ეყოლება ჩერქეზი.

– არა, ჩემო ძმაო, – მომიბრუნდა მეგობარი და ქვის მაგიდას მუშტი დაჰკრა, – წმინდა წყლის თურქია. ახლაც კი ერთი სიტყვაც არ იცის ჩერქეზული. მაგრამ, რაც ის შეჩვენებული ქამარი ნახა, თითქოს ჯადო გაუკეთესო, ისე შეიცვალა...

\*\*\*

თითქმის ნახევარ საათს მიყვებოდა ჩემი მეგობარი „ჩერქეზ მაჰმუდის“ სასაცილო ამბავს.

ვეება, გოროზი შეხედულების კაცს თურმე ცხვირიც არ შეუყვია ომში. სროლის გაგონებაზე თავის სო-



როს ეძებდა. როგორც კი მობილიზაცია დაიწყებოდა, მაშინვე ნაცნობ-მეგობრებს დაატრიალებდა და თავს გადაირჩენდა ხოლმე.

ამასობაში მაჰმუდ ბეი ნამოდგა, ფაფახი შეისწორა და ბუფეტთან მივიდა. როცა ჯიბიდან ფულს იღებდა, დავინახე, რომ ნელზე, ოცი წლის წინათ ყარამუსალიდან ჩამოტანილი ქამრის ვერცხლის ბალთები უბრჭყვიალებდა.

## აი, ახლა მოიფიქრე!...

ჩმაგო აჰმედი უბნის ცნობილი ავარა და ჩხუბისთავი გახლდათ. ჯერ სულ რაღაც თექვსმეტი წლის ცხვირმოუხოცავი ბიჭი იყო, როცა ქურდების ერთი ძველისძველი მოთავე აქსარაიელი<sup>1</sup> ბარდღია გვარიანად დაზილა, ხოლო სამათიელი<sup>2</sup> ხუჭუჭა ემინე დანით რვა ადგილას დაჭრა და სამი წელი ვირის აბანოში გაატარა. კონსტიტუციის ხმაური რომ არ ატეხილიყო, თქმა არ უნდა, სტამბოლის თავი ბიჭი იქნებოდა, მაგრამ 23 ივლისის ამბავმა<sup>3</sup> კოვზი ნაცარში ჩაუგდო. მეხანძრეების საკრებულოები<sup>4</sup> და სემაის ყავახანები<sup>5</sup> თანდათან დაცარიელდა. ახალგაზრდობა ჯარში გაიწვიეს. ძველმა ბიჭებმა ახალი მთავრობის უწყალო დევნას თავი გაარიდეს და მიიფანტ-მოიფანტნენ. ყალთაბანდობასა და თალღითობას ბოლო მოეღო.

<sup>1</sup> უბანი სტამბოლში, დღეისთვის ადმინისტრაციული ცენტრი

<sup>2</sup> სამათია – სტამბოლის ვილაიეთის ფათიჰას რაიონში შემავალი ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეული

<sup>3</sup> იგულისხმება თურქეთის ბურჯუაზიულ-რევოლუციური, ე.წ. „ახალგაზრდა თურქების აჯანყება“ 1908 წლის 23 ივლისს, როდესაც სულთან აბდულ-ჰამიდ II აიძულეს ხელი მოეწერა კონსტიტუციის აღდგენაზე.

<sup>4</sup> 1923 წლამდე, სანამ თურქეთში თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სახანძრო ორგანიზაციები შეიქმნებოდა, არსებობდა მოხალისეთა რაზმები, რომლებიც ხანძარს აქრობდნენ ტიკებით – „თულუმბებით“ მოზიდული წყლით. მათ „მეტიკები“, თურქულად „თულუმბაჯები“ ეწოდებოდათ. მოთხრობაში ლაპარაკია მათი თავშეყრის ადგილებზე.

<sup>5</sup> პირველ მსოფლიო ომამდე სტამბოლის უბნებში არსებობდა ყავახანები, სადაც ზამთრის გრძელ ღამეებსა თუ რამაზანის დღეებში ხალხის წინაშე გამოდიოდნენ პოეტი-მუსიკოსები, ე.წ. საზის პოეტები.



გალათას<sup>1</sup> საროსკიპოების პატრონებმა, რომლებიც აქამდე ქულხანბეიების<sup>2</sup> მფარველობით სარგებლობდნენ, ერთ სალამოს სრული დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და თავიანთი მფარველები გარეთ გაყარეს.

ყველამ, ვინც მოახერხა და „ავარასა“ და „მანანნალას“ სახელი აიცილა, დუქანი გახსნა, ან ჩიტებით ვაჭრობა დაიწყო, ან დარაჯად მოეწყო; ზოგი მოსამსახურედ დადგა, ზოგმა ქუჩებში გაზეთების გაყიდვას მიჰყო ხელი, ზოგმა...

ჩმაგო აჰმედი არც ერთ საქმეს არ გაეკარა...

არიფივით ოფლი ვღვარო და იმით ვიცხოვრო? – ზიზღით იტყოდა ხოლმე.

ენაჩავარდნილი მთელი დღეები ცოფიანი აფთარით დაეთრეოდა და მაინც ძველ სარდაფებს ვერ შორდებოდა. ადრე აქ ბიჭები იყრიდნენ ხოლმე თავს, ახლა კი... ეს ბემურაზი მედუქნეები ძველებურად ნვრილ ფულს როდილა უყრიდნენ ჯიბეში... თავი ისე აიგდეს, რომ ორი-სამი ჭიქა გადასახუხის ფულსაც კი სთხოვდნენ!..

ეს ოხერი ქვეყანა ორ-სამ კვირაში ძირფესვიანად შეიცვალა, კაცი ველარ იცნობდა. მედუქნეებს ჩმაგო უნდილად გაულიმებდა, რა მალე დაავიწყდათ უნინდელი დროო, გაივლებდა გუნებაში და საფასურს თუთიის სველ დახლზე დაუყრიდა:

– არა უშავს რა, როგორმე გაუძლებს კაცი...

<sup>1</sup> ბეიოლლუს სამხრეთი ნაწილი, ქალაქის საპორტო უბანი. ახლა კარაქი ეწოდება

<sup>2</sup> ხულიგანი, მანანნალა

\*\*\*

გავიდა ერთი წელი, ორი, ხუთი... არაფერი შეცვლილა. მხოლოდ ჟანდარმები შევიდნენ ხანში, მაგრამ უფრო გაინაფნენ და ამ რუხქუდიანი პოლიციელების შიშით ხელის განძრევაც კი აღარ შეიძლებოდა.

ჩმაგო აჰმედი უწინდებურად ჯიუტობდა და საქმეს ხელს არა ჰკიდებდა. ჩავარდა, იჯდა, გამოვიდა. კვლავ სტამბოლს დაუბრუნდა, მაგრამ არც ყავახანა გაუხსნია და არც დუქანი, არც ჩიტებით ვაჭრობა დაუწყია და არც გაზეთები უფრიალებია ქუჩებში.

მხოლოდ შიგადაშიგ, თავისთვის ჩაიბურტყუნებდა ხოლმე – მე ჩემი ბებუთი მაცხოვრებსო და რალაც სასიამოვნო გრძნობა სიამაყით უვსებდა გულს, თუმცაღა თვითონვე ხვდებოდა, რომ ის სიამაყე ლიტონი და რიოში იყო... ახლა ჩმაგო არამც და არამც აღარ იყო იმ „ძენისფოთოლა“ ბურსული ბებუთის დამტრიალებელი, რომლითაც ადრე ყველას შიშის ზარს სცემდა. ჯიბიდან რა ამოაღებინებდა, როცა ბებუთის ჩრდილისაც კი ეშინოდა.

თავს ყომარბაზობით ირჩენდა. საიმისო საქმეც გახლდათ. ჩმაგო აჰმედი გულგრილი, ფლეგმატური კაცი იყო. რისთვისაც უნდა მოეკიდა ხელი, ყველაფერი წინასწარ დაგეგმილი და ანონ-დანონილი ჰქონდა. აი, მაშინაც, როცა „სანდიკ ბურუნში“ იჯდა და ქუდს ჭერში ისროდა, მეინახეებს დანვრილებით ჩაუკენჭა, თუ ერთი საათის შემდეგ ხუჭუჭა ემინე სად უნდა ენახა და დანა რამდენ ადგილას უნდა ჩაერთყა...

როცა ბანქოს ჩაუჯდებოდა, ჯერ თავის ფულს გადათვლიდა და დათქვამდა, თუ ამდენივეს მოვიგებ, აღარ ვითამაშებ, თუ ამის ნახევარს ნავაგებ, აღარც

<sup>1</sup> დუქნის სახელწოდება

მაშინ გავაგრძელებო... ამაღამ ბედი არა მწყალობსო, იტყოდა ხოლმე და იქაურობას გაეცლებოდა. მოგების შანსი მთვარის შუქსა ჰგავსო, თუ მთვარე ამოვიდა, კარგია, თუ არადა, ინადი არ უნდა გაუწიო. როგორც ბუნებაში თვეში საშუალოდ 30 დღეა, ბანქოს თვეც ოცდაათდღიანია. ორი კვირა მთვარიანია, ორი კვირა – უმთვაროო.

მთვარიან ღამეში სათამაშოდ გადადებულ ფულს ერთი იმდენს აგებინებდა, უმთვაროში, ორჯერ ნაკლებს აგებდა. ამიტომ იყო, რომ ჩმაგო აჰმედი საბოლოოდ მოგებული რჩებოდა. მხოლოდ ეგ იყო, რომ ბანქოს ღამეები ჩვეულებრივი ღამეებივით ბუნებას არ ემორჩილება. დღეს, შეხედავ, მთვარე ვერცხლისფრად ქათქათებს, ხვალ კი კუნაპეტი ღამეა...

თათავლიდან<sup>1</sup> წამოსული ისე იყო მთვარის უკანონობაზე ფიქრში გართული, რომ არც კი შეუნიშნავს, ბოლაზქესენთან<sup>2</sup> როგორ გაჩნდა, უცებ შედგა, მიიხედ-მოიხედა, გამოერკვა. ხელი ყილეტის მარჯვენა ჯიბეში ჩააცურა და შიგ რომ ვერაფერი იპოვა, ცალყბად გაიღიმა:

– ბიჭოს, რა მალე დამვიწყებია?!

მერე საათის ნახვა მოინდომა... ისიც წუხელ წააგო ძენკვიანად...

ცას ახედა, მოქუშულიყო და ცრიდა. შუადღე კარგა ხნის გადასული იქნებოდა. მძაფრი შიმშილით კუჭი ეწვოდა, ჯიბეში კი ხიდზე გადასასვლელი გროშიც<sup>3</sup> აღარ ეგდო.

<sup>1</sup> უბანი სტამბოლში

<sup>2</sup> სტამბოლის ერთ-ერთი რაიონის, რუმელიპისარის ძველი სახელწოდება და აქ არსებული ციხესიმაგრე, რომელიც აგებული იყო ზღვის სანაპიროზე სრუტის დაცვის მიზნით.

<sup>3</sup> გალათას ხიდზე გადასასვლელად მოქალაქეს უნდა გადაეხადა დაწესებული მცირე ბაჟი



ანგარიშიშეუცემლად დაილუნა, ხავერდის შარვლის ტოტები აიკეცა, ტრიპოლური<sup>1</sup> ქამარი გაიჭირა, შავი ფესიდან გამოჩრილი გაქონილი თმა შეისწორა და ხელები უკან შემოიწყო. შიბაქისგან დაგრეხილ ფეხებს გან-გან ადგამდა, კიბოსავით გვერდ-გვერდ მიდიოდა... ჩმაგო აჰმედს განიერი მხრები უფრო ადაბლებდა და აჩმაგებდა. დაბერილ ლოყებზე მკრთალი ფერი ედო – გუშინდელს აქეთ არც ლუკმა დაუღეჭავს და არც თვალი მოუხუჭავს...

– ალბათ გამოვტვინდი, ეს ოხერი, – ჩაიბურტყუნა და ბრტყელი თავი გააქან-გამოაქანა, თან სახეზე სინანული ელვასავით აეკლაკნა, ვინრო შუბლზე ნაოჭები აესხა და პატარა თვალეები წერტილებად ექცა...

გუშინ სალამოს თამაში არც კი დაეწყო, რომ მთელი ფული ამოყაჭა. კარგად ვერ გაერკვია, მთვარიანი ლამე იყო, თუ უმთვარო. უცხო ბიჭები იყვნენ, ითაკილა, ჩვეულებისამებრ თამაში არ მიატოვა და გაატყავეს კიდეც. ოქროსძენკვიანი საათი, ვერცხლის პორტსიგარი, ქარვის მუნდშტუკიც კი აღარ შეარჩინეს.

არა, როცა ნახა, რომ ხელი არ მოსდიოდა, უნდა ამდგარიყო...

– ჩემი ბრალია, ჩემი, – თავი კვლავ სინანულით გააქან-გამოაქანა.

დაგრეხილი ფეხები უფრო ააჩქარა და დაღმართზე დაეშვა. თავჩალუნული მიალაჯებდა...

უცებ ვილაც დაეჯახა და ნააბარბაცა, თვითონ კი ლამის გადაიჩხა.

თითქოს ღრმა ძილიდან გამოერკვაო, თავი ასწია და უაზროდ მიიხედ-მოიხედა. ეტყობოდა, წუხანდელი წაგება ვერ მოენელებინა, უცებ წამოენთო:

<sup>1</sup> ლიბის დედაქალაქი

- ჩოპ, ჩოპ!..

- ...

ის ვილაც კი არ გაჩერებულა, არც მოუხედავს.

აჰმედს თავში სისხლი აუვარდა, უკან შემონყობილი ხელები ჩამოუცვივდა. მიუბრუნდა და მწარედ შეუკურთხა. იმას ყური არ შეუბერტყია.

- ეს ოხერი, ყრუ იქნება, - გაიფიქრა აჰმედმა.

ყრუ კი არა! უბრალოდ, კაცად არ ჩააგდო...

როცა ვინმე აწყენინებდა, აჰმედს მაშინვე ძველი დრო გაახსენდებოდა ხოლმე... ახლაც ბებუთი ინატრა, მაგრამ ბებუთი კი არა, ზედ ქინძისთავიც არა ჰქონდა. თუმცა, ბებუთი რად უნდოდა, მუშტებსაც ამყოფინებდა...

უკან აედევნა.

მიმავალი შუახნის კაცი იყო. თავზე ძველი ფაფახი ეხურა, დაგლეჯილსა და ქუსლებმოდრეცილ ფეხსაცმელს მიაფრატუნებდა. განრიოკებულ კანჭებზე დაძენძილ შარვლის ტოტებს ფართხაფურთხი გაჰქონდა...

დაენია და მხარში სწვდა:

- ყრუ ხარ?..

- ...

- ბრმა ხარ?

ფაფახიანი შედგა, ჩმაგო ამჰმედს სახეში მიაჩერდა, კრინტი კი არ დაუძრავს.

- რა იყო, ვერ მიცანი?

- გიცანი.

- მიცანი?

- ჰო...

- ...

ერთი ამას დამიხედეთ, მასხრადაც იგდებს, იცნობს და...

აჰმედმა დოინჯი შემოიყარა და ფაფახიანი



თავითფეხებამდე გაზომა: მოშვებული წვერი, გაყინული ტურები, გაცრეცილი ცხვირი, ჩასისხლიანებული თვალეები... ერთი ვილაც ხინჩლიანი ჩანდა.

- ერთს ისეთს ჩაგაფარებ, რომ! - ბოლმით შეულრინა, მაგრამ ზურგი შეაქცია, აყალმაყალს მოერიდა.

- რად უნდა გამარტყა, აჰმედ, ბე?..

ჩმაგო აჰმედი ელდანაცემივით შემოტრიალდა და კვლავ უცნობს შეაჩერდა, რომელიც უნდილად ილიმე-ბოდა და ჩაყვითლებულ კბილებს კრეჭდა...

- სახელი იცი!

- შენ კი ვერ მიცანი?

- ვერა...

- უყურე შენ, მე კი მაშინვე გიცანი.

- ...

ჩმაგო აჰმედის ცნობა იოლი საქმე იყო. როგორც ათი წლის წინათ, ახლაც ქულხანბეის მოდაზე იცვამდა. თავზე შავი ფესი ეხურა, ღია ფერის, შავი ყაითნით მოსირმული შარვალი ეცვა, ტრიპოლური აბრეშუმის ქამარი ერტყა. ტანზე მუქყვითელი ფილდეკოსის პერანგი, მსხვილ კისერზე ვერცხლის თილისმა... ვინროსახელოებიანი ტრიკოს პიჯაკი, ლაქის „კვერცხისქუსლიანი“ ფეხსაცმელი...

აჰმედმა გაკვირვებით ასწია თავი და გულ-მოდგინედ დახედა. მოეჩვენა, თითქოს ამ კაცს საჯინი-ბოსა და ჩონჩორიკის სუნი ასდიოდა. ტანსაცმელი ჩამოგლეჯილ-დაძონძილი და ჭუჭყში ამოსვრილი ჰქონდა. გაქონილ კისერზე არ შეეხედებოდა, ფაფახიდან თმა გამოსჩეროდა. ციხიდან გამოსულ ცხენის ქურდსა ჰგავდა.

- ვერ გიცნობ...

- აბა, დამაკვირდი!

- ...



უცქირა, უცქირა, მაინც ვერ გაიხსენა.

- რა გქვია?

- მურადი.

- რომელი მურადი?

- დედალ მურადი, ბეი!

- დედალ მურადი?

- ჰო.

- რომელი დედალ მურადი?

- ვა, როგორ თუ, რომელი დედალ მურადი!..

- ?...

ჩმაგო აჰმედმა ერთი ნაბიჯით უკან დაიხია და პირი დაალო. სქელი წარბები მოექუშა, ხოლო პატარა ქუთუთოები ისე დაეჭიმა, ლამის ძარღვები დააწყდა.

- ვაჰ, ბიჭო!..

- ცხოვრება ასეა...

- ?!

- ღმერთის გული ვერა და ვერ მოვიგე, ბე!

- ?!

ცხრა წელი იქნება, ძმაკაცი არ უნახავს, ამასობაში გადაავინყდა კიდეც... მაგრამ უცებ ყველაფერი გაახსენდა...

რა ბიჭი იყო მურადი?!

იმისი სახელი ყველას პირზე ეკერა - გალათაში, ეიუფში<sup>1</sup>, უსკუდარში<sup>2</sup>, მთელ სტამბოლში... სემაის ყავახანებში მურადივით ვინ ჩაანკნიკებდა დასთანებსა და მანიებს? რისკიანი ბიჭი იყო, მაგრამ საქმის ზედმეტად ანონ-დანონა უყვარდა და იმიტომ შეარქცევს „დედალი“, თორემ!.. ერთხელაც არ ჩავარდნილა. პოლიციას გუმანიც კი არა ჰქონდა მასზე და მთელ სტამ-

<sup>1</sup> სტამბოლის ვილაიეთის ერთ-ერთი რაიონის სახელწოდება. მოთხრობის მიხედვით იგი ქალაქის გარეუბანია.

<sup>2</sup> სტამბოლის აზიური ნაწილი



ბოლში ანგელოზად მიაჩნდათ. ეგ კი არა, კანცელარიის  
ჩინოვნიკებიც კი ადგილიდან ესალმებოდნენ...  
სიბილიროთქა

მოულოდნელი შეხვედრით გაოცებული და  
სუნთქვაშეკრული ორი ძმაკაცი კარგა ხანს უაზროდ  
შესცქეროდა ერთმანეთს. ჩმაგო აჰმედს შეებრაღა  
დედალ მურაღა.

- სად იყავი, ე, მკვდარი იყავი?
- ნუ მკითხავ.
- თქვი, ბიჭო...
- ჯერ თავისუფლებაზე დამაფიცეს და სივასში<sup>1</sup> მიკ-  
რეს თავი. იქ ყავახანა გავხსენი.
- აქაურებივით, არა?.. მერე?
- ბალკანეთის ომში<sup>2</sup> მოხალისედ წავედი.
- მერე?

- უარი მტკიცეს, დიდი მუცელი გაქვსო. ორი წელია,  
სოფელ არნაუტში<sup>3</sup> ერთ მდიდარ ბეისთან მოსამსახუ-  
რედ ვიდექი, ცხენებს ვუვლიდი, მაგრამ ცუდად მაჭ-  
მევდა და ლამის ფეხები გავფშკიკე.

- ახლა?
- უმუშევარი ვარ.
- რატომ წამოხვედი?

დედალ მურაღამ მკერდზე მუშტი აიბრაგუნა,  
თვალეები მონურა და თავი გააქან-გამოაქანა:

- ნუ მკითხავ...
- თქვი, კაცო...
- მე არ წამოვსულვარ, ბეიმ გამომაგდო.

<sup>1</sup> ქალაქი თურქეთში

<sup>2</sup> ომი ბალკანეთის კავშირში შემავალ სახელმწიფოებსა (ბულგარეთი, საბერძნეთი, სერბეთი, ჩერნოგორია) და ოსმალებს შორის 1912-1913 წლებში

<sup>3</sup> ძვ. სოფელი ბოსფორის ევროპულ ნაწილში. ახლა სტამბოლის შემადგენლობაშია, როგორც ამავე დასახელების რაიონი და ადმინისტრაციული ცენტრი.

– ბიჭო, დედალო, ნუ აჩმახებ. შენი გამოჭერა ეგრე ადვილია? მაინც რა მოხდა?

მურადს მიმქრალი, გაცივებული თვალები უცებ წამოენთო, ჩაყვითლებული კბილები ისე ააკრაჭუნა, თითქო მხეცს ნადავლი უშოვია და გაგლეჯას უპირებსო.

– რა არ გადამხდა. ბურღულის სუპს მაჭმევდნენ, შიგ ერთი წვეთი ცხიმო არ ეგდო... ორ ცხენს ვუვლიდი და ვპატრონობდი... დღეში ოთხჯერ სამურველით დავარცხნე, დაბანე, კბილები გაუნმინდე, ესეც გააკეთე, იქაც გაიქეცი...

– ვაჰ, მაშ, რალად გამოგაგდო, ე?

– ერთი კვირის წინათ ბეის ცხენი გამოვიყვანე. ის გაზეთს კითხულობდა. გაზეთის შრიალზე ცხენი დაფრთხა, ყალყზე შედგა. როცა ვიურვებდი, ფეხი მომიხვდა...

– მერე რა?

– ჰოდა, აილო და გადმომაგდო!..

აჰმედმა კარგად ვერ გაიგო?

– ბეის რომ ფეხი დაადგი, იმიტომ გამოგაგდო?

– არა, ჯანუმ...

– მაშ!

– ცხენს ფეხი რად დაადგი ჩლიქზეო...

– ჰო...

აჰმედი ახარხარდა. პატარა წვრილი უღვაშები აიგრინა. „ის მკვდარძალი, ეს რალა დანაშაულია, გაიფიქრა მან, – მაგრამ კაცს თუ ღმერთი ერთხელ გადაუდგება“.

აჰმედს ოდესღაც სახელიანი ძმაკაცი ისე შეებრალა, კინალამ ცრემლი მოერიო კიდეც, მაგრამ ისევ გაცინება არჩია:

– რა მამაძალი და უსამართლო კაცი ყოფილა ის შენი ბეი!

- ქვეყნად სამართალს სახელილა შერჩა.
- ნუ დარდობ, გაგივლის.
- არა ვდარდობ.

ჩმაგო აჰმედმა ჯიბეში ხელი ჩაიყო. ღმერთო მაღალო, ერთი პაპიროსი მაინც ჰქონოდა, ამ საცოდავს მისცემდა.

- დაიცა, თუ არა დარდობ, ასე რამ ჩაგაფიქრა?
- არა, ჯანუმ!

- ნუ უარობ. შენ ისევ ძველი დედალ მურადა ხარ. შენ ადგილზე იმ ბეის დედას ვუტირებდი. პოლიციისა შეგეშინდა? ახლა კი ცხვირი ჩამოგიშვია და ბოლმას გულში იტრიალებ, გამოშტერებულხარ.

- როდის ჩამომიშვია, როდის გამოვშტერებულვარ?

- როდის და, დამეჯახე, ლამის ნაიქეცი, ვერც კი შემამჩნიე.

- შენ დაგეჯახე?

- ერთი ამას უყურე, ვერც კი გაიგო, როგორ წასულა ფიქრებში... ზურგიდან ვერ გიცანი და შემოგიკურთხე. არც კი მოგიხედავს, დაყრუვდი კიდეც?

- დაყრუვდი, არა!

- ბიჭო, მაშ, რა დაგემართა?

დედალ მურადამ ნალვლიანად შეათვალიერა გამოპრანჭული ძმაკაცი და მწარედ გაიღიმა. ტუჩების გარშემო მომრავლებული ჭუჭყიანი ნაოჭები სქელი ჯაგარივით წვერსაც ვერ დაეფარა. გათოშილი, ჯაფის-აგან დაბებრილი და დაკორძილი ხელები მუცელზე შემოენყო...

- მშიერი ვარ, ბე!..

- მშიერი?

- სამი დღეა, პირში ლუკმა არ ჩამიღია...

- ბიჭო, სამი დღე მშიერი რამ გაგაძლებინა, ხელიკი ხომ არა ხარ... მოიცა, მართლა არაფერი გიჭამია?

- გუშინ სალიფაზარში<sup>1</sup> ერთ სახლთან გავიარე, ნაგავის ვის ყუთი ეგდო ყირამალა. ნაგავში ქულბასთის<sup>2</sup> სამი ძვალი ვიპოვე... მენაგვეს შევეცოდე, ხმა არ გაუცია.

- მერე შეჭამე?

- შევჭამე, მაშ, რა უნდა მექნა?

- ალლაჰ!<sup>3</sup>

- ჯერ კარგად გამოვხარი, მერე ქვით დავფხვენი და...

- ბიჭო, როგორ შეჭამე, ჰა?

- შევჭამე, რა...

...კაცმა ძალღივით გამოხრას ძვალი?! ჰა? ეს ამბავი აჰმედს ცოტა არ იყოს, მოეწონა კიდეც. მარჯვენა ხელი ბარძაყზე დაიტყაპუნა.

- ბიჭო, გაძეხი?

- სული მოვითქვი.

- მაშ, ეგრე გამოშტერებული შიმშილისგან ხარ?

- მშია...

- ...

ჩმაგო აჰმედი გაჩუმდა.

არა, მაინც ვერ მიმხვდარიყო, რომ კაცს ხელ-ფეხი ჰქონდეს და შიმშილით ამ დღეში ჩავარდეს?.. ეჰ, ეს დედლობა რა ყოფილა, ჰა? თვითონაც ბევრჯერ ყოფილა უფულოდ, მაგრამ უჭმელი არასოდეს დარჩენილა. ეეე, რა არ შეიძლება მოხდეს ამ ოხერ ნუთისოფელში?!

- მაშ, შიმშილმა ჩაგვაფიქრა?

- ჰო.

- მერედა, ეგ რა საფიქრალია. მე მეგონა, იმ ბეიზე იყავი დაბოღმილი.

<sup>1</sup> რაიონი სტამბოლში, სახელი ეწოდა იმის გამო, რომ ძველთაგან ამ ადგილას სამშაბათობით (თურქულად „სალი“ ნიშნავს სამშაბათს) იმართებოდა ბაზრობა.

<sup>2</sup> ტაფაზე შემწვარი ხორცი

<sup>3</sup> ღმერთო!

- შიმშილით ვკვდები, ბიჭო.

- ნუ გეშინია, გაგაძღობ. ნამოდი, შე დოყლაპიაგ...

მურადს ნაძალადევად გაელიმა, გაცრეცილი ლოყები შეუფაკლდა.

- მადლობელი ვარ, ბუ, - ნაიბურტყუნა.

- აბა, გამოადგი ფეხი, შე ჩერჩეტო.

დაღმართზე დაეშენენ. ჩმაგო ერთხანს შეჩერდა. ჩაფიქრდა. აქეთ-იქით გაიხედა, მერე პირდაპირ გალა-თასკენ გაემართა.

ქუჩაში ტრამვაის რამდენიმე ვაგონი გაჩერე-ბულიყო და შორიდან ულოკომოტივო მატარებლის შემადგენლობას ჰგავდა.

აჰმედმა ერთხანს იწრიალა, ბოლოს ერთ დუქანს მიადგა, რომელსაც გათხუპნილ ფანჯრებზე ცისფერი საღებავით ეწერა: „რესტორანი გულესთანი“.

- შევიდეთ!

- ასე აბრანძულ-დაბრანძული აქ როგორ შემო-ვიდე, - გაცდა მურადი.

- ვისაც არ მოეწონები, ქალს ნუ გაგატანს...

- აჰმედ, მოდი, ნუ შევალთ. შენ შედი, პური და ყველი გამოართვი და წავიდე.

- რას ამბობ... სად გაგონილა, მშიერი კაცი პურითა და ყველით გაძღეს?! შემოდი-მეთქი!

- ...

აჰმედმა კარს ხელი ჰკრა, შეაღო და შიგნით შევიდნენ. რესტორნის პატრონმა, ჩასუქებულმა ებრა-ელმა, მათ დანახვაზე წარბი შეიკრა. ეტყობოდა, მუშტ-რები არ მოეწონა, რომ ჩვეულებისამებრ არ უთხრა - მობრძანდითო. მხოლოდ ეგ იყო, ნერწყვი გადაყლაპა. დედალ მურადა დანაშაულში დაჭერილი ბავშვივით აინურა და გაქონილი ხელები მუცელზე შემოიწყო.

რესტორანში არავინ ჩანდა.

აჰმედმა თვალი ვიტრინას მოავლო: ხორცი, ფლავი, მწვანილი, ბაქლავით<sup>1</sup> სავსე დიდი სინი, რომელსაც მხოლოდ რამდენიმე აკლდა...

– კარგია.

დახლის სიახლოვეს შავი მარმარილოს მაგიდა იდგა, აჰმედი მივიდა, სკამზე დაეშვა და მერე ძმაკაცს იხმო, რომელიც საცოდავად ატუზულიყო.

– აბა, ორი ულუფა ხორცი, – დაუყვირა აჰმედმა რესტორნის პატრონს, რომელიც თავის უცნაურ მუშტრებს დაბნეული და პირდაღებული შეჰყურებდა.

– ცივია, ბატონო.

– სულ ერთია, რომ გეუბნები, მოიტა.

– ...

რესტორნის პატრონს სახე აეჭმუჭნა. ხორცი კი მოიტანა, მაგრამ მხოლოდ თითო ნაჭერი პური მოაყოლა და მეტის მოტანას არც აპირებდა.

– ეი, რას ნუნურაქობ? ორი ოყა პური! რამდენი უნდა? ჰოდა, მოიტა...

რესტორნის პატრონი გამოცოცხლდა. ბევრი აღარ უფიქრია, ხელსაყრელი დრო იპოვა – იმ გახმარ პურს სამმაგ ფასში მაინც გაასაღებდა. მაშინვე დახლთან გაჩნდა, ჭუჭყიანი ნითელი ფარდები მისნი-მოსნია და ორი პური გამოიღო.

ჩმაგო აჰმედსაც შიოდა. მან პურის მოზრდილი ლუკმა პირში ჩაიდო და ორივე ყბით შეუდგა ლეჭვას, თან ღიმმორეული სამი დღის ნაშიმშილევ ძმაკაცს შესცქეროდა, რომელიც ჭუჭყიანი ხელების კანკალით პურს წვენში ანებდა, უმალ პირისაკენ გააქანებდა და დაუღეჭავად ყლაპავდა, თანაც მათლაფას თვალს არ აშორებდა; ლუკმა გრძელ ყანყრატოში კაკალივით

<sup>1</sup> თაფლით ან ნუშით შეზავებული ნამცხვარი



ჩაცურდებოდა, ცოტა ხანს შეჩერდებოდა, მერე კი ერთბაშად გაუჩინარდებოდა ხოლმე. აჰმედმა ღვინოც მოითხოვა. დალიეს. ყველა კერძი სამ-სამი ულუფა მიირთვეს, ზედ ათ-ათი ბაქლავაც დააყოლეს.

– ეჰ, ახლა თითო პაპიროსი გვექონოდა! – ინატრა აჰმედმა.

მურადი ტუჩებს ილოკავდა, მუცელში კი რაღაც საამო სიმძიმეს გრძნობდა. ხელები აღარ უკანკალებდა, შავი ქამარი მოიშვა და ტიკჭორასავით გაბერილ მუცელზე შარვალი მოირგო. საფეთქლები უხურდა. ის საოცრად ცხოველი სითბო ზურგისკენ მიიწევდა, ისე ეჩვენებოდა, თითქოს ის სითბო აბანოს ოდნავ ღია კარიდან გამოიდოდა. ღიმმორეული თავის ძველ ძმაკაცს ისე შესცქეროდა, თითქოს იმის წინ ჩმაგო აჰმედი კი არა, ყოვლისშემძლე ალაჰი მჯდარიყო.

– კიდევ ხომ არ გინდა რამე? – ჰკითხა აჰმედმა.

– არა.

– თქვი, კაცო, ყავა ხომ არ დაგველია?

– არა, ღმერთმანი, ახლა ავდგეთ და წავიდეთ.

– მაშ, ავდგეთ.

– მაგრამ?

– ჰო, ავდგეთ, რა მაგრამ?

– ?

– ბიჭო, მე ჯიბეში ერთი გროშიც კი არ მიგდია, – გადაიხარხარა აჰმედმა.

– ჰა?

– ღმერთმანი...

– ვაიმე, მერედა, ხომ იცი, არც მე მაქვს?

– ეეე, როცა შიმშილით გული მიგდიოდა და განუწული ვირივით ყურები ჩამოგეყარა, მაშინ ფიქრის დრო იყო?

– მაშ?

- მაშ, და, ახლა იფიქრე, რა ვქნათ?

- რა ვქნათ?

- არ ვიცი!

- ...

დედალ მურადი ბევრს ეცადა, რამე მოეგონებინა, მაგრამ მაძლარი მუცლით ფიქრი ძნელი აღმოჩნდა. უნებლიეთ თვალი დუქანს მოავლო და რესტორნის პატრონის თვალებს წაანყდა... იგი გატრუნულიყო და თავის უცნაურ მუშტრებს უსმენდა. შემდეგ მოელვარე თვალეები ნელ-ნელა მოელრუბლა, წარბები შეიკრა და პირი დააღო... ისეთი სასაცილო იყო ისეთი, რომ...

დედალ მურადმა ველარ მოითმინა, თავი ჩალუნა და ხითხითი დაიწყო, თან კი უშნოდ ანონილ მხრებს სასაცილოდ ახტუნავებდა.

## საჩუქარი

აღბათ ერთი საათი იქნებოდა, რაც ისადილეს. ცოლ-ქმარი, როგორც ყოველთვის, ყავას ახლაც აგარაკის აივანზე მიირთმევდა. ცაზე მილურსმული, ვერცხლის თეფშის მსგავსი მთვარე არემარეს ანათებდა და აღრენილ ზღვაზე გრძელსა და ქათქათა ოქროსფერ კვალს ტოვებდა. დაღლილ-დაქანცული მთები, ჩამუქებული სანაპირო, გაყუჩებული კორომი, საიდანაც ბუღბუღები ერთიანად გაკრეფილიყვნენ, იისფერ, გრილ ნისლში გახვეულიყო.

სადი ბეი უკვე მესამე პაპიროსს ათავებდა. იგი ჯერ ოცდაათ წელშიც კი არ იყო გადამდგარი და სამოც წელს მიღწეულ დაუძღურებულ, დავრდომილ მოხუცს წააგავდა. თმის ცვენა ძალზე ადრე დასწყებოდა და ახლა თავზე, რომელიც მთვარის შუქზე გოგრასავით ულაპლაპებდა, ერთი ღერი ბენვიც აღარ გააჩნდა. იგი გაშტერებული იჯდა და შორს, სადღაც შორს იმზირებოდა.

იმის ცოლს, ჯევრიე ხანუმს, თითქოსდა ქმრის ჯიბრზეო, ჯანმრთელს, სისხლსავსეს, ხორცსავსესა და სიცოცხლით სავსე 25 წლის ქალს, ისეთი შესახედაობა ჰქონდა, კაცი იფიქრებდა, ბევრი-ბევრი 14-15 წლის გოგო იქნებო. თანაც პოეტი გახლდათ!

რითმა და ეროვნული ზომა ლექსისა მასზე სიცოცხლის ელექსირით ზემოქმედებდა. როცა თავის ახალ ლექსებს კითხულობდა, იფუყებოდა და ისე



ღვივდებოდა და ფუვდებოდა, როგორც ფოქათლის მარწყვის ნაყინი ზაფხულის აუტანელ სიცხეში... თან ისეთ მადაზე მოდიოდა, რომ დღეში ათჯერაც რომ ეჭამა, მაძღრობას მაინც ვერა გრძნობდა.

- აჰ, რა დიდებული სანახაობაა!

- ...

სადი ბეის კრინტი არ დაუძრავს, თითქოს ცოლის ნათქვამი არც კი გაუგონიაო. ჯვევრიე ხანუმი შემოტრიალდა, ცალი ხელი აივნის კიდეს ჩასჭიდა, მეორე გულზე დაიდო და ხვნეშით წარმოთქვა:

- აჰ, ვკვდები!..

სადი ბეი თითქოს ღრმა ძილიდან გამოერკვაო, ცოლს ლენჩივით მიაჩერდა და ჰკითხა:

- რატომ, ჩემო კარგო?

- სევდისგან...

- რომელი სევდისგან?

- ხედავ, რა დღეში ვარ?

- ვხედავ.

- რას ხედავ?

- ბევრი ჭამე და მონელება გიჭირს...

- ვაიმე, დედავ, რანი არიან ეს მამაკაცები...

ჯვევრიე ხანუმს სლუკუნი აუტყდა. მერე ფეხების ბაკუნს მოჰყვა, თან ისე აცაბაცად იქნევდა, თითქოს უხილავ, წარმოსახულ ველოსიპედზე გადამჯდარიყო.

- აჰ, სადი, სადი! შენ ჩემი არაფერი, სულ არაფერი გესმის!

სადი ბეის კი თავისი ცოლისა მშვენივრად ესმოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ჯვევრიე ხანუმი ასეთი მგრძნობიარე და სევდიანი ქალი გახლდათ, მაინც ყოველდღიურად წონაში იმატებდა, სუქდებოდა და სივდებოდა. ნაღველი, სევდა და მგრძნობიარობა არც ფერს აკლებდა და არც ხორცს...



სადი ბეი კი ძალზე პრაქტიკული ჭკუის კაცი, ყოველივეს ცივი გონებით სჯიდა და ნონიდა: ასეთი იყო და მაინც, რაც ომი დაიწყო, ამჩნევდა, რომ შარვლის სალტე ყოველ წელს ხუთი თითით უგანიერდებოდა, საყელოს ოცდაცხრამეტ ზომას ხმარობდა ხოლმე, ახლა კი ოცდათორმეტ ნომერშიც კი ისე ულალლალეებდა კისერი, თითქოს შვედური გიმნასტურა აცვიაო...

- განა ასე ბევრი ჭამისგან ვარ? - კვლავ ჰკითხა ჯევრე ხანუმმა.

- არ ვიცი...

- თუ არ იცი, მაშ, რად მაბრალებ, კაცო?!

- ...

სადი ბეიმ პასუხი არ გასცა, კვლავ ჩაფიქრდა, მაგრამ ჯევრე ხანუმს ბრაზმა არ გადაუარა, ქმარს კვლავ გააღმასებული გასცქეროდა.

- კაჭკაჭი რა არის და, კაჭკაჭის მგრძობიარობაც კი არ გაგაჩნია. შენი აზრი, ფიქრი, გონება საჭმელ-სასმელს არ სცილდება. თევზის ბაზრის დალალი ხარ, თუ რა არის, კაცო? ვინა ხარ, რა სულიერი ხარ? ბრინჯის ფასი, ცხიმის ფასი, ყველის ფასი... აი, შენი საფიქრალი. იფიქრე, ბატონო, იფიქრე... თითქოს მაგით ფასები დაინევდეს... მაშინ, როდესაც ჩემი ფიქრი და ოცნება ესოდენ ნაღვლიანი და სანტიმენტალურია... ვუყურებ ცაზე მბრწყინავ მთვარეს და ვფიქრობ, ეს სევდიანი მნათობი ახლა დედამინის ნახევარს დასცქერის და ვინ იცის, რამდენი სიყვარულის, რამდენი ნმინდა კავშირის უტყვი მოწმეა...

სადი ბეიმ მხრები აიჩეჩა და ნერვულად გაეპასუხა:

- მერედა, ჩვენ რა? რამდენიც უნდა, უცქიროს!

ჯევრე ხანუმმა ქმარს შეხედა, დიდხანს უყურა, მერე ხელები მთვარეს გაუნოდა:

- ჰოი, სახებავ ღვთაებისა, ნეტავ, თუ უწყი, შენთა



მხიარულთა თვალთა ქვეშე რაოდენი პირუტყვი ცოცხალი  
 ლობს?

მონმენდილ ცაზე ეულად მცურავი მთვარე უფრო  
 ილიმებოდა, თითქოს ამბობდა – ვიცი, როგორ არ ვიცი,  
 ყველაფერი კარგად ვიციო.

ნიავე ზღვაზე განოლილ გრძელ, ოქროსფერ ანა-  
 რეკლს უფრო და უფრო აფართოებდა.

– მე იმის დრო არა მაქვს, რომ სხვათა სასიყვარულო  
 ისტორიებს ვუთვალთვალო, – ჩაიბურტყუნა სადი ბეიმ.

– დალალობის დრო ხომ გაქვს?

ცოლ-ქმარმა ერთმანეთს გადახედა.

– იცი, რაზე ვფიქრობ? – ჰკითხა ბოლოს სადი ბეიმ.

– ვიცი.

– რაზე?

– ხორცზე.

– არა.

– ბრინჯზე.

– არა.

– ცხიმზე.

– არა.

– ბიჭოს, მაშ... ლობიოზე.

– არა!

– ხმელ ლობიოზე.

– არა-მეთქი, ხანუმ!

– რაზე? რაზე და კარტოფილზე!..

– არა...

ჯევერიე ხანუმს წარმოდგენაც კი არა ჰქონდა, თუ  
 იმის ქმარს სხვა რამეზეც შეეძლო ეფიქრა.

– ეჭვი არ არის, მთელი საათია, პოეტურ ოცნებაში  
 იწვი...

– რეალურში, პოეტურში არა!

– აბა, ერთი მიბრძანე, რაზე ფიქრობ?

- სხვა რაზე უნდა ვიფიქრო, ახალ-ახალ ხარჯებზე!..

- რომელ ხარჯებზე?

- იმ ხარჯებზე, ჩვენი ოჯახის ბიუჯეტს რომ თავდაყირა დააყენებს... ამ თვეში მესამე საჩუქარი უნდა ვიყიდოთ.

ჯევრიე ხანუმი ვერაფერს მიხვდა:

- რა საჩუქარი, კაცო?

- ბიძაშენს ბავშვების წინადაცვეთა აქვს. ხვალ საღამოსთვის დაპატიჟებულები ვართ. რა უნდა წავულოთ? ამ თვეში ჩვენი ნათესავების ორ ქორწილში ვბარძანდებოდით და თითოეულს ხუთ-ხუთ ლირიანი საჩუქარი მივართვით!

- კაცო, რა აუცილებელია, რომ საჩუქრად უეჭველად რაღაც ნივთი წავულოთ. ჩვენც ავდგეთ და სულიერი საჩუქარი მივართვათ. უფასო, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანი რამ...

- მაინც?

- ერთ ლექსს დავწერ და გავუგზავნოთ...

- ასეთი ხუმრობა არ შეიძლება.

- ვაიმე, დედავ... მაშ, შენ ლექსი არარაობად და სახუმარო საქმედ მიგაჩნია?!

- სულიკო...

- რა იყო?

- ასეთი რამ შეიძლება?

- რატომ არა?

- შემდეგ ჩვენზე...

- რას იტყვიან?

- გიჟები ყოფილანო, ასე იტყვიან.

- ...

ცოლ-ქმარი თითქმის ნახევარ საათს კამათობდა. ისე, როგორც ყოველთვის, მათ კამათს არც ამჯერად მოჰყოლია შედეგი.

მთვარე კი, ისინი უფრო უკეთ რომ დაენახა, ტაატით მთების კალთებზე ადიოდა და მერე უფრო ზევით, ცის ტატნობისაკენ მიიწევდა.

ჯევრე ხანუმი ქმარს გაუკაპასდა, შენი ლაყობით მთელ ჩემს პოეტურ ფანტაზიასა და წარმოსახვას მიფანტავო და ლირიკული შთაბეჭდილებებით აღსავსემ ზმორებითა და მთქნარებით სანოლ ოთახს მიაშურა.

აივანზე, ამ დიდებულ სანახაობაში მარტოდ დარჩენილი სადი ბეი კი იმაზე იმტვრევდა თავს, თუ ხვალ რა საჩუქარი ეყიდა.

– რა ვუყიდო, ნეტავ, რა ვუყიდო? – იმეორებდა წარამარა.

წყვილი წინადასაცვეთი ყმანვილი... სათითაო მაჯის საათი? ექვს ლირაზე ნაკლები არ დაუჯდება. სათითაო სანერ-კალმის მოწყობილობა? უფრო ძვირია, ერთი კომპლექტი ხუთი ლირა ღირს. ამას წინათ პიგმალიონში<sup>1</sup> ქალაღდის საჭრელი ძვლის დანის ფასი იკითხა და უკან ორი ბიჯით ისე გადმოხტა, თითქოს საფრთხობელა სპორტული სათამაშო ცხენი ყოფილიყოს.

სადი ბეი ფიქრობდა, დიდხანს ფიქრობდა.

ქვეყანაზე აღარაფერია იაფი.

ამ თვეში საჩუქრებისათვის ათ ლირას ვერა და ვერ დახარჯავდა. თვის ბოლომდე კიდევ თვრამეტი დღე იყო დარჩენილი...

თვალეები ცას მოსწყვიტა და ზღვას გადახედა. მთვარის ანარეკლში რალაც შავი სილუეტი მიირხეოდა. დააკვირდა, ნაღმოსანი მიცურავდა...

ცაზე მთვარე... ზღვაზე მთვარის ანარეკლი, მთვარის ანარეკლში ჩუმად, უხმაროდ სატორპედო კატარღა,

<sup>1</sup> უნივერსალური მაღაზია, რომელიც გალათას ხიდის სიახლოვეს მდგარა

რომელიც მოოქროვილსა და მოვერცხლილ შხეფებს  
აქეთ-იქით ისროდა. ეჰ, მხატვარი რომ ყოფილიყო...

სადი ბეი ამას ფიქრობდა და თან ისე აფორიაქდა,  
თითქოს მართლაცდა მხატვარი ყოფილიყო:

- ვიპოვე!.. ვიპოვე!..

ცოლს ჯერ კიდევ არ ეძინა. სანოლი ოთახიდან  
განეწილი თავი გამოყო:

- რა იპოვე, კაცო!

- საჩუქარი, საჩუქარი, ხელმისაწვდომი საჩუქარი!..

- რა არის, იაფი რამეა?

- იაფია, თანაც უძვირფასესი...

- უძვირფასესი!.. რამდენი ყურუში ღირს?

- ათასი.

- ერთი ცალი?

- ერთი ცალი.

- შენ ჭკუაზე ხომ არ შეიშალე, ამდენ ფულს სად  
იპოვი?

- ერთ მილიონ ყურუშად ფასობს, მაგრამ ცალი ერთი  
ღირა ღირს...

- რა არის?

- აბა, თუ გამოიცნობ?

- მეხუმრები?

- არა, ღმერთმანი, მართალს გეუბნები.

- ღვთის გულისათვის, თქვი, რა არის?

- არ გეტყვი, იფიქრე და გამოიცან...

- გემუდარები, მითხარი. ახლა გონება ისე მაქვს და-  
ფანტული, რომ...

- სულიკო, განა შენ სწრაფი აზროვნების უნარი არა  
გაქვს?

- შენ არა გაქვს სწრაფი აზროვნების უნარი.

სადი ბეიმ ხარხარი ატეხა:

- ძალიან კარგი. მე არა მაქვს სწრაფი აზროვნების



უნარი, შენ კი – გაქვს. რადგან ასეა, გეკითხები – ისეთი საჩუქარიც არსებობს, რომლის ფასი მილიონი ყურუშია, მაგრამ მისი შეძენა ერთ ლირად შეიძლება. რა არის, გამოიცანი...

– დამცინი, მასხრად მიგდებ?..

– არ დაგცინი.

– იჭმება?

– არა, ერთი მილიონი ყურუშის ღირებულებისა შეიძლება კაცმა ჭამოს?

– დიდია თუ პატარა?

– ხელისგულისტოლა.

ჯევერიე ხანუმი ფანჯრიდან ისე გადმოეკიდა, ლამის აივანზე გადმოვარდა. ქმარს შესცქეროდა, ტვინს იჭყლეტდა, მაგრამ ვერა და ვერ ამოიცნო.

– რბილია თუ მაგარი?

– რბილია, მაგრამ ბამბასავით კი არა, ქალაღდივით რბილია...

– პირველი ასო მითხარი.

– ფარი.

ჯევერიე ხანუმმა ბევრი რამ ჩამოთვალა, რომელიც ასო „ფ“-ზე იწყებოდა:

- ფალუსტაკი,
- ფანარი,
- ფინჯანი,
- ფარგალი,
- ფაფახი,
- ფესი,
- ფეხსაცმელი,
- ფიალა,
- ფოტოაპარატი,

...მაგრამ ყოველ სიტყვას სადი ბეის ხარხარი მოსდევა:



– განა ეგ მილიონ ყურუშად ფასობს?  
ჯვერიე ხანუმმა ვერ გამოიცნო. ისე შენუხდა, ისე,  
რომ ქმარს მუდარა დაუნყო:

– კაცო, გეხვენები, თქვი, თორემ ღმერთს გეფიცები,  
დავკრავ ფეხს და აქედან გადავხტები!..

– ძირს რად უნდა გადახტე. შენ მარტო აღიარე, რომ  
მოსაზრების უნარი არა გაქვს და მაშინვე გეტყვი, – ეუბ-  
ნებოდა სადი ბეი, ლაპლაპა თავს აქნევდა და სიცილით  
იგუდებოდა.

– კარგი, არა მაქვს, კარგი...

სადი ბეი სკამიდან წამოხტა, ცნობისმოყვარეობისა-  
გან სახემოქცეულ ცოლს შეხედა და ხარხარი ატეხა:

– ფლოტის ლატარიის ბილეთი<sup>1</sup>, ქალო!..

სადი ბეი იმ გაჭირვებული კაცისთვის დამახა-  
სიათებელი სიხარულით მოჰყვა ხელების ფშენეტას,  
რომელმაც მძიმე ხარჯებს მოულოდნელად თავი დააღ-  
ნია. მერე შიგნით შევიდა და იმ ლამეს მშვიდად და უშ-  
ფოთველად დაიძინა.

<sup>1</sup> ფლოტის გაუმჯობესების მიზნით, თურქეთში 1917 წელს გამოუშვეს ლატარიის ბილეთები – „ფლოტის ლატარიის“ სახელწოდებით. როგორც მოთხოვნიდან ჩანს, ბილეთის ღირებულება ერთ ლირას შეადგენდა, ხოლო მოგების შემთხვევაში ბილეთის მფლობელი დიდ თანხას იღებდა.

## გაზაფხულის პრაღია

ეჰ, სულ სხვა ყოფილა ახალგაზრდობა!

როგორც კი მზე თავს ამოყოფს, კაცი თბილ ლოგინში ისე მხნედ და იმედიანად იღვიძებს, რომ... არც გაიზმორება, არც ბუდარაობას მოჰყვება, არც რძესა და ყავას დაელოდება, სანოლიდან სხარტად გადმოფრინდება და თვალემოუფშვნეტავად, დაულრეჯავად პირდაპირ პირსაბანს მიაშურებს.

ამ ორი კვირის წინ მეც ასე ლალად და გუნებიანად გამელვიძა. ის იყო ინათა. ღამენათევი და სიყვარულისგან გათანგული ბულბულის კენესა ისევ ისმოდა. საოცარი სიმსუბუქე ვიგრძენი. სანოლიდან გადმოვხტი და ფანჯარა გამოვაღე. ნესტიანი, გრილი ნიავი, რომელიც ოთახში შემოიჭრა და თან გვირილისა და ახლადგაფეთქილი ხის ტოტების უხილავი, ორთქლივით შეგუბებული სურნელი შემოიტანა, სახეზე მეალერსებოდა. რალაც ჩემთვის ამოუცნობი სიხარული დამეუფლა... მინდოდა, ცარიელ ქუჩებში გავჭრილიყავი, მთვლემარე ზღვის სანაპიროზე მერბინა და რაც შეიძლება ხმამაღლა მეყვირა, მეღრიალა...

მარცხნივ, თეთრი სახლის სახურავზე, მენამულ ბურუსს იისფერი განთიადი არღვევდა. გულმა რალაც უცნაურად დამიწყო ფართხალი. ვინ იცის, რამდენი წელი იქნება, რაც მზის ამოსვლა აღარ მინახავს... ტანსაცმელს ხელი წამოვავლე და ფათაფუთით დავიწყე ჩაცმა. თან თვალს არ ვაშორებდი ზეცას, რომლის მენამული

ფერი თანდათან იცრიცებოდა და უფერულდებოდა. მერე კიბეზე დავეშვი. დაბლა მოსამსახურეს შევხვდი, რომელიც ჩემს დანახვაზე საოცრად დაიბნა: ამ დროს ამდგარი არასოდეს ვენახე:

– ეფენდი, ყავას არ მიირთმევთ?

– არ მინდა, მეჰმედ, საჩქარო საქმე მაქვს, არ მინდა!

ნამიანი მდელი გადავიარე და ეზოდან გავედი. აღმოსავლეთისაკენ გაჭიმულ ქუჩას გავხედე. უკაცრიელი იყო. იქით გავემართე. მეჩვენებოდა, თითქოს სახლებს ფანჯრები ძილმორეული თვალებივით დაეხუჭათ. ასე ვიარე ათ ნუთზე მეტი. გონებაში უეცრად, ქოტურად ერთმანეთში ამერია ქალთა სახეები, ჩიტების ჭიკჭიკი და გაუშლელი ტიტები, დავინწყებული ტრფიალი და ალერსი, ამ ქვეყნიდან გადაბარგებული შეყვარებულები, ძველი და ახალი ამბები...

ბალჩების მესერზე პეპლები დაფარფატებდნენ. ამასობაში ჩიფთეჰავუზში<sup>1</sup> დავეშვი და ფენერბალჩეს<sup>2</sup> მივადექი. დალლა არ მიგრძნია. ცოტა ხანში უკვე კალიმიშის<sup>3</sup> ნაპირებს მივყვებოდი. ბოსტნების მიდამოები ყიულ ვერნის რომანებში აღწერილ სურათებს მახსენებდა. გადარეულ ლოტოსს მთლად მიერეგვ-მოერეგვა ზღვის ბალახი, გროვებად დაეყენებინა და წარამარა გადახტომა მიხდებოდა. გარშემო ყველაფერი თეთრ, მბრწყინავ ნისლში იყო გახვეული. ამომავალი მზის სხივით გაჩახჩახებული კადიქოი<sup>4</sup> რალაც მოუხელ-

<sup>1</sup> ადგილი სტამბოლის აზიურ ნაწილში

<sup>2</sup> ნახევარკუნძული მარმარილოს ზღვაში. ანატოლიის სანაპირო, რომელიც XIX საუკუნიდან მოყოლებული, ერთ-ერთ ცნობილ და გამორჩეულ ადგილად იქცა სტამბოლელთათვის.

<sup>3</sup> ყურე მარმარილოს ზღვაში, სადაც სტამბოლელები ზაფხულობით თავს აფარებენ.

<sup>4</sup> სტამბოლის ერთ-ერთი მოზრდილი ნაწილი აზიის სანაპიროზე, ქალაქის არისტოკრატიული რაიონი

თებელი, მიუწვდომელი მირაჟივით ჩანდა. ნათესებნი კარგად წამოზრდილიყო.

მაინც, კაცმა რომ თქვას, რა სასიამოვნო რამ არის დილაუთენია გაქათქათებულ, ფართო, ჯერ ისევ ცარიელ ქუჩაში ხეტიალი!

ბაღდადის ქუჩაზე გავუხვიე და კადიქოისკენ გავემართე. მივდიოდი და თან კუშდილისა<sup>1</sup> და ფიქრის გორას ისე დაკვირვებით ვათვალიერებდი, თითქოს პირველად ვხედავდი. ფურნეებთან ჯგუფ-ჯგუფად ირეოდნენ მომსახურე გოგოები. ყავახანებსა და დუქნებს ზანტად აღებდნენ მედუქნეები. ღრმად დარწმუნებული ვიყავი, რომ უზრუნველ, უნაღვლოსა და ბედნიერ ქალაქში დავაბიჯებდი...

არც კი მახსოვს, როგორ აღმოვჩნდი ნავსადგურში, სადაც მხიარულად ყაყანებდნენ გამოპრანჭული ქალები და მოსწავლე გოგო-ბიჭობა. მეც იმათში გავერიე და ბილეთი ავიღე. ვილაც პატარა ბიჭმა ხელში ძალით მომაჩეჩა გაზეთი, რომელიც წაუკითხავად ჩავიჩარე ჯიბეში. მერე გემბანს მივაშურე და მერხზე ჩამოვჯექი. ზღვა ვერცხლისფერი ჩრდილივით განოლილიყო. სტამბოლის მინარეთებიანი, ნაღვლიანი სილუეტი თანდათან წაიშალა და მეც ოცნებით ზღაპრულ ბაღებში ჩაფლულ, მარმარილოს სვეტებიან, გრანდიოზულ სასახლეებში დავინწყე სეირნობა...

ამასობაში გალათას ხიდსაც<sup>2</sup> მივადექით. გასასვლელისაკენ გავემართე, სადაც ხალხი ერთმანეთს აწყდებოდა, მუჯღუგუნს ჰკრავდა, ეხეთქებოდა და გასვლას არ აცდიდა; ისე ჩქარობდნენ, თითქოს ეშინოდათ, დაპირებულ სამოთხეში შესვლა არავინ დაგვასწროსო.

<sup>1</sup> ადგილი სტამბოლის აზიურ ნაწილში, კადიქოისთან

<sup>2</sup> ხიდი ოქროს ყურეში, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს კარაქოისა და ეშინონუს



მწვავე შიმშილი შევიგრძენი. უკვე ბეიოლლუზე<sup>1</sup> გამოვსულვარ კიდეც. ჩემდა გასაოცრად, პროსპექტი ხალხით იყო გადაჭედილი. ბევრი აღარ მიფიქრია, თეფებაშის ბაღს მივაშურე და ხეტიალი დავინყე გუვერ-ნიორებს შორის, რომლებიც პატარებს დილის ჰაერზე დაასეირნებდნენ. ერთ ადგილზე ვეღარ ვისვენებდი. დავჯექი, ისევ ავდექი, გავიარ-გამოვიარე... შიმშილმა ისე შემანუხა, რომ ერთ სასადილოში ძალით შევიჭერი, ყურადღება არ მივაქციე ოფიციალტების ნათქვამს – კაცო, სად მიდიხარ, ჯერ მზად არაფერი გვაქვსო. შევიჭერი და მაგიდასთან გამოვიჭიმე. საჭმლის მოლოდინში ბავშვივით ვცმუკავდი. როცა საუზმე მომიტანეს, ნაშიმშილევი სპორტსმენივით ვეცი...

საჭმელი ისე მაბრუებს, თითქოს არაყი გადა-მეხუხოს. ახლაც სასადილოდან შეზარხოშებულივით გამოვედი. ისე კი, მართალი რომ მოგახსენოთ, მომწონს ზარხოშად ყოფნა, მომწონს ეს უმიზეზოდ ტკბილი, სასიამოვნო განწყობილება...

შემოვიარე თაქსიმი<sup>2</sup>, ნიშანთაში<sup>3</sup>, ჰარბიე<sup>4</sup>, შიშლი. როცა ჰურიეთეფეს მივალნიე, ვნახე, რომ მთლად ოფლში ვიყავი განუნული – ნიავი ჩამდგარიყო. უკვე შემალღებულ მზეს ბული დაეტრიალებინა. ცოტას შევისვენებ-მეთქი და ლუდხანას მივაშურე, მაგრამ უმალ გადავიფიქრე – ამ სიცხეში ოთახში ჯდომა რა სიამოვნებას მომგვრიდა!

<sup>1</sup> სტამბოლის ევროპული ნაწილის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, ცივილიზებული და საქმიანი რაიონი, სადაც დასახლებულია ქალაქის არისტოკრატია.

<sup>2</sup> ბეიოლლუს ცენტრალური კვარტალი და რესპუბლიკის მოედანი

<sup>3</sup> სტამბოლის ერთ-ერთი რაიონი

<sup>4</sup> სტამბოლში თაქსიმსა და შიშლის შორის არსებული რაიონი. სახელი შეერქვა XIX საუკუნეში, აქ აშენებული სამხედრო სასწავლებლის გამო.



უკან გამოვბრუნდი და ისევ ფეხით განვაგრძე გზა. შიშლის პროსპექტზე გასულმა თავი სახლების ჩრდილს შევაფარე.

უეცრად ჩემი მეგობარი ინჟინერი სერმეთი შემომეყარა:

– სად მიდიხარ, კაცო.

– ვსეირნობ...

– ამ ხეტიალს ის გირჩევნია, ჩემთან წამოხვიდე, სტუმრები მყავს ჩაიზე დაპატიჟებული.

– ჩემთვის რომ არაფერი გითქვამს? – უარის თქმა დავაპირე.

გაიცინა, მკლავში ჩამაფრინდა და დამითრია:

– აბა, ნუ ლაქლაქებ... შენ რალა პატიჟი გინდა. თუ არადა, ახლა გპატიჟებ, ბატონო...

ბევრი არ გვივლია. ერთ დიდ სახლს მივადექით და სადარბაზოში შევედით. სერმეთი მეორე სართულზე ცხოვრობდა. ფართო მარმარილოს კიბე შეუსვენებლივ ავირბინეთ. სტუმართაგან მხოლოდ რამდენიმე აღმოჩნდა უცნობი. საუბარი ჩვეულებრივ პოლიტიკურ ჭორებზე ჩამოვარდა. მე მშვენიერ გუნებაზე გახლდით. ...სტუმრების სიცილ-ხარხარი არ შეწყვეტილა. მე ჩვენი ლიტერატურის დეკადანსი გადაჭარბებული, მუქი ფერებით შევაფერადე, გამოვაჯავრე რამდენიმე ახალგაზრდა პოეტს და ძველების კარიკატურული სახეც წარმოვადგინე. ქალები სიცილით იგუდებოდნენ! როგორ მიყვარს, როცა ქალი იცინის! ქალის სილამაზე, კდემა, მომხიბვლელობა მხოლოდ მის ღიმილსა და სიცილში იჩენს თავს. ნაღვლიანი ქალი მბუჭტავ ლამპარსა ჰგავს.

ამასობაში ერთი სქელი, ფუნთუშა გოგონა როიალს მიუჯდა, მეორემ, ქერთამიანმა და გამხდარმა ვიოლინო მოიმარჯვა და გაისმა ნაღვლიანი მუსიკის აკორდები.



ყველა გაჩუმდა და საკუთარ ფიქრს მიეცა, მეც ვიყუჩე. ისე დამესხა თავბრუ, თითქოს რაიმე შთაგონებულ ლექსს ვისმენდი... ჭეშმარიტი გრძნობით უკრავდნენ.

არც კი ვიცი, რატომ გავიხედე მარცხნივ. შევნიშნე, რომ ორი შავი თვალი დაუჩინებით მომჩერებოდა. გავხევედი. ის ორი შავი თვალი მილიმოდა...

– რა სევდიანი მუსიკაა, არა, ეფენდი?

– დიახ, – ძლივს ერთი სიტყვის თქმა მოვახერხე და გულში კი გავივლე: – ეს ის უცნობი ასულია, აგერ, ოცი წლის მანძილზე რომ ვეძებ-მეთქი.

ახლა აღარ მახსოვს, მაშინ რაზე ვისაუბრეთ. სახელი ვკითხე, მედიჰა ერქვა.

მუსიკის შემდეგ განვმარტოვდით და ქალს ჩემს სიცოცხლეში პირველად სერიოზულად ვესაუბრე. ვისაუბრეთ ქალთა საკითხზე, ვისაუბრეთ სიყვარულზე... დიახ, სიყვარულზე ვისაუბრეთ. მართალი რომ ითქვას, მისი ნალაპარაკევი არც კი მესმოდა, სმენით კი ვუსმენდი, მაგრამ ისეთი გაბრუებული ვიყავი, რომ, ღმერთმანი, არ მესმოდა.

მაინცდამაინც დიდად რომანტიკული განწყობილების ქალი არ გახლდათ. მე დაკვირვებით ვათვალიერებდი მედიჰას ხელებს, მხრებს, მუხლებს. ისეთი პროპორციული სხეული ჰქონდა, როგორც მხოლოდ ზოგიერთ ქანდაკებას თუ გააჩნია. ასეთ ქანდაკებას თავისი სრულყოფილებითა და ესთეტიკურობით კაცი ალტაცებაში მოჰყავს... ერთი სიტყვით, მედიჰა ისეთი მშვენიერი გოგო იყო, რომ კაცს ქალის უნახავს გახდიდა. შავი, ელეგანტური პელერინის ქვეშ მხრები და მკლავები ისე ცოცხლად და ცხადად გამოკვეთილიყვნენ... მე მონუსხულივით მივჩერებოდი მის ბაგეებს, ნიკაპს, თმას, მივჩერებოდი და კვლავ არაფერი მესმოდა მისი ნათქვამისა. მხოლოდ ჩემთვის ვიმეორებდი:



„ეს ის უცხო მოჩვენებაა, ოცი წელი რომ ველოდე-ბოდი!“

შავგვრემან სახეს მადლს მატებდა ქუთუთოებზე ოდნავ წასმული სურმა.

სერმეთი შემოგვიერთდა და საუბარში ჩაერია. არ მახსოვს, როგორ გაიპარა დრო, სტუმრები წავიდნამოვიდნენ. წასვლისას მედიჰამ ერთი ხნიერი, გამხდარი, ქერა, მალალ-მალალი, მკაცრი გამომეტყველების ქალი გამაცნო, ჩემი მამიდააო, მითხრა. მამიდა-ძმის-შვილი იოტისოდენადაც არ ჰგვანდნენ ერთმანეთს.

მედიჰას შემდეგ სერმეთსა და მის მეუღლეს დავემშვიდობე და ქუჩაში გავვარდი. არ მესმოდა, რა ხდებოდა ჩემ გარშემო. ჩემი სული, სხეული, ნერვები მხოლოდ მედიჰას სახით იყო გარემოცული. ანგარიშშიუცემლად გალათას ხიდი გადამივლია, ჰაიდარფაშა<sup>1</sup> გამივლია და მატარებელში ჩავმჯდარვარ. სახლში რომ მივედი, მაშინ გამოვერკვიე. გამოვერკვიე, მაგრამ კვლავ მედიჰას აჩრდილი ამეტუზა თვალწინ, კვლავ იმის ხმა მედგა ყურში.

სახელდახელოდ წავივახშმე და ისე მივეგდე სანოლზე, რომ შუქი არც კი ამინთია. ასე მეგონა, დამეძინება და ამ საოცარ მოჩვენებას თავიდან მოვიშორებ-მეთქი. მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, მთელ ღამეს ბულბულების კვნესას ვუგდებდი ყურს და მტრედისფერ განთიადს ისევ ღია ფანჯარასთან შევხვდი.

– ეს ის ფერიაა, ოცი წლის მანძილზე რომ ვუცდიდი, – ვიმეორებდი დაუსრულებლივ.

ორი დღე სახლიდან ფეხი არ გამომიდგამს. ნეტავ, თუ შევხვდები კიდევ? გამახსენდა, რომ მედიჰამ თავისი

<sup>1</sup> საპორტო ქალაქი, სტამბოლის რაიონი აზიურ მხარეს

სახლის მისამართი დამიტოვა... იქნებ მივწერო? მაგრამ  
რა ვუთხრა, მიყვარხარ-მეთქი... ჩემს სიცოცხლეში  
პირველად მოხდა, რომ კალამი არ მემორჩილება... რა  
ვუთხრა ან როგორ ვუთხრა? არ ვიცი, ვერაფერს ვა-  
ხერხებ...

რალაც გაუგებარს მაინც ვჯღაბნიდი. რაც დრო გა-  
დის, მედიქას ლამაზი სახე უფრო ნათლად და გარკვე-  
ვით მესახება.

ორ დღე-ღამეს თვალი არ მომიხუჭავს. ნამთვ-  
ლემს თუ არა, მედიქას შავი თვალები მომაჩერდება და  
გარკვევით, მეტად გარკვევით მესმის:

- რა სევდიანი მუსიკაა, არა, ეფენდი?..

მესამე დილას ჩემმა ამხანაგმა ჯამსაფმა შემოალო  
ოთახის კარი და ლოგინში რომ დამინახა, მკითხა:

- რა დაგემართა?

- არაფერი!

- რა არაფერი, თვალები ჩაგშავებია. რამდენი ღამის  
უძილო ხარ?

- სამი.

- სამი ღამე ზედიზედ ბანქოს თამაშობ, ჰა... აბა, რა  
სიცოცხლის ღირსი ხარ. ძალღვივით უნდა ამოგხდეს  
სული...

- კაცო, რის ბანქო! - წამოვიყვირე მე, - სამი დღეა,  
კაციშვილი თვალთ არ მინახავს.

- ვა, მაშ, რაშია საქმე?

- არაფერი...

- თქვი, კაცო!

- ვგონებ, შეყვარებული ვარ!..

ჯამსაფმა ისეთი ხარხარი ატეხა, რომ ფანჯრის  
მინებმა ზრიალი დაიწყო. მერე სავარძელი საწოლთან  
მოათრია და წინ დამიჯდა:

- აბა, ერთი მომიყევი, რა სიყვარულია ისეთი, რომ

სამ დღეს ლოგინში გაგორავენ?!. ხომ გაგიგონია, ცხენი დაბერდა და თოხარიკი მაშინ მოუნდაო...

მართალი რომ ითქვას, მე თვითონ ვაპირებდი ამბის მოყოლას. ყოველივე სიტყვა-სიტყვით ჩაუჭყენჭე – სერმეთს როგორ გადავეყარე, შინ როგორ წამიყვანა, მედიჰას თვალი როგორ შევასწარი, მერე გული როგორ ამიფართხალდა... ახლა კი მედიჰას სახეს გონებიდან ველარ ვიშორებ, თვალწინ მიდგას მისი სახე, მხრები, მუხლები, მკლავები, მკერდი, ტანი, ბაგეები, შავი, მბრწყინავი თვალები... თავი ველარ შეიკავა და დამიღრიალა:

– გაჩუმდი, შე გამოჩერჩეტებულო და გადაბერებულო მამალო! უბრალოდ, გაზაფხულის ბრაღია...

– რა თქვი?

– რა უნდა ვთქვა! როცა მზე ღრუბლებს მიეფარება და მიწაზე რუხი ჩრდილი ჩამოწვება, გამოტვინებულ მამლებს განთიადი ჰგონიათ და ხრინწიანი ხმით ყვივლს მოჰყვებიან. ასეთ ცერცეტა მამლებს გლეხები მაშინვე თავს ნააგდებინებენ ხოლმე, სიკვდილიანობა იცისო. ასეა გაზაფხულიც. ნელთა ბრუნვით დაუძღურებული, ნახევრად დადამბლავებული სხეული უცებ მოჩვენებით სიმსუბუქეს გრძნობს, დრო-ჟამის მტვრით დაფარული ფანტაზია აიშლება და შენნაირ თავქარიანებს ჰგონიათ, არიქა, უწყალოდ შეყვარებულები ვართ და რალა გვეშველებაო.

ჯამსაფმა ამიხსნა, თუ როგორი გავლენა აქვს წლის ყოველ დროს მცენარეულ საფარზე, ცხოველთა სამყაროზე, ადამიანის ორგანიზმსა თუ ფსიქიკაზე.

მე კვლავ მედიჰას სახე გამახსენდა და ჯამსაფის დიდაქტიკა აინუნშიც არ ჩავაგდე:

– ჰეი, გიდი!.. შენ რა იცი სიყვარულისა...

– მე არ ვიცი?

– ჰო. გეფიცები, მიყვარს!

- შენა?..

- ჰო... ჩემს სიცოცხლეში პირველად ვარ შეყვარებული...

ჯამსაფი კვლავ ახარხარდა:

- შე საცოდავო, მკურნალობა გჭირდება!

- უიმისოდ მე სიცოცხლე არ მინერია!..

- ცოლად შეირთავ?

- ალბათ...

- კაცო, გაჩერდი, არაფერი მათქმევინო!

აქამდე ჯამსაფის სახეს ღიმილი არ მოშორებია.

ახლა კი ისე შეიკრა კოპები, რომ მე მაშინვე გავიტრუნე, თითქოს მართლა შემშინებოდეს, ან მართლა მას რამე ჰქონოდა სათქმელი...

მან კი განაგრძო:

- გაზაფხული ასაკგადასული ხალხისათვის ყველაზე სახიფათო დროა. იანვარში, თოვლში ტიტველი სიარული უფრო არ არის საშიში, ვიდრე გაზაფხულის დილას ყვავილების სურნელით სავსე ამინდში პეპლების დევნა. თუ სხეული გაცივდა, იექიმებ და მორჩები, მაგრამ თუ ბებერ სულში გაზაფხულის სითბო ჩაიღვარა, საქმე ნასულია! ხომ გაგიგონია, ორმოცი წლის კაცი რომ ჩონგურის სწავლას დაიწყებს, საიქიოს დაუკრავსო. თუ კაცი გაზაფხულის დილით ასაკს დაივიწყებს და გულისთქმას აპყვება, ისეთ სისულელეს ჩაიდენს, ადამიანის მოდგმას აზრადაც არ მოუვა... შენც ერთ მშვენიერ დილას ადექი, ფანჯარა გამოალე და არც კი გიფიქრია, რომ შეიძლებოდა, სურდო შეგყროდა. მერე ხარბად იყნოსე ყვავილთა დამატრობელი სურნელი, დილის გრილ ნიავს შეეგებე... ოცნება აგეშალა, ფანტაზია აგიღვარდა, გარეთ გამოსულმა თავი დაირწმუნე, რომ პირველივე შემხვედრი ქალი უსაზღვროდ გიყვარს და უიმისოდ ვერ გაძლებ!..

- როგორ თუ მგონია, სამი ღამეა, თვალზე რუღიარ მომსვლია.

- გეყოფა ამდენი აბდაუბდა! გაზაფხულის ბრალია და მკურნალობა გჭირდება.

- კაცო, რა მკურნალობა მჭირდება, სიყვარულს რით უნდა უმკურნალო...

- იცოდე, საქმე ცუდად წაგვივა.

- ...

მინდოდა, ჯამსაფისთვის ფუზულის ერთი ბაიათი წამეკითხა, მაგრამ ვერ გავიხსენე.

ჯამსაფმა მეცნიერულად დამისაბუთა, თუ ჩემისთანა გადაღლილი და გადაბერებული კაცის ჯანმრთელობაზე რაოდენ ცუდად მოქმედებდა საკუთარი მოჩვენებების აყოლა და ამინდი.

მე მაინც მედიჰა მელანდებოდა და ჯამსაფის მტკიცებას უარვეყოფდი.

- ეგ ლაყობაა და მეტი არაფერი. მოკლედ, მე ვამტკიცებ, რომ შენ შეყვარებული არ ხარ. შენი გრძნობები მოჩვენებითია, მხოლოდ გაზაფხულის ბრალია. თუ გინდა, ამას დაგიმტკიცებ!

- როგორ დამიმტკიცებ?

- უბრალოდ. ერთი თვის განმავლობაში აქედან წაგიყვან, გაზაფხულის მაცდუნებელ სიცოცხლეს არ მოგაკარებ და შენ ისეთივე გახდები, როგორიც იყავი...

- მედიჰას დავივინწყებ?

- ოცდაოთხ საათში!..

- როგორ, კაცო?

- ჯერ იქ უნდა წახვიდე, სადაც გაზაფხული არ იცის!

- ციმბირში?

- არა. ასე შორს წასვლა არ არის საჭირო.

- მაშ, სად?

- ქირეჩბურუნზე!

- ქირეჩბურუნი სადლაა?

- ერიჰაა! ბატონო მწერალო, ამერიკის ნავსადგომების ეკონომიკაზე რალაც-რალაცეებს თხზავ, კაცმა რომ გკითხოს, გეოგრაფიაში განსწავლული ბრძანდები და ქირეჩბურუნი სად არის, ის არ იცი?

- არ ვიცი.

- აი, ერთი ინტელიგენტი კიდეე, რომელიც თავის ქალაქსაც არ იცნობს. კაცო, სად არის და, ბოსფორის ყურეში, სარი-იერის წინ!

- მერედა, იქ გაზაფხული არ მოდის?

- ნახვალ და გაიგებ.

ნასვლისას დამიბარა, ხვალ მეჰმედი სახლში იყოს, ქირეჩბურუნზე უნდა ნავიყვანო და ბინა დავიქირაოთო.

მარტო დავრჩი თუ არა, კვლავ მედიჰას ღვთიური სახე გამომეცხადა. თან იმ მთვრალი მენავის სიმღერას ვლიღინებდი, ამ ათი წლის წინათ მოდაზე<sup>1</sup> რომ მოვისმინე:

სიყვარულის დარდისაგან თავს ვერ დაიხსნი,

ვაჰ, თუ არ შეგიყვარა, თავს ვერ დაიხსნი...

მეორე დღეს ჯამსაფმა მეჰმედი წაიყვანა. მარტო დავრჩი. წიგნის კითხვა დავაპირე, მაგრამ ფიქრს თავი ვერ გავართვი, თვალწინ მედიჰას ხელშეუხებელი, მაგრამ სრულიად რეალური სახე მედგა და აშკარად მესმოდა კიდეე: „რა სევდიანი მუსიკაა, არა, ეფენდი?..“

\*\*\*

გავთავდი კაცი - უძილობამ და ნალველმა ჩამომადნო და ჩამომახმო.

ორი დღის შემდეგ მეჰმედთან ერთად ქირეჩბურუნზე გადავბარგდი. ზუსტად ბოსფორის პირდაპირ

<sup>1</sup> კუნძული მარმარილოს ზღვაში



ღრმა ხეობაში ჩამჯდარი ერთი ციციქნა სოფელია! აქ ხეებს კვირტები ჯერაც არ გამოუტანიათ, ჯეჯილიც არ ამწვანებულა, ჩიტების ჭიკჭიკი არ ისმის და პეპლებს რალა გააჭაჭანებს?.. ქარი ისე განუწყვეტლად, შეუმჩნევლად უბერავდა, თითქოს ბუნებას თავისი დაუსაბამო მრისხანება აქ გადმოუნთხევიანო. ჩვენი სახლი ზედ გორაკზე იყო წამოსკუპებული. ფანჯრიდან მშვენივრად მოჩანდა ბოსფორის ყურე, რომელიც არარაობაში გაჭრილ ლაჟვარდისფერ ხვრელს წააგავდა. ღმერთმანი, ამ დროს შეიძლება ჩრდილო პოლუსზე უფრო მეტად თბილოდეს, ვიდრე აქ!..

მოვედი თუ არა, იმავე დღეს მუცელი ამტკივდა, მეორე დღეს კი რევმატიზმმა შემომიტია. ღუმელი დღენიადაგ გუგუნებდა, მაგრამ ოთახში სითბო მაინც არ იგრძნობოდა. მეპმედი სარიერში ნავით გავგზავნე და ხუთი ბოთლი კონიაკი ვაყიდინე. სარიერელებს ეთქვათ, რომ ამ წყეულ ქირეჩბურუნზე აგვისტოშიც კი შეიძლება კაცი გაიყინოსო. ღმერთმანი, არ ტყუოდნენ.

მთელი დღეები ლოგინში ვინეჯი, ცაცხვის ყვავილისფერ კონიაკს ვსვამდი და თან წამოღებულ წიგნებს ვკითხულობდი. ორი კვირის განმავლობაში სითბო არ მიგრძნია. ლოგინიდან ადგომა რომ შემძლებოდა, იქნება რაიმე მაინც დამენერა, მაგრამ ადგომა კი არა, საბნიდან ხელს ვერ ვყოფდი...

ერთ პარასკევ დღეს ჯამსაფი მენვია.

– ავად ხომ არა ხარ? – მკითხა მან, ლოგინში რომ დამინახა.

– არა.

– მაშ, რატომ წევხარ?

– ვიყინები, კაცო...

– ოჰო, ეს ძალიან კარგია! როგორ მიდის შენი გამიჯნურების საქმე?



- სიცვისგან ვერაფერი მომიხერხებია... უძილო-  
ბას ვილა ჩივის, დღე-ღამეში 14 საათი მკვდარივით მძი-  
ნავს...

- ესეც ასე.

- კაცო, აქ ივლისში რომ მოვიდეს გაზაფხული?

- არ მოვა! - აგვისტოს დასაწყისში აქ ზამთარი  
დგება!

- სულ აქ ხომ არ ვიქნები?.. იქ რომ მოვხვდე, სადაც  
გაზაფხულია?

- ეეჰ, აღარ ღირს, - ჩაიცინა ჯამსაფმა, - გაზაფ-  
ხული ველარაფერს დაგაკლებს. ახლა ხომ მიხვდი,  
რომ შენი მღელვარება ყალბი იყო, შენი გრძნობები -  
მოჩვენებითი. ერთი სიტყვით, აღარ შეცდები!..

...

ჯამსაფი ლოგინთან ჩამოჯდა და ჩაისა და კონიაკს  
მივებღალეთ. ქარი გარეთ კვლავ ცოფიანივით ღმუოდა,  
სადღაც ზევით, გორაკზე ძალღი ყვფდა.

\*\*\*

...ამ ქვის ხეთქვაში ერთ თვეს რა გამაძლებინებდა.  
მეჭმედთან ერთად სტამბოლს მოვუსვი. ჩემს ბაღში  
ყვავილები სულ ერთიანად გადაშლილიყვნენ, პეპლებიც  
უფრო მომრავლებულიყვნენ.

შევეცადე, მედიპა გამეხსენებინა, ოთახში ჩავიკეტე,  
მაგრამ ველარც მისი სახე გავიხსენე, ველარც ხმა... მა-  
შინ წამოვხტი და სერმეთთან წასვლა დავაპირე, მაგრამ  
შინაგანი ხმა იქედნურად ჩამჩურჩულებდა:

- შეე, სულელო, საქმე გამოგლეცია და ეგ არი!

საოცარი ისიც იყო, რომ ველარც მენავის სიმღერის  
მოტივი გავიხსენე:

სიყვარულის დარდისაგან თავს ვერ დაიხსნი,



ვაპ, თუ არ შეგიყვარა, თავს ვერ დაიხსნი.

გუშინ საწერად რომ გავემზადე, მაგიდაზე რაღაც ქალაქი მომხვდა ხელში. რას ვხედავ, მედვიასთან გასაგზავნი წერილია! ოჰ, ღმერთო მალალო! კიდევ კარგი, ჯამსაფი შემომესწრო და არ გავგზავნე, თორემ რა სასაცილო ვიქნებოდი?! აბა, მაშ რა? შუახანს მიტანებული კაცი სატრფიალო წერილებს უგზავნის 17 წლის ლამაზმანს...

ეს სასაცილო წერილი რამდენჯერმე გადავიკითხე, მერე კი ჩავუფიქრე და ეს ტრიქონები დავწერე სამი კვირის წინ გადატანილ შმაგ ტრფიალზე.

ერთი რამ მაინც ვერ გამიგია. თუ ბუნება ასეთი ჯადოქარია, თუ გაზაფხულის ცხოველი სითბო ყოველის-შემძლეა, რატომ ოციოდე წლის წინათ არ შემომინთო ეს ცეცხლი, რატომ იყო, რომ ჩემი ყმანცილკაცობის უამს სიყვარული გულს არ გაჰკარებია?..

ჯამსაფი როცა მოვა, უთუოდ ვკითხავ. ვნახოთ ერთი, რას მიპასუხებს...

## ანთისკვთიკა

მთელ ოჯახს სურდა, რომ ეს ერთი ციციქნა, ლამაზი და ახტაჯანა ბეღია დიდი კაცისთვის მიეთხოვებინა. თუმცა ორი წელი მაინც იყო, თავის ბიძაშვილს, სამედიცინო სასწავლებლის სტუდენტს ეკურკურებოდა. სასიძოს ხნისა კი, ხალხის თქმით, ამქვეყნად ქვაც აღარ გორავდა, მაგრამ ამას ვინ დაგიდევდათ, როცა პენსნიანი სასიძო გამოჩენილი პიროვნება გახლდათ და კონსულადაც მსახურობდა. საწყალი გოგო, ერთხანს დედ-მამასა და ბებიას ებუზღუნებოდა, ეს ბებერი და ორმოცდაათი წელი ევროპის ბალ-მასკარადებზე ნათრევი, დაფეხვილი კაცი რად მინდაო, მაგრამ მშობლების გააფთრებულ იერიშებს ველარ გაუძლო და ბედს შეურიგდა...

– ბევრს ნუ ყბედობ, რა ბებერი, ოცდაცხრამეტი წლისაა! მაშ, იმ ბიჭბუჭებს ხომ არ გინდა გაჰყვე, ფენერბალჩეს კლუბში ბურთს რომ დასდევენ დღედაღამ?!  
ნიშნობის დღისათვის ოჯახის მთელი ნათესაობა და ახლობლები მოიწვიეს. ბიძაშვილი ნამიქი ერთი დღით ადრე ჩამოსულიყო. როცა მარტონი დარჩნენ, ჯერ ერთმანეთს აღმაცერად გადებხედეს, მერე როგორც იყო, ნამიქმა გაბედა სიტყვის თქმა:

– ბეღია, შე საცოდავო, პაპაშენის ტოლ კაცს მიჰყვები?!  
– ნუ აზვიადებ, ნამიქ.  
– არ ვაზვიადებ. ეს შელებილ-შეთხუპნილი კაცი მალე ასი წლისა გახდება...



- როგორ მოვიქცე, დედ-მამას ძვალ-რბილში გან-  
დიდების მანია აქვს გამიჯდარი. გინდა თუ არა, სიძე დეს-  
პანი უნდა იყოსო. თან მარწმუნებენ, ორმოცი წლისაც  
არ იქნებაო...

- შენი ცოდვა ედოს კისრად. გეუბნები, ერთ საუკუ-  
ნეს აღარაფერი უკლია, ან თვითონ როგორ ნამუსობს  
და ჩვიდმეტი წლის გოგოს როგორ გთხოვლობს?

- არა მგონია, ასეთი ბებერი იყოს. ნახშირით შავი,  
განკეპილი უღვაშები აქვს. თუმცა მელოტია, მაგრამ, ეტ  
ხომ ჭკუის ნიშანია?

- ვხედავ, ვხედავ იმ უღვაშებს დაუდაგიხარ... ის უღ-  
ვაშები ზამბასავით თეთრი რომ ჰქონდეს, მაინც გაჰ-  
ყვები?

- არ გავყვები! თეთრი კი არა, სულ ცოტა ნირშეცვ-  
ლილიც რომ ჰქონდეს, არ გავყვები...

ნამიქი ჩაფიქრდა. მიხვდა, რომ ბედიას კონსულის  
ცოლობა, საზღვარგარეთის სატახტო ქალაქებში  
ცხოვრება, ცივილიზებული ქვეყნების ხილვა იტა-  
ციბდა...

- მე ერთი ჯადოსნური სიტხე მაქვს. თუ შენ მოახ-  
ერხებ და იმ სიტხით შენს საქმროს უღვაშებს მოა-  
ბანიწებ, მაშინვე გეტყვის თავის ნამდვილ ასაკს, მა-  
შინაც გაჰყვები?

- ნუ ყბედობ, რა სიტხეა?

- ანტისეპტიკა.

- როგორ ჩამოვაბანიწო?

- სულ იოლად, ვიდრე ნიშნობის ცერემონიალი დაინ-  
ყებოდეს, დაიწარტოხელე.

- ეჰე, - გადაიკისკისა ბედიამ.

- ის შენი ყმანვილი ცოტათი ააცუნდრუკე. საკოც-  
ნელად ნამოინწეს...

- მერე?



- მერე უთხარი, რომ ძალზე ცნობისმოყვარე ვარ-  
 თქო. ჯერ ტუჩები ამ სითხით მოიბანე და მერე რამ-  
 დენიც გინდა, იმდენი მკოცნე-თქო...

- დმერთო ჩემო, მოიტანე ის შენი ანტისეპტიკა...  
 პირველი შეხვედრისთანავე ექსცენტრულად მო-  
 ვაჩვენებ თავს, თითქოს ფრანგი ქალი ვიყო...

\*\*\*

ნიშნობის დღეს სტუმრებმა თავი მოიყარეს. წამიქმა  
 ბედიას ერთი ლამაზი ბოთლი გადასცა და უთხრა:

- აი, ეს არის ანტისეპტიკა. აბა, შენ იცი, თამამად  
 მოიქეცი!

ბედია ამ გამამხნეველებმა სიტყვებმა ააღელვა.  
 პირველი, რაც მას სურდა, ის იყო, რომ საქმროსთვის  
 ეჩვენებინა, ნახე, რა ექსცენტრული გოგო ვარო. ასე  
 იყო, თუ ისე, კონსული სალონის გვერდით, პატარა  
 ოთახში გაიტყუა. ჯერ იყო და საწყალ დიპლომატს ხე-  
 ლზე აკოცა, თავზე ხელი გადაუსვა, მერე მუხლებზე  
 ჩამოუჯდა და სიყვარულზე გაუბა ლაპარაკი. საწყალი  
 ისეთ დღეში ჩააგდო, რომ... საკოცნელად გადასწვდა და  
 ვარდისფერ ლოყებზე უღვაშები მოუთათუნა.

- გემუდარებით, თავი შეიკავეთ.

- აჰ...

- მე ძალიან, ძალიან ცნობისმოყვარე გოგო ვარ...  
 ერთ რაღაცას მოგცემთ, იმით ტუჩები მოიბანეთ და  
 მერე იმდენი მკოცნეთ, რამდენიც მოგეხასიათებათ.  
 განა ახლა თქვენი არა ვარ?

- ...

პასუხისათვის არც კი მოუცდია, ოთახიდან გავარდა  
 და წამიქის მიცემული ბოთლი შემოარბენინა.

- აი, აქ, ფანჯრის წინ...



სურვილისგან ათრთოლებული დიპლომატი უთქმელად დაემორჩილა ბრძანებას. ბედიამ სითხე მუჭზე დაუსხა, იმან კი ტუჩები და ულვაშები მოიბანა. მერე ჯიბიდან აბრეშუმის ცხვირსახოცი ამოიღო, უნდოდა შეემშრალებინა. მაგრამ ამ დროს ბედიამ შეჰკივლა.

- რა მოხდა, სულიკო?
- არაფერი.

სასიძომ კოცნა მოუნდომა. ბედიას ნერვული სიცილი აუვარდა. პატარა თითები სპაზმებისგან დაეკრუნჩხა, მაგრამ მაინც მოახერხა და თეთრ, მბრწყინავ შუბლზე მიუთითა:

- აქ, აი, აქ მაკოცეთ...
- დიპლომატმა ბამბასავით თეთრ შუბლზე აკოცა.
- თქვენ ჩემი მამიკო ხართ, არა? - მშვიდად ჰკითხა ბედიამ.

- რას მეუბნები, ჩემო სიყვარულო...
- სარკეში ჩაიხედეთ და დარწმუნდებით.

დიპლომატი ევროპელი ქალების კაპრიზებს შეჩვეული იყო და ბედიას საქციელს არ დაუბნევია. მიბრუნდა, სარკეში ჩაიხედა. ჩაიხედა და თავი ველარ იცნო! აბანოზის ხის ფერი ულვაშები თოვლივით გასთეთრებოდა. დიპლომატმა შეშლილი სახით გადახედა ბედიას:

- საძაგელო!..

მერე ცხვირსახოცი ცხვირ-პირზე მიიფარა, სტუმრებით სავსე სალონში შევარდა და ნერვულად გაიარა. საკიდრიდან ფესი ჩამოიღო. პენსნე აღარ ეკეთა, ჯოხი აღარ აუღია, ბალში გავიდა და გიჟივით გაიქცა.

მთელი ოჯახი და ახლობლები, ვისაც ვერ გაეგო სასიძოს გაქცევის მიზეზი, ბედიას შემოხვეოდნენ, რომელიც ფანჯარასთან მდგარი გულიანად ხარხარებდა.

- რა ჩაიდინე, რა მოხდა?



- არაფერიც არ ჩამიდენია. აი, ამ ბოთლში ერთი სითხეა, ამან გააქცია, მე უდანაშაულო ვარ.

- რა სითხეა, სულელო! - ცახცახებდა ბრაზ-მორეული დედა.

- ძალუაჩემო, ამ თქვენ ყომრალ თმას, ერთი ჭალარაც რომ არ ურევია, ცოტა ნაუსვით და მაშინვე მიხვდებით, თუ რა სითხეა, - ბედიას მაგიერ ნამიქმა გასცა პასუხი.

## რისტორნის საიდუმლოება

იაკაჯიქი<sup>1</sup>, 20 იანვარი

საყვარელო სერვერი

გუშინ სადამოს შენი ბარათი მივიღე. ეჰ, რა საშინელებაა, მთელი წელი სამშობლოზე იდარდოს კაცმა...

მწერ, მარტოხელა ცხოვრება მეტიმეტად მომწონსო, განსაკუთრებით კი – აბეი დორის საჭმელებიო. ალბათ იმ დროს მგლურ მადაზე ვიყავითო. ახლაც კი, სახლში დამზადებულ საჭმელზე გული არ მიმდის და ტკბილი კომპოტიც კი ჩალის გემოსი მეჩვენებაო... თანაც, ძველებურად, ჩვენს ძველ რესტორანში სადილად მიჰატიჟები!

ეჰ, ჩემო სერვერ, უარი უნდა გითხრა!..

მას შემდეგ, რაც ბეიოლლუს პანსიონატი მიატოვე, მეც განვშორდი იქაურობას. კაცმა რომ თქვას, ჩემს ოჯახს აბეი დორის გემრიელი სადილების გამო გავექეცი. ჩემი ღორმუცელობის ამბავი შენ მშვენივრად მოგეხსენება. ეს ნაკლი ერთი ფილოსოფიური მოძღვრებითაც შევამაგრე. აღარ მახსოვს ვის, მაგრამ ვიცი კი, რომ ერთ ვიღაც დიდ ადამიანს უთქვამს: ადამიანის პირუტყვობა ქამით განისაზღვრება, ადამიანობა კი – სწავლა-განათლებითაო. იცი, რა გითხრა, აბდაუბდაა და მეტი არაფერი. ეს იგივეა, რომ გვეთქვა – სახლის

<sup>1</sup> სტამბოლს მოშორებული სოფელი, განთქმული ბუნების სიმშვენიერით. დასვენების დღეებს ბევრი სტამბოლელი იქ ატარებდა.



საყრდენი საძირკველი კი არ არის, არამედ სახურავიაო!.. ადამიანობა ჩვენი პირუტყვობის ტყავია, საფარველია. აბა, შენ მიბრძანე, თუ სხეული არ იქნება, ტყავი როგორ იარსებებს, ჰა?

ალბათ გაგახსენდება, ყოველთვის იმას ვამბობდი, მისთვის ვცოცხლობ, რომ ვჭამო-მეთქი...

ღმერთს თავის მონათა უმეტესობა ამქვეყნად ისეთებად შეუქმნია, რომლებსაც ჭამის გარდა სხვა არაფერი აინტერესებთ; რასაც კი დაინახავენ, ყველაფერს ჭამენ, სვამენ, ხეთქავენ და სვლეპენ...

იმ გამოჩენრჩეტებულ ფილოსოფოსებს კი, რომელთაც ვერ შეუგნიათ ამა სოფლის უბრალო, მაგრამ დიდებული აზრი, რალაც ყბადაღებული დოქტრინები ჩამოუყალიბებიათ, რომლებიც ჭეშმარიტებისაგან ისე შორს არიან, როგორც ცა დედამინისგან...

კარგი ერთი, ნურც ასე ღრმად შევტოპავთ...

ერთი სიტყვით, მე აბეი დორის რესტორანს უკვე სათოფედ აღარ ვეკარები და იმ საჭმელებს თუ გავიხსენებ, შენ რომ მოგნატრებია, გული მერევა...

იმ ერთი ზღაპრის ბრმა მოხუცს ვგავარ!

დაიცა, ჯერ ზღაპარი გაგახსენო:

უნინდელ დროში ერთ ბრმა მეღექსეს უცხოვრია. სამოცდაათ-ოთხმოც წლამდე ისე წერდა ლექსებს სილამაზესა და მშვენიერებაზე, რომ არც ერთი მათგანი თვალით არ ენახა და მხოლოდ წარმოედგინა. ერთ დღეს პოეტის მშობლიურ ქალაქში ერთი ვილაც მკურნალი ჩამოსულა და იმ მოხუცისათვის თვალი აუხელია. მოხუცს რომ მიუხედ-მოუხედავს და ყველაფერი, რასაც აქებდა და ადიდებდა, თავისი თვალით უნახავს, ერთი ამბავი აუტეხია: ვაი, ჩემს თავს, კაცო, ლექსებს ამაზე ვწერდიო?!

მეც ასე დამემართა.



სულ სასმელ-საჭმელზე ვწუნუნებდი და ბოლოს, როცა საკუთარი თვალით ვიხილე, თუ როგორ მზადდებოდა, მადაც დავკარგე და ცხოვრების გემოც...

არა, ის კი მართალია, რომ სახლში დამზადებული საჭმელი რესტორანში დამზადებულთან გემოთი ვერ მოვაო, მაგრამ გეტყვი, ახლა იმისათვის კი აღარ ვცოცხლობ, რომ ვჭამო, პირიქით, ვჭამ, რომ ვიცოცხლო.

ახლა იმასაც მოგიყვები, თუ სინამდვილეში როგორია აბეი დორის სადილები, ჩვენ რომ ასე გემრიელად გვეჩვენებოდა.

რაც შენ დაქორწინდი და ნახვედი, პანსიონატში ობლად დავრჩი. ეჰ, რა ძნელია, როცა საყვარელ ამხანაგს განშორდები! გინდა დაიჯერე და გინდა – არა, ამას სანახევროდ სიკვდილი ეთქმის...

ბეიოლლუში ერთი ჩემისთანა ღორმუცელა ამხანაგი მყავდა და ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რას მოვიმოქმედებდით, როცა დავმეგობრდით!.. ჩემთვის რესტორნის გარდა, ამ ქვეყანაზე სხვა აღარა არსებობდა რა... დილა-სალამოს დარბაზის კუთხეში, ჩემს მაგიდასთან ვიჯექი და ბებრუხანა მსახურს – მიჰელს ველაზლანდარებოდი, თან მოუკუპრავში თეფშს თეფშზე ვაპირქვავებდი.

გავიდა ხანი. თანდათან ცხოვრება ისე გაძვირდა და ფასებმა ისე აინია, რომ, თუმცა მწირივით ვიკვებებოდი, თითო სადილი მაინც ღირა-ნახევარი მიჯდებოდა.

რა უნდა მელონა?

თვეში ასი ღირა შემოსავალი მქონდა და ისიც ჭამაზე არ მყოფნიდა.

– ეეე, – ვამბობდი, – საქმე კარგად ვერ არის, ულუფა უნდა შევკვეცო...

– რას ამბობ, კაცო, – მინყრებოდა შინაგანი ხმა, – ეს რა საქნელია?!



ერთხელ, სიზმარში, აბეი დორის სამზარეულო  
 ვნახე. ახლად შებრანულ როსტოს<sup>1</sup> ვჭრიდი, ვგლეჯდი  
 და ვსანსლავდი. როცა გავიღვიძე, როსტოს გემო ისევ  
 პირში მქონდა...

- კაცო, - ვფიქრობდი, - მზარეულის თანაშემწედ  
 რომ ვიყო სადმე, ჩემს ბედს ძალი არ დაჰყვებოდა. საქ-  
 მელ-სასმელი თავზე საყრელი მიქნება და მეც მეტი რა  
 მინდა?

ალარ მიყოყმანია. ბევრი განსჯა და აწონ-დაწონა  
 საქმეს წაახდენს ხოლმე. მაგრამ, მაინც რა უნდა  
 მეღონა, როგორ უნდა მოვქცეულიყავი, რომ რომელიმე  
 რესტორანში მზარეულის თანაშემწედ შევმძრალიყავი?

ეს დიდი პრობლემა იყო.

საქმე ის არის, რომ აბეი დორის რესტორანში ყველა  
 მიცნობდა, ხოლო ბეიოლლუს რესტორნის პატრონები  
 თურქებს შეგირდებოდად არ იყვანდნენ.

მივდიოდი და თავს ვიმტვრევდი, თუ როგორ მომი-  
 კიდა ფეხი ამქვეყნიურ სამოთხეში. ამასობაში აბეი დო-  
 რის რესტორანს მივაადექი. მიჰელი შემომხვდა, ერთმა-  
 ნეთს მივესალმეთ. იმან ჯერ მენიუ გამაცნო, მერე კი  
 მითხრა, ხვალიდან უკეთესი კერძები გვექნებაო.

- „კოსმოსიდან“ მზარეულს შეგირდი გამოექცა და  
 ჩვენთან მოვიდა. ათენელია, კოკორიჩის მომზადება  
 სცოდნია. ხვალ უკვე გვექნება!..

- კოკორიჩი რაღაა?

- ეჰ, არა გცოდნია. ბატკნის ნაწლავებისგან მზად-  
 დება, ქალის თმასავით არის დაწნული. ეჰ, ბატონო, აი,  
 ნახავ და, რა მშვენიერი რამ არის, შენ თვითონ დარნ-  
 მუნდები...

- ენახოთ...

<sup>1</sup> საქმელი, რომელიც მომზადებულია ჯერ მოხარული და შემდეგ  
 შემწვარი ხორცისგან.



პასუხი კი გავეცი, მაგრამ გული „კოსმოსისკენ“ გამიქანდა. შენ ხომ გახსოვს ეს რესტორანი? იქაც ვყოფილვართ. აი, ის, კუკის ლუდხანის გვერდით რომ დგას. მაშინვე გეგმები შევადგინე და განხორციელება საც შევეუდექი. პირდაპირ გალათასკენ დავეშვი. მეძველმანესთან შევიარე, ერთი ხელი გახუნებულ-გაცრეცილი ტანსაცმელი და ერთი ძველი კეპი ვიყიდე. შინ დავბრუნდი თუ არა, მაშინვე იმ ძველმანებში გამოვეწყვე და როცა სარკეში ჩავიხედე, საკუთარი თავი ველარ ვიცანი. ბერძნისგან ველარ გამარჩევდი.

ალბათ ისიც გეხსომება, რა სუფთა ბერძნული ვიცი. დიახ, ეს ის საჩუქარი გახლავს, რომელიც რენე მისიონთან ერთი წლით ცხოვრებამ მიბოძა... ამ ენას ბავშვებს სკოლებში მთელ ათ წელს ჩასჩიჩინებენ და მაინც ანაბანის მეტს ვერაფერს ასწავლიან. იმ საცოდავმა მოწაფეებმა არ იციან, რომ ამ ქვეყანაზე ენის უპირველესი მასწავლებელი სიყვარულია. უცხო ენის შესწავლის ყველაზე საუკეთესო მეთოდი ქალთან ურთიერთობაა...

ჩინური გინდა შეისწავლო?

მაშინვე ვინმე ჩინელი ქალი გამოძებნე და შეიყვარე. ერთი სამი თვე იცხოვრებ მასთან და იმ ენის გრამატიკას, რომელსაც კაცი 55 წლის განმავლობაში ვერ ითვისებს, იმ სამ თვეში ბულბულივით დაამლერებს...

„კოსმოსის“ სამზარეულოში ჩავედი. შეფ-მზარეული ერთი ჩმაგვი, წვერიანი ბერძენი იყო. ბერძნულად გამოველაპარაკე და ვუთხარი, რომ ქამა-სმის მოყვარული კაცი ვიყავი და იმასთან მუშაობა მენადა.

იმან სიტყვა ბანზე ამიგდო, მიმიკიბ-მომიკიბა, მაგრამ მე არ მოვეშვი და თავი ისე მოვაჩვენე, თითქოს ათენიდან ახალჩამოსული უმუშევარი ვიყავი. ჯერ სამშობლოზე ჩამოვუგდე სიტყვა, მერე ჯიბიდან 25 ლირა ამოვიღე და ხელში ჩავუდე.



მაშინვე მოლბა.

- მაგრამ, საქმისა რომ არაფერი გაგეგება?

- ვისწავლი.

- არც ერთ რესტორანში არ გიმუშავია!

- მართალია, მაგრამ შინ ვმზარეულობ ხოლმე.

- ეგ არ გიშველის. რესტორნის კერძები სულ სხვა რამაა.

- შევისწავლი.

- აბა, წამოდი, ვნახოთ...

წინსაფარი ავიფარე. ჩემს შეფს რომ მოვწონებოდი, ვუთხარი, რომ ლამაზი და მყავდა და თუ აქ ადგილი გამოჩნდებოდა, იმასაც მოვიყვანდი. ერთი სიტყვით, ტყუილ-მართლის კორიანტელი დავაყენე.

შიგნით შევედით. სამი შავგვრემანი ლიფსიტა ბიჭი ბრინჯს არჩევდა და მწვანილსა და ბოსტნეულს კეპავდა. სამზარეულოში ბნელოდა, მაგრამ მაინც გარკვევით ჩანდა იქ გამეფებული საშინელი სიბინძურე და ჭუჭყი. საიდან მოდიოდა, კაცი ვერ გაარჩევდა, მაგრამ ისეთი მყრალი სუნი იდგა, რომ სუნთქვა ჭირდა.

უკვე პირველი საათი იყო დაწყებული, კარგა გვარიანად მომშობოდა. თვალი მოვკარი, რომ შეფ-მზარეულმა ერთ-ერთ შეგირდს ფული მისცა და ყველისა და ყურძნის საყიდლად გაგზავნა.

გავოცდი.

ალბათ მარხვა იქნება-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ მაინც ვკითხე:

- უსტა, ავად ხომ არა ხარ?

- არა.

- მაშ, ყველსა და ყურძენს რატომ ყიდულობ?

- საჭმელად.

- აქ საჭმელი არ არის?

- აქაური საჭმელი იჭმება?!

ვერაფერს მივხვდი.

– ოსტატო, მზარეულებს საჭმელი არ ეძლევათ?

– როგორ არა, მაგრამ არავინ ჭამს.

მაინც ვერაფერს მივხვდი.

იმან გულიანად გაიცინა და ჭალარა ნვერ-ულვაში-დან დაჭიანებული კბილები გამოაჩინა:

– რაც მოგეწონება, აილე და ჭამე. ჯერ არაფერი გაგეგება. ერთი ვნახოთ, ცოტა ხანში როგორ მიირთმევ აქაურ საჭმელს...

შეფ-მზარეულის სიცილი ყურად არ ვილე და ბიფშ-ტექსსა და ფლავს მივაძეხი. ტუჩებს რომ ვინმენდდი, შეფმა ათენზე გამიბა საუბარი. მერე მოჰყვა და დანვრილებით ამიხსნა, თუ რა კეთდებოდა რესტორ-ნების სამზარეულოებში. ახლალა გავიგე, მშვენიერი და ლამაზი არგენტინული სერვიზიდან თუ რა ოხრობას მივითრმევდი ხოლმე...

თურმე, ბაზარში ყასაბს რაც უვარგისი ხორცი არ გაეყიდებოდა, მზარეულს ჩალის ფასად მოჰქონდა. ბოსტნეულსაც ასე შოულობდა. ცხიმს ხომ ბაზრის მა-ზანდასთან შედარებით ხუთჯერ იაფად ყიდულობდა...

– რანაირად ახერხებ, უსტა? – ვკითხე განცვიფრე-ბულმა.

– ჩვენი ცხიმი ნატურალური არ გეგონოს... ერთი ფაბრიკაა, რესტორნებს ცხიმით ამარაგებს. თანაც, არ დაივიწყო, ეს ფაბრიკა ასეულ ტონა ცხიმს ისე ამზა-დებს, რომ ერთი გრამი რძე და ხორცი არ გააჩნია. საიდან და როგორ ამზადებენ, მე არ ვიცი, ეს იმათი საიდუმლოებაა, მაგრამ ის კი ვიცი, რომ კუჭს ისე აფუ-ჭებს, თითქოს გოგირდმჟავა დაგელიოს...

მე გემრიელი ომლეტი გამახსენდა, რომელსაც ყოველ დილით ნეტარებით მივირთმევდი ხოლმე:

– ის ხომ კვერცხია, ნატურალური, იმაზე რაღას იტყვი?

გაეცინა.

– აქ მოდი, ერთი.

სამზარეულოს ბოლოს, სანყობში გამიყვანა. ელექტრონის ლილაკს თითი დააჭირა და კაშკაშა შუქზე ერთმანეთზე უნესრიგოდ მიყრილ-მოყრილი ტომრები, ყუთები და ნავთის ბიდონები დავინახე. ერთ-ერთ მათგანს თავი ახადა, შიგ ქონის მაგვარი რალაც ყვითელი მასა იდგა.

– ესეც ომლეტის კვერცხები...

– აა...

– მაშ...

– ეს რა არის?

– ხომ გეუბნები, კვერცხია. მეთევზეები თოლიების კვერცხებს აგროვებენ, ამტვრევენ და ამ ბიდონებს ავსებენ. მერე მოაქვთ და სასადილო-რესტორნებს ბითუმად მიჰყიდიან ხოლმე...

– ვაიმე!..

– მაშ...

სალამომდე მელაპარაკა და მთელი თავისი საიდუმლოს ნახევარი მაინც გამანდო.

– ჩვენი მიზანი ის კი არ არის, სხვა გავაძლოთ და დავაპუროთ, ჩვენს კუჭებს უნდა მივხედოთ, – მეუბნება შეფი.

უკვე კარგად ვიცოდი, რომ ძვირადღირებულ ხიზილალას, ოყას რვა-ათ ლირად რომ ჰყიდიან, ხარის ელენთისგან აკეთებენ...

ფორთოხლის წვენის რეცეპტი ასეთი გახლავთ – ნესვს დამპალ-დუმპალ მხარეს ჩამოაჭრი, გაასუფთავებ, გამოწურავ და წყალში ჩაასხამ. ნესვი სუნს აძლევს. ფერისთვის ყაბაყის ქერქს დაუმატებ, მერე ცოტა მჟავასაც გაურევ და ეგეც შენი „ფორთოხლის წვენი“.



ტკბილეულისთვის შაქარს ვინ გააფუჭებს! სახარისხმარობენ...

ლამაზად მორთულ-მოკაზმული სხვადასხვა სალათაც ათასგვარი ბალახბულახისგან მზადდება...

ველარ მოვითმინე.

– მაგრამ, უსტა, ასეთი უვარგისი სანოვაგისგან ამგვარი გემრიელი კერძი როგორ გამოდის, ჰა?

– ესეც საიდუმლოება და ხელოვნებაა, – გაიცინა შეფ-მზარეულმა.

მერე ეს საიდუმლოებაც გამანდო:

– აბა, მიიხედ-მოიხედე!

სამზარეულოს თვალი მოვაველე – ლამაზი და ძვირფასი ჭურჭელი, დანები, საკეპი და სანურავი მანქანები, ათასგვარი ნაცნობი თუ უცნობი ინსტრუმენტი... აბა, ამისთანებს სახლში ვინ მოგცემს?

– ახლა კი ისეთი რამ მოძებნე, რომელიც სახლში გვაქვს, აქ კი არა, – კვლავ მიბრძანა შეფ-მზარეულმა.

– დიდხანს და დაკვირვებით ვათვალიერებდი სამზარეულოს. შეფმა ველარ მოითმინა და მზიარულად გაიცინა:

– საპონი, ბიჭო, აბა, საპონი სადა გვაქვს, ჰა?


მართლაც, საპონი არსად ჩანდა.

იმან ისიც კი მითხრა, თუ რატომ აქვს აქაურ საჭმელებს სპეციფიკური სუნი და გემო. ჭურჭელს არ რეცხავენ, ნარჩენებს ახალს დაუმატებენ და ის ძველი ახლისთვის თავისებურ საფუარად იქცევა ხოლმე...

ნეტავ, არაფერი მცოდნოდა...

\*\*\*

ჩემო საყვარელო სერვერ, მას შემდეგ აბეი დორსაც გამოვემშვიდობე, იმ აბეი დორს, რომელიც ასე გვიყვარდა.



ოჯახს დავუბრუნდი და ახლა ჩემი სუდანელი გამზრ-  
დელის ხელით გაკეთებულ სუფთა საჭმელ-სასმელს  
გეახლები; რაც მართალია, მართალია, გემოთი რეს-  
ტორნის სადილებს ბევრად ჩამოუვარდება, მაგრამ...

ეჰ, რა იქნებოდა, ახლაც იმ სიბნელეში ვყოფილიყავი,  
ღორმეუცელობის სამოთხეში განცხრომით მეცხხოვრა,  
ჰა?

ახლა სტამბოლში რაღა გავაკეთო... დღედაღამ ზე-  
თისხილი უნდა ჭამოს კაცმა...

„კოსმოსის“ სამზარეულომ ჩემს წარმოსახვაში ის  
პოეტური, სუფთა და უცოდველი სავანე ისე წაახდინა,  
რომ, ღმერთმანი, ყველსაც კი აღარ ვეკარები.

## უფსკრულის პირას

რაქიასთან გაგზავნილი ფერიდეს ბარათი

გუშინ თვალი შეგასწარ. ჩემდა უნებურად ერთი შევეყვირე და მეტი ვერაფერი მოვასწარი. ეტლი თვალს სწრაფად რომ არ მიჰფარებოდა, უეჭველად შემოვახტებოდი და დაგიხსნიდი კიდეც... გული მეტკინა... იმ უფსკრულის პირას დაგინახე, რომლის ძირშიც უბედურებისა და სიძულვილის მორევია...

თქვი, სად მიდიოდი!

...

წმინდა იოანეს უცოდველო და უწყინარო ბატკანო, თქვი, სად მიდიოდი, სადა?..

\*\*\*

ვიცი, რასაც მეტყვი – არსადაც არ მივდიოდიო!..

იცი, რა? ნუ გადათქვამ. ჩემი თვალით დაგინახე, სხვას ხომ არ უთქვამს?

ისეთი მანტო გქონდა მოსხმული, ას ლირად არავინ მოგცემს.

ან ის ქალი ვინა ბრძანდებოდა, გვერდით რომ გეჯდა?

თაქსიმისკენ გაიქროლეთ, თქმა არ უნდა, ან ნიშანთაშუა, ან შიშლიზე გახვედით. შენ ალბათ რომელიმე ფემენებელურ სახლში შებრძანდი, სახლში, რომელშიც ათას, ათას ხუთას ლირაზე ისე დებენ ნაძლევს, როგორც ხუთ ან ათ ყურუშზე...

ეს სასახლე, რომელსაც აქვს დიდებული ფასადი და მშვენიერი სადარბაზო, რომელშიც ჩარიგებულია მარმარილოს ქანდაკებები და ფარდაგ-ხალებითა და თვალისმომჭრელი ბროლის ჭალებით არის მორთული, უბედურების მახე გახლავს...

ადამიანი იმ სახლში მხიარული იერთ შედის და მაშინვე პოულობს ბედნიერებას, მაგრამ გამოსვლით როგორ გამოვა, იცი? ან კი საერთოდ გამოვა? შენისთანა საცოდავ გოგოებს ამ მახეში თავს ჩაცმა-დახურვის სურვილი ამოაყოფინებს ხოლმე, მაგრამ განა ეს მისწრაფება კანონიერი, წესიერი გზით არ შეიძლება დაკმაყოფილდეს? განა ისე ვერ უნდა მოვიროთ-მოვიკაზმოთ, რომ კალთები არ ამოვისვაროთ?

იცი, ამაზე ჯერ კიდევ როდის ვფიქრობდი?

ვფიქრობდი, ვფიქრობდი და ბოლოს ისეთი რამ აღმოვაჩინე, რომლის მეშვეობით ნამუსიც შეგიძლია შეინარჩუნო, სინდისიც და პატიოსნებაც...

\*\*\*

დიახ, ყველა ქალი ერთნაირი გულისაა...

ჩემი მშობლები სწავლით კი როგორღაც მასწავლიდნენ, მაგრამ, საცოდავები, ისეთი ლარიბ-ლატაკები იყვნენ, რომ სხვა რამეებზე ოცნებალა დამრჩენოდა. მამა როცა გარდამეცვალა, მე და დედაჩემს თვეში 600 ყურუშით გაგვქონდა თავი. ომის დროს სულმთლად გავლატაკდით...

როცა ბაზარში წავიდოდი და აბრეშუმის წინდებიან ქალს დავინახავდი, გული ამოვარდნაზე მქონდა. გამოპრანჭული ქალების დანახვაზე თვალთაგან ცრემლი წამსკდებოდა ხოლმე. მაშინვე პირბადეს ჩამოვიფარებდი და ბოლმამორეული ვბუტბუტებდი:



- ღმერთო, როგორ მოვიქცე, რომ მეც ამათნაირად ჩავიცვა და დავიხურო, როგორ მოვიქცე?..

გავთხოვდე?..

მერედა, ვინ წამიყვანდა?

დიდი-დიდი, წვრილფეხა მოხელე თუ მიკადრებდა!..

მერე?

ახლა ქალის მოთხოვნილებებს საშუალო შეძლების კაციც ვერ აუვა, არათუ წვრილფეხა მოხელე.

ახლა ქალის მორთულობა და ტანსაცმელი ოქროზე მეტად ფასობს.

აბა, ოჯახის პატრონი კაცი როგორ შეძლებს, რომ ცოლს ორას ლირიანი თაიორი<sup>1</sup> შეუკეროს? დღეს ადამიანს ჭამა-სმაზე დღეში, სულ ცოტა, ერთი ლირა მაინც უნდა!.. შეძლებულთა და მდიდართა უმეტესობა უკვე დაოჯახებული და ხანშიშესულია. ფიქრი იმაზე, რომ შეძლებული ქმარი გეყოლება, ისეთივე ფუჭი ოცნებაა, როგორიც ლატარიის ბილეთით დიდი თანხის მოგება...

იმ ქალბატონებს კი, რომლებსაც კობტად, შნოიანად და ძვირფასად აცვიათ, შემოსავლის წყაროც სულ სხვაგვარი აქვთ...

ეს ყველაფერი კარგად ვიცოდი, მაგრამ მაინც ავდექი და ერთ ჩემს თანაკლასელ ამხანაგთან წავედი. იმისი ქმარი ერთი უბრალო ჩინოვნიკი იყო. წელიწადში ბევრი-ბევრი 3 ათასი ყურუში შემოსავალი ჰქონოდა. ჩაცმით კი დიდებულად იცვამდა... წავედი და ვინახულე. გული გადავუშალე, მთელი ჩემი სადარდებელი ჩავუკენჭე...

სიცილი აუტყდა:

- გათხოვდი...

- ჯელილე, გავთხოვდები, მაგრამ ვის წავეყე, ისე

<sup>1</sup> ქალის კოსტიუმი, რომელიც შეკერილია კაცის პიჯაკის მსგავსად და აქვს გრძელი კალთები.



ვინ ჩამაცმევს და დამახურავს, აი, თუნდაც შენი ქმარი რომ ახერხებს...

– ქმარი არავის არც აცმევს და არც ახურავს... შენ შენს თავს თვითონ უნდა ჩააცვა...

– როგორ?

– ჩემსავით!..

– რას ამბობ, ქალო, განა შენი ქმარი არ გაცმევს და გახურავს?

– სულელი ხარ, ფერიდე. იმ საცოდავს ამისი ფული ვინ მისცა?

– მაშ, ვინ?

– როცა გათხოვდები, ისწავლი...

– ვინ, მაინც ვინ?

არ მითხრა. მე ძალზე გავბრაზდი. ის კი იცინოდა და იცინოდა...

– შენმა ქმარმა თუ იცის, საიდან და როგორ ყიდულობ ამ...

– ქმარს ვეუბნები.

– რას ეუბნები, ჯელილე?!

– რას ვეუბნები და... აი, ამა და ამ ამხანაგის ქმარი კომერსანტია. ამას წინათ სულ მუქთად ჩაუგდია მშვენიერი ქსოვილი. არშინი სულ ცოტა ოცი ლირა მაინც ეღირება. მე ხუთ ლირად მაძლევს-მეთქი.

– მერე, რა უნდა მივცეთ, ჯელილე, ფული რომ არა გვაქვს? – შენუხებული ბუტბუტებს ჩემი ქმარი.

– კაცო, წინასწარ არ თხოულობს. ნისიად გვაძლევს. თვეში ხუთ ლირას გადავუხდით...

მაშინ ქმარი მთანხმდება. ის კი არ იცის, რომ ხუთ ლირად იმ ქსოვილს არავინ მოგცემს... საცოდავი, დილიდან საღამომდე სამსახურშია და ასე ჰგონია, შეკერვითაც მე ვიკერავ...

– მერე, ჯელილე, ასეთი ტყუილი გაგდის?



- მაშ! ეჰ, ფერიდე, ფერიდე, კაცებმა ქვეყნის სა-  
ვალ-დასავლისა რა იციან... ასე ჰგონიათ, თაიორისა და  
ჩითის კაბის შეკერვას ერთი ფასი აქვს... ერთი სიტყვით,  
ქმარი ყოველთვიურად 5 ლირას მაძლევს. მერე 5 ლი-  
რად ჩავიცვამ და დავიხურავ? ნელინადში სამოცი ლირა  
გამოდის... ესეც ებევრება და წარამარა მსაყვედურობს:  
ჯელილე, ამ შენს ტანსაცმელზე ბევრსა ხარჯავო...  
ქალო, თვეში ორმოცდახუთი ლირა მარტო ბოტებზე  
მჭირდება... აი, გუშინ ჰირკა<sup>1</sup> ვიყიდე, სამოცდაათი  
ლირა დამიჯდა...

...

ჯელილემ სხვა რალაც-რალაცეებიც მიამბო.

მე მასავით სიცრუით, უსინდისობითა და უნა-  
მუსობით ცხოვრება არ შემეძლო. მაგრამ როცა სა-  
კუთარ გულში ჩავიხედე, იქ კოპნიად ჩაცმა-დახურვის  
უსაზღვრო სურვილის მეტი სხვა ვერაფერი აღმოვა-  
ჩინე.

ამ გასაჭირში რომ ვიყავი, გაზეთში განცხადებას  
წავანყდი; ვილაც მკერავს მუშახელი სჭირდებოდა.

უცებ ისიც კი ვერ მოვიაზრე, სად უნდა ყოფილიყო  
ის ატელიე. როგორც იქნა, დავმშვიდდი, მისამართი  
დავადგინე და გზას გავუდექი. ატელიეში შევედი და...  
ღმერთო ჩემო... სულ სხვა სამყაროში აღმოვჩნდი.  
სამოთხე იყო, ჩემო რაქია, ნამდვილი სამოთხე...  
ყველაფერს გულისფანცქალით შევცქეროდი.

ატელიეს პატრონმა თვეში ოცდაათი ლირა შემო-  
მაძლია. მეტი რა ჩარა მქონდა?! გამომცადეს, საქმე მო-  
მიწონეს. მაშინ ასეთი პირობა შევთავაზე - ხელფასს არ  
ავიღებდი, მხოლოდ ჩემი ჯამაგირის ანგარიშში ქსო-  
ვილი მოეცათ და იქვე უფასოდ შეეკერათ...

<sup>1</sup> პიჯაკის მსგავსი თბილი ჩასაცმელი



ჩემი პირობა უცნაურად კი მოეჩვენათ, მაგრამ უარი აღარ მითხრეს. ატელიეს პატრონი იმასაც კი შემპირდა, რომ თუ მუყაითად გავირჯებოდი, ყველაფერში ხელს გამიმართავდა.

ორი დღის შემდეგ უკვე მკერავად ვმუშაობდი. პირველ თვეშივე ერთობ ლამაზი თაიორი შევიკერე. არც შინ ვისვენებდი, ღამით ბლუზებსა ვკერავდი და მერე ატელიეს ვიტრინაში გამოვფენდი ხოლმე. მეორე თვეში ამ მეცადინეობით ას ლირაზე მეტი საფასურის ტანსაცმელი შევიძინე. ლამაზად და შნოიანად მეცვა, ნაცნობი თუ უცნობი, ყველა მე შემომცქეროდა.

ექვსი თვის მერე ყველაზე მეტი და გემოვნებიანი კლიენტი მე მყავდა. როცა ატელიეში მოდიოდნენ, ჩემზე უთითებდნენ, აი, ისეთი ფასონისა შეგვიკერეთ, ამ ხანუმს რომ აცვიაო!..

ჩემმა შრომამ უქმად არ ჩაიარა, მალე მანეკენად დამანინაურეს. ახლა ხელფასს ყოველდღე ვიღებდი და იმდენიც მრჩებოდა, რომ უკანასკნელ მოდაზე ჩაცმული დავიარებოდი... თუმცა არც ქმარი მყავდა, არც სიყვარულის გრძნობა მატკბობდა და არც ოჯახური სითბოსი ვიცოდი რამე, თავს მაინც ბედნიერად ვგრძნობდი და ამ ბედნიერებას ისე მივალნიე, რომ არც სინდისი დამიკარგავს, არც ნამუსი და არც საზოგადოების პატივისცემა დამკლებია. ჩემს სანუკვარ მიზანს, ჩემო რაქია, პატიოსანი გზით მივალნიე და ახლა ცხოვრებაში შიში აღარაფრისა მაქვს...

მე კარგად გიცნობ, რაქია, ჩაცმა-დახურვისთვის უფსკრულის პირასა დგახარ. იცოდე, ვისაც ცოტაოდენი ქკუა გააჩნია, ის უფსკრულს მოშორდება, ვისაც არა — ძირამდე ჩაგორდება... მოდი, მე მომბაძე, ჩემსავით მოიქეცი.

აბა, დაფიქრდი, ჩვენთვის, ქალებისთვის, იმაზე დიდი

ბედნიერება სხვა რალა უნდა იყოს, რომ დღენიადაგ  
ნაირ-ნაირ ქსოვილებსა და ჩასაცმელ-დასახურავებში  
ტრიალებდე; ყოველდღე ასობით ელეგანტურად გამონ-  
ყობილ ქალს ხედავდე, სარკის წინ ლამაზად მორთულ  
სხეულს უყურებდე... ახლა მოდებზე საუბარი, კამათი?!  
იცი, რა გითხრა, მოდების ატელიე, მხატვრისა და  
მოქანდაკის სახელოსნოზე უფრო მიმზიდველია. რამ-  
დენი სასიამოვნო შეგრძნებაა აქ, რამდენი სიხარული...  
არც მხატვრის ზეთისა და საღებავების სუნი განუხებეს,  
არც მოქანდაკის ქვა და თიხა. მერე, ატელიეს წყალო-  
ბით ის საიდუმლოებაც იცოდე, თუ სტამბოლის ულა-  
მაზესი და უმაღლესი საზოგადოების ქალთა მარაქა ასე  
ელეგანტურნი როგორ ხდებიან, ნაკლები სიამოვნებაა?

ასე რომ, რაქია, მოდი ჩემთან, გასცილდი მაგ უფსკ-  
რულს, მოდი იქ, სადაც არც სიბინძურეა და არც აუგი,  
მოდი იქ, სადაც მარტოოდენ სილამაზე და სიკოხტავეა.

პარასკევს დილას გელოდები, მოვილაპარაკოთ. რო-  
გორმე მოვახერხებ, რომ მანეკენად აგიყვანონ. მოხდე-  
ნილი ტანსაცმელი ჩაიცვი, მაგრამ სახელს გაუფრთ-  
ხილდი. გაუფრთხილდი, თორემ თუ სული გაჭუჭყიანდა  
და გაბინძურდა, იმას ველარანაირი ლამაზი და შნოიანი  
ტანსაცმელი ველარ შენიღბავს.

ამ პარასკევს შეჭველად შემოიარე.

აბა, შენ იცი, ჩემს თხოვნას უგულისყუროდ ნუ  
მოეკიდები. იცოდე, ჩემი ხმა ის ხმაა, რომელიც უფსკ-  
რულისაკენ დაქანებულს დაგიხსნის...

თვალეებს გიკოცნი...

## ზეთისხილი და კური

თუ არ მოგცემს მამუთი<sup>1</sup>,  
რა უნდა ჰქნა, მაჰმედ?  
ანდაზა

ახალგაზრდა, ლამაზი, ტანადი ქალი დაუნდობელი და აჯამი ტირანის ხელთ ჩავარდნილ, წარსულ დროთა მონას წააგავდა: ტანზე ნაფლეთებად ეკიდა ჩითის გახუნებული კაბა, სქელი, ხუჭუჭა, ყომრალი თმა მარმარილოსავით თეთრ მხრებზე გადმოშლოდა და დამტვრეული ყაფაზის მიგრეხილ-მოგრეხილი ჯუმბადან<sup>2</sup> ქუჩას ისეთი სასონარკვეთილი სახით გასცქეროდა, თითქოს ჯალათის მიერ აღმართული ნაჯახი ეს-ეს არის თავს გააგდებინებსო.

ზეინაბ ქემალის საავადმყოფოსკენ ჩამავალ დაღმართზე არავინ ჩანდა.

ეზოების კედლებიდან გადმოკიდებულ, გაზაფხულის ყვავილებით დახუნძლულ ხის ტოტებს მინგრეულ-მონგრეულ ქვაფენილზე ლეჩაქივით თხელი და გამჭვირვალე ჩრდილი გადაეფინა. სახურავის კიდეზე, დამტვრეულ კრამიტებს შორის, თავიანთ ბუდეებში, უზრუნველად ყრანტალებდნენ ყვავები და ისე ირეოდნენ,

<sup>1</sup> ღმერთი, ლეთაება, სალოცავი კერპი

<sup>2</sup> ფანჯრის ყაფაზა, რომელიც კედელს მცირედ დაცვილებულია



თითქოს სხვაგან დაწყებულ ლხინს აქ აგრძელებენო. მათთვის უცხო იყო კაცთა ჭმუნვა და მწუხარება.

– ააა, – უცებ აღმოხდა ქალს გაურკვეველი ხმა...

ნერვულად შეირხა, მუხლებზე წამოიჩოქა და იდაყვებით დაეყრდნო ფანჯრის რაფას. იმ წამს ისეთი მშვენიერი და მომხიბვლელი იყო, როგორც კვარცხლბეკზე გაცოცხლებული ქანდაკება...

– საბირე, სა-ბი-რეე!

– ...

ქუჩაში მიმავალი, კოპნიად გამონყობილი ორი ქალი უცებ შეჩერდა.

მაღალი შეცბუნდა და მიიხედ-მოიხედა; უნდოდა გაეგო, საიდან შემოესმა ხმა. მან შიფონის მოსასხამის ქვეშ შავი წარბები შეჭმუხნა და ჯუმბას ახედა. მერე ბრაზით ოქროს ხელჩანთა გრძელ ბარძაყზე დაირტყა და იკითხა:

– ვინ მეძახის?

– მე!..

– შენ ვინ ხარ?

– ნაჯიე.

იმან ოქროს ჩანთას ორივე ხელი ნერვულად მოუჭირა და ჯუმბისთვის თვალი არ მოუშორებია, კვლავ იკითხა...

– რომელი ნაჯიე?

– ბაჰთიარ ეფენდის ქალი.

რომელი ბაჰთიარ ეფენდისა?

– ხაზინადარ ბაჰთიარ ეფენდისა.

– რაო?

– ჰო...

კოპნია ქალი ერთ წამს გაშტერდა, გახევდა, მერე უშნო და ულაზათო სახლი შეათვალიერა, რომლის ჩამტვრეულ შუშებზე გაზეთები გაეკრათ.

– ვაიმე, აქ რას ეძებ, გოგო?!

– არაფერს.

– რას ჰქვია, არაფერს?!

– ჩემი სახლია!

– შენი სახლი?

– ჰო.

საბირემ და მისმა თანმხლებმა ერთმანეთს დაბნეულად გადახედეს და ისე გაიცინეს, თითქოს ვინმე ეხუმრებათო:

– აი, შე მატყუარავ, აბა, ერთი კარი გააღე და ვნახავ, რასაც აკეთებ, – უნდო ხმით წარმოსთქვა საბირემ და სახლის დაფახფახებული კარისაკენ გაემართა, რომელზედაც ბავშვებს ცარციტ ჩიტები დაეხატათ.

\*\*\*

საბირე და ნაჯიე ბავშვობის დობილები იყვნენ. ბალკანეთის ომის დროს ერთის მამა მოსამართლედ მსახურობდა, მეორესი კი ხაზინადარად იყო. ევაკუაციის დროს ერთმანეთი დაკარგეს და აი, ახლა, ექვსი წლის უნახავი მეგობრები მოულოდნელად შეხვდნენ ერთმანეთს...

როცა საბირემ ნაჯიე დაინახა, შეკრთა, თავით ფეხამდე შეათვალიერა და წამოიყვირა:

– ეს რა დაგმართნია, გოგო?

ნაჯიე დაბნეული შესცქეროდა გამოპრანჭულ მეგობარს, ძვირფას შავ მოსასხამში რომ გახვეულიყო, ყელზე ზურმუხტის მსხვილი მძივი ეკიდა, ხოლო ხელთ ოქროს მოზრდილი ხელჩანთა ეჭირა.

– რა დამემართა და სილატაკემ ამ დღეში ჩამაგდო, – ძლივს ჩაილაპარაკა ანურულმა ნაჯიემ.

საბირემ სახლის შესასვლელს ახედ-დახედა. კედ-

ლებს ბათქაში ჩამოსცვენოდა, ჭერი ჩამონგრეულიყო...  
აქაურობა ბოსელს ან საქათმეს უფრო ნააგავდა...

– რა ლამაზია, არა? – გადაულაპარაკა ნაჯიემ თან-  
მხლებ ქალს, რომელიც ბინაში შესვლას არ აპირებდა  
და მხოლოდ კარებიდან იყურებოდა.

– მაშალაჰ!¹

იგი საბირესავით ახალგაზრდა არ იყო, მაგრამ, ელე-  
განტურად გამონყობილი, საბირეზე მომხიბვლელი ჩანდა.  
შავგვრემან სახეზე ჩერქეზული სიამაყე გადაჰკრავდა.

ამ უხერხულ სიჩუმეში ქალები ერთმანეთს თვალით  
ზომავდნენ.

– ეჰ, ნაჯიე, ნაჯიე. დედაშენი სად არის, გოგო? –  
ალერსიანი და თანაგრძნობის გამომხატველი ხმით  
ჰკითხა საბირემ.

– მოკვდა.

– მამაშენი?

– მამაც მოკვდა...

– ძმა?

– ისიც...

– ვაიმე, შენ აქ რას უზიხარ?

– ეს ბინა ჩემი ქმრისაა.

– შენი ქმრისა?

– ჰო.

– შენი ქმარი რა კაცია, გოგო?

– კალატოზი, ახლა ჯარშია.

– სად არის?

– აქვე, ჰაიდარფაშაში, მუშათა ბატალიონში.

კვლავ გაჩუმდნენ. სანყალ ნაჯიეს გამბედაობა  
აღარ ეყო, რომ გამოპრანჭული ქალბატონები ოთახში  
შეეპატიუებინა. მხოლოდ საბირემ, მდიდრებს რომ

¹ აი, ასე! მშვენიერია! კარგია ყოჩაღ! მადლობა უფალს! (გამოხატავს  
აღტაცებას, გაკვირვებას, ქებას.)

კეთილშობილური თავმდაბლობა ახასიათებთ ხელმეორეთა  
ისე გაიღიმა:

– შიგნით შევიდეთ, ცოტა წავიჭორაოთ... ეჰ, ნაჯიე, ნაჯიე, რა უიღბლო ყოფილხარ, გოგო...

– მობრძანდით.

– მოდი, ფუსუნ, ცოტა ხანს ჩამოვსხდეთ. ერთი ამ გოგოს კარგად შეხედე. ამისთანა ლამაზ ქალს შეხვედრიხარ? ღვთის გულისათვის, სიმართლე მითხარი, შეხვედრიხარ? ამ თმას უყურე, როგორ ბუნებრივად არის დახვეული, დააკვირდი, კარგად დააკვირდი.

– მაშალაჰ, მაშალაჰ, – ცივად იღიმებოდა საბირეს ამხანაგი, ფუსუნი რომ ერქვა.

ვინრო, ჭუჭყიანი, ბნელი და მინისიატაკიანი დერეფანი გაიარეს და როცა ოთახში შევიდნენ, ისეთი სილატაკე დახვდათ, რომ ადგილზე გაიყინენ. ოთახში სკამიც კი არ იდგა, რომ ჩამომსხდარიყვნენ. სანყალმა ნაჯიემ აღარ იცოდა, რა ელონა. ერთ წერტილს თვალმიშტერებული, ალანძული იდგა და ადგილიდან არ იძროდა. თავისი სიღარიბისა ისე რცხვენოდა, თითქოს მისი ბრალი ყოფილიყო.

კუთხეში, დაგლეჯილ ჭილოფზე რამდენიმე ხელი ლოგინი ელაგა. ჭილოფის ბოლოში ნავთქურა იდგა, იქვე თიხის მოზრდილი ქოთანი მოჩანდა, რომლის გვერდით წიგნაკებზე აღებული პური და ზეთისხილით სავსე თიხის მწვანე ჯამი ენყო. უფარდო ფანჯარასთან მიდგმულ დანჯღრეულსა და ჭილოფგადაფარებულ ტახტზე ვინრო, ძველი ქეჩის ნაჭერი ეფინა.

– დაბრძანდით, სუფთაა! სთხოვა ნაჯიემ.

ქალები ტახტზე ფრთხილად ჩამოსხდნენ. ვიდრე ფუსუნი ოთახის დაბალ ჭერსა და შეთეთრებულ კედლებს ათვალთვლებდა, საბირემ თავის ძველ მეგობარს საუბარი გაუბა.

- ერთი მოდი, გვერდით მომიჯექი.  
ნაჯიეც ტახტზე ჩამოჯდა.
- რა მოხდა, რა დაგემართა, გოგო?
- ბედი ყოფილა!

...მძიმედ, გაჭირვებით დაიწყო თავისი ამბავი:

ნაჯიეს მამა სალონიკში ავად გამხდარა და სტამბოლს დაბრუნებულა თუ არა, ერთი თვეც აღარ უცოცხლია. დედამ და ნაჯიემ ეუსკუდარში ერთი ოთახი იქირავეს, მაგრამ კაცს თუ ღმერთი გადაუდგა... მალე დედა ფილტვების ანთებამ გადაიტანა. დარჩა ნაჯიე მარტოდმარტო. სახლის პატრონს, ქვრივ დედაკაცს, გოგო ძალიან შებრალებია, წასულა და იმისთვის საქმრო უპოვია. უკვე ოთხი წელია, ქმართან ცხოვრობს. სანყალი, კარგი კაცია, მაგრამ ქვეყანაზე საკუთარი სულის გარდა არაფერი აბადია. ომამდე დღეში ერთ მეჯდის<sup>1</sup> მაინც შოულობდა. ახლა ისიც აღარა აქვთ. ქმარი ჯარში წაიყვანეს, ნაჯიეს კი თვეში 30 ყურუში დაუნიშნეს. ერთადერთი ნუგეში ის არის, რომ ზოგჯერ ქმარს მცირე დროით შინ უშვებენ და მასაც თან ჯარისკაცის ულუფა მოაქვს ხოლმე...

- მადლობა უფალს, თავი როგორღაც გაგვაქვს.

- ასეთი ყოფისა მადლობელი ხარ? - გაცხარდა საბირე.

- დიდება ალაჰს!..

- გოგო, სულ გასულელებულხარ!.. დილიდან საღამომდე წიგნაკებზე აღებული პურისა და ზეთისხილის გარდა არაფერს ჭამ და მაინც ღმერთის მადლიერი ბრძანდები? ერთი შეხედე, ფუსუნ, - მიუბრუნდა საბირე შავგვრემან ქალს, - ერთი შეხედე, ალაჰს რა თავდადებული მონა ჰყოლია... არა, მაინც ვერ გამიგია,

<sup>1</sup> ფულის ერთეული, ვერცხლის მონეტა, ოცი ყურუშის ღირებულებისაა

ამ მშიერ-მწყურვალმა ქალმა ასეთი ლამაზი სხეული როგორ შეინარჩუნა?.. ერთი შეხედვე, არც ფერი დაუკარგავს და არც ხორცი...

თვითონ ყველაფერი თავზე გადასდით, საჭმელიც თავზე საყრელი აქვთ და სასმელიც, მაგრამ მაინც სისხლნაკლულნი და ყვიციანები არიან...

– მამაშენი სად არის? – როგორც იქნა, გაბედა კითხვა ნაჯიემ.

– არ ვიცი, სადმე საზღვარგარეთ უნდა იყოს!

ნაჯიემ გამოპრანჭულ მეგობარს თვალი გაუსწორა:

– დედა?

– ერთად არიან...

– შენ?

– მე?.. ეჰ, ჩემს ამბავს ვინ მოჰყვება. ჯერ... ჯერ ერთ ოფიცერზე გავთხოვდი, მერე გავცილდი.

– ახლა ვისთან ცხოვრობ?

– ნათესავებთან.

ნაჯიემ აქამდე არ იცოდა, რომ საბირეს სტამბოლში ნათესავები ჰყავდა, თანაც ასეთ მდიდარი ნათესავები!.. საბირეც ნაჯიესავით რუმელიელი<sup>1</sup> იყო...

ალარ ჩაეძია და გაჩუმება არჩია.

გამოპრანჭული ქალები, მასპინძლის სილამაზით გაოგნებულნი, ეალერსებოდნენ, ხშირ თმაზე ხელს უსვამდნენ. საბირემ თავი ველარ შეიკავა, კეფაში ხელი ჩაავლო, მიიზიდა და აკოცა... ნაჯიე უარესად დაიბნა. სტუმრები ბედის უსამართლობაზე ჩიოდნენ, ამ ლამაზი სხეულისთვის რომ არაფერი გაემეტებინა, ხოლო ბევრი მახინჯი და დაშხამული სიმდიდრით ყელამდე აევსო...

– რეფიკა მოიგონე, ფუსუნ! ქალი კი არა, პალოა. კაცმა რომ შეხედოს, გული გაუსკდება. მერე? რა ბინები

<sup>1</sup> რუმელია – თურქეთის ევროპული ნაწილის სახელწოდება

აქვს, რა ავტომობილები. ახლა ნაჯიესაც შეხედე?! ასეთი ქალი ჯემილ ბეის სიზმარში მაინც რომ ენახა, რას იზამდა?

- თვალებს არ დაუჯერებდა!
- ღმერთმანი, არ დაუჯერებდა!

საბირე კი სილატაკით დარცხვენილსა და სტუმრების სიმდიდრით გაოცებულ ნაჯიეს არ ეშვებოდა.

- თქვი, თვეში 30 ყურუშით ცხოვრობ მართლა?

- შარშან ჯარისკაცების ტანსაცმელს ვკერავდი, წელს ისიც ველარ ვიშოვე.

- ვაი, შე საცოდავო!

- ...

- არა მჯერა, ცოცხალი როგორა ხარ!

- ჩვეულებრივად!

- გოგო, ცოცხალი როგორა ხარ? ოცდაათ ყურუშად პანანკინტელა იადონსაც ვერ გამოკვებავ.

- ჩემი ქმარი ყოველ კვირა როგორღაც ერთ ოყა ზეთისხილს შოულობს და მოაქვს. მეც მყოფნის.

ნაჯიეს მაინც არ დაუჯერეს. გაახსენდათ, რომ ტალონებზე აღებულ პურს მათი მოსამსახურეებიც არ ჭამდნენ. გაახსენდათ და მწარედ გაეღიმათ.

- რას იზამ, ეს ქვეყანა ასე ყოფილა მონყობილი! - სინანულით გააქნია თავი ფუსუნმა, - მაშ, ამ პურის ჭამაც შესაძლებელი ყოფილა. ღმერთო ჩემო, ერთხელ ჩვენ ბობის მივეცი. არ შეჭამა. თან გაბრაზდა და ისეთი ყეფა და ყმუილი ატეხა, რომ გვეგონა, გაცოფდაო.

- არა, მე შენ აქ ველარ დაგტოვებ, - უცებ გაკაპასდა საბირე, - აბა, ადექი და წავიდე.

- სად?

- ჩვენთან წავიდე.

- როგორ შეიძლება?!

- როგორ და, ძალიან კარგად!

- ქმარმა რომ არ იცის?..

- აბა, სისულელეს თავი დაანებე! წამოდი, ერთი ღამე ჩვენთან დარჩი, ჭამე, დალიე და ვნახოთ, უკან დაბრუნდები თუ არა?

- ა...ა...

- აბა, აბა, ნავიდეთ, მე შენ გეუბნები!

ნაჯიეს ვერ გაებედა სახლიდან ქმრის დაუკითხავად წასვლა. მართალია, ის ამალამ შინ არ მოვიდოდა, მაგრამ... ისიც მართალია, რომ საბირესა და ფუსუნს ძალზე შეებრაღათ ნაჯიე, აღარ იცოდნენ, რა ექნათ, როცა გაიგეს, რომ ამ ქოხში ოთხი წელი იქნება, რაც ცხელი სადილი არ დამზადებულა... შეებრაღათ და თავისთან მიიპატიჟეს, მაგრამ ქმრისგან ნებადაურთველად?!

საბირე და ფუსუნი დღეს ამ უბანში ეტლით მოსულან, მზარეული უნდა დაიქირაონ! ძველი მზარეული მოსამსახურეებს გადაჰკიდებია, ამათაც უფიქრიათ, ერთი კაცის შეცვლა აჯობებსო და მზარეულის ძებნაში ნაჯიეს უბანში კი ამოუყვიათ თავი...

თანაც, ფუსუნმა ხომ თქვა, რომ ამალამ დიდ ვახშამს ვმართავთო. ვახშამზე ათასგვარი ტკბილეული და ღვინო ექნებათ...

ნაჯიემ ყურებს არ დაუჯერა, როცა გაიგო, რომ თურმე ფუსუნი მარტო საუზმეზე 40 ლირის შამპანურს ყიდულობს ხოლმე...

შემწვარ-მოხრაკულისა და ტკბილეულის ხსენებაზე საცოდავ ნაჯიეს კუჭმა წვა დაუნყო. თავისი სივარდაზე და უბედობა უფრო ცხადად დაინახა. წლები გავიდა, რაც სადილსა და ტკბილეულობაზე ოცნებობს... ზეთისხილისა და ყველის გარდა ყველაფრის გემო გადაავინყდა...

საშინელი, აუტანელი, მძაფრი შიმშილი იგრძნო.

არა, ერთ ღამეს კი წავიდოდა სტუმრად, მაგრამ ჩასაცმელი რომ არაფერი აბადია?

როგორც იყო, თავისი სადარდებელი ქალებს გაუმფლავნა.

ფუსუნმა და საბირემ ერთმანეთს გადახედეს.

– მოდი, ნაჯიე ჯერ დოღანჯილარში<sup>1</sup> მუაზიზ ხანუმთან წავიყვანოთ. ისიც ნაჯიესავით მაღალი ქალია, ნაჯიეს იმის კაბაც კარგად მოუვა და მოსასხამიც, – წამოიძახა საბირემ.

– ღმერთმანი, კარგი რამ მოიფიქრე, – გაუხარდა ფუსუნს, – ის ქარაფშუტაც ჩვენთან წამოვიყვანოთ.

ფეხზე წამოდგნენ.

დილიდან მოყოლებული ნაჯიეს პირში არაფერი ჩაედო. ზეთისხილმა და უვარგისმა პურმა ისე მოაბეზრა თავი, რომ სანამ ძალიან არ მოშივდებოდა, ხელს არ ახლებდა ხოლმე. საცოდავი, სასმელ-საჭმელზე საუბარმა ისე გაახელა, რომ სხვა აღარაფერზე ფიქრობდა, თვალწინ მხოლოდ თეთრსუფრაგადაფარებული მაგიდა ედგა, რომელზედაც შემწვარ-მოხრაკული, ფლავი, ტკბილეული, კომპოტი და ათასი სხვა რამ ელაგა... იმაზე კი არც დაფიქრებულა, ასე როგორ გამდიდრდა მისი დობილი.

როცა ქალები წამოდგნენ, ნაჯიეც წამოხტა, ანგარიშიშიუცემლად აიღო სანოლზე მიგდებული, დაკერებული შავი შალი და მხრებზე მოისხა.

– ერთი ამას უყურე, ფუსუნ, ამ ძონძებშიც კი დედოფალს არ ჩამოუვარდება, არა?

სახლიდან გამოსულებს დიდხანს არ უვლიათ, ერთ პატარა ქუჩაზე ეტლი უცდიდათ.

როცა ეტლში ჩასხდნენ, საბირე მეეტლეს მიუბრუნდა:

<sup>1</sup> სტამბოლის კვარტალი

– დოლანჯილარში გარეკე!

ნაჯიე წინ დაისვეს. მთელი გზა ჩაცმა-დახურვაზე მუსაიფობდნენ, მაგრამ ნაჯიეს მათი არაფერი ესმოდა, კვლავ უხვად განყობილ სუფრაზე ოცნებობდა, რომელსაც ამალამ მიუჯდებოდა...

ისინი კი ნაჯიეს თვალს ვერ ამორებდნენ, ალტაცებულნი იყვნენ და ნაჯიეს ხელებს ეაღერებოდნენ.

– ნაჯიე ხანუმს ხელები ისეთი აქვს, თითქოს ყოველდღე რძით იბანდეს...

მართლაც, ნაჯიეს მშვენიერი ხელები ჰქონდა. ამ ხელებს კი საღამოობით ზამთარ-ზაფხულ უბნის წყაროდან ამოტანილი ცივი წყლით იბანდა. საპონი ძვირი ღირდა, არ იშოვებოდა და ნაჯიე ცდილობდა, ხელები არ დაესვარა. ეგ კი არა, აბდესტსაც<sup>1</sup> კი ცივი წყლით იღებდა ხოლმე.

ეტლი ერთ დიდ, თეთრ სახლთან შეაჩერებინეს. სახლი მინგრეულ-მონგრეულ, შეუღებავ ქოხებს შორის უცხოელი სტუმარივით გამოიყურებოდა. კარი გოგონამ გაუღო, რომელსაც ქათქათა წინსაფარი ეკეთა.

– ხანუმ ელენი შინ არის? – იკითხა საბირემ.

– შინ არის.

– ნადი და მოახსენე...

– მობრძანდით.

მათ მარმარილოსიატაკიანი დერეფანი გაიარეს, მოსამსახურე გოგო ზევით ავიდა. ქალებიც კიბეს აუყვნენ და როგორც კი აათავეს, სახლის პატრონი გიჟივით გამოეგება:

– აჰ, თქვე საძაგლებო, რომელმა ქარმა გადმოგადდოთ, რომელმა ქარმა?

ჯერ ფუსუნს მოეხვია, მერე საბირეს, ორივე გადაკოცნა.

<sup>1</sup> სარიტუალო განბანვა ლოცვის წინ



- რომელმა ქარმა და, გამოიცანი!
- არ ვიცი, არ ვიცი... ლამეს აქ გაათევთ?
- არა...

მასპინძელი შუახანს გადაცილებული, მაგრამ მალალი და საკმაოდ ლამაზი ქალი იყო. დიდრონ თვალეზე სურმა ჰქონდა ნასმული. ნაჯიეს რომ შეხედა, თვალეები აახამხამა და ქალებს ჰკითხა:

- ეს გადაცმული ქალი ვილაა?
- გადაცმული კი არა, თავისი ტანსაცმელია...
- ცრუობთ.

- ღმერთმანი, გადაცმული არ არის, - დაიფიცა საბირემ, - შენთან იმიტომ მოვედით, რომ ტანსაცმელი ათხოვო, ამდამ ჩვენთან სტუმრად მოდის.

- ტყუით, ტყუით...
- ღმერთმანი, მართალს ვამბობ...

მასპინძელმა განითლებული ნაჯიე კარგად შეათვალა, მაინც არ სჯეროდა ქალების ნათქვამისა. ნაჯიეს ერთხანს უყურა, უყურა და მერე მამაკაცური უნით წამოიძახა:

- ღმერთო, რა ლამაზია!
- შენ ჯერ ჩააცვი და მერე ნახე, როგორი იქნება, - უპასუხა ფუსუნმა.

\*\*\*

ფართო სანოლ ოთახში, დიდსარკიან კარადასთან, ქალებმა ნაჯიეს ძველმანები გახადეს და როცა შიშველს შეხედეს, თვალეები ლამის ბუდიდან ამოუცვივდათ! დიასახლისმა ხელები თეძოებზე შემოირტყა და წამოიყვირა:

- გამჩენო, კაცი რომ ვყოფილიყავ!..

მშვენიერი, თეთრი აბრეშუმის კაბა ჩააცვეს, წინდებში გამოაწყვეს, ყომრალი ხშირი თმა მოდაზე



დაუვარცხნეს, თან გაუთავებლად ოხრავდნენ... მერე შეზღონგებში ჩასხდნენ და გაოცებულნი, კმაყოფილებით შესცქეროდნენ მორთულ ნაჯიეს, შესცქეროდნენ ისე, როგორც მხატვარი მიაჩერდება ხოლმე თავის საყვარელ სურათს... ნაჯიე ხმას არ იღებდა, მხოლოდ იღიმებოდა და ეგონა, რომ ქალები ზედმეტად აქებდნენ. „ნეტავ, მართლა ასე ლამაზი ვარ?“ – ფიქრობდა და ცალი თვალით სარკეში იხედებოდა.

მოსამსახურე გოგომ ჩაი შემოიტანა ვერცხლის სინით. მომცრო მყალთან სკამები მიიწიეს და გარშემო შემოუსხდნენ, თან პაპიროსები გააბოლეს. საუბარი მამაკაცებზე ჩამოვარდა. ნაჯიე უსმენდა, ყურადღებით უსმენდა, ვერ ერწმუნა, თუმცა გულში კი ფიქრობდა, რომ ესენი კაი სულის ადამიანები არ უნდა ყოფილიყვნენ! ტანზე აბრეშუმის სამოსი ეცვათ, სკამებსა და სავარძლებზე აბრეშუმი ეფინათ, ფეხქვეშ რბილი და ალისფრად მბრწყინავი ხალიჩა ეგოთ, იქნებ ისიც აბრეშუმისაა? ამ სიმდიდრის პატრონებს როგორი სუფრა ექნებათ? უყურებდა ოქროთი მოვარაყებულ ვერცხლის საშაქრეს და მშიერს შემწვარი და მოხრაკული, წვნიანი და ტკბილეული ეჩვენებოდა... ამ საღამოს ნაჯიეც ცხელ, ცხიმიან საქმელს მიირთმევს...

- რიზა ამ გოგოს ერთ ღამეში ათას ლირას მისცემს!
- არ მისცემს. მხოლოდ იბღინძება და ყოყოჩობს. როცა საქმე ფულზე მიდგება, ვაჟკაცობა აღარ ჰყოფნის.
- მილოვიჩს ხომ მისცა ათი ათასი ლირა?
- ეს სხვა საქმეა...
- რატომ სხვა?
- ისე, ჯიბრისთვის...
- ჰაჯი იბრაჰიმს რომ ენახა?
- მეშინია, რომ მისცეს რამე! ისე კი, ბინას ნამდვილად უყიდდა.



ნაჯიე ახლა კი მიხვდა, ქალები რასაც ლაპარაკობდნენ, მიხვდა და გულმა ბაგაბუგი დაუნყო... მამ, ნაჯიე ამალამ ვილაცას უნდა უფეშქაშონ? ამ ბებრუცუნას ტანსაცმელს ახლავე გაიძრობს, თავის ძველმანებს გადაიცვამს და გაიქცევა... უცებ შენიშნა, რომ ქალები პაპიროსს უწვდიდნენ...

– ღმერთმანი, არ ვენევი.

არ დაუძალებიათ.

...მაგრამ ეს აბრეშუმის ტანსაცმელი ისე მოსწონს, ეს ალისფერი მაქმანი ისეთ აუნერელ სიამოვნებას ჰგვრის რომ...

„ერთ ღამეს რა მოხდება? მაშინვე ვინმეს მკლავებში ხომ არ ჩამაგდებენ? ამალამ ცოტაოდენ ცხელ საჭმელს ვჭამ, ხვალ დილით კი გავიქცევი“, – ფიქრობდა ნაჯიე.

მუცელი გულივით უფართხალებდა... უკვე ნალაპარაკევიც აღარ ესმოდა. მხოლოდ ხორცსა და ტკბილეულზე ფიქრობდა, მხოლოდ იმ საჭმელზე ფიქრობდა, რომელიც აგერ უკვე ოთხი წელია, თვალით არ უნახავს... არა, ახლა კიდევ რომ ადგეს და სახლში წავიდეს, იქ რა დაუხვდება?

თვალწინ თავისი ქოხი, დანჯღრეული ნავთქურა და მწვანე ქილა, ზეთისხილი და შავი პური წარმოუდგა. ყველაფერი ეს სასჯელივით ეჩვენებოდა ნაჯიეს. კბილები ისე გააკრაჭუნა, თითქოს იმ შავ პურს ღეჭავდა. ნერწყვი გადაყლაპა და გადანყვიტა, დარჩენილიყო: რაც მოსახდენია, მოხდესო. ერთხელ მაინც ადამიანურად ვივახშმებო და შეეცადა მოსალოდნელ ხიფათზე აღარ ეფიქრა.

ქალები თავიანთ განზრახულს უკვე ამკარად ეუბნებოდნენ. აი, ნაჯიეს ვინმე კაცს აჩვენებენ და იმ ვილაცას გააგიჟებენ, ნამდვილად გააგიჟებენ.

– აბა, ახლავე ეტლში ჩასხედით, იქნებ გემის მეოთხე

რეისს<sup>1</sup> მიუსწროთ. მოდაზე გაისეირნეთ, უეჭველად ვინმეს გადაეყრებით, — მბრძანებლობდა მუაზიზ ხანუმი.

წამოხტნენ, ნაჯიესაც შავი აბრეშუმის მოსასხამი წამოასხეს, ხელში კი მოოქროვილი, ხავერდის ლამაზი ჩანთა მიაჩერეს. შემდეგ დიდხანს კოცნიდნენ მასპინძელს. მუაზიზმა ნაჯიეც გადაკოცნა და მერე ყველანი კარებამდე მიაცილა. ქალებმა ნაჯიე წელანდელივით ეტლში ცალკე კი არ დასვეს, შუაში ჩაისვეს. ღონიერმა ცხენებმა ეტლი ცარიელ ქუჩაში ბუმბულივით გაიტაცეს. შიმშილისაგან მისავათებულ ნაჯიეს კვლავ არ ესმოდა საბირესა და ფუსუნის საუბარი. როცა ჰაიდარფაშაზე, ზღვის სანაპიროსთან გავიდნენ, ნაჯიე გაოცებული იყურებოდა გარშემო. საცოდავს, კადიქოის მეტი არაფერი ენახა. უსკუდარის მინგრეულ-მონგრეულ უბანს შეჩვეულს, სუფთად მოკირწყლული ქუჩები უცხოვდ ეჩვენებოდა. გაკვირვებული ათვალიერებდა აგურის მაღალ შენობებს და ასე ეგონა, სადღაც უცხო ქვეყანაში ვიმყოფებითო. ფუსუნსა და საბირეს ვილაც გამოპრანჭული კაცები ხელის აწევით ესაღმებოდნენ. ბოლოს ეტლი მოედანზე შედგა. მოედნის ბოლოს ვეება ხეები ჩამწკრივებულიყო. ხეებს შორის კი უნაპირო ზღვა მოჩანდა. მოედანზე ბევრი ეტლი იცდიდა. სანაპიროზე ხალხი ირეოდა. სეირნობდნენ, საუბრობდნენ, იცინოდნენ. ნაჯიე ამ სანახაობის ცქერით იყო გართული, როცა იგრძნო, რომ საბირე ვილაცას გამოესაუბრა. მობრუნდა და საბირესთან ვილაც გამხდარი, შავწვერიანი და ქერათმიანი ახალგაზრდა იდგა, რომელსაც თეთრი შარვალი და ლურჯი ჯემპერი ეცვა.

<sup>1</sup> სტამბოლის ევროპულსა და აზიურ ნაწილს, რომელსაც ჯყოფს ბოსფორის სრუტე, აკავშირებდა სპეციალური გემები ან ბორნები. მათ გადააყავ-გადმოაყავდათ მგზავრები, გადააქონდ-გადმოაქონდათ ტვირთი და ა.შ.

– ღვთის გულისათვის, ვინ არის? – ეკითხებოდა ის ქერათმიანი.

– არ ვიცი, ეტლში დაგვემგზავრა, – იცინოდა საბირე. ნაჯიემ ყურები ცქვიტა და იმათკენ თვალი გააპარა, მაგრამ როცა ახალგაზრდა კაცის თვალებს ნააწყდა, დამფრთხალი ფუსუნისკენ შემობრუნდა. ფუსუნი სერიოზული სახით იდგა და თავი ისე ეჭირა, თითქოს იმ ჭაბუკს ვერც კი ამჩნევსო.

– ღმერთი არა გნამს, მითხარი, ვინ არის?

– ვინ უნდა იყოს, ადამიანია.

– ადამიანი კი არა, ანგელოზია...

– ასე ფიქრობ?

– საბირე, ძვირფასო, გამაცანი.

– ჩემო კარგო, მამაკაცებს არ ეკარება, არ ესაუბრება, მხოლოდ ჩვენთან...

– ღმერთი არა გნამს, გემუდარები!

– ამაღამ ჩვენთან მოდი.

– სტუმრები გეყოლება, თქვენთან ერთი აურზაური იქნება. ხომ იცი, რომ სმას თავი დავანებე. ბოლო გემით მოვედი, თანაც ნასადილები ვარ. თქვენ შეექცევით, მე კი შორიდან უნდა გიყუროთ.

– მერე რა, შენც შორიდან გვიყურე!

– მერედა, ეს სინდისია?

– შენ რომ ანგელოზით გოგო ნაიყვანო, ეს სინდისია?

– საბირე, ნუ ჯიუტობ. ჩვენები ერთი კვირაა ბუიკადაზე არიან... სახლში მარტო ვარ. ასეთ შემთხვევას ნუ დამაკარგვინებ. გამაცანი. რამდენიმე დღე შენი ნყალობით დროს გავატარებ...

თითქმის ჩურჩულებდნენ, მაგრამ ნაჯიეს თავის გულისცემასთან ერთად მათი ნალაპარაკევი სიტყვასიტყვით ესმოდა.

– ჩემი ნყალობით რომ დრო ატარო, მერე მე რა?

- რას ისურვებ, თქვი?

- მე რა უნდა გითხრა!

- ას ლირას ახლავე მოგცემ!..

- ჩამოდი, მეტს ჩამოდი!

- ას ოცი.

- სანვრილმანოს დუქანაში ხარ! რა გროშებს აჩხაკუნებ?!

- ას ორმოცდაათი, საბირე...

- ჩამოყაჭე! ერთი ის შენი გამხმარი მილოვიჩი მოიგონე და მერე ამ გოგოსაც შეხედე! მეტი ჩამოყაჭე!

- ორასი.

- თვითონ მას რამდენს მისცემ?

- შენ ნუ ჩაერევი...

- თქვი, თქვი...

- ვალაპ, საბირე, ჩემს სიცოცხლეში ასეთ ლამაზ ქალს არ შევხვედრივარ. საცხოვრებელს გავუჩენ, იქნებ ცოლადაც შევირთო...

- აბა, აქედან მოუსვი. ასე მეც დიდხანს მასულელელებდი...

- მაგრამ, საბირე, ეს ძალიან ლამაზია!

ერთი სიტყვით, გახურდა ვაჭრობა და ამის მონმე ნაჯიეს სული შეეხუთა. იფიქრა, ეტლიდან გადმოვხტები და თავს ვუშველიო, მაგრამ სად უნდა წასულიყო? შიმშილისგან თავბრუ ეხვეოდა. სახლი გაახსენდა და სიმწრისგან კბილები გააკრაჭუნა.

...ახალგაზრდამ ქალებს გასეირნება შესთავაზა. ფუსუნი დათანხმდა. ეტლიდან ჩამოვიდნენ თუ არა, საბირე მკვირცხლად მიბრუნდა და ნაჯიე იმ ახალგაზრდას გააცნო.

- ჩემი ბავშვობის მეგობარი ნაჯიე ხანუმი. ეს კი ფასიპ ბეი გახლავს, ფაშას შვილია და ფულებს ქალაღლივით აფრიალებს.



შეცბუნებულმა ნაჯიემ ძლივს გაიღიმა. ტროტუ-  
არს გაუყვნენ. მოსეირნენი ცნობისმოყვარეობით  
შესცქეროდნენ.

დიდხანს ისეირნეს.

ნაჯიეს შიმშილისგან მუცელი ეწვოდა და თვალებში  
ჩრდილები უთამაშებდა.

მზე ხეებს იქით იკარგებოდა. ჰორიზონტზე ალის-  
ფერი და წითელი ღრუბლები იყრიადა თავს. მო-  
სეირნეებს შორის პატარა ბიჭები ველოსიპედებს  
დააქროლებდნენ.

– აბა, ბავშვებო, გვეყოფა, ახლა ნავიდეთ, ძალზე  
დავიღალე; ამაღამ სტუმრები გვყავს, გვიცდიან, –  
თქვა საბირემ, მერე ფუსუნს მიუბრუნდა, – ფასიჰ ბეიც  
წამოვა?

– შენ თვითონ ჰკითხე, არ მოდის.

– მე ვერ წამოვალ, მაპატიეთ, ქალბატონებო, –  
ბოდში მოიხადა ფასიჰ ბეიმ.

– ფასიჰ, – მიუბრუნდა საბირე ახალგაზრდა კაცს, –  
ამაღამ ჩვენთან ერთი აურზაური იქნება. ნაჯიეს ასეთი  
ამბები არ უყვარს. ამაღამ შენთან დარჩება სტუმრად!

– დიდი სიამოვნებით, თუკი მიკადრებს!

– ...

ნაჯიემ ხმა ვერ ამოიღო. ისე იყო მისუსტებული, რომ  
განძრევაც კი უჭირდა. მხოლოდ ოდნავ იღიმებოდა.

მართლაც, საბირესთან რომ ნავიდეს, იქნებ შუა-  
ღამემდე ვერც კი მიუსხდნენ სუფრას. ჯერ მუსიკა,  
ცეკვა, გართობა. ეს ახალგაზრდა კი შინ მარტო ყო-  
ფილა. უკვე ღამდება კიდეც. ამათ ხელიდან მაინც  
ვერსად წაუვა. ფასიჰთან წასვლა უფრო ხელსაყრე-  
ლია. მივლენ თუ არა, მაშინვე ივახშმებენ, მერე დი-  
ღამდე როგორმე თავს დაიძვრენს, სისხამ დილას კი  
გაიქცევა...



ფასიპ ბეის ეტლი მოედნის ბოლოს იცდიდა. საბირესა და ფუსუნს დაემშვიდობნენ. ახალგაზრდამ ხელკავი გამოსდო და ეტლში ჩასხდნენ. ეტლი გაჩაღებულ დუქნებს შორის მიქროდა. ახალგაზრდა ქათინაურებს არ იშურებდა და ნაჯიეს ქება-დიდებას ასხამდა:

– ღმერთო, დიდებულო, სად დაიბადეთ ასეთი ლამაზი, სად გაიზარდეთ ასეთი მშვენიერი?

ნაჯიე კი იმაზე ფიქრობდა, თუ რა მდიდარი უნდა ყოფილიყო ეს ახალგაზრდა, რომელმაც ნაჯიეს გაცნობისთვის საბირეს ორასი ლირა მისცა. თან ცდილობდა, წარმოედგინა ის სუფრა, რომელსაც ამაღამ ფასიპ ბეი გაშლიდა.

ალთინოლაღიზი, იოღურთჯუ, ბაღდადის ქუჩა სულ ჭენებით გაიარეს.

ფასიპ ბეის კი ნაჯიეს მოწყენილი, ნალვლიანი თვალები მეტისმეტად მოსწონდა და გამუდმებით ეკითხებოდა:

– ღვთის გულისათვის, რაზე ფიქრობთ? რა განუხებთ?

– არაფერი, ეფენდიმ!

– რატომ ხართ ასეთი სევდიანი?

– არაფერია, ეფენდიმ...

ნაჯიემ დააპირა მობრუნებულიყო და ეკითხა, როგორც კი მივალთ, ხომ მაშინვე ვივახშმებით, მაგრამ ენას კბილი დააჭირა...

მარჯვნივ, ცის დასალიერს, ჩამავალი მზისგან დანატოვარი მონითალო ფერი ჯერ კიდევ არ ჩამქრალიყო.

ცაცხვნარი გაიარეს და როცა ეტლი შეჩერდა, ნაჯიე ისე შეკრთა, თითქოს მძინარე გამოალვიძესო. ფასიპი ძირს ჩამოხტა და ხელი გაუნოდა:

– მობრძანდით...

რკინის გისოსებიან ჭიშკართან შედგნენ. შიგნით,

სიბნელეში, ხეების ხეივნის ბოლოს ვილაცის სილუეტს მოჩანდა. როცა კარი გააღეს და შევიდნენ, ფასიჰმა დაუძახა:

– ისლამ, ისლამ!

– ეფენდუმ, – მოისმა შორიდან ალბანელის ხმა.

– გაიქეცი და სალონში სინათლე აანთე!

– ახლავე, ეფენდუმ, – წინ შემოეგება მაღალი, წარმოსადეგი მსახური.

– შინ მებალის გარდა არავინ არის, ნურაფრისა მოგერიდება, ჩემო ლამაზო, – მიუბრუნდა ფასიჰი ნაჯიეს.

– ...

– ნურავისი მოგერიდება!..

– კარგი...

ქვის განიერი კიბე აიარეს. ანტრესოლსა და სალონში უკვე გაზის ნათურები ენთო. ნაჯიე, რომელსაც ასეთი ფუფუნება და მორთულობა არასოდეს ენახა, ახლა განცვიფრებული შესცქეროდა აქაურობას. სალონში რომ შევიდა, კინალამ შიმშილიც კი გადაავიწყდა. ხალები და ხალიჩები, კედლებზე სურათები, მძიმე ფარდები, შუაში მაგიდა... ყველაფერს ცალ-ცალკე სინჯავდა და აკვირდებოდა. სალონის დათვალიერება რომ მოათავა, კვლავ მწვავე შიმშილი იგრძნო. რა თქმა უნდა, სასადილო ოთახი ამაზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. სასადილო ოთახის გახსენებაზე ნაჯიემ შემწვარი ხორცის სუნიც კი იგრძნო.

ფასიჰი ღიღინებდა... რალაცას, ნაჯიესთვის გაუგებარს ჰყვებოდა მარადიულ სიყვარულზე, ქორწინებაზე, ბავშვებსა და დაუსრულებელ ბედნიერებაზე...

\*\*\*

ნაჯიეს არ ახსოვს, რა დრო გავიდა.

- ახლა კი ზევით ავიდეთ, საყვარელო!

- სად? - უაზროდ ჰკითხა ნაჯიემ, რომელსაც სასადილო ოთახში გაშლილი მაგიდა გონებიდან არ შორდებოდა.

- ჩემს სანოლ ოთახში, საყვარელო!

- მაგრამ...

- რა, საყვარელო?

- ცოტა რამ გვეჭამა, - შენუხებული ხმით ამოთქვა ნაჯიემ.

- ვაი, ჩემს თავს, - წამოიყვირა ფასიჰმა, - წამდვილი დიდყურა ვბრძანდები! შენმა სილამაზემ ისე გადამრია, რომ არც მიკითხავს გშია, გწყურია... ღვთის გულისათვის, მაპატიე. მე სტამბოლში ვისადილე. მოითმინე, ამ წუთში რამეს მოვიგონებთ.

შემდეგ წამოხტა, ღია ფანჯარაში თავი გაყო და დაიყვირა:

- ისლამ, ისლამ!

- ეფენდუმ.

- ერთი აქ მოდი, ჩქარა მოდი.

- ...

- ...

- ეფენდუმ!

- აბა, გაიქეცი და საჭმელი რამე მოიტანე.

ნაჯიემ საჭმლის ხსენებაზე ყურები ცქვიტა.

- რა მოვიტანო, ეფენდუმ?

- რაიმე მოიტანე...

- შუალამე გახლავთ, ეფენდუმ, ახლა ყველგან ყველაფერი დაკეტილია.

- ბევრს ნუ ყბედობ. შენ ის გააკეთე, რასაც გეუბნებიან!



მსახური რომ წავიდა, ფასიპი ისევ ნაჯიესთან დაბრუნდა, ლამაზი ხელი დაუჭირა და კოცნა დაუნყო.

– მაპატიე, საყვარელო. ხვალ რესტორანში წავალთ. გონი დავკარგე, მაპატიე...

– რას ბრძანებთ...

– ასეა. ვახშამი სულ დამავინწყდა... შენ რომ დაგინახე, ღმერთმანი, გონი დავკარგე...

მსახურის ფეხის ხმა გაისმა. ნაჯიეს ახლა ფასიპის საუბარი აღარ ესმოდა, ყური ფეხის ხმაზე ჰქონდა გამახვილებული.

– მობრძანდით, მზად არის, ეფენდუმ! – გაისმა მსახურის ხმა.

წამოდგნენ. წინკარში მაგიდას შემოუარეს. ფასიპი კართან შეჩერდა.

– მობრძანდით, ეფენდუმ!

ნაჯიე სწრაფად შევიდა. არაჩვეულებრივად ფართო სასადილო ოთახი იყო. ლამპის შუქზე ბუფეტში განყოფილი ბროლის ჭურჭელი კიაფობდა. დიდ, ოთხკუთხა მაგიდის თავსა და ბოლოში ერთმანეთის პირისპირ ორი სავარძელი იდგა. ერთ-ერთის წინ თეფში იდგა.

– მობრძანდით, ეფენდიმ!

– ...

ფასიპმა ნაჯიე სავარძელში ჩასვა. როცა ნაჯიემ თეფშს დახედა, მწარედ ამოიგმინა.

თეფშზე ზეთისხილი ელაგა, გვერდით შავი პურის ნაჭერი ედო, იმ პურისა, რომელსაც აგერ უკვე ოთხი წელია, ზიზლით ჭამდა. მაგიდაზე დაემხო, თავი მკლავებში ჩარგო და მწარედ აქვითინდა. ფასიპი ვერაფერს მიხვდა. იგი სავარძლის უკან იდგა და მხოლოდ ნაჯიეს თეთრ პელერინას ხედავდა, თეფშისთვის არც კი დაუხედავს. მსახურს სხვა ვერაფერი ეშოვა, ამასაც ტალონებზე იღებდნენ და ძალღებისთვის ინახავდნენ...

ნაჯიეს ცრემლებმა მკლავები დაუსველა. ფასიჰმა დაფაცურდა:

- რა მოხდა, საყვარელო, რა მოხდა?

- არაფერი, - როგორც იყო, ხმა ამოიღო ნაჯიემ, წამოდგა და კარისკენ გაემართა.

ფასიჰმა შეჩერება სცადა:

- ღვთის გულისათვის, დამეხსენით, თორემ მერე ინანებთ! - იყვირა ქალმა. ლამაზი, ღია ცისფერი თვალები ნაკვერჩხლებივით უვარვარებდა. ახალგაზრდამ გზა მისცა და გახევებულმა თვალები გააყოლა. როცა ბალის ბილიკიდან ქალის ფეხის ხმა მოისმა, თვალებდაჭყეტილმა ფასიჰმა ჩაიბურღლუნა:

- ვაჰ, ეს რა გადარეული ყოფილა, კაცო?!

\*\*\*

სიბნელეში მიაბიჯებდა ნაჯიე... იმის გაცნობისათვის, მხოლოდ გაცნობისათვის ორასი ლირა გადაიხადეს, თვითონ კი ერთ ვახშამზე წამუსი ლამის გაყიდა...

კვლავ გაახსენდა დიდებული სასახლენი, მდიდრულად მორთული დარბაზები, ოქრო-ვერცხლით მოჭედნილი ნივთები, ბროლ-მინანქრის ჭურჭელი და... ზეთისხილი და შავი პური...

უკვე მიფარფატებდა. აღარ ტიროდა. გული ქვასავით დამძიმებოდა.

რომელიღაც ბნელ ქუჩაზე გაუხვია და ფეხს აუჩქარა. არ იცოდა, სად იყო და სად მიდიოდა. ქუჩა დამთავრდა და შორიდან ტალღების ხათქახუთქი გაისმა. ქარი წიოდა და ხეებს არხევდა... ზღვისკენ გაემართა. სანაპიროზე წყვილიადი განოლილიყო. იქით გაეშურა. ცივი ქარი სცემდა სახეში. ის წყვილიადი ზღვასთან დასრულდა. ნაჯიე შედგა და მრუმე ზღვას დიდხანს, დიდხანს გასცქეროდა.



აქ უნდა დამთავრდეს ნაჯიეს ცხოვრების გზაც...  
კარგად იცოდა, რომ ეს ოხერი სიღარიბე სამოთხეშიც  
კი არ მიატოვებდა... მაგრამ ძალა, ძალა აღარ ეყო...  
ჩაიკეცა და თვალები ფარანს მიაშტერა, რომელიც  
ვარსკვლავით კიაფობდა. ფარნის შუქი თითქოს ნელ-  
ნელა იზრდებოდა, ნითლდებოდა, აღისფერი ხდებოდა,  
თითქოს სუსტი და საამო სინათლე ქვადქცეულ, გა-  
ყინულ გულს თანდათანობით ალღობდა და ათბობდა...

## კოლექცია

თოქათლიანის<sup>1</sup> გაყოლებით 25 ნომერ ბინას ვეძებდი. ლუი დურანი მთელ ქალაქში სიმდიდრით ცნობილი კაცი გახლდათ. შორიდან ვიცნობდით ერთმანეთს – ყოველ საღამოს თოქათლიანში შემოდიოდა ხოლმე. იმის ცოლსა და ქალიშვილს მთელი ქალაქი მოჰყავდა აღტაცებაში. ცოლი შავგვრემანი, საოცარი სილამაზის ქალი იყო. ქალიშვილი ჯერ ცამეტ-თოთხმეტი წლისა თუ იქნებოდა; მთელი ბეიოლლუს მოსახლეობა „ოქროს ფერიას“ უწოდებდა. ლამაზი, ძალზე ლამაზი თოჯინა ხომ გინახავთ? აი, ისეთი იყო.

მზე ისე შეუბრალებლად აჭერდა, თითქოს შუა ზაფხული ყოფილიყო, გახურებულ ქვაფენილს აღმური ასდიოდა და სიცხისგან შეწუხებულს ასე მეგონა, ტანზე ჭიანჭველები დამფუთფუთებდნენ. ვიფიქრე, უკეთეს შემთხვევას როდისღა ვნახავ-მეთქი. კარი მოვძებნე და ზარი დავრეკე. ბერძენი მსახური შემომეგება და დამტვრეული ფრანგულით მკითხა:

- მუსიო, ვინ გნებავთ?
- მუსიო დურანის ნახვა მსურს.
- თქვენი სახელი?..

ჩემი სადარბაზო ბარათი გავუწოდე. მოსაცდელ ოთახში შემიძღვა, თვით კი მასპინძელთან ამბის შესატყობინებლად გაბრუნდა.

<sup>1</sup> რესტორანი

მივიხედ-მოვიხედე და გავოცდი: კედლები და იატაკი მთლიანად მოფარდაგული იყო... ოთახის მოწყობილობა და მორთულობა ხუთას ლირაზე მეტი ეღირებოდა, ეჭვს არ იწვევდა, რომ ლუი დურანი იმაზე მდიდარი კაცი უნდა ყოფილიყო, ვიდრე სახელი ჰქონდა...

მე ავეჯის ფასი მშვენივრად ვიცოდი იმის გამო, რომ რამდენიმე ბინა მქონდა მორთული და განწყობილი, მაგრამ, იმისმა ღირებულებამ, რაც აქ ვიხილე, პირდაპირ გამახევა...

დურან ბეი თავაზიანად შემომეგება და მეუღლე გამაცნო. მე ვცდილობდი, ჩემი თანდაყოლილი სიმორცხვე დამეფარა და თავი თავისუფლად, მხიარულად დამეჭირა. უცებ ოთახში „ოქროს ფერია“ შემოფრინდა...

ღმერთო ჩემო, რა ნაზი, რა მოხდენილი, რა მშვენიერი ქმნილება ყოფილა... იმის დედას დაბალი არ ეთქმოდა, ის კი დედაზე მაღალი გახლდათ...

დურან ბეიმ თავისი ოჯახის გენეალოგია გამაცნო: იმის პაპის მამა წარმოშობით ნორმანდიელი ყოფილა, ამჟამად საფრანგეთში იმისგან დანატოვარი ბინები ჰქონდათ. დედა იტალიელი ებრაელი ჰყოლია.

ნეტავ, ცოლი რა ეროვნებისა ჰყავს?

ვითომ სომეხია?

- არა, არა ჰგავს...

ვინც უნდა ყოფილიყო, ეს კია, რომ ამ ქალს ლამაზი და გიჟმაჟი მამაკაცისთვის დამახასიათებელი საქციელი ჰქონდა.

მადმუაზელ დურანი კი... ფრთებდამსხვრეულ, მიწაზე დაშვებულ ანგელოზს ჰგავდა. თეთრი, იმდენად თეთრი კანი ჰქონდა, რომ, როცა მის მკლავებს ვუყურებდი, ასე მეგონა, თუ ხელით შეეხები, იმ წამსვე... დაიღვრება-მეთქი. ხშირი, ყომრალი თმა თავზე მძიმე, უბადლო, ფასდაუდებელი და ჯადოსნური გვირგვინი-

ვით ედგა. მუხლებსა და მკერდზე კი ეტყობოდა, რომ ჯერ ისევ ბავშვი იყო.

– დიდი ინტერესით ეკიდება პოლიტიკას, რეგულარულად კითხულობს ევროპულ გაზეთებს, – მომიბრუნდა მუსიო დურანი.

– პოლიტიკა კი არა, – გაიცინა გოგონამ, – უბრალოდ კითხვა მიყვარს.

– ალბათ ლიტერატურა გიტაცებთ, – ვკითხე ენის ბორძიკით.

გაოცებულმა შემომხედა და სახეზე აღმურმა გადაჰკრა.

– რალაც სისულელე წამოვროშე-მეთქი, – გამიელვა თავში და შევეცადე, აზრი მომეკრიფა.

– ლიტერატურა? ლიტერატურა ხომ სულის ვაება და კოშმარია. განსაკუთრებით დღევანდელი ლიტერატურა... ჩემი მოძღვარი სასტიკად მიკრძალავს სამიჯნურო პოეზიისა და რომანების კითხვას.

– ეჰე, ეს რა უცოდველი ბავშვი ყოფილა, – გავიფიქრე, თუმცა კი მისი ნათქვამი მაინცდამაინც გულწრფელად არ მომეჩვენა.


– შატობრიანისა და ლამარტინის თხზულებანიც სულის ვაება და კოშმარია? – ჰკითხა მუსიო დურანმა.

– ეჰ, მამიკო, მოძღვარმა მხოლოდ შატობრიანი და ლამარტინი კი არა, რაფაელიც კი აგვიკრძალა...

ამ გოგონას უაღრესად მკაცრად ზრდიან-მეთქი, გავიფიქრე მე. საცოდავმა, მხოლოდ გეომეტრიითა და ტრიგონომეტრიით უნდა გაიწყალოს გული და ტვინი... აბა, რა უნდა მისცეს „თანისა<sup>1</sup>“ და „ტაიმისის<sup>2</sup>“ მოწინავე სტატიებმა?

<sup>1</sup> ფრანგული გაზეთი, რომელიც გამოდიოდა პარიზში მეორე მსოფლიო ომამდე.

<sup>2</sup> ლონდონში გამომავალი გაზეთი



აი, თუ „ოსმანთა გაერთიანების“ იდეალები განხორციელდება, მაშინ კი რამე ეშველება... ამ საცოდავ, ლამაზ ლევიტანელსა<sup>1</sup> და მისთა მსგავსთა. მაშინ ისინი გათავისუფლდებიან ამ სასულიერო პირთა მკაცრი, სულლის შემხუთავი აღზრდის მეთოდებისაგან, მაშინ თავს დაიხსნიან და თანამედროვე, პროგრესული მისწრაფებით დაიკმაყოფილებენ სულიერ მოთხოვნილებებს...

ოქროს ფერია და მადამ დურანი საუბარში ჩაერივნენ. გოგონამ თვალები ისე მოჭყუტა, თითქოს მომავალს თვალნათლივ ხატავსო და მამას კეკლუცად შეეპასუხა:

– ეჰ, კაცობრიობავ, ცივილიზაციაჲ!.. ნუთუ თქვენს საზოგადოებაში ქალს ადგილი არ უნდა ჰქონდეს?..

საუბარი გაგვიგრძელდა.

მუსიო დურანს მოსწონს ჩვენში ახლად ჩასახული და ამოძრავებული აზრი – ოსმალეთის სახელმწიფოში არაბული ანბანის ლათინურით შეცვლის თაობაზე და იმის სურვილიც კი გამოამჟღავნა, რომ ენაც ლათინური დამკვიდრებულიყო... იგი თავგამოდებით ამტკიცებდა, რომ ასეთ შემთხვევაში ევროპის საზოგადოება მხარსაც დაგვიჭერდა და ეკონომიკურ დახმარებასაც გაგვინევდა...

ისე დავიღალე, რომ უკვე უგულისყუროდ ვუსმენდი.

მადამ დურანმა, ეტყობა, შემამჩნია და მაშინვე სასაუბრო თემა შეცვალა, მოდებსა და სპორტზე გავაბით მასლაათი. მას მთელი ევროპა ჰქონდა მოვლილი და აქაურობა ჯოჯოხეთად ეჩვენებოდა, თურქეთი თავშექცევისა და დროსტარების ქვეყანა არ არისო, ამბობდა.

მე უკვე წასვლა დავაპირე, როცა მუსიო დურანი

<sup>1</sup> ევროპელები, რომლებიც დამკვიდრდნენ ახლო და შუა აღმოსავლეთში.

თავის ქალიშვილს მიუბრუნდა და სხვათა შორის  
ჰკითხა:

– ჯულიეტ, ბეის შენს კოლექციას არ აჩვენებ?

ოქროს ფერიამ მრავალმნიშვნელოვნად შემომხედა,  
დიდხანს მიმზერდა, ბოლოს უპასუხა:

– თუ ბეიცი ისურვებს, სიამოვნებით...

– რა თქმა უნდა, მადმუაზელ, – მაშინვე თავი ისე  
დავუკარი, რომ არც კი მიკითხავს, რა კოლექცია უნდა  
ერჩვენებინა.

სუსტი, თეთრი ხელებით თმა შეისწორა და წამოდგა:

– მობრძანდით.

მე წამოვხტი და უკან ავედევენე. ოქროს ფერიას სა-  
წოლ ოთახში შევედი.

ერთი რამ მაინც ვერ გამეგო, ეს გოგონა სულ ახ-  
ლახან გავიცანი, ორიოდ სიტყვის თქმაც კი ვერ მოვას-  
წარი და უკვე მის საწოლ ოთახში ამოვყავი თავი. თანაც  
ამბობდა, სატრფიალო პოეზიისა და რომანების კითხვა  
სულის ვაება და კომმარიაო...

ოთახში ვეება შავი ძალღი დაგვხვდა. დამინახა თუ  
არა, ყეფა ატეხა.

– თუ არ გავაგდეთ, მოსვენებას არ მოგვცემს, საშინ-  
ლად ეჭვიანია, – გადაიკისკისა მან და ცხოველი გარეთ  
გაუშვა.


არც აქაურობა ჰგავდა ახალგაზრდა გოგოსთვის  
განყობილ ჩვეულებრივ ოთახს...

განიერი საწოლის ცისფერი აბრეშუმის ფარდები  
განეული იყო. საწოლთან საწერი მაგიდა იდგა, მაგი-  
დასთან – სკამი.

– დაბრძანდით, – მითხრა ოქროს ფერიამ.

– მაგრამ, თქვენ?

– თქვენ დაბრძანდით და ჩემთვის ადგილს მე  
თვითონ ვიპოვი!..



მივიხედ-მოვიხედე... ან სანოლის კიდეზე უნდა ჩამომჯდარიყო, ან პირსაბანზე...

სკამზე დავეშვი. ოქროს ფერია დაიხარა, მაგიდის უჯრა გამოალო და იქიდან აბანოზის ხის ყუთი ამოიღო... ქალიშვილის შავი თმა სახეზე მეხებოდა...

მან ყუთს თავი ახადა და თითქოს აქ არაფერიაო, კალთაში ჩამიჯდა... ისე დავიბენი, ისე, რომ აშკარად შემეტყო განითლება.

- როგორც ვატყობ, შეგანუხეთ?

- არა, არა, რასა ბრძანებთ, მაგრამ თქვენმა მშობლებმა არ დაგვინახონ!

- ოჰო, უცოდველი ბრძანებულხართ... განა მათ არ იციან, რომ კოლექციას ვათვალიერებთ?! - გადაიკისკისა მან...

...ჩემ წინაშე კი ელაგა აღმასისა და აყიყის, ზურმუხტისა და სადაფის, ქარვისა და მრავალი სხვა ძვირფასი ქვის ნიმუში. ერთ საათზე მეტხანს ვათვალიერებდი ამ საუცხოო კოლექციას.

ბოლოს ტანსაცმელი და თმა შევისწორეთ. მე ოთახიდან გამოსვლა დავაპირე.

- ახლა კი, კოლექციის ნახვისთვის, სამასი ფრანკი უნდა გადაიხადოთ, - მომიბრუნდა ოქროს ფერია.

...სამასი კი არა, ხუთასი ფრანკიც კი ღირდა. ჯიბიდან სამი ბანკნოტი ამოვაცოცე და როცა ხელში ვუდებდი, წყნარად ვკითხე:

- ეს თქვენი კოლეცია, სხვა ვინმესაც თუ უნახავს?

- ჩემი სურვილით კი... მაგრამ საფასურის გადაუხდელად მხოლოდ ერთს...

- ვის, დანიშნულს?

- არა, ჩემს ძალს.

სალონში მუსიო დურანი და მისი მეუღლე გვერ-

დიგვერდ ისხდნენ და წიგნს კითხულობდნენ. გვერდზე მოსული რომ დაგვინახეს, სიცილი დამაყარეს:

– როგორც გეტყობათ, გადამეტებულ ინტერესს იჩენთ ამ პატარა ქვებისადმი...

მადამ დურანსაც ჰქონდა კოლექცია. დამპირდა, თუ სხვა დროსაც შევივლიდი, იმასაც მაჩვენებდა.

მართლაც, თავისი სიტყვის პატრონი აღმოჩნდა. მეორედ სტუმრობისას მისი კოლექციაც ვიხილე. მშვენიერი რამ იყო, მაგრამ ქალიშვილის კოლექციას ვერ შეედრებოდა.

ამ კოლექციების წყალობით ეს ოჯახი პარიზში უკეთ არ იცხოვრებდა?

როცა პირველად ვესტუმრე, იმათმა სიმდიდრემ და ფუფუნებამ გამაოცა. ახლა კი, ღმერთმანი, სულაც აღარ მიკვირს.

## პროგრესი

ზაფხული... რამაზანი! ისეთი პაპანაქებაა, რომ...  
კაცი იფიქრებს ჩამოშვებული ფარდების იქით რალაც  
იდუმალი და უხილავი ჯოჯოხეთის ალი ტრიალებსო.  
ოთახის კედლებზეც მწვანე შპალერია გაკრული, ნიაზი  
და ნეშეთი კარებთან მიდგმულ ფართო სავარძელზე  
წამოგორებულან, სიგარები გაუჩაღებიათ და მასლაა-  
თობენ:

- ...

- მაშ, მაშ.

- პირდაპირ საკვირველი ამბავია.

- თანაც ასე მოკლე დროში!

- კაცი თვალს აღარ დაუჯერებს...

- არა, ერთი, ამ რვა-ათი წლის წინანდელი ქუჩები,  
სახლები ეტლები, ტრამვაი, ჩასაცმელ-დასახური გაიხ-  
სენე. გემებიც, გემებიც არ დაივინყო.

- მაშ, არც ტელეფონი ყოფილა.

- მერედა, ელექტრობა გვექონდა?

- კინო, კინოზე რას იტყვი?

- ავტომობილი, კაცო?

- ან გრამოფონი?

- არა, გრამოფონი კი იყო, მაგრამ...

- იყო, მაგრამ, არ იტყვი, როგორი იყო?!

- მაინც, როგორი?

- ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ ორმოც ფარად რა-



ლაც რეზინის მილები ყურში გავირჭე და ისეთი სასოფლიო  
 ბით ვუსმენდი, თითქოს ჰადისე<sup>1</sup> ყოფილიყო.

- აეროპლანზე რას იტყვი?

- საკვირველია...

- ვინ იფიქრებდა, რომ კაცი ჰაერში ჩიტოვით იფ-  
 რენდა? თანაც, კაცო, თურქებიც რომ იფრენდნენ, ვინ  
 იფიქრებდა, ჰა?

- დირიჟაბლი?

- მაშ, მაშ... ვეებერთელაა, შეჯავშნული და მაინც  
 დაფრინავს.

- ეს ჭეშმარიტებაა.

- ძალიან კარგი, მაგრამ ამ სიძვირეზე რაღას იტყვი?

- ბუნებრივია, რომ ყველაფრის მსგავსად ფულის  
 მსყიდველობითი უნარიც შეიცვალა, ფული ბევრია,  
 დაგროვდა და საქონლის ფასმა აიწია.

- როგორ, კაცო, ფული დაგროვდა, გაბევრდა თუ  
 შემცირდა?

- ლმერთმანი, არ ვიცი.

- არც მე ვიცი.

- რაც არ ვიცი, ნურც გამოვეკიდებით.

- ეს მართალია, მაგრამ.

- მაგრამ რა?

- ისიც უნდა ვალიაროთ, რომ უეკლო ვარდი არ არ-  
 სებობს.

- ბუნებრივია.

- პროგრესსაც აქვს თავისი უარყოფითი მხარეები...

- როგორი?

- მაგალითად...

მაგრამ ნიაზმა მაგალითის მოტანა ველარ მოასწრო.

<sup>1</sup> მუჰამედ წინასწარმეტყველის ცხოვრებასა და ქადაგებასთან და-  
 კავშირებული ამბები, რომლებიც მისი სიკვდილის შემდეგ ვრცელ-  
 დებოდა.



ქუჩიდან ოთახში შემოიჭრა ძლიერი, მჭექარე, ცოცხალი, მღელვარე და მელოდიური ხმა...

– ...ეს ქვეყანა ძირფესვიანად შეიცვალა. წარვიდნენ ძველი დღეები. წარვიდნენ და კვალიც აღარ დარჩა ადამიანობისა, დიდსულოვნობისა, კეთილმოწყალებისა. აღარავინ ფიქრობს კაცსა და მოყვარეზე, ყველა პირად სიამოვნებას მისცემია...

ნიაზი და ნეშეთი ერთმანეთს მიაჩერდნენ. უნებურად სიგარები საფერფლეზე ჩააქრეს.

– რა არის?

– არ ვიცი...

ქუჩიდან კვლავ ისმის ძლიერი, სასიამოვნო ხავერდოვანი ხმა:

– ქვეყანა ლეშია და მძორი... ვაი იმ ძაღლებს, რომლებიც მისკენ ისწრაფვიან. გამოფხიზლდით და სოფელსა ამას შეხედეთ, ვითარცა ჭკუის სასწავლებელს... ამაოსა და არარაობას ნუ გამოეკიდებით, ამაოება და არარაობა ნუ გაცთუნებთ!..

ნეშეთი ერთი ხელით თავს იფხანს, მეორე ხელით – ბარძაყს... სახე ეღუშება. ნიაზი ზემო ტუჩს იკვნეტს და ნელ-ნელა სწორდება.

– ეს რა არის, კაცო...

– მიქარვაა...

– მაგრამ, რა მშვენივრად, რა გზნებით ლაპარაკობს.

– დღეს ვართ, ხვალ აღარ ვიქნებით! დღეს ღამე მოსდევს, სინათლეს – წყვდიადი. ცეცხლისგან მხოლოდ ნაცარი რჩება, სიცოცხლის ბოლო სიკვდილია. ვისა აქვს ეჭვი, რომ სიკვდილი არ არის გარდაუვალი?.. ოქროშიც რომ ჩავიფლათ, რკინისა და ფოლადის ციხე-კოშკებშიც რომ ჩავიკეტოთ, ისარი სიკვდილისა მაინც გვიპოვის, ადრე თუ გვიან ჩვენამდე მოაღწევს. და ამგვარი, უეჭველი დასასრულის არსებობის დროს



კაცს, გულგრილს და დაუდევარს, საკუთარი ცხვირის იქით რომ ვერაფერს ხედავს და მეგობარს ივიწყებს, შეიძლება ადამიანი ენოდოს? არა და არა! იგი პირუტყვია, ოთხფეხი!

რა განსხვავებაა ოთხფეხა პირუტყვსა და კაცს შორის, რომელსაც ამა ქვეყნად სხვა არარა სწადს, გარდა პირადი განცხრომისა?..

ნეშეთი ფეხზე წამოდგა:

- ეს ვილაც ფილოსოფოსია!
- თანაც დიდი ფილოსოფოსი!
- მაშ, დიდი ფილოსოფოსი.
- უსმინე, უსმინე, რას ამბობს.

ხმა უფრო მგზნებარე, ძლიერი და შთამბეჭდავია:

- კეთილმონყალება და სიბრალული აღარ არსებობს. სახელი მონყალებისა დავინწყებულა... ჭამეთ, დალიეთ, დაუკართ, იცეკვეთ და დრო ატარეთ ლამაზად განყობილ ბინებში... ინებივრეთ და იძინეთ სუფთა საწოლებში...

ეჰ, სადა ხარ კეთილმონყალებავე, სად?

- კაცო, სოციალისტი ყოფილა! - ადგილიდან ყვირის ნიაზი.

- როგორ, რანაირად?

- როგორ და დღისით-მზისით, მარტოდმარტო გამომდგარა შუა ქუჩაში და რასაც უნდა, იმას ამბობს.

- ერთი ვნახოთ, მართლა მარტოა?

ნიაზი წამოხტა და ფანჯარასთან მივიდა. ფარდა გასწია, გადაიხედა და ხარხარი ატეხა.

- ეჰე, სულ სხვა ამბავია!

- რა ამბავი?

- მოდი და ნახე.

ცნობისმოყვარეობით ატანილი ნეშეთი ფანჯრისკენ გარბის. ფარდებს შორის თავს ყოფს და ძირს იხედება. ქუჩაში დაძონძილ-დაკონკილი კაცი მიფარფატებს,



რომელსაც ზურგზე ტომარა ჰკიდია, ხელში კი ჯობი უჭირავს:

– ღვთის გულისათვის, ერთი ლუკმა პური გაიმეტეთ, ღვთის გულისათვის...

ნიაზი და ნეშეთი ერთ ნუთს გაშეშდნენ, მერე ერთ-მანეთს მიაჩერდნენ.

– რას იტყვი?

– სულ სხვა ამბავი ყოფილა!..

– მათხოვარია, კაცო.

– ფილოსოფოსობისგან გამათხოვრებული!

– არა, მათხოვრობისგან გაფილოსოფოსებული!

– თანაც ორატორი.

– განა მარტო ორატორი!

ნიაზმა ანეული ფარდა ისევ ჩამოუშვა.

– ჩვენს დარულბედაში<sup>1</sup> ასეთი ზარივით ხმის პატრონი მსახიობი რომ ჰყავდეთ...

– ვალაჰ, მართლაც არა ჰყავთ.

ორივენი იცინიან.

– თანაც, რა ძლიერი!

– მაშ, მაშ...

გარეთ კი მათხოვარი მოქალაქეებს კვლავ მოაგონებს, რომ ყოველივე ცვალებადია და წარმავალი, რომ გუშინდელი დღევანდელს არა ჰგავს, დღევანდელი ხვალინდელს არ ემგვანება...

– იცინეთ, იცინეთ... სიცილის ბოლო ტირილია, პაემანს განშორება მოსდევს... ზაფხულს შემოდგომა ცვლის, ბედნიერებას – უბედურება...

სიცოცხლის ბოლო სიკვდილია! ამ ნუთისოფელს ისე უტყვირეთ, როგორც გაკვეთილსა და ჭკუის სასწავლებელს... ილაჰ, ილაჰ...

<sup>1</sup> სტამბოლის პირველი დრამატული თეატრის სახელწოდება



ხმა თანდათან სუსტდება და ახლა შორიდან ლოცვა-სავით ისმის.

ნეშეთი და ნიაზი თავიანთ ადგილებს უბრუნდებიან და სიგარებს აჩალებენ.

- განა ამ რვა-ათი წლის წინათ სტამბოლში მოიძებნებოდა ისეთი პროფესორი, რომელიც სიტყვას ასე დალაგებულად, ასე ლოგიკურად წარმოთქვამდა?

- ახლა კი...
- ახლა მათხოვარიც მჭევრმეტყველი გახდა.
- ...
- ისე კი, კაცმა რომ თქვას, თავხედობაა!
- დაუფერებელია...
- ვალაჰ, პირდაპირ საკვირველია...

## სიყვარული და ფეხის თითები

ასმა ხანუმის ბარათი, გაგზავნილი ჰასანთან:

პირველად შენ შემიყვარე: ჩემზე ლოცულობდი, მემუდარებოდი... ჩემი ტრფიალი შენს მღელვარე გულსთქმას მიმქრალი ნაღვერდალივით თუ სწვდებოდა... ბოლოს შემირთე. მე მდიდარი ვარ, ცხენიც მყავს და ეტლიც მაქვს. ვინ არ მეტრფოდა, მაგრამ შენი ბედი ვყოფილვარ, შენ დამისაკუთრე. გაგიმართლე, გაგაბედნიერე... მერე, როგორ მოხდა, თანდათან გული იცვალე, ზურგი შემაქციე, გამირბოდი, ბოლოს კი სულ მიმატოვე?! ამ ბარათს რომ მიიღებ, იფიქრებ, მეხვეწებაო, მაგრამ გაცუებული ვარ, რატომ აღარ გინდივარ, რად შემიჯავრე? რა მაკლია, ნეტავი? წელს კადიქოიში სილამაზით პირველი ადგილი დავისაკუთრე; განათლებით პირველი ადგილი, სიმდიდრით ხომ – რაღა სათქმელია... მაშ, რატომ არ გინდივარ? დარწმუნებული ვარ, ჩემზე ლამაზი რომ იპოვო, ჩემზე მდიდარი მაინც არ იქნება!.. მაშ, რისთვის, რისთვის მიმატოვე?

ასმა

ჰასანის პასუხი ასმა ხანუმს:

დიახ, ლამაზო ქალო, მე შენ მიყვარდი, ო, როგორ მიყვარდი!.. მაგრამ რაა თვით სიყვარული, არ იცი განა? სიყვარული ყველასათვის სხვადასხვაგვარია, ისევე, როგორც სხვადასხვაა ადამიანთა ბუნება, ხასიათი, ცნობისმოყვარეობა, გემოვნება. აი, ზოგს თვალები იზიდავს, ზოგს – კანის ფერი, ზოგს – ხელი ან ფეხი,



ზოგს – ტანი; ზოგს გამხდარი მოსწონს, ზოგს – სქელ-სქელი... მე კი უმალ პროფილს შევავლებ ხოლმე თვალს. სკოლიდან გამომყვა ეს ჩვევა: როცა ვინმეს ვესაუბრები, ვცდილობ, უეჭველად პროფილიდან შევხედო. თუ ადამიანს პატარა პროფილი აქვს, მის ლაპარაკს ყვეფას ვამსგავსებუ!.. ისე კი, რამდენი ადამიანიცაა, ყველას რომელიმე ცხოველის პროფილი აქვს.

ხიდს როცა გადავდივარ ხოლმე, მის ხალხმრავალ კაზინოში უეჭველად შევდივარ და ადამიანთა პროფილებს ვათვალიერებ. ჯერ არ შევხვედრივარ კაცს, ცხოველის პროფილი რომ არ ჰქონდეს. ყველა ადამიანი ცხოველია, ადამიანის ნიღაბს ამოფარებული ცხოველი... ძაღლი, ხარი, თხა, ყარყატი, ცხენი, სახედარი, ბაიყუში, არწივი, ქათამი, თუთიყუში, ფუტკარი, მტრედი, ყვავი, თევზი, ბატი, დათვი, ვეფხვი... ფიზიონომიის შესახებ ბავშვობისას ზერელად გადაკითხულმა თეორიებმა ისეთი კვალი დატოვეს ჩემზე, რომ ლაფონტენის<sup>1</sup> ზღაპრების ცოცხალ ალბომში მგონია თავი... ვთქვათ, მეგობარი შემომხვდა: შევხედე – მალალი, ნითელი ფესი ახურავს, ქრელი კოსტიუმი აცვია, ბრჭყვიალა ჰალსტუხი უკეთია. გრძელი, ნვეტიანი ცხვირი აქვს. აფხორილი მხრები... ჯიუტია, გამბედავი... გვერდიდან შევათვალიერებ და ჩემთვის ვფიქრობ:

– ბიჭოს, ეს ხომ მამალია, ყვინჩილა... მოდის, ხელს მართმევს, მის ნითელ სახესა და ბიბილოს მსგავს ფესს ვუყურებ. ხმა მკვეთრი, მალალი აქვს, თითქოს გამუდმებით ყიოდეს.

დავშორდები. ახლა სხვა შემომეყრება. განიერი ნიკაპი და პირი აქვს, ნვივებმოგრეხილია, ტკეპნით ლაპარაკობს, ლოყებს ჭიმავს, იცინის... – იხვია, იხვი, –

<sup>1</sup> ლაფონტენი ფან (1621-1695) – ფრანგი მწერალი. საყოველთაო აღიარება მოიპოვა მცირე, გალექსილი ნოველებითა და იგავ-არაკებით.

გავივლებ გულში და ჩემი აღმოჩენით კმაყოფილი ვარ. ის კი ვახვახებს, ვახვახებს. მის ტანზე დამშვიდებული ვეძებ ფრთებსა და კუდს... საოცარია, თითქმის ყველაფერს ვპოულობ...

ცნობილი ადამიანების, დიდი მწერლების, მინისტრების, დეპუტატების, ჩინოსნების პროფილები კარგად მახსოვს, ამიტომ, ადვილად შემიძლია დავასკვნა, ესა თუ ის მინისტრი თავის თანამდებობაზე ყოფნისას რას მოიმოქმედებს. წინასწარ ვიცი და ვამბობ, მეგობრები გაოცებულნი არიან.

– წინასწარმეტყველი ხარ ნამდვილი!

მათ ჰგონიათ, რომ სასწაულმოქმედი ვარ. მე კი მხოლოდ პროფილების მიხედვით ვმსჯელობ. თუ კაცი სახედარსა ჰგავს სახით, მაშინ მას საქციელიც სახედარისა ექნება, თუ ლომსა ჰგავს, ლომივით მოიქცევა. ხარის პროფილიანი ადამიანი არც ცბიერია და არც გაიძვერა, სახედრის პროფილიანი ჯიუტია, თვინიერი და ამტანი, ძალღის პროფილიანი მუდამ იღრინება, კბილებს აჩენს, ვეფხვის პროფილიანმა შებრალებმა არ იცის, მტარვალაია და მჩაგვრელი. თუთიყუშის მსგავსი არ გაჩერდება, სულ ვილაცის გამოჯავრებაშია, მტრედის მსგავსი გამუდმებით შეყვარებულისა და საბრალოს კომედიას თამაშობს. მელიის სახიანი გაქნილია და მატყუარა, ღორისა – ჭამს, სვამს, მუდამ მუცელზე ფიქრობს...

ასევე არიან ქალებიც – სქელი, დიდმკერდიანი, მთვლემარე და მძიმე ქალი ზედმინევენით ჰგავს ძროხას; გამხდარი, ცუდი ზნის, შავი, მახინჯი, მაგრამ ლამაზთვალებიანი – თხაა; ძალიან ლამაზი ქალი მზენვია ჩიტს, იადონს ან ავსტრიულ ქათამს ემსგავსება. ამ სამი პროფილიდან შენ არც ერთი გაგაჩნია...

გახსოვს, შარშან ზაფხულს ფენერბალჩეში პირვე-



ლად რომ შევხვდით? მაშინ დიდხანს გაკვირდებოდი, მაგრამ ვერაფერს მიგამსგავსე.

- აჰ, რა საოცარია, - ვამბობდი ჩემთვის და თვალს ვერ გაშორებდი.

ვერაფერს მიგამსგავსე, პროფილიდან არც ერთ ცხოველს, არც ერთ ფრინველს არ ჰგავდი, არც მათი ხასიათი და ბუნება გქონდა. ჰოდა... შემეყვარდი! ხან კი საგონებელში ჩავარდნილი ვბუტბუტებდი:

- ვცდები, რალაცას ჰგავს, მაგრამ ვერ ამოვიცან, ვერ ამოვიცან!..

ჩვენი ქორწინების წინა დღეებში დიდხანს, დიდხანს შემოგცქეროდი. მაინც ვერაფერს გავხედი. გახსოვს, მთელი ექვსი თვე რა განცხრომაში გავატარეთ? მაგრამ ერთ დილას... უჰ, ნეტავ, მაშინ შენზე ადრე არ ავმდგარიყავ!

ერთ დილას წამოვხტი, ფანჯრის რაფაზე ჩამოვჯექი და ჯერ კიდევ მწოლარეს შეგეხმაურე:

- რა ზარმაცი ხარ, რა ზარმაცი...

შენ სანოლში წამოვჯექი, გასწორდი და ჩაცმა დაიწყე. ცოტა გრილოდა, ღუმელი ოთახს ვერ ათბობდა და ამიტომ... ანაზდად გულმა ფართხალი დამიწყო, ყელში რალაც მომანვა, თითქოს მახრჩობდა... შენ საბნიდან ფეხი გამოყავი, ქოშზე დაგდებული იისფერი წინდა მარჯვენა ფეხის თითებით აიღე. მაღლა ასწიე, ჩაიცვი. ახლა მეორე ფეხი ჩამოაცურე... სახე მოვაბრუნე, რომ არ დამენახა. ლამაზო ქალო, შენ ფეხის თითებს ხელის თითებივით მარჯვედ ხმარობდი.

- მეოცე საუკუნეში, ამდენი ასეული წლის განვითარების შემდეგ...

ბურღივით მიტრიალებდა თავში.

ვკანკალებდი, გული წამივიდა. რა თქმა უნდა, მიზეზს ვერ მიმიხვდი.



...კიდევ გეტყვი. მეორედ დანოლისას, შენ დაქმუნებული პერანგი ფეხის თითებით მოითრიე ლოგინში. მთლად ავცახცახდი, კბილს კბილზე მაცემინებდა.

– ალბათ შეგცივდა, კანკალებ, – მითხარი მაშინ. აღარ გეხსომება.

მესამედ, ლუმლის წინ იჯექი, გახსოვს? წინდები არ გეცვა, ჯერ კიდევ ცივი კარი ლუმლისა ფეხის თითებით გამოაღე, შეშა შეასწორე და ისევ დახურე...

კიდევ გითხრა? ერთ დღეს შენს საყვარელ კატას გაეთამაშე. წინდები კვლავ არ გეცვა. ლამის გული გამისკდა, მაგრამ, ღმერთმანი, თავი შევიკავე. შეგხედე, ფეხის თითები გრძელი გქონდა, ზომაზე გრძელი. კატას თათებში ჩაავლე, პატარა ბავშვივით ასნიე მაღლა. მაშინ სახეზე თვალი შეგავლე და... ტვინი გამეყინა! მაიმუნს ჰგავდი... ვინრო შუბლი, წინწამონეული პირი, ლამაზი და მბრწყინავი კანი... ფეხები კი, ღმერთო ჩემო, მაიმუნის ხელები იყო. გარწმუნებ, შენ რომ ცოტა გაივარჯიშო, არა მარტო წინდასა და პერანგს აიღებ, ლუმელს გამოაღებ და კატას მიუაღერებ, მაგ ფეხის თითებით საჭმელსაც კარგად შეჭამ და პიანინოსაც მშვენივრად დაუკრავ!.. შემეშინდა, შენთან აღარ ვწვებოდი. ასე მეგონა, უღრან, უკაცრიელ ტყეში ვცხოვრობდი რალაც პრეისტორიულ ქმნილებასთან შეუღლებული. ამიტომ გაგიბოდი, გემალებოდი.

ახლა ეგ ერთ-ერთი ფეხი, ხელზე უკეთ რომ ხმარობ, გულზე დაიდე და მიბრძანე – განა ჭკვიანი არა ვარ, რომ აღარ მიყვარხარ?!

**ასმა ხანუმის სასწრაფო ტელეგრამა ბ. ჰასანთან**

შენი წერილი ისე დავხიე, არც კი წამიკითხავს. მეზიზღები. გაფრთხილდი. წერილი აღარ გამომიგზავნო, თორემ საქმე ცუდად წავივა!..

## სიმახინჯის საიდუმლოება

ქალიშვილებთან ოთახში თუ მარტო დარჩი, ნავიდა შენი საქმე! ძალზე სახიფათოა... მით უმეტეს, ჩემისთანა გადაბერებული კაცისათვის. შარშან ამ დროს კი მაინც არ ამცდა და ამ ხათაბალაში გავყავი თავი.

შემოდგომის ხანს ძალიან მიყვარს ბუიუკადაზე<sup>1</sup> ყოფნა. რა ჯობია განმარტოებით მდგარი ნაძვის ხეებ-ქვეშ ხეტიალს, როცა სადღაც, შორს ამოვარდნილი ნესტიანი ქარი უბერავს და მომაკვდავივით კვნესის. ცა უფანჯრო აკლდამის გუმბათივით ჩამობნელდება, მოილუშება და იმედს გადაიწყვეტს ხოლმე. ზაფხულის გვალვისაგან გაყვითლებულ ფოთლებს ქარი მიწაზე ხმაურით მიხვეტ-მოხვეტს; გაძარცული ხეების ტოტებში თითქოს აჩრდილები დაეხეტებიან.

იმ დღეს ცის მოლუშული გუმბათი უეცრად ჩამოიქცა – გადარეულმა ქარმა მოუბერა და ისეთი შხაპუნა წვიმა წამოვიდა, რომ თვალის დახამხამებაში გავილუმბე. რა უნდა მექნა? მაშინვე სერმეთის მამიდის ბინას მივაშურე. კარებში მოსამსახურე გოგო შემომეგება და თავით ფეხებამდე განუნული რომ დამინახა, სიცილით მითხრა – შინ პატარა ქალბატონის გარდა არავინ არისო.

– დიდი ქალბატონი?

<sup>1</sup> ნიშნავს „დიდ კუნძულს“. მარმარილოს ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთით არსებულ კუნძულებს შორის ყველაზე დიდია. შესანიშნავი ბუნებრივი გარემოს წყალობით ერთ-ერთ საუკეთესო საკურორტო ადგილად ითვლება.

- დილას ადრე წავიდა.

- ნიჰათ ბეი?

- ალბათ კლუბში იქნება.

- სანამ წვიმა გადაიღებს, აქ ვიქნები. შენ კი პატარა ქალბატონს ნუ ეტყვი, რომ აქა ვარ, ნუ შეაწუხებ...

საზაფხულო პალტო გავიძრე, სახე ცხვირსაბოციტო შევიმშრალე და სალონში შევედი. ქარი მოუბერავდა თუ არა, გაავებული წვიმა ფანჯრის დარაბებს ხმაურით ეხეთქებოდა! ბუნების ამ საზარელ მრისხანებას ვუსმენდი, როცა კარი გაიღო. შემოვბრუნდი და დავინახე, რომ ოთახში სუთუდუ შემოსულიყო. მე რომ მკითხოთ, იგი სტამბოლის ერთ-ერთი ულამაზესი გოგოა. შავი, დიდრონი თვალები აქვს, ხშირი თმა და თეთრი, რაღაც ზღაპრულად თეთრი კანი!..

ნეტავ, თექვსმეტი წლისა თუ იქნება?

არა მგონია, მაგრამ ისეთი მომნიჭებული სხეული აქვს, ოცი წლისა გეგონებათ.

- ...

- რატომ გამირბიხართ?

წამოვხტი და ხელი გავუნოდე. ძალზე ცხელი ხელი ჰქონდა. თვალებში მომჩერებოდა. თეთრი ბლუზა ეცვა და მოკლე შავი კაბა, რომლის კალთები კოხტა, ჩამოსხმულ ბარძაყებს ვერ უმაღავდა. ტყვიისფერი ზამშის ფეხსაცმელი ლამაზ აბრეშუმის წინდებს ისე გამაღიზიანებლად, ისე ჰარმონიულად შეხამებოდა, რომ...

- რატომ არ შემატყობინეთ, რომ მოხვედით?

- შეწუხება არ მინდოდა...

- ჩემი?

თქვენი-მეთქი, თავაზიანობა მინდოდა გამომეჩინა და თქვენობით ვუპასუხე, მაგრამ, ცოტა არ იყოს, უხერხულად გამომივიდა და ავინურე...

ავინურე და მერე ვისთან? ჩემს ხელში გაზრდილ

ბავშვთან, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინ ხელში აყვანილი დამყავდა ზღვაზე და ცურვას ვასწავლიდი. მართალია, გაიზარდა, დაქალდა, მაგრამ ასაკით უფროს ძმად და მამადაც კი ვეკუთვნოდი, გამეცინა.

– ჰო, ჩემი ცუგრუმელას შენუხება არ მინდოდა.

– თქვენი ცუგრუმელა ვინ არის?

– შენ...

გიყვივით ახარხარდა.

– მე?

– ...

– მაშ, მე?

მარცხენა ხელი თეძოზე შემოიდო და კეკლუცად, თავაშვებულად იცინოდა. მერე სავარძელში ჩაეშვა. სადა ჩაცმულობა უფრო მეტად ამშვენებდა. მე ხმა არ ამომიღია, ხელი არ შემიშლია მისთვის.

– ძალზე უცნაური კაცი ხართ! საინტერესოა, ვის წინაშე ლებულობთ პაპის სახეს, ვინც მოგწონთ, თუ ვინც არ მოგწონთ?

– ...

როცა ნახა, რომ პასუხი არ გავეცი, თანდათან მოიღრუბლა, დიდრონი თვალები მონკურა, ისრებივით გამიყარა და სახე ქანდაკებასავით გაეყინა.

ახლა კი გადარეულის როლს გაითამაშებს-მეთქი, გავიფიქრე და კვლავ ვიყუჩე.

– რამდენი წლისა ბრძანდებით?

– ყოველ შემთხვევაში, ჩემო პატარა სუთუდე, შენზე ოცი წლით უფროსი ვარ...

– მერე, «ცუგრუმელას» მაგიტომ მინოდებთ?

– უფლება არა მაქვს?

წინ დავუჯექი და გავახსენე, რამდენჯერ წამიყვანია კინოში, რამდენჯერ დაუდია თავი ჩემს მუხლებზე და ჩასძინებია, რამდენჯერ...

უგულისყუროდ მისმენდა.

მერე მთლად გაფითრდა, ტუჩები აუკანკალდა. ავად ხომ არ არის-მეთქი, გავიფიქრე და ყბედობა შევწყვიტე.

- რა მოხდა, სუთუდე?

- არაფერი, - მერე თვალეები ძირს დახარა და ჩაილაპარაკა, რამდენი ხანია, თქვენი ნახვა მინდოდაო.

არ ვიცი, რატომ, მაგრამ არ მიკითხავს, თუ რისთვის უნდოდა ჩემი ნახვა. ეტყობა, დავიბენი. უნებურად ფანჯარას მივაშტერდი.

არ მახსოვს, რამდენ ხანს ვიყავი ასე. ქვითინის ხმამ გამომაფხიზლა. სუთუდე იდაყვებით სავარძლის სახელურებს დაყრდნობოდა, სახე ხელებში ჩაერგო და ტიროდა. სავსე მხრები, შავი, მბრწყინავი თმა და ზამბახივით თეთრი, ლამაზი მკლავები უცახცახებდა.

ალბათ ნერვული კრიზისი თუ აქვს-მეთქი, გავივლე გულში - ოთხი-ხუთი თვე იქნება, რაც აქ აღარ ვყოფილვარ, გაგებული კი მქონდა, რომ სუთუდეს სერმეთის ამხანაგთან, თევფიქ ჩესბანთან ჰქონდა სატრფიალო ისტორია და შემდეგ დასცილდნენ.

იქნებ მალული სიყვარულისგან აშლილი ტკივილები ანუხებდა?

თევფიქ ჩესბანი ლამაზი, მოხდენილი, მდიდარი ახალგაზრდა კაცი იყო. სუთუდეს უარი ისე განიცადა, რომ კუნძული მიატოვა, ბეიკოზში<sup>1</sup> ერთ მოტიტვლებულ გორაკზე სახლი იქირავა, ჩაიკეტა და გარეთ ფეხს აღარ დგამდა. სტამბოლში ქორები დადიოდა, როგორც კი გზა გაიხსნება, სამშობლოდანაც აპირებს გადაკარგვასო.

ფეხზე წამოვდექი, მხრებზე ხელი მოვუთათუნე:

- რატომ ტირი სუთუდე, რა მოხდა?

<sup>1</sup> სტამბოლის ვილაიეთში შემავალი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი. მოთხრობის მიხედვით, იგი ჯერ კიდევ პროვინციული კუთხეა.



ცრემლით სავსე თვალები გაახილა... იმის გამოხედვაში ალი, რაღაც შავი ალი შევნიშნე...

- მე შენ მიყვარხარ!..
- მე?
- შენ!

უეცრად გული ლამის ბუდიდან ამომივარდა. მე ამ პატარა გოგონებისა უფრო მეტად მეშინია, ვიდრე ცეცხლისმფრქვეველი გველეშაპისა...

შიში რომ არ გამემჟღავნებინა, გავიცინე:

- გიჟი ყოფილხარ, სუთუდე!

უნებურად მოვტრიალდი, კარს შევხედე, მერე სავარძლის კიდეზე ჩამოვუჯექი...

- ღმერთმანი, შენ მიყვარხარ, აი, უკვე სამი წელია...

- გიჟი ყოფილხარ, სუთუდე, გიჟი, - ნაძალადევად ვიცინოდი. მერე გავიფიქრე, მოდი, რაც იქნება, იქნება, წამოვხტები და გავიქცევი-მეთქი... ამ საცოდავ გოგოს გუნებაში ცუდი ხომ არაფერი უდევს-მეთქი...

სუთუდემ თვალები მომაშტერა. რაღაც უცნაურად, ახირებულად მიყურებდა. მერე წამოდგა, გასწორდა და ჩემკენ წამოვიდა, ალბათ უნდოდა, გაეგო, მისმა გამოხედვამ ჩემზე როგორ იმოქმედა. მოვიდა და გვერდით მომიჯდა.

ჩემს ხელში გაზრდილი გოგოსგან ისეთი რამ მოვისმინე, რაც ჩემი ასაკისა და მდგომარეობის კაცს არ შეეფერებოდა. ეგ კი არა, ასეთი რამ რომანშიც რომ წამეკითხა, არ დავიჯერებდი. საოცარია, ღმერთმანი!

უეცრად მუხლზე მომეხვია და ფეხზე უნდოდა ეკოცნა... მე წამოვხტი და მისი წამოყენება ვცადე. ის კი კვლავ ქვითინებდა და ლულლულეზდა:

- ღვთის გულისათვის, ხელს ნუ მკრავ, ნუ გამაგდებ, შენი ფეხთა მტვერი ვიქნები...

რა ხდებოდა ჩემს თავს, ვერაფერი გამეგო: არც



ახალგაზრდა ვარ, არც ლამაზი, არც მდიდარი. ამ შლეგი ბავშვის სათამაშოდ გახდომა კი არ მსურდა. სიცილი შევწყვიტე და მიძიმედ დავინწყე:

– ჭკვიანად ვიყოთ, სუთუდე, ძალიან პატივს გცემ და...

ნამოვაყენე, გვერდით მოვისვი და ტკბილი ხმით ვკითხე:

- ჩესბანს უარი რატომ უთხარი?
- მეზიზღება, – მიპასუხა თვალცრემლიანმა.
- ახალგაზრდაა!
- მართალია.
- მდიდარია.
- ეგეც მართალია.
- ლამაზია!
- მართალია.
- ჩესბანი ულამაზესი ვაჟკაცია, შენსავით კარგია,

შენი შესაფერია...

სახე შეეჭმუნა:

- ძალიან მეზიზღება!
- რატომ?
- ჯერ იმიტომ, რომ ლამაზია.
- მერე?
- მერე იმიტომ, რომ ახალგაზრდაა.

თვალწინ ჩესბანი წარმომიდგა, – ახოვანი, წარმოსადეგი, ლამაზი ჭაბუკი. სულჩადგმულ ბერძნულ ქანდაკებას ჰგავდა. გადამშვილდული ყომრალი წარბების ქვევიდან დიდრონი ცისფერი თვალეები მშვიდად და კეთილად გამოიყურებოდა, სახე კი ისეთი სიმპათიური ჰქონდა, საკმარისი იყო, კაცს ერთხელ შეეხედა და პატივისცემით განიმსჭვალებოდა. რომ შეუღლებულიყვნენ, იშვიათი წყვილი იქნებოდა...

მივხვდი, სტამბოლის ეს ულამაზესი გოგონა ახალ-



გაზრდობის ერთი ნაწილის ფეხის ხმას აჰყოლოდა და სილამაზეს ზიზლით უყურებდა.

სილამაზე ქალისთვის არის გაჩენილი, სილამაზე მამაკაცისთვის საზიზლარი სიმახინჯეაო, ამბობდნენ ისინი.

ჩვენი კამათი კარგა ხანს გაგრძელდა. მე ყოველნაირად ვცდილობდი, სუთუდე დამეყოლიებინა, რომ ჩესბანზე გათხოვილიყო, თან საკუთარ თავს ვაძაგებდი. ვეუბნებოდი, რომ ჩემი ჯანმრთელობა სერიოზულად შერყეულია; ნერვული სისტემა მთლიანად მქონდა მოშლილი და მელანქოლიაც ხშირად მესტუმრებოდა ხოლმე. ერთი სიტყვით, ექიმისგან აკრძალული მქონდა ალკოჰოლი, შრომა, დაღლა... სიყვარული ხომ!.. ქალი შენთვის შხამიანი ხანჯალიაო, ასე მეუბნებოდნენ ექიმები.

ამას ისეთი სახითა და ტონით ვუყვებოდი, რომ სუთუდეს თვალეში სიბრალულმა დაიგუბა, მისი სიყვარული უცებ სიბრალულთ შეიცვალა...

– ასე ყველაფრის ნატრული ვარ, თითქოს ბნედიანი ვიყო...

– ოჰ, ოჰ, ოჰ, რა საწყენია, – თავს აქნევდა სუთუდე. ამ ხიფათიდან რომ თავი დამეძვრინა, ველაპარაკებოდი, იმ საოცრად თეთრ ხელებს ვუკოცნიდი. ღმერთო ჩემო, რა ხელები აქვს, რა ტანი, რა...

ვინ იცის, რა ბედნიერება ელის იმ კაცს, ვინც სუთუდეს გულს დაეპატრონება?..

გულში ჩესბანს კიდევაც ვამართლებ. ეს გოგონა მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულისთვის იყო გაჩენილი.

ამასობაში წვიმამ გადაიღო, მე ვისარგებლე და წასასვლელად მოვემზადე.

– ამაღამ აქ დარჩით, სადაცაა ჩემი ძმა მოვა, დედაც გამოჩნდება.



- ვერა, სუთუდე, სტამბოლში აუცილებელი საქმე მაქვს...

- ნეტავ, კიდევ როდის გნახავთ?

- ყოველთვის მოვალ, ყოველთვის... რადგანაც ამ სახლში ისეთი გული აღმოვაჩინე, რომელსაც ვებრალები, ყოველთვის მოვალ...

ავდექით ისე, რომ არ გამოგვიცდია თვით პლატონური სიყვარულიც კი...

არ ვიცი, იმ წუთში გონებაში რა უხამსი, ბოროტი და ბილწი აზრი მიტრიალებდა, როცა ვკითხე:

- მაშ, შენი აზრით, სილამაზეს სიმახინჯე ჯობს, არა?

- ასეა...

- ტყუილია.

- ღმერთმანი, ასეა.

- თუ შენ მაგას გულწრფელად ამბობ, თუ შენ ეგ გჯერა, მაშინ შენი სიყვარულის იდეალი ერთი ყბადაღებული კაცი ყოფილა...

- ვინ?

- ყველაზე მახინჯი!..

- აჰ.

- კოჭლი, ჩაუხა...

- ?

- თანაც გადაბერებული, ჩემზე უფროსი...

- ვინ, მაინც ვინ?

- მახინჯების მეფე!..

...

დიდრონი, შავი თვალები უეცრად მოეღრუბლა, ერთხანს ჩუმად იყო, უეჭველად მახინჯების მეფე წარმოუდგა თვალწინ.

კუნძულზე ასეთი ადათი ჰქონდათ; ყოველ წელს, ყველაზე ლამაზ ქალს „დედოფალს“ შეარქმევდნენ ხოლმე. მამაკაცებიდანაც ირჩევდნენ „მახინჯების



მეფეს“. ათი წელი იქნება, ალი ბეი ამ ტიტულს უცვლელად ატარებს. ათი წლის მანძილზე იმაზე მახინჯი კაცი კუნძულზე არ გამოჩენილა. ამიტომ იყო, რომ დიდ-პატარა, ყველა იცნობდა. თანდაყოლილ ფიზიკურ სიმახინჯესთან ერთად, მორალურადაც გახრწნილი კაცი იყო: ლოთი, მატყუარა, ჩხუბისთავი, თავზეხელაღებული, ჭორიკანა და ნამხდარი. მთელი თავისი ცხოვრება მოსამსახურე გოგოებსა და საექვო ყოფაქცევის ქალებში გაატარა. წარამარა ცოლს ირთავდა და ისევე ეყრებოდა. სახით წვერგაპარსულ ორანგუტანგს წააგავდა. ღმერთმანი, ტყუილს არ ვამბობ... დიდ, საშინელ პირს როცა გაალებდა, დამბალი კბილები მოუჩანდა...

როცა გამახსენდებოდა, ტანში ცივად გამცრიდა ხოლმე.

ბავშვობისას ძვლის ავადმყოფობისგან ცალი ფეხი ხუთი სანტიმეტრით დამოკლებოდა. როცა მიდიოდა, გრძელ, გამხდარ ხელებს მიიქნევდა და 35 გრადუსით მოღრეცილ ფეხს გამეტებით ურტყამდა მიწას... ბავშვები, როგორც კი მომავალ ალი ბეის დაინახავდნენ, ყვირილით გარბი-გამორბოდნენ... იგი ამქვეყნად ბუნების სიმახინჯედ, ბუნების სისაძაგლედ გაჩენილიყო...

სუთუდე ჩაფიქრდა და კარგა ხანს ხმა არ ამოუღია. მე გამოვემშვიდობე და გარეთ გამოვედი. ტალახიან ქუჩებში მივაბიჯებდი, მაგრამ ისეთ სიმსუბუქეს ვგრძნობდი, რომ, ასე მეგონა, ხელები ფრთებივით რომ დავიქნიო, ნავსადგურამდე ფრენით მივალ-მეთქი.

\*\*\*

გასულ ზაფხულს მთელი კუნძული აყაყანდა. ყველა გაცეცხლებული იყო და არავის სჯეროდა, რომ სუთუდეს მახინჯების მეფე შეუყვარდა. მაგრამ საქმემ უეცრად



სერიოზული სახე მიიღო – ლამაზმა, უნაკლო სუთუ-  
დემ იმ უნამუსო და შვიდცოლგამოცვლილი ალი ბეის  
სარეცელი გაიზიარა. არც მეგობრების რჩევამ გაჭრა,  
არც მშობლების აურზაურმა უშველა საქმეს. სანყალმა  
ჩესბანმა მათი ქორწინების მეორე დღეს ტყვია დაიხალა  
შუბლში.

მე კი სინდისი საშინლად მქენჯნის, როცა წარმოვიდ-  
გენ, მახინჯების მეფე და სუთუდუ როგორ ეხვევიან,  
როგორ კოცნიან ერთმანეთს, სისხლი თავში ამივარ-  
დება ხოლმე.

პოეტი ფაზლი<sup>1</sup> სიყვარულზე ამბობდა, რომ იგი  
ვერაგული და უღმობელი თამაშია ადამის მოდგმის  
გაგრძელების მიზნითო.

...

საინტერესოა ისიც, რომ ამ ქარაფშუტა ახალგაზრ-  
დობის არჩევანი – შეიყვარონ ან ძალზე ლამაზი, ან  
ძალზე მახინჯი, იმავე უხამსი და ანგარების მოყვარული  
ბუნების იდუმალი ვერაგობა ხომ არ არის?

მართალი გითხრათ, ახლა სულ ამაზე ვფიქრობ...

<sup>1</sup> შუა საუკუნეების აღმოსავლეთის დიდი პოეტის, მუჰამედ ფუზულის  
ვაფი, პოეტი

## მოპარსული უღვაშები

რაც მართალია, მართალია, დარვინის ნათქვამ სიტყვას უნდა დაუჯეროს კაცმა!..

დიახ, ადამიანი მაიმუნისგან არის წარმოშობილი და ამ მოსაზრებაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება!

რატომ?

იმიტომ, რომ ადამიანი რასაც კი დაინახავს, ყველაფერს მაიმუნით ბაძავს.

დიახ, სხვას ბაძავს ადგომასა და დაჯდომაში, ჭამასა და სმაში, სიარულსა და დგომაში. ერთი სიტყვით, ყველაფერში ვილაცას ბაძავს...

ამქვეყნად რამდენი კაცია, რომელსაც ცალი სათვალე – მონოკლს რომ ეძახიან – მიუმაგრებია თვალზე.

მერედა, სჭირდება?

ღმერთი და რჯული, არა!

მაშ, რატომ გაიკეთა?

სრულიად უბრალოდ, მოდების ჟურნალში ნახა და მიჰბაძა...

\*\*\*

სიტყვას არ გავაგრძელებ და ვალიარებ – მეც ერთ-ერთი მიმბაძველთაგანი გახლავართ. მოდის თავგადაკლული მიმდევარი ვარ.

ამ ექვსი-შვიდი წლის წინათ ვნახე, რომ ზოგიერთებმა ამერიკელებს ნაჰბაძეს და უღვაშები



მოიპარეს. რა თქმა უნდა, მეც ულვაშისგაბარსვად  
ბუნებრივად ჩავთვალე და მოვიპარსე.

ეჰ...

დიახ, დიახ, მივბაძე და მოვიპარსე. ჭეშმარიტად, როგორც დარვინი ამბობდა, ჩემს წინაპარს დავემსგავსე...

პირველ დღეებში კი ისე დავილაღე, ისე დავიქანცე, რომ...

ახლავე ყველაფერს მოგიყვებით.

პირველ დღეებში ვინმე ნაცნობს რომ არ გადავყროდი, შინ უკანა კარით შევდიოდი. ერთხელ კარი ჩვენების ნაშვილებმა გოგომ გამიღო და შემომხედა თუ არა, ისეთი საშინელი ყვირილი ატეხა და ისე დაფრთხა, თითქოს ფაშატმა მგელი დაინახაო...

მე კარს ხელი ვკარი და დავედევნე... ტუტუცი გოგო, ვინ იცის, დედაჩემს რას ეტყოდა!

ოთახში დედა შემოვიდა. მე პირზე ხელი ვიტაცე, ვითომდა კბილი მტკიოდა. მაგრამ უკვე გვიანი იყო:

- აჰ, შე ბრიყვო, არამზადავ, აღარ თქვა, რომ შენ ჩემი შვილი ხარ, არ გაბედო...

საწყალი დედაჩემი სლუკუნებდა და იცრემლებოდა. გამხდარი, განრიოკებული, სისხლგამშრალი თითები უკანკალებდა, თავი უცახცახებდა...

- რატომ, დედაჩემო!

- რატომო? - ღრმად ამოიკვნესა საბრალო ქალმა, - რა უყავი შენი ულვაშები?

- გავიპარსე. ბრიყვი და არამზადა რატომ ვარ?

დედამ ტირილს უმატა.

- არა, შენ გგონია, რომ ამქვეყნის არაფერი გამეგება? ულვაშებს ხომ მასონები იპარსავენ?! მაშ, შენც მასონი ყოფილხარ!.. არამი იყოს დედის ძუძუ შენზე, არამი... შენ უყურე, ოჯახში მასონი გვყოლია, ჩვენ კი არაფერი ვიცოდით.

ბევრი ვეცადე, გამეგებინებინა, რომ ეს სამარცხვინო საქმე მიმბაძველობით დამემართა და სულაც არ ვიყავი მასონი, მაგრამ დედაჩემს ვერაფერი შევაგნებინე. მან უფრო და უფრო უმატა ტირილს, თან მუხლები გამოითქვიფა.

– შენს გაჩენას ჯოჯოხეთის ქვა გამეჩინა, ის მერჩია...

სწორედ ამ დროს, საიდან იყო, საიდან არა, მამაჩემიც მოვიდა. ტუტუცმა გოგომ მაშინვე მიახარა ჩემი უღვაშების ამბავი... შუა კარი გაიღო და მამა ოთახში შემოვიდა, ხელში მსხვილი ჯოხი ეჭირა. ეს რომ დავინახე, კანკალმა ამიტანა. მამას სახეზე გაბრაზება ეტყობოდა. მე ხელი ისევ საულვაშეზე მქონდა აფარებული.

– აბა, ჩამოილე, – დამიღრიალა მამამ და ჯოხი შემართა.

საქმე ცუდად მიდიოდა. მე მაშინვე ტყუილი შევთხზე: – მამი, დღეს პაპიროსმა უღვაში შემიტრუსა, იმიტომ მოვიპარსე.

მაგრამ ჩვენს მოხუცს ასე იოლად ვერ მოატყუებდი: – შენ ვერ მომატყუებ... შენ რომ კაცმა გკითხოს, იმ კობტაპრუნებსაც, ქუჩებში რომ ველარ ეტევიან, პაპიროსმა შეუტრუსა უღვაშები და იმიტომ გაიპარსეს, არა?

გავჩუმდი, რა უნდა მეთქვა?

მამაჩემმა მოხსნა პირი და ისეთ-ისეთები მითხრა, აქ ვერაფრით ვერ გავიმეორებ. გინდა ფესის ფოჩი მოგიტყევიან წინ და გინდ უღვაშები გაგიპარსავსო.

თავგზა ამებნა. აბა, მამაჩემთან რა გამივიდოდა?!

ნეტავ, თავი მომჭროდა და ეს ოხერი უღვაში არ გამეპარსა-მეთქი. მამამ ჩემი ლანძღვა-გინებით გული იჯერა და სახლიდან გამაგდო:

– აქედან დაიკარგე, არ იფიქრო, რომ სახლში

შემოგიშვა. უღვაშები კი ამოგივა, მაგრამ წამუსი არასოდეს აღარ გექნება.

რა უნდა მეთქვა?

ფეხათრეული გავედი და კარი გავიხურე.

მაგრამ, სად უნდა წავსულიყავი?

უცებ ერთი მარტოხელა ამხანაგი გამახსენდა, რომელიც თოფკაფის<sup>1</sup> უბანში ცხოვრობდა.

ბოლოს და ბოლოს, რომ წავსულიყავი, რა მოხდებოდა. მაშინვე ტრამვაის გაჩერებისკენ გავემართე. ქუჩის კუთხეში ჩემს ამხანაგებს მოეყარათ თავი. დამინახეს თუ არა, ერთხმად აყაყანდნენ:

– ბონჟურ, ბონჟურ! ადამიანს არ დამსგავსებია?  
რა იყო, სამარიდან წამომდგარი იანიჩარივით იმსიგრძე უღვაშებს რომ დაათრევდი?!

არც პასუხი გამიცია და არც მისვალმებივარ – გზა გავაგრძელე. დედ-მამამ ჩემს დანახვაზე შეიცხადა, ამ ვაჟბატონებს კი თვალში მოვუყვედი...

თოფკაფისკენ მიმავალ ტრამვაიში ჩავჯექი. ვაგონი ცარიელი იყო. დამნაშავესავით მოვიკუნტე და თვალი ერთ ნურტილს მივაშტერე.

უცებ გვერდით ერთი ჩალმიანი ხოჯა მომიჯდა.

ფანჯრისკენ კი ვიხედებოდი, მაგრამ მზერა ხოჯასკენ გავაპარე. იგი წარამარა შემომცქეროდა. გული ამიკანკალდა, ფრთხილად თუ არ ვიქნებოდი, შეიძლებოდა, ხოჯა ეფენდი მომდგომოდა და კარგა გვარიანად გამოველანძლე, უღვაშები რად მოგიპარსავსო. ეს აზრი თანდათან სარწმუნოდ მეჩვენა და გავიფიქრე – ტრამვიდან ჩავხტები, თავს ვუშველი-მეთქი. წამოდგომა დავაპირე.

<sup>1</sup> რაიონი და სულთნების სასახლე-რეზიდენცია. მდებარეობს სტამბოლის ევროპულ ნაწილში. აშენებულია სულთან მეჰმედ II-ის (1429-1481) ბრძანებით. ახლა სასახლე-მუზეუმი.

ხოჯამ გაილიმა:

- დიდხანს იცოცხლე, შვილო, ავი ნურაფერი შეგემთხვევა.

ჩემს მღელვარებას გაოცებაც დაემატა:

- რატომ ეფენდი?

- გული სიამაყით მევსება ხოლმე, როცა შენისთანა განათლებულ ახალგაზრდებს ვხვდები.

თავი ავნიე.

- ეფენდი, თქვენ საიდან იცით, რომ განათლებული ვარ?

- როგორ თუ საიდან ვიცი, შვილო, - გაიცინა ხოჯამ, - ულვაშები გაგიპარსავს, ეგ რა, განათლების ნიშანი არ არის?

- ?!

## ბამობგონებალი

(ფანტაზია)

მე ისეთი კაცი არ გახლავარ, რომ კაპიკ-კაპიკ შეგროვებული ფული მერე უყაირათოდ ვფლანგო და ვფანტო. ჩემს უპირველეს მოვალეობად მიმაჩნია ავწონ-დავწონო საქმის ვითარება და შევაფარდო შემოსავალ-გასავალი. მაგრამ მოვალეობა, მდგომარეობის მიხედვით, თურმე ხასიათივით იცვლება. საკმარისია, კაცი სამშობლოს საზღვრებს გასცდეს, რომ ყველა იმისი განზრახვა, იმედი და სასოება თავდაყირა დადგეს. უცხო კლიმატი, გარემო, ვითარება ჩვენში უჩვეულო, უცხო მიდრეკილებებს აღვიძებს და ისე აღვიძებს, რომ ეს სხვაობა შეიძლება ვერც კი ვიგრძნოთ...

ვერც კი ვიგრძნოთ...

აი, მე, გავცდი თუ არა თურქეთს, ჩემი სახელმძღვანელო დებულებიდან: „შეაფარდე შემოსავალ-გასავალი!“ – აღარაფერი დამრჩენია. ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს პაპანაქება სიცხეში ცივი წყალი გადაესხათ... ჩემი საქებარი ხასიათის შეცვლამ თვითონვე გამაოცა – რაც მეზადა, ისე შემომეფლანგა, არც კი გამიგია...

თუმცა ეს ყოველივე შემთხვევით კი არ მომხდარა... მომისმინეთ:



გოზთეფეში<sup>1</sup> დედისეული საკარმიდამო ადგილი მქონდა. სულ იმაზე ვოცნებობდი, იქნებ აგარაკი ავაშენო-მეთქი და შვიდი წლის მანძილზე ყურუშს ყურუშზე ვადებდი. ახლა კი წვითა და დაგვით შეგროვებულ გროშებს ყოველი შემთხვევისათვის სამგზავრო ბიუჯეტში ამოვაცოფინე თავი. კაცნი ვართ – პირველად უნდა მენახა ვენა, ბერლინი, პარიზი, ლონდონი. ჯერ ისევ სტამბოლში ვიყავი, როცა გეგმებს ვადგენდი:

– ნავალ, მაგრამ თავს არ ავიგდებ! ვიცხოვრებ მეორე ან მესამე კლასის სასტუმროში. დილით წავისაუზმებ, შუადღისას წავისადილებ, საღამოს კი კაცმა შეიძლება სულაც არ ივახშმოს... მაგრამ ნათქვამია, შინ დაბარებული გარეთ არ გამოდგებაო. ჯერ სახლის კარს არ ვიყავი გაცილებული, რომ სამი კოსტიუმი შევუკვეთე, რამაც ჩემი ბიუჯეტის ნახევარი შეინირა. მერე ვიყიდე ფეხსაცმელი, პერანგები, კოხტა ჩემოდანი, კიდევ რაღაც წვრილმანები და ნახევარი თვის ხელფასიც თვალსა და ხელს შუა გამიქრა. არც ამას დავჯერდი, ჩემ ნავაჭრს ორი შლაპა დავუმატე! ამ სამზადისს რომ მოვრჩი, ვაგზალს მივაშურე და, ჩემდა უნებურად, პირველი კლასის ვაგონის ბილეთიც ავიღე!

ჩემთან ერთად ხუთი ებრაელი, სამი ბერძენი და ერთიც ახალგაზრდა ეგვიპტელი მგზავრობდა. ეგვიპტელს ისეთი უცნაური სახელი ერქვა, რომ აქამდე არ დამეინყებია – მეჰმედ ბაჯანაქ ბეი ელ-რიზა! ვაგონ-რესტორანში ერთ მაგიდასთან მოვხვდით. ეგვიპტელს ღია ყავისფერი, გრძელი და შეუხედავი სახე ჰქონდა, მსხვილი ტუჩები და წინნამონეული პირი. ერთი სიტყვაც არ იცოდა თურქული. ფრანგულად გავაბით საუბარი. იმან, გამოჩენილ პიროვნებებს რომ სჩვევიათ

<sup>1</sup> სტამბოლის აზიური ნაწილის ერთ-ერთი რაიონი

ხოლმე, უცერემონიოდ მკითხა სახელი; მერე პროფესორთა სიის გაგებაც ისურვა.

- მწერალი გახლავართ...

- ოოო... ევროპაში რისთვის მიდიხართ, ქალაქის საყიდლად?

გამეცინა:

- არა, უბრალოდ, სახეციალოდ.

- რა დიდებულია, რა დიდებული... რა ბედნიერი ხართ, რომ საქმე არაფერი გაქვთ!

თვითონ უბედურზე უბედური კაცი გამოდგა. ევროპაში ძალზე მძიმე, ძალზე მნიშვნელოვანი და სერიოზული საქმეების მოსაგვარებლად მიდიოდა. პირდაპირ ყელამდე იყო საზრუნავში ჩაფლული.

მე დავინტერესდი:

- კონგრესისთვის ვემზადებით...

- რა კონგრესისთვის?

- ...

ბაჯანაქ ბეი ალ-რიზა და მისი თანამოაზრენი „სახელმწიფოებრივი კანონის“ მეშვეობით აფრიკიდან ინგლისელების განდევნას აპირებდნენ. ეს იდეა ისეთივე დიადი და დიდებული ყოფილა, როგორც სამყარო! (ეს ყოველივე „სახელმწიფოებრივი კანონის“ მეშვეობით).

- შესანიშნავი იდეაა, შესანიშნავი, - კვერს ვუკრავდი მე.

ალარ გავაჭიანურებ. სულ მალე მე და ბაჯანაქ ბეი გულითადი მეგობრები გავხდით. მეტად მდიდარი კაცი იყო - ჭეშმარიტად ფეხადგმულ ბანკს წააგავდა.

- ძვირფასო, მოდი, პირდაპირ მონაკოში წავიდეთ, - მომმართა ბაჯანაქ ბეიმ, - ახლა სეზონია. ეგეც არ იყოს, კაცი ევროპაში პირველად მოგზაურობ და ცოტა უხერხულიც კია მონაკოს უნახავად დაბრუნდე... ახლა მთელი ევროპა მონაკოში იქნება, შესანიშნავ დროს გაატარებთ.

უარი ვერ ვუთხარი.

– ეჰ, ნიგნებო, ნიგნებო...

ათი წლის რომ გავხდი, იმის შემდეგ სადაც წავანყდე, ხარბად ვკითხულობ... კილომეტრობით, ჰექტომეტრობით მექნება გადაკითხული ყოველგვარი ლიტერატურა მონაკოს ავ-კარგზე. ეჰ, უგრძესნო, უსაზღვრო და უსასრულო რომანებო... თითქოს მენახოს, თვალწინ მიდგას მისი კაზინო, უფლისწულის სასახლე, ქუჩები, მოედნები, ქანდაკებები; თვით პატარა და მარად ცარიელი საპყრობილე, ერთი ციციქნა არმია... ეგ კი არა, მონაკოს კონსტიტუციასაც კი ვიცნობ. ახლა ნიგნებში მაქვს შენახული გაზეთ „მათენიდან“ ამოჭრილი რეცენზია მონაკოს ასავალ-დასავალს რომ შეეხება.

ახლა შემეძლება, ცხადში ვნახო ეს პანანინა ქვეყანა... ახლა შემეძლება, გავისეირნო იმ ადგილებში, რომლებზე ოცნებითაც ბავშვობიდანვე ვსუნთქავდი და ვცხოვრობდი.

რა ბედი მენია!..

ვენას რომ გავცდი, ჩემი საბიუჯეტო ჩეკი ბანკოტებად დავახურდავე.

– ეგვიპტე ეგვიპტელების უნდა იყოს, ვილაც არაბების კი არა, ჩვენ კოპტები ვართ, კოპტები, – წამოიძახებდა ხოლმე დროდადრო ბაჯანაქ ბეი.

მისი სახის ფერი უნებლიეთ მახსენებდა იმ ციხის დანგრეულ კედლებს, რომლის ახლომახლო ბავშვობისას ჩიტებს ვიჭერდი, აგრეთვე, მდინარე სულუკულეს<sup>1</sup>, რომელიც ცნობილია იმით, რომ მოედინება შავი ფერის რიყეზე...

როგორც მოგახსენეთ, ბაჯანაქ ბეი მდიდარი კაცი იყო და ხელგაშლილად ცხოვრობდა. მეც ამიყო-

<sup>1</sup> რაიონი სტამბოლში.



ლია – პირველი კლასის ვაგონი, პირველი კლასის სასტუმროში, პირველი კლასის რესტორანი... ყველგან პირველი, ყველგან უმაღლესი...

შინაგანი ხმა ყოველ წუთს ჩამძახოდა:

– კაცო, რას აკეთებ, რას სჩადი?!

– არაფერს...

– ბაჯანაქ-ბეი ელ-რიზა შეძლებული კაცია, იქნებ მილიონერიც!

– მისი აყოლა შენ რა ხელს მოგცემს?

– ...

– დაგავინყდა, სტამბოლში ტრამვაიში რომ არ ჯდებოდი, ფეხით დაჩანჩალებდი, ეგებ, თითო-ოროლა გროში გადაგენახა?

– ...

– გაიხსენე, რა წვითა და დაგვით გაქვს შეგროვილი ეგ ფული, გაიხსენე!

– კარგი ერთი...

მხრებს ვიჩეჩდი, სახეს ვიჭმუხნიდი და ვუბრაზდებოდი იმ უხილავ შინაგან ხმას. ის კი უფრო და უფრო თავხედობდა, სუნთქვას მიშლიდა, მახრჩობდა. მეც გავჯიუტდი, ნებისყოფა დავძაბე და ისე ჩავედი მონაკოში, რომ იმ ხმის ძახილზე ყურიც არ შემიბერტყია.

რამდენს ვხარჯავდი, მგზავრობით გართულს არ შემიმჩნევია, მაგრამ მონაკოში ჩასულს სამგზავრო 150 ლირადან ნახევარიც აღარ მქონდა. ბაჯანაქ ბეის პოკერი ვეთამაშე. მოვიგე, ნავაგე, მერე ისევ მოვიგე, მაგრამ ორი დღის შემდეგ ჯიბეში 90 ლირას გარდა გახვრეტილი გროშიც კი აღარ მეგდო.

ერთი გამოსავალილა მქონდა – რაც შეიძლება მოკლე და იაფი გზით სტამბოლს უნდა დავბრუნებულიყავი.

სამგზავრო თადარიგს შევუდექი, სასტუმროში დანახარჯი გადავიხადე.



– მშვიდობით, მონაკო, სამუდამოდ გემშვიდობები...

სიგარას ვაბოლებდი და დავსეირნობდი კაზინოს ტერასებზე. აქაურობა თავისი სიმშვენიერით იმ ედემს წააგავდა, რომელიც უძველეს ზღაპრულ სასახლეებს ერტყა გარშემო. ჩემს გონებას, ფიქრს, აზრს, უსაზღვრო სურვილს ერთ ფოკუსში მოეყარა თავი, მის გარდა ჩემთვის სხვა აღარაფერი არსებობდა... ვიქცეოდი ზუსტად ისევე, როგორც ამ ცხოვრებაზე დახარბებული ზოგიერთი მჯღაბნელი მოიქცეოდა:

– ეჰ, ნეტავი, მეც მდიდარი ვყოფილიყავი, ნეტავ...

მხოლოდ ორი დღე გავატარე ამ სამოთხეში, სადაც თავმოყრილი იყო ამა ქვეყნის ყოველგვარი სიკეთე – ქალიც, ბანქოც, სასმელიც, კომფორტიც, სასიამოვნოც და თავშესაქცევიც...

ყოველ წელიწადს კაცმა ორი თვე აქ რომ გაატაროს, ალბათ ამაზე დიდ ბედნიერებას ველარაფერს იპოვის დედამიწის ზურგზე.

საკუთარ თავს ველარ ვცნობდი და ამ ცვლილებას ვჭვრეტდი ცხადად და მწუხარებით. ვეძებდი იმ „მეს“, რომელიც სულ ერთი კვირის წინათ სიმდიდრეს არად აგდებდა, იდეას ანიჭებდა უპირატესობას, იდეებში ხედავდა ბედნიერებას; ვეძებდი იმ „მეს“, რომელიც ერთი კვირის წინათ ბრწყინვალეებითა და თავშექცევით ცხოვრებას ქარაფშუტობად ნათლავდა... რა იქნა იგი, ის „მე“ – უბრალოებასა და მყუდროებაში რომ ეძებდა ბედნიერებას?

ვეძებდი იმ ძველ „მეს“, ვეძებდი და ამასობაში, ჩემდა უნებურად კაზინოში ამოვყავი თავი – ვიტრინის შიგნით უეცრად ოთხ ფესიანს თვალი მოვკარი და გამოვერკვიე. „ალბათ ეგვიპტელები იქნებიან კონგრესზე ჩამოსულნი“, – გავიფიქრე და დაკვირვებით შევათვალიერე.



მაგრამ, არა! არც სახის ფერითა და არც ფესებით  
 ეგვიპტელებს არ ჰგავდნენ. ერთი ნაბლისფერთმიანი  
 იყო, დანარჩენი სამი კი – შავგვრემანი. მეტისმეტად  
 შნოიანად ეცვათ. სტამბოლულებს წააგავდნენ. მეც ბა-  
 ჯანაქ ბეის წაბაძვით თავიდან ფესს არ ვიშორებდი. მი-  
 ვესალმე, მომესალმნენ. იმ ნაბლისფერთმიანმა უცერე-  
 მონიოდ მკითხა:

- ჩვენებურო, დიდი ხანია, რაც აქ ხართ?
- ორი დღეა.
- ჩვენ დღეს ჩამოვედით.

- კეთილი იყოს ჩვენი შეხვედრა, - ღიმილით  
 ჩავილაპარაკე და წასვლა დავაპირე, მაგრამ არ გა-  
 მიშვეს. მეც გვერდით მივუჯექი.

რასაც აქ ერთ კვირაში გაფლანგავენ, სამშობლოში  
 ერთ წელიწადს ეყოფოდათ, ვფიქრობდი მე. არც ერთი  
 მათგანი ჩემსავით გამოუცდელი არ ჩანდა. იგონებდნენ  
 შარშან აქ გატარებულ დროს. ერთ-ერთ მათგანს მაშინ  
 ბანქოში კარგა გვარიანად მოეგო.

- მაგრამ, მგონი, კაზინო წელს უფრო მომხიბლავად  
 გამოიყურება!

- გასართობიც მეტი იქნება!
- ვნახოთ.

- ნიცაში მითხრეს, რომ მთელი პარიზის ვარსკვ-  
 ლავეები წელს მონაკოს ცაზე იბრწყინებენო.

- იმასაც ამბობენ, გასტროლებზე ცნობილი საო-  
 პერო დასი ჩამოვიდაო...

- პრიმადონას აქებენ.
- დაესწარით? - მომიბრუნდნენ მე.

- ამ ორ დღეში ოპერაში წასვლა ვერ მოვასწარი.
- არა.
- ამ საღამოს წავიდეთ.
- წავიდეთ.

- ...

- ...

ამ ქარაფშუტულ ლაპარაკში რა დრო გავიდა, არ მახსოვს. უცებ ჩვენ წინ შავფრაკიანი, ლენტითა და ორდენით მკერდდამშვენებული ლაქია გაიჭიმა. მან თავაზიანად დაგვიკრა თავი და ფრანგულად მოგვმართა:

- ბატონებო, თურქები ბრძანდებით?

ერთმანეთს გადავხედეთ. ნაბლისფერთმიანმა მეგობრებს გადაულაპარაკა:

- ეს ჩვენი ფესების ამბავია. ახლა ხომ მიხვდით, რისთვის მინდოდა, ფესები გვეტარებინა. ევროპულ ქალებს ფესების დანახვაზე პირდაპირ გული მისდით. ახლაც ვინმე ქალბატონი გვინვევს ალბათ, - მერე მსახურს მიუბრუნდა და უპასუხა, - თურქები ვართ, რაშია საქმე?

- ერთი ამერიკელი მილიონერი ვახშამზე გაპატიჟებთ, თუ თქვენ დათანხმდებით.

- სასიკეთო საქმე არ უნდა იყოს. გამოდის, რომ ჩვენ ქერი დავთესეთ, ფეტვს კი ვიმკით! მართალი გითხრათ, მე იქ წამომსვლელი არა ვარ, თუ თქვენ გსურთ, ნაბრძანდით, - ჩაიცინა ნაბლისფერთმიანმა.

მე გავჩუმდი.

სამივე მას შემოეხვია:

- რატომ უნდა ვუთხრათ უარი. კაცი მილიონერი ყოფილა, აუარებელი ქალი ეყოლება. მშვენივრად წამოხვალ!

- არ წამოვალ!

- წა-მო-ხვალ!

- ქეიფს ნუ ჩაგვიშხამებ, კაცო!

- თქვენ ხომ წამოხვალთ? - მე მომიბრუნდნენ.

- სადაც თქვენ, მეც იქ, - მივუგე დაუფიქრებლად.

- მაშ, წავსულვართ...

ლაქიას ერთხმად თანხმობა განვუცხადეთ.

სალამოვდებოდა. ცისკიდურს წითელი ღრუბლები ჯერ კიდევ შემორჩენოდა და მთელი კაზინო სხივთა ციალში იყო ჩაძირული. კაცი იფიქრებდა, მზით გაჩირალდნებულ ბროლის კოშკში ვიმყოფებით!

ნახევარ საათსაც არ გაეწლო, რომ ქერა, წვეროსანი, მონაკოს უფლისწულზე უფრო დარბაისლური შესახედაობის მეტრდოტელი გამოგვეცხადა და სხვა დარბაზში გაგვიყვანა.

ჩვენ იქ ერთი ძონძროხა, შავგვრემანი, წარბებგაფარჩხული და ლოყებდაბერილი, შავ კოსტიუმში გამოწყობილი უცნობი შეგვეგება. ჩვენდა გასაოცრად ანატოლიურ დიალექტზე გამოგველაპარაკა, „კ“-ს მაგიერ ყველგან „ლ“-ს გამოთქვამდა:

– თანამემამულენო, დიდ მადლობას მოგახსენებთ, რომ თხოვნაზე უარი არ მითხარით და მობრძანდით. მე ასეთი ჩვევა მაქვს – სადაც უნდა ვიყო, თუ ჩვენებური შემხვდა, უეჭველად უნდა მოვიწვიო. ამ სალამოს მონაკოში თქვენთვის სალამო-გართობა მინდა მოვანყო. მაგრამ ამ წამოწყებას ამერიკულად ნუ ჩამითვლით. აი, ნახავთ, წმინდა თურქული იქნება ყველაფერი.

ერთმანეთს გადავხედეთ.

ამერიკელი მილიონერი ჩვენი თანამემამულე?

ვინმე გაქსუებულ-გალაზღანდარებული კაცი ხომ არ არის და ჩვენი გაპამბულება ხომ არ უნდა? მაგრამ ეს თურქული კილო, სახე, გამომეტყველება, გაფარჩხული წარბები?

დაბნეულები მივჩერებოდით.

– მობრძანდით, – მიგვიწვია მილიონერმა და წინ გაგვიძღვა.

მონუსხულებივით ავედევნეთ. წაბლისფერთმიანი ჭაბუკი ენაჩავარდნილივით მოდიოდა.

– სად მივდივართ? – იდაყვი ნავეკარი მას.  
– ალაჰი მონყალეა, ვნახოთ, – ამოიდგა ენა მან.

ჩვენ უამრავ ბრწყინვალედ მორთულ-მოკაზმულ ქალსა და ელეგანტურად გამონყობილ მამაკაცს შორის გავიარეთ. ალისფრად მოელვარე ხუთმა ფესმა ყველას ყურადღება მიიპყრო.

შევედით თეატრის დიდსა და გაკაშკაშებულ დარბაზში, სადაც ორკესტრის, გუნდის, მსახურისა და ქანდაკებების გარდა არავინ იმყოფებოდა. სცენაზე უშველებელი, საქეიფოდ განწყობილი მაგიდა იდგა.

მილიონერი შედგა:

– ამ სალამოს მთელი თეატრი და ოპერის დასი მე დავიქირავე. მაშ! ჩვენს მეტი აქ კაცი ფეხს ვერ შემოდგამს. სუფრა პირდაპირ სცენაზე გვექნება, იქ უნდა ვსვათ და ვჭამოთ. მუსიკას დაუკრავენ, ჩვენ გარშემო საოპერო დადგმას წარმოადგენენ, ჩვენ კი ვიქეიფებთ და ვიქეიფებთ... რას იტყვით, თურქული სუფრა არ იქნება?

– ნამდვილად თურქული იქნება, მადლობას მოგახსენებთ, – გაიცინა ნაბლისფერთმიანმა.

– გახეთქვამდე უნდა ვსვათ!

– გახეთქვამდე...

– ნამდვილად, თურქულად...

– დილამდე...

– დილამდე...

მილიონერი სცენაზე პატარა საუცხოო კიბით ავიდა, ჩვენც მივყევით.

– დაუძახეთ აქტრისებსა და აქტიორებს, – მიუბრუნდა იგი მსახურს, – პიესის მიხედვით კი ნუ იმღერებენ, არა, ყველამ ერთად იმღეროს...

ვეებერთელა მაგიდას მივუსხედით. ასეთი ბრწყინვალე სუფრა არც მანამდე და არც მის შემდეგ არ მინახავს... აუარებელი, სხვადახვა ფერისა და სახის ყვავილები,



რომელთა სახელები დღესაც არ ვიცი, ამშვენებდნენ ჩვენს მაგიდას... ბროლის ვედროები, რომლებშიაც შამპანურს აციებენ, თვალისმომჭრელი ელექტრომორთულობა, თეთრი სუფრა და ხელსახოცები, ძვირფასი სერვიზი...

სპექტაკლისთვის გამონწყობილი, კულისებიდან გამოსული მსახიობები გარს შემოგვეხვივნენ.

- თუ თქვენ ამ საღამოს ჩემს თანამემამულეებს ასიამოვნებთ, გაართობთ და შეაქცევთ, თითოეულ თქვენგანს საჩუქრად სამი ათას კრონს მივცემ, - დამტვრეული ინგლისურით მიმართა მათ მილიონერმა.

ამ ფულის ყოვლისმომცველი ძლიერების წინაშე ის ოცდაათიოდე მსახიობი, რომლებიც გარს გვერტყა, წელში ისე მოიხარა, თითქოს ფანატიკოსთა წინაშე სალოცავი ტაძარი აღიმართაო.

- ყველა ჩემს თანამემამულეს აქეთ-იქიდან თითო მსახიობი ქალი მიუჯდეს.

- კარგი, ძალიან კარგი.

- ...

ჩვენმა მასპინძელმა ერთი ბრძანება კიდევ გასცა:

- არავითარი ცერემონია... ჩემი თანამემამულენი ჩემსავით ვერ ითმენენ ასეთ წვრილმანებს!..

იქ მყოფნი ყოველგვარი ცერემონიისა და ეტიკეტის დაცვის გარეშე შევუდექით სმა-ჭამას. მამაკაცები მაგიდას ჩვენგან მოშორებით მიუსხდნენ.

ქალები ძალზე კმაყოფილნი იყვნენ ასეთი ბანკეტით, რომელიც სიზმარს უფრო ნააგავდა, ვიდრე ცხადს. ის ცნობილი პრიმადონა კი, რომელზედაც ნაბლისფერთმიანი ჭაბუკი გვიყვებოდა, გაუთავებლად მღეროდა, მღეროდა... ორკესტრიც უკრავდა, თავგამოდებით და სულმოუთქმელად...

მე, ცოტა შექეიფიანებული, გაცეცხლებული, აღმაცერად ვუყურებდი ამ უცნაურ ღრეობას და ვერასგ-



ზით გამომეთვალა, ამ ბრიყვმა მილიონერმა რამდენი დახარჯა ამ სალამოს. მონაკოს მდიდართა ჯიბრზე დაიქირავა მთელი თეატრი, ოპერის დასი და მარტო საჩუქრად 90 ათას კრონს აძლევდა...

ნალველი შემომანვა.

ერთი რამ ცხადი იყო – თანხა მცირე არ იქნებოდა...

სპექტაკლი დაიწყო. დაიწყო ჩვენ გარშემო...

აქტრისებმა ის არ იკმარეს, რომ აქეთ-იქით გვესხდნენ, ანტრაქტებში უფრო ახლო მოგვიცოცდნენ და ჭიქების ჭახუნს მტლამტლუშის ხმებიც შეუერთდა.

...

ამ უაზრო და უგონო დროსტარებაში შუალამე გადავიდა...

მილიონერი ყველა ჩვენგანზე მეტს სვამდა. ნაზი და კეკლუცი პრიმადონა მუხლებზე დაესვა, ეხვეოდა, ლოშნიდა, თან ჯიბიდან ბანკნოტებს იღებდა და კალთაში უწყობდა. ჩემი მეგობრები, რომელთა სახელები დღესაც უცნობია ჩემთვის, ამ ბლლადუნში მასპინძელს არ ჩამორჩებოდნენ.

მხოლოდ მე ვიყავი მოწყენილი... მენანებოდა ის დიდი თანხა, რომელიც ასე ფუქსავატურად და უმიზნოდ ნიავედებოდა.

ვინ არის ეს მილიონერი? მართლა თურქია? ამდენი ფული საიდან შეაგროვა?

ერთი კი ნათლად ჩანდა – ამ ბრიყვსა და ანბანის უცოდინარ კაცს აღზრდის იოტისოდენა კვალიც კი არ ეტყობოდა.

თვალგაშტერებული ყოველივე ამაზე ვფიქრობდი, ათასი ვარაუდი მიტრიალებდა თავში, ფანტაზიას ვლესავდი...

უცებ შევნიშნე, რომ მილიონერის მკლავებში მოქცეულმა პრიმადონამ ჭიქა ასწია და ყველას მოგვმართა:

– მუსიოს მილიონების სადღეგრძელო იყოს!

– არა, მილიონებს რა ფასი აქვს, – წამოიბღავლა გალეშილმა მასპინძელმა, – უნდა დავლიოთ ჩემი გონების, ჩემი ჭკუის სადღეგრძელო, რომელმაც ეს მილიონები მოიპოვა!..

შემთვრალ ქალს ეგონა, კეკლუცობაში ჩამომერთმევაო და თამამად, გაგულისებული შეეკამათა:

– თქვენ გონებას რა ფასი აქვს?! მთავარია მილიონები! ნება მომეცით, შევსვა თქვენი მილიონების სადღეგრძელო.

გაღეშილი მილიონერი უცებ გაშმაგდა, ფეხზე წამოდგა. ჩვენ ყველას ჭიქები ხელში შეგვავაშუშდა. მილიონერმა მუშტი მაგიდას დაჰკრა. პრიმადონა დანაშაულში დაჭერილი გულუბრყვილო ბავშვივით თავის სკამზე გაიღურსა. ის კი გამძვინვარებული ლომივით ბრდღვინავდა და მთელ თეატრს ავსებდა მისი ქუხილი:

– მაშ, ჩემს გონებას რა მნიშვნელობა ა-აქვს? მე გამომგონებელი ვარ, გენიოსი ვარ, გენიოსი...

ყველას ხმა ჩაუნყდა. ორკესტრი ჩაჩუმდა, ხოლო მსახურნი ადგილზე გაიყინნენ. მთვრალი მილიონერი ჩვენ მოგვიბრუნდა და ყველას გასაგონად დამტვრეული ფრანგულით მოგვმართა:

– თანამემამულენო, თქვენ მე არ მიცნობთ, მაგრამ მთელ ამერიკასა და ევროპას კარგად მოეხსენება ჩემი სახელი... მე მამისგან ათი ფარა<sup>1</sup> არ დამრჩენია. ჩემი მილიონები სხვა მილიონერებივით ყურუშ-ყურუშ კი არ შემიგროვებია... ერთ ნუთში, დიახ, ერთ ნუთში ვიპოვე და ვისი და რის წყალობით? ჩემი გონების წყალობით, – ხმას აუნია მილიონერმა, – მე გამომგონებელი ვარ, გენიოსი ვარ, გენიოსი!

<sup>1</sup> წვრილი ფულის ერთეული

ყველა გაცემული მივჩერებოდით.

- კაისერიში<sup>1</sup> დავიბადე. რუშდიეს<sup>2</sup> გარდა არსად მისწავლია. ვიცოდი, რომ ამერიკაში ფულის შოვნა შეიძლებოდა. ერთ ჩვენებურ სომეხთან ერთად ამერიკაში გავიქეცი. მაგრამ ნიუ-იორკში ჩასულებს შავი სამუშაოს გარდა არაფერი შემოგვადლიეს. ორ თვეს ვიმუშავეთ, მაგრამ აღებული ფულით კუჭსაც ვერ ვიძლობდი. ვხედავ, რომ ტყუილად ჩამოვსულვარ. სამშობლოში დაბრუნება გადავწყვიტე, მაგრამ გზის ფული სად მეშოვა? ნიუ-იორკში ერთი ჩვენებური ბერძენი ცხოვრობდა, კარგად ვიცნობდი. ერთ შაბათ დღეს მასთან წავედი, ვიფიქრე, თურქეთში დასაბრუნებელ ფულს დავესესხები-მეთქი. თავი გაიქნ-გამოიქნია: - ბიჭო, თურქი ამერიკაში გამდიდრებას აპირებდით? - მკითხა. ეჰ, ვაპირებდი, მაგრამ გადასახტომი კარგად ვერ გავზომე და კისერი მოვიტეხე-მეთქი. - ასე ვუპასუხებოლოს, როგორც იქნა, დამთანხმდა, ფული ესეხებინა ჩემთვის, მაგრამ წამოსვლისას მითხრა:

- ბიჭო, დღეს შენ ქუჩა-ქუჩა უნდა იწინალო, მე კი სახლს ვალაგებინებ. მოდი, მოგვეშველე, ვალად არ წაგივა.

უარი აღარ ვუთხარი.

მსახურებთან ერთად შევეუდექი ავეჯის გადატან-გადმოტანას და გასუფთავებას. ბინაში ბევრი ხალიჩა იყო - ზოგი კედლებზე გაეკრათ. ზოგი იატაკზე გაეფინათ. ხალიჩებიც ხომ უნდა გაგვებერტყა? როდესაც კედლებიდან ვხსნიდით, შევამჩნიე, რომ ნალურსმებთან ხალიჩას კუთხეები დახეული ჰქონდა, ეტყობოდა, ხშირად ხსნიდნენ კედლებიდან. მე ანატოლიელი კაცი

<sup>1</sup> მნიშვნელოვანი ქალაქი თურქეთის ცენტრალურ ნაწილში

<sup>2</sup> საშუალო სასწავლებელი თურქეთში

ვარ, კარგად ვიცი ხალიჩის ყადრი და მიყვარს კიდევ. მივხვდი, რომ ხალიჩებს უდიერად ეპყრობოდნენ და, ცოტა არ იყოს, მენყინა. მთელ ამერიკაში ხალიჩის ფასი არ სცოდნიათ და ალბათ კაცი ერთ მთელ ხალიჩასაც ვერ იპოვის, – ვფიქრობდი მე. საქმეს რომ მოვრჩით, სამგზავრო ფული გამოვართვი და გარეთ გამოვედი. მივდიოდი და გონებიდან არ მშორდებოდა ის ამბავი, რომ ამერიკაში ხალიჩებს ასე უდიერად ეპყრობოდნენ. რალაც სევდა დამეუფლა. სამუშაო ხალათის სახელო წამოვიწიე და... (მე გამომგონებელი ვარ, მე გენიოსი ვარ, გენიოსი!) რას ვხედავ: საყელო დუგმით კი არ იკვრება, არამედ კნოპით... ჩემს გონებაში უეცრად რალაც აენტო, გონება უეცრად გამინათდა... აელვარდა წმინდა ცეცხლი და ჩემი გენიაც ასპარეზზე გამოვიდა.

მილიონერი შეჩერდა და თითქოს დაიქანცაო, თავი ჩაქინდრა. ყველა გაისუსა და სმენად იქცა. პირდაღებულნი შევცქეროდი. ჩვენს მასპინძელს ახლა უნდა გაემჟღავნებინა თავისი საიდუმლო... ჩემს გულს ბაგაბუგი გაჰქონდა ამ საიდუმლოს გაგების მოლოდინში, ერთი ნუთი ერთ საუკუნედ მეჩვენებოდა. მილიონერმა მუშტი კვლავ მაგიდას დაჰკრა და განაგრძო: – აი, დიდი კნოპები რომ დამზადდეს, დედალ-მამალი, ერთი ნახევარი კედელზე დამაგრდეს, მეორე – ხალიჩაზე დაკერდეს, უკეთესი არ იქნება? უკეთესია! არც ხალიჩა დაიხევა და ჩამოსახსნელადაც ადვილი იქნება!

ამას მთელი ამერიკა დამიმაღლებს, ხალხი პატივით მომიგონებს. ასეთი რამ ჯერ არავის მოსვლია აზრად!

აღარ დამიხანებია, მაშინვე ერთ სამხატვრო სახელოსნოს მივაშურე და შეკვეთა მივეცი – ერთი დიდი კნოპი უნდა დაეხატათ. სახელოსნოდან ჩვენი ქარხნის მდივანთან მოვუსვი. ისიც ჩემსავით თურქეთიდან იყო ჩამოსული.

– აბა, ძმობილო, – ვეცი მდივანს, – ერთი განცხადება დამინერე პატენტის ასაღებად, რაღაც გამოვიგონე!..

ეტყობა, შერევილად ჩამთვალა, ჩემს ნათქვამზე სიცილი დაიწყო. მაინც მკითხა, რა გამოვიგონეო.

მე მთავარი არ მითქვამს, მხოლოდ ვუთხარი, რომ ისეთი რამ გამოვიგონე, რაც მილიონობით ამერიკელის ოჯახს გადაურჩენს ერთ-ერთ უდიდეს საუნჯეს – ხალიჩებს. ჩემი გამონაგონის წყალობით არც ერთი ხალიჩა აღარ დაიხვეა-მეთქი.

სასაცილოდ ამიგდო და მგონი, განცხადებაც ჩემს გასაპამპულელბლად დამინერა. მე ყურადღება არ მიმიქცევია, განცხადება წამოვიღე, მხატვარს გავუარე, ჩემი რეკლამა გამოვართვი და პირველსავე შემხვედრ იურისტს თავი დავეუკარი.

იმან, ჩვენი ქარხნის მდივანივით, სასაცილოდ როდი ამიგდო.

– ძალიან კარგი! მე პატენტს ავიღებ. ფულს წინასწარ არ გამოგართმევ. განცხადების გამოქვეყნებასაც მე ვკისრულობ. მერე მოვრიგდებით.

მე დავთანხმდი. ერთი კვირაც არ იყოს გასული, რომ განცხადება გაზეთში გამოქვეყნდა, რომელშიც დანვრილებით იყო აღწერილი ჩემი გამოგონების სიკეთე და დიდი მნიშვნელობა.

განცხადების გამოქვეყნებისთანავე ჩემს იურისტს ოციოდე ფაბრიკანტმა მიმართა. ბევრს აღარ გავაგრძელებ. ბოლოს ერთ მრეწველს შევუთანხმდი და მისი კომპანიონი გავხდი, მხოლოდ იმ პირობით, რომ მოგების ნახევარი ჩემი უნდა ყოფილიყო. იმ წამს მე უკვე მდიდარი კაცი ვიყავი. ჩემი გონების წყალობით გავხდი მილიონერი... ამისთვის არ დამიხარჯავს არც ძალა და არც ღონე. დიახ (მე გენიოსი ვარ, გენიოსი), ვინ არის ბოლოს და ბოლოს ედისონი? ერთი მითხარით, რა გაა-



კეთა მან? ფონოგრაფი, გრამოფონი და კიდევ რა სა-  
თამაშოები!..

მე კი რა შევქმენი? მე შევქმენი ისეთი რამ, რაც  
ამერიკის ხალხის საუნჯეს იხსნის დაღუპვისაგან! ედი-  
სონმა რა მისცა კაცობრიობას? არაფერი... მე? მე დაუ-  
ფასებელი რამ!

– აბა, თქვენ თქვით, გულწრფელად თქვით, ედი-  
სონზე დიდი არ ვარ?

ყველამ, მთელმა სცენამ, ორკესტრანტებმა და  
მოსამსახურეებმაც ერთხმად შეჰყვირეს:

- ედისონზე დიდი ხართ!
- ედისონი ვინ არის?..
- გაუმარჯოს გენიოსს...
- გაუმარჯოს გამომგონებელს...
- ...
- ...

გამომგონებლის გენიის პატივსაცემად რაღაც  
საშინელი, გამძვინვარებული სურვილით გამოვცალეთ  
ჭიქები. მალე მე ძალზე მომეკიდა სასმელი. მაგიდამ,  
ოპერის დასმა, ორკესტრანტებმა, სცენამ, ერთი სი-  
ტყვით, ყველამ და ყველაფერმა ჩემ გარშემო ტრიალი  
დაიწყო და ერთმანეთში აირია. დარწმუნებული ვარ,  
რომ ყველა ჩემზე მეტად იყო მთვრალი და გონდაკარ-  
გული.

მსახიობმა ქალებმა ყველას გადააჭარბეს – ჩვენი  
მუხლებიდან პირდაპირ მაგიდაზე აბობლდნენ. მსახიობი  
კაცები გარშემო დაცუნდრუკობდნენ, ცეკვავდნენ...  
საბრალო ოფიციანტები შამპანურის მოტანას ველარ  
აუდიოდნენ.

\*\*\*

დილით სანოლში გამელვიდა. თვითონ მოვედი თუ მომიყვანეს, აღარ მახსოვდა. გაუხდელი ვინეტი – ტანსაცმელი მეცვა, ფესი ისევ თავზე მეხურა. მაშინვე წამოვხტი და სასტუმროში გავვარდი. წამოვკრიფე ჩემი გუდა-ნაბადი და ისე მოვეუსვი იქიდან, რომ ბაჯანაქ ბეი ელ-რიზასაც კი არ გამოვმშვიდობებოვარ.

მატარებლის ფანჯარასაც კი არ გავკარებოვარ, სანამ მონაკოს არ გავშორდით. სტამბოლში ჩასვლამდე, გონებიდან არ გამომსვლია ის საშინელი სალამო.

არასოდეს მავინყდება, თუ ორ დღეში როგორ გავფლანგე შვიდი წლის განმავლობაში ყურუშ-ყურუშ გადანახული ხუთასი ლირა... არ მავინყდება და სული მიწუხს...

ახლაც, როცა ფული შემომელევა, გამახსენდება ხოლმე ის ბრიყვი მილიონერი, რომელმაც ერთ ღამეში სულ უბრალოდ რამდენიმე ასეული ათასი ფრანკი გაფლანგა. გამახსენდება და საკუთარ თავზე ვბრაზდები – რატომ მე კი არ შემიძლია გავმდიდრდე კნოპებით, თუნდაც დუგმებით, თუნდა უბრალო ღილებით... და ცნობილი შარლატანი კაზანოვას მსგავსად მინდა საკუთარი ხელებით მხრებიდან მოვიგლიჯო საკუთარი თავი და ძირს დავახეთქო, როგორც ერთი უსარგებლო და გამოუსადეგარი რამ...

## მაღალი ქუსლები

საბრალო ჰათიჯე ხანუმი ძალზე ადრე დაქვრივდა. ახალგაზრდაც იყო და მდიდარიც, მაგრამ გათხოვებაზე სიტყვას ვერავინ გაუბედავდა. აბა, მაშ, რა იქნებოდა – ცამეტი წლის გოგო სამოცდაექვსი წლის მოფახფახე-ბულ კაცს მიათხოვეს და მთელი ათი წელი იმისთვის მამაკაცი სხვა არა იყო რა, თუ არა რევმატიზმისგან, ნახველისგან, ბამბისა და იოდის ნარევისგან შექმნილი, ჭუჭყიანი და საშინელი ნივთიერება...

თუ ვინმე ეტყოდა, ახალგაზრდები სხვაგვარნი არიანო, ჰათიჯე ხანუმი ხელებს გაასავსავებდა ხოლმე – ღმერთმა დამიფაროს... ერთხელაც ხომ დაბერდებიან, მაშინ იმათ რა გაუძლებსო.

მთავარი კი ის იყო, რომ ჰათიჯე ხანუმი სუფთა და პატიოსანი ქალი გახლდათ. გოზთეფეში ერთი სახლი ედგა. ყოველ დილას შინამოსამსახურე ელენთან და ნაშვილებ გულთენთან ერთად ანკრიალებდა და ასუფთავებდა მთელ ბინას. მზარეული მეჰმედი ხომ შეკლული ჰყავდა. კარგი ბიჭი იყო, ყოველ დილით პირი არ გაეპარსა და თავით ფეხებამდე სუფთად გატკეცილ თეთრ ტანსაცმელში არ გამოწყობილიყო! ელენი და გულთენი სინდის-ნამუსიანი გოგოები იყვნენ. იმათ ჰათიჯე ხანუმი არც საკუჭნაოს კარს უკეტავდა და არც ფულს უმალავდა. აი, მეჰმედის პატიოსნებაში კი კაცი უნდა დაეჭვებულყო – თავჩალუნული ლაპარაკი იცოდა, მოსაუბრეს თვალს ვერ უსწორებდა. მაგრამ ჰათიჯე ხანუმი კარჩა-

კეტილ ცხოვრებას ეწეოდა, სახლიდან გარეთ ფეხს არ ადგამდა და ვინ რას მოატყუებდა? ხან სამზარეულოში გამოჩნდებოდა ანაზღეულად, ხან სხვენზე ამოყოფდა თავს, ხან ოთახში დაბორილებდა და ყოველ წვრილმანს თვითონ ამონებდა. ამასაც არ აკმარებდა და გაუთავებლად ჩასჩიჩინებდა:

– მე მომბაძეთ და ჩემნაირად მოიქეცით. ვინმესთან მისული გინახივართ? არა! ჰოდა, მეზობლების მოჯამაგირეებთან და მსახურებთან საუბარს მოერიდეთ. ხალხთან მისვლა-მოსვლა ადამიანს ზნეობას უფუჭებს...

სიმართლე უნდა ითქვას, რომ მეჰმედი ამ დარიგებას პირნათლად ასრულებდა. სამზარეულოში, რომელიც სახლის უკანა ბაღში იდგა, მასთან არათუ სტუმრად მისულ იმათებურ ვინმეს შეხვდებოდი, უცხო კატასაც ვერ მოჰკრავდით თვალს. ჰათიჯე ხანუმი სამზარეულოში დღეში ათჯერ მაინც შეიხედავდა, მაგრამ მეჰმედი ყოველთვის მარტოდმარტო თავის ქვაბებთან გაჭიმული ხვდებოდა ხოლმე.

ჰათიჯე ხანუმს სისუფთავისა და პატიოსნების გარდა ერთი გატაცებაც ჰქონდა – მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი უყვარდა. ლამაზი ქალი იყო, ცოტა ჩასუქებული, ენაწყლიანი და სანდომიანი, მაგრამ დაბალტანიანს სახლშიც კი ერთთავად მთელი მტკავლის სიმალლის ქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა. შორიდან ლამაზ ჯამბაზს ნააგავდა. ამ მაღალი ქუსლებით დაბაკუნებდა. კიბესაც ისე მარჯვედ ჩაირბენდა, რომ გაოცდებოდი. ჰოდა, იმდენი იბაკუნა, იმდენი, სანამ ფეხი არ იღრძო. ბოლოს თავბრუსხვევაც კი დაეწყო.

მაშინ მკურნალი მოუყვანეს. ექიმმა ახედ-დახედა, მიზეზებს ჩაეძია და ასეთი დარიგება მისცა:

– თქვენი უსიამოვნო შეგრძნების მთავარი მიზეზი მაღალი ქუსლებია! ხანუმ ეფენდი, მოიშორეთ ისინი.



მატყლისგან მოქსოვილი რბილი, ხალვათი ფაჩურები ჩაიცვით და ყველაფერი გაგივლით.

როგორც ექიმმა დაარიგა, ისე მოიქცა. ფაჩურები აყიდინა. მართლაც თავისუფლად იგრძნო თავი. თავბრუსხვევამ ორ დღეში გაუარა, მუხლების ტკივილმაც უკლო. ჰათიჯე ხანუმმა სხეულის შვება კი იგრძნო, მაგრამ სამაგიეროდ სულიერი ტანჯვა აეშალა. ის შეხედულება, რომლებიც თავის ხალხზე ცხრა წლის მანძილზე ჩამოუყალიბდა, ორ დღეში დაემსხვრა და დაეშალა. მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ ელენი მისი ჯაგრისით კბილებს იხეხავდა, გულთენს საკუჭნაოში მთლად ამოესვლიბა მურაბის ქილა, ხოლო მეჭმედს, რომელსაც თავი ისე ეჭირა, თითქოს მჭადიდან ნახშირს ვერ გამოარჩევსო, მთელი სინი ხორცი გადაესანსლა, თუმცა იმ დღეს მარხვის დღე იყო.

– ღმერთო და გამჩენო, რა დაემართათ, ასე რამ შეცვალა ეს ხალხი? – ბუტბუტებდა გაოცებული ჰათიჯე ხანუმი.

ერთი კვირის მანძილზე თავისი ხალხი თხუთმეტჯერ მაინც დაიჭირა ქურდობასა და ხელმრუდობაში. ყველა-ყველა, მაგრამ, ეს კი ველარ წარმოედგინა – ერთ დღეს მეჭმედს თავისთან მეზობელი ფაშას ვილაც კაცი შეეყვანა და ლანგრიდან ბრინჯის ფლავს თქვლეფდნენ. გაცოფებულმა ჰათიჯე ხანუმმა ყველაფერი გადაკეტა და ბოქლომი დაადო.

– ახლა ვნახოთ, რაღას მოიპარავენ, – ამბობდა თავისთვის. მართლაც, მოსაპარად აღარაფერი იყო ხელმისაწვდომი.

მეორე დღეს ჰათიჯე ხანუმი მოგვიანებით ადგა. მაშინვე ძირს დაეშვა, მაგრამ ვერც ელენს მოჰკრა თვალი და ვერც გულთენს. სამზარეულოსკენ გაემართა. უნებურად თვალი კარის ღრიჭოს მიაშტერა, საიდანაც



მძიმე სუნთქვა მოისმოდა. პათიჯე ხანუმმა ფრთხილად შეიხედა და ელდა ეცა... მეჰმედი ცეცხლის წინ პატარა, დაბალ სკამზე ჩამომჯდარიყო, ერთ მუხლზე ელენი ჩამოესვა, მეორეზე გულთენი და მსხვილი, ტოტყი მკლავები ორივესთვის ქამარივით წელზე შემოეხვია. პათიჯე ხანუმმა თვალეები დახუჭა. მარტო თვალეები დახუჭა... ყურებში თითები არ დაუცვია და ამიტომ მათი საუბარი გარკვევით ესმოდა:

- გოგო, გულთენ, ახლა შენ შაქარს ველარ იმასიზამ... ველარ ჩამოიტან?

- როგორ ჩამოვიტანო, ყველაფერი დაკეცა ქალბატონმა...

მეჰმედი ახლა ელენს მიუბრუნდა, თან ტლოშნიდა და თან ეკითხებოდა:

- გოგო, ღამით რატომ არ შემოხვედი. შენთვის ხალვა მქონდა შენახული...

- რას ამბობ, ბე<sup>1</sup>, ქალბატონი გაგვიგებს და ყველას გაგვყრის, - აბუზლუნდა გულთენი.

შიგადაშიგ ბლლაძუნის ხმა და ჩურჩულ-კურკური ისმოდა.

პათიჯე ხანუმი თვალს არ ახელდა, იდგა თვალდახუჭული და გულისფანცქალით უსმენდა.

- ოჰ, ის ფაჩუჩები... იმან აგვირია ყველაფერი. ახლა ისე წაგადგება თავს, ვერაფერს გაიგებ. ეჰ, ადრე რა კარგად ვიყავით!.. მისი ქუსლების ბაკაბუკი სულ მალლა სართულზეც ისმოდა...

რაც უფრო მეტს ჩურჩულებდნენ, იმდენი უმსგავსო და უნამუსო რამ ისმოდა სამზარეულოდან, რომ პათიჯე ხანუმს ჭორადაც არ გაუგია. ველარ მოითმინა, თვალეები გაალო და ქორივით დააცხრა თავს მოსამსახურეებს:

<sup>1</sup> შორისდებული, რომელიც გამოხატავს უკმაყოფილებას, გაკვირვებას, მოუთმენლობას. ანალოგიურია ქართული „ვა“ შორისდებულისა.



– აი, თქვე საძაგლებო, თქვე ქურდებო და უნამუსოებო, ახლავე აქედან დაიკარგეთ!..

ჰათიჯე ხანუმმა კარში გაყარა მოსამსახურეები, რომლებიც ცხრა წლის მანძილზე ერთგულად ემსახურებოდნენ...

\*\*\*

ამის შემდეგ რამდენი მზარეული და მოსამსახურეც არ აიყვანა, ყველა უსირცხვილო, ქურდი, უნამუსო და უსინდისო გამოდგა. ამ ორი წლის მანძილზე ერთი გულმისასვლელი კაცი არ შეხვედრია. თუმცა ქონებაც ჰქონდა, საცხოვრებელიც, საზრუნავიც ბევრი არაფერი გააჩნდა, მაგრამ მოსამსახურეების ავკაცობამ გადაიყოლა, ფერი დაკარგა, გაყვითლდა და ჩამოხმა.

დარწმუნდა, რომ ასე ცხოვრება შეუძლებელი იყო, ადგა და ისევ მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები ჩაიცვა. ამის შემდეგ არც მსახური, არც მზარეული არც ქურდობაში დაუჭერია, არც უნამუსობაში უმხელია; მართალია, თავბრუსხვევამ გაუმეორა და ხელახლა მუხლებმაც ტეხვა დაუნყო, მაგრამ ექიმს აღარ ეჩვენებოდა, ხელმეორედ ფაჩუჩები არ გამომინეროსო.

რაც უნდა იყოს, ახლა გული მოსვენებული მაქვსო, ამბობდა ხოლმე ჰათიჯე ხანუმი.

## სიბრალების ნდობა

შებინდდა. ორი დღეა, რაც აჰმედ რესითი სახლი-დან გაგდებული ბებერი ძალღივით უცნობ უბნებსა და ქუჩებში დაეხეტება. ვისაც მიადგა და ლუკმა-პური სთხოვა, ყველამ კარი ცხვირწინ მიუჯახუნა. რამე მაინც ებადოს გასაყიდი... დაგლეჯილი შარვალი წვივებსაც ველარ უფარავს, ხოლო შავი ბონჟური<sup>1</sup> ისეა დაკონკილ-დაძონძილი, ვინმეს რომ აჩუქოს კიდეც, ხელს არავინ მოჰკიდებს. ქანცმილეული ვილაცის კარის დირეზე ჩამოჯდა, გათოშილი ხელები მიმხმარ მუცელზე შემოიწყო და ჩაიბურტყუნა:

– სიკვდილის მეტი აღარაფერი დამრჩენია!

მართლაც, კაცმა რომ თქვას, იმის შემდეგ, რაც ცხოვრებაც მან დაკარგა, აღარც კი ღირდა ასეთი სამარცხვინო სიცოცხლე.

უნებურად წარსული გაახსენდა – რა მარჯვედ შეალო ცხოვრების კარი... სასწავლებელი წარჩინებით დაამთავრა. შემდეგ სორბონის უნივერსიტეტში გააგრძელა სწავლა. იქაც უჩვეულო აღიარება მოიპოვა. ევროპელი პროფესორები გაოცებულები იყვნენ – ასეთი ყურადღება არც ერთ უცხოელს არ ხვდომია წილად. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ყველა დანესებულე-ბამ ფართოდ გაულო კარი. რესითმა საგარეო საქმეთა სამინისტრო არჩია. კონსულად გაამწესეს. შემდეგ...

<sup>1</sup> შავი ქსოვილისგან შეკერილი გრძელი და ერთ ადგილზე შესაკრავი პიჯაკი, რომელსაც კალთები წინ მომრგვალებული, უკან კი შეჭრილი აქვს.

შემდეგ... თითქოს მეხსიერებას შავი ღრუბელი გადაეფარაო, ველარ გაიხსენა, რა მოხდა, როგორ დაუსხლტა ფეხი ცხოვრების მაღალ კიბეზე, როგორ ჩაგორდა ასე ძირამდე...

ჰო, დაქორწინდა... გაეყარა... არც ხელმრუდობა, არც უნამუსობა გაუვლია ოდესმე გონებაში.

მაგრამ ყველამ ზურგი შეაქცია, ყველამ მიატოვა. აღარც ამხანაგი, აღარც მეგობარი, აღარც ნათესავი...

ყველა შემოეცალა, ყველა შემოეფანტა.

ერთხელ შემთხვევით ბანქო წაითამაშა და...

მაგრამ ვის არ უთამაშია?

უფულოდ, უმუშევრად და უიმედოდ დარჩენილი რესითი ამჩნევდა, რომ ყველა გაურბოდა. ეს ორგული და მუხთალი ნაცნობ-მეგობრები ჭორებსაც კი უგონებდნენ.

- ჭკუაზე შეცდა, ყომარბაზობა დაუნყია და, მგონი, სიფილისიც აუკიდებიაო...

კარგად გრძნობდა, რომ ჭკუაც ძველებურად უჭრიდა და გონიც, მაგრამ ვაი რომ წინ მაღალი კედელი ჰქონდა აღმართული, ხოლო ამ კედლის კარი მჭიდროდ იყო გადარაზული მისთვის.

ვინც კი შემოხვდებოდა, თვალეზაბუჭული წამოიძახებდა ხოლმე: - ვა, ეს რა დაგმართნია, რესით ბეი, - და თან ისე საჩქაროდ გაშორდებოდა, თითქოს რესითი კეთროვანი ყოფილიყოს.

ახლა კი თავშესაფარიც აღარ გააჩნია. ათას სხვა მანანწალასთან ერთად საკვებსაც კი ნაგვის გროვებში ეძებს.

ასეთი ყოფით თავზარდაცემული ხშირად ბუტბუტებდა:

- ეს რა ამბავია ჩემს თავს, ეს რა მომივიდა?..

ნამოდგა. უკვე კარგა შელამებულიყო. გათოშილი ხელები ჯიბეებში ჩაიწყო, ორად მოხრილმა და მობლუნძულმა ქუჩა გადაჭრა და ზღვისკენ გაუხვია; რა იქნება, ზღვის ტალღებში ერთი ჩაყვინთოს... რამდენიმე ნუთი და, სამუდამოდ თავს დააღწევს ამ ძალღურ ცხოვრებას... მაგრამ ეს ოხერი ზღვა ყინულივით ცივი იქნება. ეჰ, სადმე ხანძარი რომ ყოფილიყო?! წერილს მაინც დავენერო, – გაიფიქრა, მაგრამ მაშინვე სიბრაზისგან გული ყელში მოაწვა:

– რატომ? ვისთვის? რისთვის?

იმ უსინდისო და გაუტენელი ადამიანებისათვის, რესითი რომ გაინაპირეს? ცრუმეცნიერების, ცრუფილოსოფიის ეთიკა და მორალი, მისი დამსახურება და იმ ლეგენდის არსი, რომელსაც კაცობრიობა ქმნის, მან ახლა ზედმინევნით კარგად იცის.

კაცობრიობა, ეს ის პრეისტორიული ტყეა, რომელშიც მხოლოდ მტაცებელი ცხოველები ბინადრობენ. ლოგიკა, პოეზია, ესთეტიკა, სიკეთე – ნიგნის ფურცლებს არ სცილდება.

გულამღვრეული მიაბიჯებდა და გრძნოდა, რომ სახეში უფრო და უფრო სცემდა ზღვიდან მომავალი სუსხი. ნაბიჯს აუჩქარა. რა საჭიროა სიცოცხლე, რა აუცილებელი?

ადამიანები ცხოველებზე უფრო დაუნდობელნი, ვეფხვებზე უფრო მტაცებელნი და აფთრებზე უფრო შეუბრალებელნი არიან...

ახლა სიკვდილი მხოლოდ სასიამოვნო ხსნა იყო მისთვის, ამიტომ სახეგაბადრული მიიჩქაროდა ზღვისკენ...

უეცრად მის წინ რამდენიმე ჩრდილი აიტუზა:

– გაჩერდი!

თავისდა უნებურად შეჩერდა.

- ხელები მაღლა!

...არ შეშინებია, მაგრამ დაიბნა. ხელები ასწია. ქურდები აღმოჩნდნენ. თვალის დახამხამებაში ჯიბე-უბე გადმოუბრუნეს და როცა საკბილო ვერაფერი უპოვეს, გულმოსულად ჰკითხეს:

- ჯიბეგაფხეკილი დადიხარ?

- ჰო...

- აქ რას დაეძებ?

- არაფერს...

- დაფქვი, თორემ!

...

ისეთი ტონით იყო ნათქვამი, საცოდავს ლამის წამოსცდა, თავის დასახრჩობად მივდიოდიო. ნერწყვი გადაყლაპა:

- არაფერს... სახლი არა მაქვს და კარი... ჰოდა, დავხეტილობ...

- ჰოოო... აბა, მაშ წამოგვყევი!..

წინააღმდეგობის თავი აღარ ჰქონდა და უხმოდ აედევნა უკან. ოთხნი იყვნენ. როცა ფარანთან ჩაიარეს, შეათვალიერა. ისინიც მანანნალები იყვნენ. ცოტა რომ გაიარეს, ქუჩის კუთხეზე მიუთითეს და ჩაუჩურჩულეს:

- შენ იქ დადექი, თუ ზემოდან ვინმე გამოჩნდეს, ჩაახველე და მოკურცხლე, თუ არადა, დაგვიცადე, ათ წუთში მოვალთ.

- კარგი.

მანანნალები გაუჩინარდნენ. რესითი კანკალმა აიტანა. მიხვდა, რომ „ატანდზე“<sup>1</sup> დააყენეს. იფიქრა, გავიქცევიო, მაგრამ სიტყვა მისცა და, რომ გაქცეულიყო, ლაჩრობაში ჩამოართმევდნენ. არ გაიქცეს და... სულის სიღრმეში სინდისი ქენჯნიდა, ნაჩვენებ ადგილზე

<sup>1</sup> კრიმინალური ტერმინი, რომლითაც ერთ-ერთი პირი დამნაშავეს აცნობებდა მოსალოდნელ საფრთხეს.



ჩაიკუნტა და თავი ხელებში ჩარგო. არაფრის განსჯის უნარი აღარა ჰქონდა, სიცვიისგან თითქოს ტვინიც გაყინვოდა. თვალები დაეხუჭა. ვერც გაიგო, რამდენ ხანს იყო ასე. ქურდების ფეხის ხმამ გამოაფხიზლა.

- ვაჰ, დაგეძინა?

- არა.

- აბა, ნავიდეთ!..

რესითი კვლავ უკან აედევნა ქურდებს. ახლა უფრო ფრთხილად მიდიოდნენ. ერთი ფარნის ძირში შეჩერდნენ და რესითმა მისკენ გამოწვდილი რალაც ქალაღდი დაინახა.

- რა არის? - იკითხა გაოცებულმა.

- აილე, შენი წილია!

- რა წილი?

- აილე, ბიჭო...

ათრთოლებული ხელი გაუნოდა და ქალაღდი ჩამოართვა.

- ახლა კი იქ წადი, სადაც მიდიოდი, უკან არ მოიხედო! - მუქარით უთხრეს და გაშორდნენ.

ქალაღდს დახედა, ხელში ორნახევარლირიანი ბანკნოტი ეჭირა.

\*\*\*

თითქოს სულში ამოვარდნილი ქარიშხალი ჩადგა და მანათობელი მზე ამოვიდა. ინანა კიდევ წელანდელი ნაფიქრი. წუთისოფელი არც ისე ავი ყოფილა, მას რომ ეგონა. ამქვეყნად თურმე ისეთი ადამიანებიც დადიან, რომელთაც საწყალი და საცოდავი კაცისა ესმით. სიკეთე, სათნოება და მოწყალება მხოლოდ ზმანება და ქიმერა როდი ყოფილა. ამის დასტურად, აი, ეს ქალაღდი გამოდგება, რესითს ხელში რომ ეჭირა. გაიღიმა და ის-



ეთი გახარებული შემოტრიალდა, თითქოს ცოდვიანს  
 შერყეული რწმენა კვლავ დაუბრუნდაო, აღმა მიმავალ  
 ქუჩას აუყვავა. იქ ერთი დუქანი ეგულეობდა. ორი დღეა,  
 პირში ლუკმა არ ჩაედო. მუცლის წვამ სულ გადაავინყა,  
 რომ წელიც სტკიოდა, ფეხებიც და ხელებიც...

## მეგობრობა

მე მგონი, ამქვეყნად იმაზე დიდი სატანჯველი და სასჯელი სხვა არაფერი უნდა იყოს, როცა კაცს საკუთარი თავი სძულს და ეზიზღება. სულ სხვაა, თუკი ერთ დღეს აღმოვაჩინო, რომ ჩვენი მეგობარი თუ ამხანაგი წლების განმავლობაში მოხერხებულად თამაშობდა გულლია, სათნო და უანგარო კაცის როლს, სინამდვილეში კი სულმოკლე, ცრუ და ზნედაცემული ყოფილა.

აღმოვაჩინო და უმალ განვშორდებით!

სიყვარულიც ხომ ასეა... ადამიანს, რომელსაც სალოცავ ხატივით ვეთაყვანებით, საკმარისია, რაიმე ლაქა შევამჩნიოთ, რომ ცეცხლი ტრფიალისა უეცრად ჩაგვიქრეს, გავცივდეთ, გავიყინოთ და მცირე ხანში, შესაძლოა, მტრადაც კი მოვეკიდოთ...

მაგრამ, როგორ მოვიქცეთ, რა მოვიმოქმედოთ მაშინ, როცა ის ლაქაცა და ზადიც ჩვენა გვაქვს?

არც რა!

რა უნდა ქნა, როცა სიკეთის, ჭეშმარიტებისა და მშვენიერების ამალღებული იდელების ცეცხლი, რომელიც ჩვენს სულში მორალურმა და ეთიკურმა შეგნებამ ააბრიალა, თანდათან იფერფლება და ინავლება?! როგორც კი ეს სამი მანათობელი ჩირაღდანი ჩაქრება, უმალ უკუნ უდაბნოში აღმოვჩნდებით, უმალ პირუტყვებად ვიქცევით და... იცხოვრო ცხოველის ცხოვრებით, იცხოვრო უშინაარსოდ, უმიზნოდ, უსიყვარულოდ... არავითარი წმინდა რამ არ გაგაჩნდეს,



შენთვის არ არსებობდეს სიკეთე, ჭეშმარიტება, მშვენიერება... ამაზე დიდი სატანჯველი სხვა რა უნდა იყოს?!

აი, ახლა მე ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ჩემში ის ღვთიური ჩირაღდანი ჩანაცრებულიყოს და გაქსუებული პირუტყვივით დავნანნალებდე... ვინ უნდა იყოს იმაზე საცოდავი, ვისაც დაუკარგავს ფასი ადამიანობისა!

ამ უკუნეთში ჩემი სურვილით კი არ მოვხვედრილვარ. იმისი თქმაც კი შემიძლია, არც კი გამიგია, ამ წყვილადში როგორ აღმოჩნდი-მეთქი.

ამ ათიოდე დღის წინ ღამე ბიძაჩემთან გავათენე. ჰოდა, იქ დამემართა ეს ამბავი... დავტოვე ყოველივე ადამიანური და სამოთხიდან ჯოჯოხეთში ამოვყავი თავი. სამწუხარო და სავალალოა ისიც, რომ ამ ადამიანურ სამყაროს ველარასოდეს დავუბრუნდები...

მას შემდეგ, რაც ჩემი ბიძაშვილი ნაჰათი გამირულად დაეცა ჩანაკალეში<sup>1</sup>, ბიძაჩემმა მე მიშვილა და ნამდვილი შვილივით შემეყვარა. შარშან საცოდავი ძალუაჩემიც გარდაიცვალა – შვილზე დარდმა გადაიტანა! დარჩა სანყალი ბერიკაცი ეულად იმ ვეებერთელა სახლში, სასახლეს რომ ნააგავს. ეულად დარჩა-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ, თუმცაღა მემკვიდრე გახლავართ, მაგრამ ბიძაჩემის სანახავად ათასში ერთხელ თუ შევივლიდი და მოსამსახურის ამარა მყავდა მიტოვებული.

უნდა გამოვტყდე, რომ ზნეობრივად ბიძაჩემზე უფრო სრულყოფილსა და კეთილ ადამიანს ჯერ არ შევხვედრივარ. მემკვიდრეობით დარჩენილი დიდი

<sup>1</sup> დარდანელის სრუტის აზიური მხარის მთავარი ქალაქი. პირველი მსოფლიო ომის დროს ქალაქმა გაუძლო მოკავშირეთა ძალების შემოტევას და არ დანებდა. მოთხრობაში ყურადღება გამახვილებულია ქალაქის დამცველთა გამირულ საქციელზე.



ქონება, თავისი ძმის მსგავსად, ფუქსავატურ ქეიფსა და დროსტარებაში არ გაუფლანგავს. იგი პატიოსნად ემსახურა თავის ქვეყანას: ხან კაიმაკამად<sup>1</sup> იყო, ხან მუთასარიფად მსახურობდა, ხან კი ვილაიეთის მმართველის თანამდებობა ეკავა. ჩვენთვის, თანამედროვე ადამიანებისთვის, იმისი გაგებაც კი ძნელია, თუ საზოგადოდ შეიძლება პოეზიის ისეთი სიყვარული, როგორც იგი ბიძაჩემს უყვარდა. იმისი აზრით, პოეზიის კრებულები უბრალოდ ლექსთა ერთობლიობა კი არ იყო, არამედ მათში წმინდა აზრი იმალებოდა, ხოლო ღაზელებისა და ყასიდების სტროფებსა და რითმებში ღვთიური, ფარული, იდუმალი რამ სიკეთე სუფევდა. ბიძაჩემმა ბალის ბოლოს, ფიჭვნარში, ბიბლიოთეკა ააშენებინა, რომელიც იდუმალ ტაძარს უფრო წააგავდა და მთელ დღეებს იქ ატარებდა: წიგნებს მტვერს აცლიდა, გულმოდგინედ უვლიდა და ფარეზობდა. იმ დღესაც, მოსამსახურემ კარი რომ გამიღო, მითხრა:

– ეფენდი ბეი ბიბლიოთეკაშია, თუ გსურთ, იქ მიბრძანდით.

ბიბლიოთეკისკენ გავემართე.

ხეებს ფოთლები უკვე ჩამოსცვენოდა, ყვავილნარი კი ისევ მწვანედ გამოიყურებოდა, თუმცა ყვავილები კარგა ხანია დამჭკნარიყო. ტყვიის ფურცლით გადახურული ბიბლიოთეკის გუმბათიანი სახურავი რალაც უცხო და შეუცნობელ სევდას ამიშლის ხოლმე. ფანჯრის მწვანედ შეღებილი რკინის გისოსი ღია იყო. კართან მივედი. კარზე ძველებური კვერი ეკიდა, კვერის

<sup>1</sup> სულთნის თურქეთი დაყოფილი იყო ადმინისტრაციულ ერთეულებად. ყველაზე დიდი ერთეული იყო ვილაიეთი, რომელსაც მართავდა ვალი. ვილაიეთი შედგებოდა რამდენიმე სანჯაყისაგან, მას მუთასაფირი განაგებდა. ეს უკანასკნელი რამდენიმე კაზას აერთიანებდა, რომელსაც სათავეში კაიმაკამი ედგა.



ქვემოთ ჭუჭრუტანაში თითბრის ყვითელი გასაღები იყო გარჭობილი. კვერს ხელი არ ვახლე და თითებით ფრთხილად მივაკაკუნე. არავინ გამომეხმაურა. უფრო ძლიერად დავაბრაგუნე:

– რა ამბავია, მეჰმედ? – გაისმა ბიძაჩემის ხმა, რომელსაც ეგონა, მსახური მეძახისო.

– მეჰმედი კი არა, მე ვარ, ბიძაჩემო, მე!

...

კარი გაიღო.

კარებში ბიძაჩემი გამოჩნდა თავისი სპეციაკი წვერითა და ცისფერი, დაქანცული თვალებით, რომლებიც მსხვილი ნარბევისა და ოქროს სათვალის ქვეშ უფრო დიდად მომეჩვენა. იგი თავისსავე აკლდამაში გაცოცხლებულსა და წამომდგარ წმინდანს ჰგავდა.

ხელზე ვაკოცე.

– მოდი, შემოდი, ერთი ძვირფასი რამ უნდა გაჩვენო.

– ბატონი ბრძანდებით...

ფეხსაცმელები გავიხადე და ისე შევედი. ასე შედიან ხოლმე წმინდა ტაძარში... წითელი ტყავის წულები ჩავიცვი. ბიძაჩემს აქლემის ბენვისგან მოქსოვილი საშინაო ხალათი ეცვა. მაგიდას შემოვუსხედით, რომელიც ისე იყო გასუფთავებულ-დამასმასებული, ზედ ერთ ბენვსაც კი ვერ იპოვიდით.

გადაშლილი წიგნი ეჭირა, მე გამომინოდა:

– ნამდვილი საგანძურია, საგანძური. მსგავსს ვერსად იპოვი!

ბიძაჩემის „საგანძური“ მედუქნის გაქონილ საანგარიშო წიგნსა ჰგავდა.

– ჭეშმარიტად ძვირფასია... – ნაძალადევად შევეცადე, მღელვარება გამომეჩინა.

– გუშინ მომიტანეს. აბა, თუ მიხვდები, რამდენად შევიძინე?

- ორ ლირად.

- სრულ ჭკუაზე არ ყოფილხარ, შვილო, - მომახალა ბიძაჩემმა და ისე შემომხედა, რომ გამაცია...

- ყდა ძველი და შემოცვეთილი აქვს... მაგან შემაცდინა, ხუთ ლირას მისცემდით, - შევეცადე, ჩემი შეცდომა გამომესწორებინა.

- რას ამბობ, შვილო, რის ხუთი ლირა, „დაფი ალ-გუმუმი“, დელი ბირადერის<sup>1</sup> იგავების კრებულია, - ნამოიყვირა ბიძაჩემმა, - მთელ სტამბოლში მეორე ხელნაწერს ვერ იპოვი. იქნება მთელ ქვეყანაზე ამის მსგავსი არც კი მოიძებნებოდეს! ეგ კი არა, შესაძლოა, თვით ლაზელის ხელნაწერიც კი იყოს...

- რამდენი მიეცით?

- ას ოთხმოცი ლირა...

- კარგია...

ხელნაწერი ბატიფეხური იყო; ყდა და ზურგი ისე ჰქონდა შემოცვეთილ-შემოჭმული, თითქოს თავგებს შემოულრღნიათო, მოვარაყებული ნაყუბებიც გასცრეცოდა.

სანამ მე ამ ძველმანს ვათვალიერებდი, ბიძაჩემმა ბოლო დროს შეძენილი რამდენიმე „საგანძური“ კიდეც გადმოიღო და მაგიდაზე ერთმანეთის მიყოლებით დამილაგა:

- ესენი შენთვის არ მიჩვენებია!

რას არ ნახავდით - ლექსთა კრებულებს, ისტორიული ხასიათის თხზულებებს, თარგმანებს... მათ ნესტიანი საფლავის სუნი ასდიოდა... ბიძაჩემმა, რაც მარტო დარჩა, თავისი ცხოვრება ამ ბიბლიოთეკას შესწირა. ძალიან კმაყოფილი იყო, რომ მეც ვწყალობდი

<sup>1</sup> XVI სუკუნის ცნობილი პოეტის მუჰამედ ლაზელის ერთ-ერთი გავრცელებული სახელი, „დაფი ალ გუმუმი“ იგულისხმება მისი თხზულება „დაფი-ალ-გუმუმი-ვე რაფი ალ-ჰუმუმი“.



პოეზიასა და ხელოვნებას. მოსწონდა ჩემი ლექსები, მოთხრობები. ხშირად მეტყოდა ხოლმე:

– ჩემო სიამაყევ!

მაგრამ ბიძაჩემი ძველის მოყვარული კაცი იყო და თავის ბიბლიოთეკაში არც ახალ, თანამედროვე ცხოვრების ამსახველ წიგნებს და არც ხელნაწერებს არ გააჭაჭანებდა.

თვალები დამელალა, კითხვას თავი მივანებე და ოთახში მივიხედ-მოვიხედე. ბიბლიოთეკის კედლები მთლიანად ჭიქურით იყო მოპირკეთებული. თქმა არ უნდა, წიგნებზე იაფი არც ეს ნახელავი დაჯდებოდა, თუმცა მათზე წარწერების ამოკითხვა შეუძლებელი იყო. გუმბათის შუაში ოქროსწყალში დაფერილ ჯაჭვზე ბროლის ქალი ეკიდა, რომლის მდიდრული, გოროზი შესახედაობა ბიბლიოთეკაში დასადგურებულ მყუდროებას არღვევდა.

ბიძაჩემმა ყასიდის კითხვას თავი დაანება და მე მომიბრუნდა:

– გაიგე, შვილო, ჩემი ბიბლიოთეკის ყიდვა უნდათ?!

– ვის?

– შენ არ იცნობ, აღმოსავლეთმცოდნეებს.

– რამდენს იძლევიან?

– ჯერ ათი ათასი ლირა შემომაძლიეს, მე უარი ვტკიცე. მერე თხუთმეტი ათასი გაიმეტეს, მე მაინც ვიუარე, ოცი ათასზე ავიდნენ...

– რას ამბობთ?

– ოცდახუთსაც არ დაიშურებენ.

– ღმერთო ჩემო, ბიძაჩემო, ნულარ ევაჭრებით, გაყიდეთ!..

ბიძაჩემმა თვალები წიგნს მოსწყვიტა და მე მომაპყრო... იმ თვალეში ისეთი საყვედური, ისეთი მუნათი დაგუბებულიყო, რომ...

- ბიბლიოთეკა გავყიდო? მერედა, მე რალა ვაკეთო?  
- ...

თავი კვლავ წიგნებში ჩარგო. სახე შეჭმუხვნოდა. გულმოსული, ნაღვლიანი კილოთი დაუმატა:

- იმქვეყნად როცა გამისტუმრებთ, მაშინ გაყიდეთ.

ხმა არ ამომიღია. წიგნი ავიღე და ყასიდად კითხვა დავიწყე. არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავით ასე ჩუმად. მე მომეჩვენა, რომ დიდხანს ვდუმდით. მალულად თვალი ბიბლიოთეკის თაროებს შევავლე და გუნებაში ის ოცდახუთი ათასი ლირა წარმომიდგა, აღმოსავლეთ-მცოდნეები რომ შეაძლევდნენ ბიძაჩემს. ოცდახუთი ათასი ლირა... ეს ხომ მთელი სიმდიდრეა! ადრე თუ გვიან ეს სიმდიდრე ჩემი იქნება, ბიძაჩემს ჩემ გარდა ვინ გააჩნია?!

ეს დღეც მალე დადგება! ბიძაჩემს ცალი ფეხი სამარეში უდგას... რამდენიმე წელიც, ბევრი-ბევრი ხუთი და მეორე ფეხსაც იქ ჩაითრევს...

ნეტავ, ვინ იყვნენ ის აღმოსავლეთმცოდნეები?

მინდოდა მეკითხა, მაგრამ ენას კბილი დროზე დავაჭირე!

ბიძაჩემის თვალებისა შემეშინდა, რომლებიც სათვალის იქიდან უფრო ცისფრად მოჩანდნენ, უფრო ჭკვიანურად გამოიციქირობოდნენ. შემეშინდა, ვაითუ, ჩემი ფიქრიც ამოიცნოს-მეთქი.

ამ მემკვიდრეობამ, რომელზეც აქამდე არასოდეს მიფიქრია, ახლა მთელი ჩემი არსება შეიპყრო. თითქოს თავი გამებერა და გამისივდა, თითქოს მთლად გამოვყეყეჩდი, ბიბლიოთეკიდან გამოვედით და სახლში შევედით. მხოლოდ ის მახსოვს, ბიძაჩემი რომ მეუბნებოდა:

- შვილო, დღეს შენ რალაც დაბნეული ხარ, რა დაგემართა?!

როდესაც მაგიდას ვუსხედით და ვსადილობდით,

ჩემი გონება ჩემივე სხეულის, სულისა და ნების გარეშე  
რალაც უცხო და უცნობი მექანიზმივით მუშაობდა,  
ფიქრობდა, გეგმებს აწყობდა. მოძალებული ფიქრები-  
სათვის ვერაფერი მომეხერხებინა. წინააღმდეგობის  
განევა არ შემეძლო და ჩუმად ვიჯექი...

ასეა... ეს საცოდავი ბერიკაცი ამ მოკლე ხანში უეჭვე-  
ლად საიქიოს გზას გაუდგება... მერე, ბიბლიოთეკა  
25 ათას ლირად გაიყიდება, სახლი, ბალი, ფაიქფაშას  
აღმართზე კიდევ ერთი ბინა... ესეც შენი 70-80 ათასი  
ლირა... ერთად აღებული ასი ათასი ლირა იქნება!

მთელი სიმდიდრეა!

აქ რალა მაცხოვრებს!

მაშინვე ევროპაში მოვუსვამ და მთელ ჩემს სიცოცხ-  
ლეს განცხრომაში გავატარებ...

მაგრამ ამ ბერიკაცმა ცოლის მოყვანა რომ მოინდო-  
მოს?

- მოინდომებს?..

- რატომაც არ მოინდომებს, - მოისმა გულის გამგ-  
მირავი ხმა ეშმაკისა, - მოინდომებს!

- არა, კაცო, არ მოინდომებს, - იმ ხმას უხმოდ  
შევეპასუხე და კბილები გავალრჭიალე.

- შეუძლებელი არაფერია! შეიძლება ხვალვე გაიგო,  
რომ ბიძაშენი ცოლს ირთავს!..

- საშინელებაა...

- რა თქმა უნდა, საშინელებაა...

- არა, მართლაცდა, ბერიკაცმა ცოლი რომ ითხოვოს...

- ეჭვიც ნუ გეპარება. მაშინ იმ შენ ასი ათას ლირას  
სიზმარშილა ნახავ.

- მაშ?

- გზა უნდა მოუჭრა, - კვლავ ჩამორეკა ეშმაკის ხმამ  
ჩემს გონებაში.

ბრძანება დაუნდობელი და მუხანათური იყო... რო-

გორ გადამეჭრა გზა და როგორ ამეცილებინა თავიდან ეს უბედურება?

დიახ, უბედურება იქნებოდა, თუკი თითქმის ჩემ ხელთ არსებულ ასი ათას ლირას დაუდევრობით ხელიდან გავუშვებდი...

გონება კვლავ ჩემი ნებისა და შემეცნების მიღმა მაგიური საათივით ამიმუშავდა.

ბიძაჩემს შევხედე. იგი პატარა კოვზით ფლავს მიირთმევდა. სპეტაკი წვერის შიგნით თეთრი, გამხდარი ყელი უჩანდა... იმ თეთრ ყელს ორი-სამი წუთით ხელები მოუჭირე და... ასი ათასი ლირა შენი იქნება...

- მაგრამ?..

- ყეყეჩო, რისა გეშინია? - კვლავ გაისმა ეშმაკის მაცდური ხმა.

- მეშინია.

- ნუ გეშინია... შენ ბიძაშენს უბრალო, ჩვეულებრივი ავაზაკივით კი არ ნაუჭერ ყელში და არ დაახრჩობ!..

- მაშ?

- ისე უნდა მოიქცე, რომ კანონმა ვერაფერში დაგადანაშაულოს!..

- როგორ?

- ერთი ამხანაგი გყავს ბაქტერიოლოგი, საბითი ჰქვია...

- ჰოდა, ცოტაოდენი ტიფის მიკრობები მოჰპარე...

- რას ამბობ?

- ის მიკრობები წყალში ჩაუყარე. როცა დაავადდება, ექიმი მოუყვანე. ექიმი რომ ნამლებს მოგცემს, იმ ნამლების მაგიერ მიკრობებით მოწამლული წყალი ასვი. ერთ კვირაში ფეხებს გაფშეკს. მერე შენ ყველას დასანახად იტირებ და თავში ხელებს იცემ!.. მიცვალებულს წინ გაუძღვები. აბა, ვის მოუვა აზრად, რომ შენი საყვარელი ბიძია შენვე გაუყენე საიქიოს გზას, ვინ იეჭვიანებს?



პირიქით, შეეცდებიან, დარდი გაგიქარვონ:

- რას იზამთ, ნუთისოფელი ასე ყოფილა, თქვენ კარგად იყავით და!..

- ოჰ!

- ...

უეცრად გამოვფხიზლდი. თითქოს მხრებიდან მძიმე ტვირთი მოვიშორე. თვალი გავახილე. ბიძაჩემი ვაშლს ფცქვნიდა. ჯერ კიდევ არ მესმოდა, რას მელაპარაკებოდა, მხოლოდ ეს გავიგონე:

- ჩემო სიამაყევ!

გვიან ღამით სანოლ ოთახში ავედი. ჩემს გონებაში ჩასახული ბოროტი გეგმა თანდათან მნიფდებოდა.

სანოლზე ჩამოვჯექი. მაგიდაზე სანთელი ენთო. კედლებზე რალაც უფორმო და უსახო ჩრდილები დაფარფატებდნენ.

ასი ათასი ლირა!..

თვალი კარადის სარკისკენ გამექცა. სარკეში ჩემი გამოსახულება დავინახე, როგორ ჯიუტად მომჩერებოდა. იმ გამოსახულებას თმა ყალყზე ჰქონდა დამდგარი, თვალები კი ჩასისხლიანებოდა...

შეხედვა შემეზარა და თვალი მოვარიდე.

მთელ ღამეს არ დამიძინია.

სარკეს არ ვეკარებოდი, საკუთარი თავისა მეშინოდა. დიახ, მე დამნაშავე ვიყავი, მე მკვლელი ვიყავი. მთელი მორალური და ეთიკური შეხედულებანი ჩემთვის სიცრუედ და სიყალბედ იქცა.

ჩემს გონებას ეშმაკეული ხმა დილამდე მბრძანებლობდა:

- ნუ ყოყმანობ!

- არა, არა, ამას არ ჩავიდენ.

- ჩაიდენ!

- არა-მეთქი!

- ასი ათასი ლირა ხელიდან გაგიფრინდება!

- გამიფრინდეს.

- შენ გიჟი ხომ არ ხარ?!

- ...

დილაადრიან ბიძაჩემთან შევედი. საწყალი ბერიკაცი აივანზე იჯდა და რძეს სვამდა. საწყალი თავის სიამაყეს ღიმილით შეხვდა...

- რა დაგემართა, ცუდად ხომ არა ხარ? ფერი დაგკარგვია!..

- არაფერია.

- მშვიდად გეძინა?

- კი.

უეცრად ვეცი და ხელებზე კოცნა დავუწყე. თვალთაგან ცრემლი მდიოდა. იმ ავაზაკს ვგავდი, რომელიც ეს-ეს არის თავისივე მოკლული წმინდანის გვამის წინაშე ცოდვას ინანიებდა.

მე ადამიანისა უკვე აღარაფერი გამაჩნდა.

- თქვენთან ერთი სათხოვარი მაქვს!

ბიძაჩემმა აღარ იცოდა, რა ექნა, ასეთ გულწრფელს პირველად მხედავდა. საცოდავი, იმის ბაიბურშიც არ იყო, თუ ეშმაკმა ჩემი სული, არსება, გონება რა დღეში ჩააგდო, როგორ გათელა...

- რა მოხდა, შვილო?

- არაფერი. ჯერ დამპირდით, რომ უეჭველად შემისრულებთ.

- კარგი, თქვი, გპირდები.

- მე ხომ თქვენი ერთადერთი მემკვიდრე ვარ?

- უეჭველად.

- ჰოდა, მსურს, რომ მთელი თქვენი უძრავ-მოძრავი ქონება, თქვენსავე სიცოცხლეში, ეროვნულ ორგანიზაციებს უანდერძოთ...

- მაგრამ, რატომ?

- მე ასე მინდა...

- რისთვის?

- ...

მინდოდა, ყველაფერი მეამბზნა, მინდოდა მეთქვა, თუ რას ვფიქრობდი წუხელ, უხილავი და ვერაგული იარაღით რომ ვაპირებდი მომესწრაფებინა მისთვის სიცოცხლე... მინდოდა მეთქვა, იგი უეჭველად მიმიხვდებოდა. შესაძლოა, ტვირთი სინდისის ქენჯნისა შემმსუბუქებოდა კიდეც. მაგრამ ვერ გავბედე და ჩემს ჭუჭყიან, საძაგელსა და ბილწ მორალს სათნოების ის ფარდა ჩამოვაფარე, რომელიც საერთოდ არც კი გამაჩნდა და სიმართლის თქმის ნაცვლად სიცრუე დავინწყე:

- ჯერ ახალგაზრდა ვარ. შესაძლოა, ეს ძვირადღირებული ბიბლიოთეკა ისეთ პირზე გავყიდო, რომელიც მას სამშობლოდან გაიტანს. მე კი მინდა, რომ ეს ფასდაუდებელი მემკვიდრეობა ჩემს ერს დარჩეს!

- ძალიან კარგი! ბიბლიოთეკა ჩვენს ერს მივცეთ, მაგრამ მთელი ჩემი უძრავი ქონება?

- ბიძაჩემო, მე არც ის მინდა... რამდენი ავადმყოფია, რამდენი ობოლს სჭირდება თავშესაფარი... რამდენს ცრემლის მოწმენდა ესაჭიროება, რამდენს ჭრილობის შეხვევა... რამდენი ნუგეშსაცემი ქვრივია და რამდენი უმწეო ობოლი..

- ...

ამას რომ ვამბობდი, ბიძაჩემი დიდი ყურადღებით მისმენდა და გაოცებული, მოხიბლული შემომცქეროდა.

საცოდავი... აბა, რა იცოდა, რაოდენ მდაბალი ქმნილება იდგა მის წინაშე, რა იცოდა...

გასწორდა, გულში ჩამიკრა და შუბლზე მაკოცა:

- ჩემო სიამაყევი!..

\*\*\*

დიახ, ჩემს სულში სამუდამოდ ჩაქრა და ჩაიფერფლა ადამიანობის იდეალი და ის სამი ზნეობრივი ჩირაღდანი სამარადისოდ ჩაინავლა! ერთ ლამეში საშინელ და საზარელ მკვლელად გადავიქეცი.

ახლა წყვდიადით მოცულ უდაბნოში ვიმყოფები. პირუტყვივით, ცხოველივით იმედაკარგული დავიარები. ამიერიდან ველარასოდეს დავუბრუნდები ადამიანურ სამოთხეს – სიკეთის, ჭეშმარიტებისა და მშვენიერების სამოთხეს.

ეს საცოდავი მოხუცი კი, რომელიც უსინდისოდ მოვატყუე, ჩემს მსგავს მხდალ, მდაბალ არსებებს კვლავ ადამიანებად მიიჩნევს და ეტყვის:

– ჩემო სიამაყე!

## საიდუმლო ტაძარი

ამ რამდენიმე დღის წინ თოქათლიანში სერმეთმა ერთი ევროპელი ჭაბუკი გამაცნო, სორბონის ამხანაგები ვართო. ქერათმიანი, ცისფერთვალემა, ლამაზი და სუსტი ყმანვილი გახლდათ. აღმოსავლეთის შმაგი ტრფიალი აღმოჩნდა. ერთმანეთი გავიცანით თუ არა, მაშინვე ეს მითხრა:

– ძვირფასო, საკუთარ თავს ვერ იცნობთ! ევროპას ეთაყვანებით და საკუთარ მშვენიერებას ვერ ჭვრეტთ, საკუთარი მიმზიდველი იდუმალებით არ ცხოვრობთ...

უცებ პასუხი ვერ მოვახერხე, ვერც აღვიქვი, მის საყვედურში რა იყო მართალი და ჭეშმარიტი და რა არა, მხოლოდ გამელიმა:

– თქვენ საიდან იცით, რომ ვერ ვცხოვრობთ და ვერ ვჭვრეტთ?

– საიდან ვიცი და, ჩემი თვალთ ვხედავ, – გაცხარდა იგი, – სამი წელია, სერმეთის ბინაში ვარ. ბინაში ყველაფერი ევროპულად აქვთ მოწყობილი, სასა-დილო, საწოლი ოთახი, ტუალეტი, ძმებსაც ევროპულად აცვიათ, ევროპული ზნე-ჩვეულებები შეუთვისებიათ და ასე განსაჯეთ, ევროპულადაც აზროვნებენ! ეჰ, სადღაა პიერ ლოტის<sup>1</sup> თურქეთი?!<sup>2</sup>

<sup>1</sup> პიერ ლოტი (1850-1923) – ფრანგი მწერალი, რომელიც თავის სატრფი-  
ალო რომანებში თურქეთს ასახავდა ტრადიციულ, ეგზოტიკურ აღ-  
მოსავლურ მხარედ, სადაც სუფევდა ბედნიერება და სიკეთე.

<sup>2</sup> „პიერ ლოტის თურქეთი მეორე მხარესაა“ – იგულისხმება სტამბოლის

- პიერ ლოტის თურქეთი მეორე მხარესაა, სენი სტუმარს.

- დიახ, ასე ამბობენ, მაგრამ ევროპელთათვის შეუღწეველი სამყაროა! სამწუხაროდ, თქვენ ეს წარმტაცი სამყარო არ გიყვართ!..

- რატომ? ჩვენშიც ბევრია ისეთი, ვისაც უყვარს პიერ ლოტის თურქეთი!

- თქვენც გიყვართ?

მე გადაჭარბებული გულმოდგინებით დავუქნიე თავი.

არა, ეს ევროპელები რა გულუბრყვილონი არიან!.. ვერ გადაულახავთ მოძველებული შეხედულებანი აღმოსავლეთზე! ეს ჭაბუკი ევროპელიც ხომ ერთი იმათგანია!

საუბარი თურქეთზე დავიწყეთ. იგი ჯიუტი კაცის ენერგიით კვლავ იმას ამტკიცებდა, რომ ჩვენ საკუთარი თავი ვერ შეგვიცვნიან... თურმე ჩვენი ქალაქის მშვენიერი, ლამაზი და ეგზოტიკური ქუჩები აგვითვალწუნებია და ევროპულ არქიტექტურას ვემონებით, რომლის გეომეტრიული ხაზები აგრერიგად ღუპავს და ახრჩობს ბუნებრივ ლაზათს. მას საშინლად სძულდა ანტიკური ხელოვნება.

- ღმერთო ჩემო, რა საშინელი კარიკატურაა ეს თქვენი ბეიოლლუ, - ამბობდა ზიზლით.

თავი პიერ ლოტისეული ფანტაზიითა და ეგზოტიკით ჰქონდა გამოტენილი. ჩვენი სილატაკე, უმეცრება და ველურობა რაღაც საოცარ ზებუნებრივ სიკეთედ მიაჩნდა. გაცხებული იყო იმით, რომ ჩვენ ვერ გვალეღვებდა ეს უსაზღვრო ნაგვის გროვა, განადგურებულ-გაპარ-

---

აზიური ნაწილი, ფრანგი მწერლის ფიქრით, ევროპული ცივილიზაციით შეურყვანელი, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენია აღმოსავლური რომანტიკა და ეგზოტიკა.



ტახებული უბნები, ნანგრევები... ბოლოს მთხოვა, წამეყვანა იქ, სადაც ევროპას თავისი ცივილიზაციით არ შეურყვნია ბუნების ლაზათი.

ჩემი მოხუცი გადია გამახსენდა, რომელიც კარაკუმ-რუკში<sup>1</sup> ცხოვრობდა. იგი მორწმუნე და ძველ ადათ-წესებზე აღზრდილი ქალი იყო, მოსამსახურედ ერთი მოხუცი არაბი ჰყავდა და ქმრისგან დანატოვარი მცირე შემოსავლით ირჩენდა თავს.

- კარგი, მე წაგიყვანთ ტიპური თურქის ოჯახში. მაგლობა გადამიხადა და გახარებულმა მკითხა:
- როდის?
- დღეს, თუ გინდათ, ახლავე...
- თუკი შეიძლება?
- შეიძლება, მხოლოდ თქვენთვის ფესის ყიდვა დაგეჭირდება.

მე მსურდა, რომ აღმოსავლეთზე გადარეული ევროპელისათვის წინასწარ, მოუმზადებლად, უცერემონიოდ მეჩვენებინა, თუ როგორი იყო თურქი კაცის ოჯახი ბუნებრივ, შინაურულ გარემოცვაში. ევროპელის აცუნდრუკებაზე სერმეთი სიცილით იგუდებოდა. ჩემს მეგობარს დავემშვიდობეთ და ეტლში ჩავსხედით. ბეიზიდთან ერთ პატარა დუქანს მივადექით და ჯიგრისფერი ფესი ვიყიდეთ, რომელიც მედუქნეს ყალიბზე მოვარგებინეთ. ჩემმა სტუმარმა ტრამვაიში ჩაჯდომაზე უარი განაცხადა:

- აქედან ხომ თურქული კვარტალი იწყება?
  - დიახ, მთლიანად თურქული უბანია.
  - მაშინ, ძალიან გთხოვთ, ფეხით წავიდეთ.
  - წავიდეთ.
- ხანძრისგან გადაბუგული ქოხებისა და მინგრეულ-

<sup>1</sup> რაიონი სტამბოლში

მონგრეულ, გავერანებულ ქუჩებისაკენ დავეშვიტ, რომლებსაც მელანქოლიასავით დასწოლოდა ნისლი, ლეგაცა და ღრუბელი. გზაში ყოველივეს დაწვრილებით ვუხსნიდი, მერე პატარა ინტრიგაც გავანდე, ჩემს გამზრდელს ვეტყვი, რომ შენ ევროპელი კი არა, ჩერქეზი ხარ-მეთქი.

კაცმა რომ თქვას, ჩემი გამზრდელი, ზოგიერთი ძველი რწმენის დედაბერივით, მამაკაცებს არ უფრთხოდა, მაგრამ ვიფიქრე, ვაითუ, ქრისტიანი კაცის სტუმრობა დიდად არ ეპიტნაოს და არ გვეჩვენოს-მეთქი. ამ პატარა ინტრიგამ ახალგაზრდა ევროპელის წარმოსახვა და ფანტაზია უფრო ალაგზნო და ალესა. დაშლილი ფიცრულების, დანგრეული კედლებისა და გაცრეცილი სახურავების წინ წარამარა შედგებოდა და აღტაცებას ვერ მალავდა.

– ეჰ, რა პეიზაჟებია, რა უშუალობა და სილამაზეა?!

ორი საათის ხეტიალის შემდეგ, როგორც იქნა, სახლს მივალწიეთ. კარი მოხუცმა არაბმა გაგვიღო.

– ჩემი გადია სახლშია?

– მეზობელთან გადავიდა, შემობრძანდით!

– აბა, გაიქეცი და უთხარი, რომ მე მოვედი. თან სტუმარი მოვიყვანე, ამალამ აქ დარჩებიან-თქო!

შინ შევედი. სუფთა, ფილაქნებიანი ბნელი დერეფანი გავიარეთ და უზარმაზარ კიბეს ავუყუევით. სტუმარს სასტუმრო ოთახი ისე მოეწონა, რომ აღარ იცოდა, რა ექნა და როგორ გამოეხატა აღტაცება... იატაკი ლამაზი სპარსული ხალებით იყო მოფარდაგული, კედლებზე სურათები მოჩანდა, რომლებიც ჩემს გადიას განსვენებული ქმრისგან დარჩა სახსოვრად. იგი კარგი კალიგრაფი იყო და მხატვრობაც ეხერხებოდა. ფესისფერი მუთაქებით მოფენილ ტახტებზე წითელი ვალანსური საფენები ეფინა. პირისპირ დავსხედით. ყაფაზებმა სულ თავგზა აუბნია:

– თავი სიზმარში მგონია, – მითხრა სტუმარმა. ამ დროს ჩემი გადიაც დაბრუნდა. გადიას სტუმარმა ჩემსავით ხელზე აკოცა. ევროპელს ზოგჯერ ავინყდებოდა, რომ ჩერქეზის როლი უნდა ეთამაშა და რევერანსს აკეთებდა. გადიას ეჭვი შეეპარა – ამ ყმანვილის ლაპარაკი რაღაც ჩერქეზულს არ ჰგავსო.

– დედიკო, ეს ისეთ ჩერქეზულზე კი არ ლაპარაკობს, შენ რომ იცი... ეს ახალი ჩერქეზულია, რუსულსა და ჩეჩნურ ენებშია არეული, – დამარწმუნებელი ტონით განვუცხადე გადიას.

მერე ისიც ვთქვი, რომ ჩვენი ჩერქეზი სტუმარი საჰაჯოდ მიდიოდა და გზად სტამბოლს შემოიარა-მეთქი, მაგრამ მოხუცმა აქაც დამიჭირა ტყუილში, შვილო, რა დროს საჰაჯოდ წასვლაა<sup>1</sup>, მაგასაც ხომ თავისი დრო აქვსო. მაგრამ მე არ დავიბენი და ჩემს ტყუილს ფეხები დავუგრძელე:

– ჰოდა, ჯერ სტამბოლში დარჩება, თურქულს შეისწავლის და მერე წავა...

– ჰოო... ამის ასაკში საჰაჯოდ წასვლა დიდი ბედნიერებაა, – მერე მას მიუბრუნდა და დალოცა, – ღმერთმა ხელი მოგიმართოს, შვილო!

– ამინ, ამინ!..

ევროპელი ჩვენ ნალაპარაკევს გუმანით ხვდებოდა და თავისი ცოდნა რომ გამოემჟღავნებინა, აქცენტით კვერს გვიკრავდა.

– ამენ, ამენ!..

– ...

ჩემმა გადიამ აიჩემა, გინდა თუ არა, ამ ჩერქეზთან ერთად საჰაჯოდ შენც გაემგზავრეო. ერთი სიტყვით, სადილობამდე ჰაჯობასა და ხოჯებზე ვიმასლაათეთ.

<sup>1</sup> „ჰაჯი“ იმ მუსლიმთა საპატიო ნიშანია, რომელთაც მექა მოულოცავთ. საჰაჯოდ წასვლა მექაში სალოცავად წასვლას გულისხმობს.

გადიას ნალაპარაკევეს მე ჩერქეზულად ძლივძლივობით ვთარგმნიდი. სადილად სუფრას რომ მივუსხედით, ჩვენმა ევროპელმა თვალები ჭყიტა! ვერცხლის სერვიზმა ლამის ჭკუიდან შეშალა (ის კი არ იცოდა, რომ ჩემს გადიას ძვირფასი ჭურჭელი მხოლოდ სტუმრებთან მოჰქონდა). მან ჩანგალი მიაგდო და ჩემი გადიასავით ხელით შეუდგა ჭამას. მე შევაჩერე და ძლივს დავარწმუნე, რომ ხელით მხოლოდ მოხუცი ქალები ჭამენ-მეთქი. ის იყო, იმის მტკიცება დაინყო, რომ ამქვეყნად ყველაზე სასიამოვნო და თავისუფალი პოზა ფეხმორთხმით ჯდომა არისო, რომ სუფრიდან ავდექით კიდევ.

სადილის შემდეგ ყავა დავლიეთ. ამის მერე სტუმარს ჩემი გადიის ქმრის სამუშაო ოთახისკენ გავუძეხი, დავათვალიერებინე მისი ბიბლიოთეკა, ძველი ხელნაწერები. მეტად კმაყოფილი და ნასიამოვნები ათვალიერებდა. აღტაცებული იყო მინიატურებით და წიგნის ამკინძველის ოსტატობით. ამასობაში ძილიც მოგვერია. სტუმარს საწოლი ოთახი სულ ზემო სართულზე გაუმზადეს; ოთახის ფანჯარა ბალს გადაჰყურებდა.

სტუმარს ღამე მშვიდობისა ვუსურვე და მეორე სართულს მივაშურე.

ღამით ქარი ამოვარდა და შხაპუნა წვიმამ დაუშვა. დილით კი გამოიდარა და მშვენიერი ამინდი დადგა. სტუმარი უკვე გაღვიძებული და ჩაცმული დამხვდა, საწოლზე ჩამომჯდარიყო და რალაცას გაფაციცებით წერდა.

– ბონჟურ!

– ბონჟურ, მონ ამი!

– რას წერთ?

– ოჰ, შთაბეჭდილებებს.

– ამდენად აღტაცებული ხართ, რომ?..



- გადმოცემა არ ძალმიძს, გადმოცემა არ ძალმიძს.

- ...

ქვევით, სასადილო ოთახში ჩამოვედით და ყავა დავლიეთ. ჩემს გადაიას კვლავ ხელები დაფუკოცნეთ. მერე კი, ჩვენი ევროპელი აღმოსავლურ იდუმალებაში უფრო ღრმად რომ ჩამეძირა, ჩვენი ხუროთმოძღვრების საუკეთესო ნიმუშის ფათიჰას ტაძრის<sup>1</sup> სანახავად წავიყვანე. ტაძრის პირდაპირ ყავახანა იყო, საიდანაც ხელისგულივით მოჩანდა მეჩეთი. ყავახანაში შევედით და ნარგილე მოვითხოვე. ვიფიქრე, ჯერ ამ ნარგილეთი გავაბრუებ და მერე გავახედებ-მეთქი ჯამესკენ. როცა რამდენჯერმე დავარტყით ნაფაზი, შევაპარე:

- ძვირფასო, ერთი შეხედე იმ ტაძარს, რა დიდებულია და რა გოროზია, არა?

- ...

ევროპელი ილიმებოდა, აღტაცება არ გამოუმყლვნიებია. მისმა გულგრილობამ, ცოტა არ იყოს, გამაოცა - გუშინ მინგრეულ-მონგრეული წყაროებისა და კედლების დანახვაზე ბავშვივით ცმუკავდა, ახლა კი...

- როგორც ჩანს, ეს ტაძარი არ მოგწონთ, არა?

მან ცისფერი თვალები მოჭუტა და კვლავ გაიღიმა:

- ეს, ეს რა ტაძარია!..

- როგორ თუ, რა ტაძარია, იგი სტამბოლის მშვენიება და ჩვენი სიამაყეა.

- ეგ დიდი არაფერია!

- რას ამბობთ?!

- მე მაგაზე უკეთესი ვიხილე.

- შეუძლებელია! როდის, სად?

<sup>1</sup> თურქული არქიტექტურის მნიშვნელოვანი ნიმუში. აგებულ იქნა სულთან მეჰმედ II-ის (1430-1481) ბრძანებით. სულთანი კონსტანტინოპოლის აღების გამო ატარებდა „ფათიჰას“ - „დამპყრობლის“ სახელს. ტაძარსაც ეწოდა „ფათიჰას“ სახელი.

- ამ დილას.

- სიზმარში?

- არა, ცხადში!

- მაშ, სად?

- სახლში!

- ვის სახლში?

- თქვენს სახლში!

- რა ნახეთ, ჯანიმ<sup>1</sup>, - ვკითხე გაოცებულმა.

- მე ის ვნახე, რაც არ უნახავს თვით პიერ ლოტის, რომლის საიდუმლოება არც ერთმა ევროპელმა არ უწყის.

გამეცინა:

- დიახ, მე თქვენი ოჯახის საიდუმლო ტაძარი ვიხილე.

- რა საიდუმლო ტაძარი, ჯანიმ?

- ამაოდ მაღავთ, მე იგი უკვე ვნახე. მე ვნახე ის საიდუმლო ტაძარი, რომელსაც საუკუნეთა განმავლობაში უმაღავდით ევროპას.

- ...

- მაგრამ დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, რომ არ გაგცემთ. პარიზს დაბრუნებული გაზეთებში არ გამოვაქვეყნებ. იგი ჩემს რვეულში იქნება აღბეჭდილი, როგორც უნმინდესი რამ...

- თქვენი ნალაპარაკებიდან ვერაფერს მივხვდი...

- ნუ ჯიუტობთ, მე ვნახე, ვნახე!..

- რა ნახე, ჯანიმ?

- თქვენი საიდუმლო ტაძარი!

- ასეთი რამ ჩვენ არა გვაქვს!..

- ტყუილუბრალოდ ჯიუტობთ, მე ვნახე იდუმალე-ბით მოცული თქვენი ტაძარი და თუ საბუთი გნებავთ,

<sup>1</sup> მოფერებით მიმართვა - სულო, სულიკო



აი, ისიც, – მან ჯიბიდან ტარსიკონისყდიანი რვეული ამოათრია და ბოლო გვერდის კითხვას შეუდგა:

„...დილაა, მღელვარებითა და სიხარულით ვწერ ამ სტრიქონებს. გუშინ სერმეთმა ერთი აქაური თურქი გამაცნო, მან კი სტამბოლის ერთ-ერთ მიგდებულ უბანში წამიყვანა. სხვათა შორის, კაზანოვასა და პიერ ლოტის რომ იქით, ზღვისპირა რომელიმე ფეშენებელური ბინის მამაკაცთა ოთახში ერთი ფინჯანი ყავა შეესვათ, უეჭველად დაიქადნებდნენ, აღმოსავლეთი შევიგრძენითო. მაშინ, როდესაც ჭეშმარიტი აღმოსავლეთი ამ მიგდებულ უბნებშია შემონახული. დიახ, მე ვიხილე ის, რაიც არც ერთ ევროპელს არ უხილავს და არც დასიზმრებია. მე მოვხვდი უაღრესად ღვთისნიერი მოხუცი ქვრივი ქალის ოჯახში. ყველაფერს წმინდა თურქული ლაზათი აძევს. სახლის მოწყობილობა, ზნე-ჩვეულებანი, სუფრის სერვიზი, ყოველივეს ძველი დროის სურნელი შემორჩენია.

ლამე სულ ზემო სართულში გამათევინეს. დილით ადრე გამელვიძა, წამოვდექი. რალაც საოცარმა, მანამდე ჩემთვის უცნობმა ცნობისმოყვარეობამ შემიბყრო. ფეხის ნვერებზე შემდგარი ოთახიდან გამოვედი. საწოლი ოთახის პირდაპირ ოთახის კარი შეღებული იყო. ვერ მოვითმინე და ფრთხილად შევიხედე... და რას ვხედავ?.. საიდუმლო ტაძარი ოჯახისა!

ფანჯრებზე ჩამოშვებულ თეთრ ფარდებში მკრთალი სინათლე ძლივს აღწევდა. კედლებზე აუარებელი სურათი კიდია. კუთხეებში მძიმე, კაკლის ხისგან გაკეთებული, რკინის საკეტებით შეჭედილი სარკოფაგები დგას. ამ სარკოფაგებში უეჭველად წინაპართა მუმეები განისვენებენ! ერთი მათგანის ახდა განვიზრახე, მაგრამ ვერ შევძელი. იქვე, იატაკზე გამწკრივებული იყო დიდი და მცირე ზომის ჭურჭელი – ზოგი სპილენძისა,



ზოგი ფაიფურისა. ბევრი მათგანი ძალზე ძვირფასი ხარისხისაა. ვინ იცის, რომელი მიწისაგან არის გამომწვარი? ტადრის შიგნით, კუთხიდან კუთხეში სხვადასხვა ზომის აბრეშუმის თოკები ისეა გაბმული, რომ რალაც გეომეტრიულ ფიგურებს ქმნიან. მათი მნიშვნელობა ვერაფრით ვერ ამოვიცან. თოკებზე სხვადასხვა სიდიდისა და ზომის რელიკვიები კიდეა, რომლებსაც ამ მუმიებთან რალაც კავშირი უნდა ჰქონდეთ. ჭურჭელი სავსე იყო წმინდა წყლით, ზოგი მათგანი – პირთამდე. მე გემო გავუსინჯე იმ წყალს... ეჰ, ვინ იცის საიდან, მიქადან თუ მედინადან მოტანილს... ოდნავ მწკლარტე გემო ჰქონდა! ჭურჭლის ძირზე მცირე დანალექი მოჩანდა... გულმა ჩიტვიით დამიწყო ფართხალი... რალაც საშინელი განცდით გამოვვარდი გარეთ... ამ წმინდა ადგილას თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს მე, მწვალბეღლსა და ურჯულოს, შემებღლნოს ეს უჩვეულო იდუმალბეღლბა... ისე მომეჩვენა, რომ, აი, ახლა სარკოფაგებიდან წამოიშლებიან ხელიატაგნიანი, საუკუნეთა წინ გარდაცვლილი ჩალმიანი თურქები და ჩემკენ გამოეშურებიან, თითქოს შეინძრნენ და ახმაურდნენ კედელზე ჩამოკიდებული სურათები, ხოლო წმინდა სითხე კი ზღვად იქცა, აბობოქრდა და მზად იყო წაველეკე და გავესრისე... ამ წმინდა სითხის მრისხანბეღლბა და დიდბეღლბეღლბეღლბა ახლაც კი მალელვებს... რალაც იდუმალმა და შეუცნობმა ბურუსმა სასიამოვნო სითბოსავით დამიარა ძარღვებში. გონებაში ახლაც მიდგას ბნელი და უცნობი კამარის ყრუ გამოძახილი... ისეთ აუხსნელ და გადმოუცემ მლელვარბას ვგრძნობ, რომ..."

...

თავი ველარ შევიკავე და ისეთი ხარხარი ამიტყდა, რომ საცოდავ ევროპელს ნარგილეს მუნდშტუკი ხელიდან გაუვარდა და ნარგილე ლამის მაგიდიდანაც



გადაუგორდა. ამ დილას თრიაქის მოსაწვევად მოსულ მუშტრებს ქეიფი წაუხდინე. ისინი თვალეზდაჭყეტილნი მომჩერებოდნენ.

- რატომ იცინით? - შემეკითხა ჩემი სტუმარი.
- ჩემო კარგო, - როგორც იყო, სული მოვითქვი, - თქვენ საიდუმლო ტაძარში არ ყოფილხართ.
- მაშ, სად?
- ჩემი გადიის საკუჭნაოში.
- ?..

- ჩვენ აღმოსავლეთის ხალხი კომოდებსა და სარკიან კარადებს არ ვხმარობთ... ნივთებს ზანდუკებში ვინახავთ... ჰოდა, იმ ზანდუკებისთვის ცალკე ოთახიც გვაქვს... ეს ის ზანდუკებია, თქვენ რომ სარკოფაგები გეგონათ, ხოლო ამ „სარკოფაგებში“ მუმიების ნაცვლად თეთრეული აწყვია...

- მაგრამ, იმ სურათების შესახებ რას იტყვით?
- ის სურათები ჩემი გადიას ქმრის ნახატებია... აქაოდა, სახსოვარიაო, ჩემი გადია ვერ ელევა და ვერ ყიდის..

ევროპელი ეჭვის თვალით შემომცქეროდა, ჩემი ნათქვამი არ სჯეროდა.

- მაშ, აბრეშუმისგან შექმნილი სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურები და რელიკვიები?

- იმ თოკებზე წვიმიან ამინდში სარეცხს ფენენ ხოლმე. გეომეტრიული ფიგურები შემთხვევით გამოსულა, როცა თოკები კუთხიდან კუთხეში გაუბ-გამოუბამთ. რელიკვიები კი ძველი და გამოუსადეგარი ტანსაცმელი გახლავს...

ჩემს სტუმარს ცისფერი თვალეზი თანდათან მოეღრუბლა და თავს ისე აქნევდა, თითქოს ტყუილში დავეჭირე:

- კარგი და, ის წმინდა წყალი? იმაზე რას მიბრძანებ, ჩემო ძვირფასო?



– ნუხელის წვიმა წამოვიდა. რაც თავი მახსოვს, იმ საკუჭნაოში წვიმა ჩამოდის და როგორც ჩანს, ის ჭურჭელი მოსამსახურემ დაუდგა...

მე გამახსენდა მისი ერთი ცნობილი თანამემამულე, რომელსაც ჩვენს სახლებზე გაკრული ფირნიში „მაშალ-ლაშ“ სადაზღვევო კომპანიის რეკლამა ეგონა, ხოლო ავი თვალისგან დასაცავად სახურავის კიდეზე გაკრული ფეხსაცმელი, ქურდის დაკარგულ ფეხსაცმლად მიიჩნია.

წინწამხდარმა ევროპელმა ნარგილე გაასწორა და რამდენჯერმე ნაფაზი დაარტყა. მერე რვეული, რომელიც აქამდე ხელში ეკავა, ისევე ჯიბეში ჩაიჩარა.

მე სიცილს მაინც ვერ ვიკავებდი.

– ნუ იცინი, ძვირფასო. თქვენს საკუჭნაოშიც კი ისეთი შუეცნობი იდუმალებაა განგებისა, რომ...

– მაინც როგორი?

– ისეთი, რომელსაც თქვენ, ბრმანი, ვერც ხედავთ და ვერც ვერასოდეს დაინახავთ, მორჩა და გათავდა!

ჩემმა სტუმარმა მაინც ვერ ამიხსნა, რა იყო ჩვენში ისეთი, რასაც ხედავდნენ ევროპელები, ხოლო ჩვენ, აღმოსავლელნი ვერ ვხედავთ...

მინდოდა მეთქვა, რომ ჩვენ კი ბრმანი და უხედველნი ვართ, მაგრამ თქვენ უტყვნი და უენონი ბრძანდებით-მეთქი, მაგრამ ხომ კარგად მოგეხსენებათ, თურქები თავიანთ ქვეყანაში რა დელიკატურნი არიან. მეც ენაზე მომდგარი სიტყვა უკან ჩავაბრუნე და გაჩუმება ვარჩიე.

## დანიშნულაბი

სულში ღვთიური ცეცხლი არ მენტო თუ ბავშვობი-დანვე მშრალი და უგულო, ზუსტი მეცნიერებით ვიყავი გატაცებული, არ ვიცი, ეს კია, სიყვარულს რომ უნოდებენ, იმ გრძნობას არასოდეს შევუპყრივარ. თუმცა სიმართლე უნდა ითქვას, რომ არც იმის თქმა შემეძლო – სიყვარული არ არსებობს-მეთქი. ეგ კი არა, სონეტის სტრიქონებიც კი მახსენდება, რომლებიც ამ ათი-თხუთმეტი წლის წინათ შევთხზე და რომლებშიც სიყვარულს პათეტიკურად მივმართავდი:

მხოლოდ პოეტთა ოცნებასა და სიმღერებში  
შენ გიხილე და განგიცადე, ტრფობავ ზვიადო!  
ეს იყო და ეს.

მაგრამ ლეილი და მაჯუნუნი, ასლი და ქერემი, აშკი ყარიბი<sup>1</sup>, რომეო და ჯულიეტა, მანონ ლესკო, რაფაელი, მარგარიტა გოტიე, პოლი და ვირჟინი, ვინ იცის, ჩემს გონებაში კიდევ რამდენი თვალცრემლიანი, დამწუხრებული, ბედნიერი და უბედური გმირის სახე ცოცხლობდა.

ჩემში რალაც რომანტიკული, დაუოკებელი მისწრაფება ბორგავდა... მსურდა დამემსხვრია და დამექუცმაცებინა მშრალი ლოგიკის ეს უსულო ჩარჩოები. როცა მართო ვრჩებოდი, წარმოვიდგენდი ხოლმე მთვარის შუქზე აჩრდილებივით მოხეტიალე წყვილებს, უღრან

<sup>1</sup> თურქულენოვანი ხალხების რომანტიკული დასთანების მთავარი პერსონაჟები

ტყეებში და თეთრ, იდუმალ კოშკებში შეყუჟულ მი-  
ჯნურთ.

დიდი სურვილი მქონდა, დამეწერა რომანი ნაზსა და გულწრფელ სიყვარულზე. ამ ათი წლის მანძილზე რამდენჯერმე დავინწყე, მაგრამ ერთი თავი დავწერე და მეტი სტრიქონიც ვერ მივუმატე. შინაგანი, კრიტიკული ხმა უხილავი მოძღვარივით დამტრიალებდა და მებუზღუნებოდა: „ჰეი, ყეყეჩო! ერთი მითხარი, განა აშიკ ქერემის ეპოქაში ვცხოვრობთ?“

მართალია, აშიკ ქერემის საუკუნე უკან მოვიტოვეთ, მაგრამ განა არ მოიძებნებიან ადამიანები, სულიერად იმ დროის ცხოვრებით რომ ცხოვრობენ?

მერე რა, რომ ისეთი სკეპტიკოსები და ურწმუნონიც ბოგინობენ ამქვეყნად, რომლებიც გამუდმებით თავს დაგვჩხავიან: „ქორწინება სიყვარულის საფლავია“, „სიყვარული სიზმარია მხოლოდ“, „შეყვარებული ხარ, სანამ გამოიღვიძებდე!“ და რამდენ ამგვარ სისულელეს თხზავენ. ცხოვრებას მათი ცრუ მოსაზრებანი მრავალჯერ უარუყვია!

რალა შორს მივდივარ, მე თვითონ ვიცნობ ერთ წყვილს, რომელიც ჩემი ყმანვილკაცობის უამს არაერთხელ დამინახავს ვერცხლისფერი მთვარის შუქით გაბრწყინებულ კუნძულ მოდაზე; ნავზე მსხდარნი, გატაცებით კოცნიდნენ ერთმანეთს.. მაშინ ჯერ ისევ მთლად ახალგაზრდები იყვნენ, განსაკუთრებით ქალი. იგი სულ ბავშვი იყო...

ღმერთო ჩემო, როგორ მიქრიან წლები!

ისინი, რომელთა ვინაობაც კი არ ვიცი, დასრულდნენ, შეიცვალნენ... ქალი ახლა 30 წლის მაინც იქნება. ქმარს ჭალარა შეერია. როცა კი მათ გადავეყრებოდი, ყოველთვის მწერლის თვალით ვუყურებდი და ვაკვირდებოდი ხოლმე. უცვლელი და უბერებელი მხოლოდ



სიყვარული მეგონა! საოცარია, როგორც თხუთმეტი წლის წინათ, ახლაც ისეთივე გატაცებით ჩურჩულებენ და სალაპარაკო არ გამოლევიან. ერთმანეთის გვერდით მიდიან და ისეთი ცხოველი ლტოლვა გამოსჭვივის მათ გამოხედვაში, რომ...

ბოლოს მაინც ასე გადავწყვიტე – შემესწავლა მათი ცხოვრება და დამენერა რომანი, თხზულება ღრმასა და შმაგ ტრფიალზე. ამ ზაფხულს მათთვის თვალი არ დამიკრავს; სტამბოლში არ ვიყავი...


გუშინ სადილად ჩემი მეგობარი ჯამსაფი მენწია. სადილზე კარგა ბლომად გადავკარით, მერე გამოსაფხიზლებლად გარეთ გამოვედი და ფენერბალჩესკენ გავემართეთ. მშვენიერი ამინდი იდგა, ოღონდ ოდნავ გრილოდა. ეს ბალი თავისი კვიპაროსის ხეებით ისეთ გრძნობას აღმიძრავს ხოლმე, თითქოს სასაფლაოზე ვიმყოფებოდე, იმ სასაფლაოზე, რომელიც თვით გარდაცვლილთა სულებსაც კი მიუტოვებიათ. ბაღში არავინ ჩანდა. შუქურისკენ მიმავალ ხეივანს გავყევით. უეცრად თითქოს მიწიდან ამოძვრენენო, ჩემი რომანის გმირები შემომეყარნენ. ქალს მხრებზე თეთრი შალის მანტო ჰქონდა მოსხმული და ქმარს, ქმარს-მეთქი, სატრფოს მიხუტებული რალაცაზე გაცხარებით საუბრობდა. ჩვენკენ მოდიოდნენ.

– აჰა, მაშ, ასე!..

– რა მოხდა?

– ესეც შენი თემა...

ჩვენკენ მომავალი წყვილი დავანახე და აღფრთოვანებით მოვუყევი, თუ აგერ თხუთმეტი წლის მანძილზე როგორ ვადევნებ მათ თვალს. იქორწინეს, უკვე სიბერის დაღმართს ჩაუყვნენ და მაინც არ დაუკარგავთ სიყვარულის მარადიული ცხოველმყოფელობა. მათ მეოცე საუკუნის შუა წლებში ძველი დროის ხალასი



გულწრფელობა გაუცოცხლებიათ და თავიანთი მგზნებარე სიყვარულით ამტკიცებენ, რომ სკეპტიკოსთა ფორმულა „ქორწინება სიყვარულის საფლავიაო“, მონაჩმახია და სხვა არაფერი... როცა გვერდით ჩაგვიარეს, გაეჩუმდი. კაცს თმა მთლად გასთეთრებოდა. სუფთა, მუქი მწვანე პალტო ეცვა. სახე დაქანცული მოუჩანდა, მაგრამ თვალები... ო, რა ჯანმრთელი და მბრწყინავი თვალები ჰქონდა.

- იცნობ იმათ? - ღიმილით შემეკითხა ჯამსაფი.

- რომანის დანერას ვაპირებ, თემად კი მათი სიყვარული უნდა ავიღო. ამიტომ ჯერ კარგად შევისწავლი მათ ყოფას და შემდეგ...

- მაშინ, მეც დაგეხმარები, ზოგ რამეს გიამბობ მაგათზე.

- რაო, განა შენ იმათ იცნობ?

- ქალის მამა ჩემი მეზობელია.

ისეთი მღელვარება დამეუფლა, თითქოს ეს-ეს არის, სანეტარო ლექსი უნდა მომესმინა.

- აბა, მიაშბე, ვნახოთ ერთი, ქორწინება მართლა სიყვარულის მესაფლავება, თუ არა?

- ისინი ჯერ კიდევ არ დაქორწინებულან, - ღიმილით მომიბრუნდა ჯამსაფი.

- რა?!

- ჰო, ჯერ კიდევ დანიშნულები არიან!

- თხუთმეტი წელი დანიშნულები?

- არა, მხოლოდ ათი წელია...

- რატომ არ შეუღლებულან?

- ჰოო... სიყვარული ასე იმიტომ გაუგრძელდათ, რომ სასიამაოროს...

- ვერაფერი გავიგე, გარკვევით მითხარი, რაც იცი!

- მაგ კაცს მუჰსინ ბეი ჰქვია. ძალზე ღარიბი და საცოდავია. თხუთმეტი წლის წინათ ეგ გოგო



შეუყვარდა, დაინიშნენ კიდევ, მაგრამ სასიამაო ძველი რწმენის კაცი გამოდგა: ააგდო ქვა და შეუშვირა თავი – ჩემს ქალს ლარიბ-ლატაკს ვერ გავატან, როცა სამუშაოს იშოვი, ფულს მოაგროვებ და ოჯახს მოაწყობ, მაშინ დამილოცნიხართო, – ასე გაისტუმრა სასიძო. მუჰსინ ბეის გახვრეტილი ფარაც კი არ უგდია ჯიბეში. ბუნებრივია, სასიამაოროს პირობას ვერ შეუსრულებს. გოგოც თავნებობს. იქნება სხვა რამ მიზეზიც იყოს. ყოველ შემთხვევაში, დანიშნულზე ხელი არ აუღია.

– მუჰსინ ბეის რომ რაიმე საქმე ეპოვა!..

ჩემმა მეგობარმა კვლავ გაიცინა:

– იშოვა, როგორ არ იშოვა... გოგო იშოვა... მთელი მისი იმედები ამ ქორწინებაზეა დამყარებული! განათლება არა აქვს, რა სარფიან საქმეს მოჰკიდოს ხელი? არც დიდი და გამჭრიახი გონების კაცი გახლავს, რომ სხვა გზით შეძლოს სასიამაოროს მოთხოვნის შესრულება. იმის მერე კი, რაც დაინიშნა, ჯიბის ფული მაინც არ გამოლევია!..

– მაინც როდის შეუღლდებიან?

– ღმერთმა იცის! სასიამაორო ისევ მუხასავით მაგრად დგას. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ დიდხანს იქნება ამ ნუთისოფელში. მუჰსინ ბეი, აი, უკვე თხუთმეტი წელია, იმის სიკვდილს უცდის...

– ეჰ, რას უცდის, როგორ უცდის... ეს რა ცხოვრებაა, – თავი გავაქანე დანანებით...

– რა ჩერჩეტი ხარ, ბიჭო! ასი ათასი ლირის საქმეა, გესმის? მე რომ ასეთ რამეს ნავანყდებოდე, ოც წელიწადს ვიფარისევლებდი, ოცდაათ წელიწადს დანიშნულად გავძლებდი, ლაყბობითა და ლაქლაქით როგორმე თავს გავიტანდი, სანამ მემკვიდრეობას ხელთ არ ვიგდებდი...

– ...



უკან მოვბრუნდი, ჩემი რომანის გმირები მოვძებნე. ისინი ზღვის პირას, ხის ქვეშ დამსხდარიყვნენ და ქვის ქანდაკებებით გარინდულიყვნენ... – დავბრუნდეთ, შემცივდა, – მოვიმიზეზე ნირნამხდარმა.

ამ ამბის გამგონე ისეთმა სევდამ მომიცვა, თითქოს რალაც საყვარელი, ძვირფასი ნივთი დამეკარგა და იმის პოვნის იმედიც გადამენურა.

ჯამსაფი დამეთანხმა.

გულამღვრეული მოვდიოდი და ვფიქრობდი, რომ სატრფიალო თხზულების დანერას თუ აპირებ, გმირებად ნამდვილი პიროვნებები არ უნდა გამოიყვანო-მეთქი...

ეჰ, სიყვარულო, „ტრფობავ ზვიადო“, შენ მხოლოდ მელექსეთა ოცნებაში ცოცხლობ და სუნთქავ...

## ალი

– ესეც კიდევ ერთი თავისუფალი აგარაკი, – მიუბრუნდა სერმეთ ბეი დარაჯს.

თეთრი, მშვენიერი აგარაკი, რომელიც ფიჭვის პატარა ტყის პირას იდგა, ისე თვალისმომჭრელად ლაპლაპებდა, თითქოს მარმარილოთი ყოფილიყო მოპირკეთებული. მიდამო სახლის გარშემო ბალახბულახით იყო დაფარული. ბალის რკინის კარზე დიდი აბრა ეკიდა, აბრაზე ეწერა: „ქირავდება“.

– ნავიდეთ აქედან, ნავიდეთ, ეფენდი... ეს აგარაკი თქვენ არ გამოგადგებათ! – თავი გააქნია დარაჯმა.

– რატომ, ჯანიმ?

– ამის წინ რომ გაჩვენეთ, ის დაიქირავეთ. მართალია, პატარაა, მაგრამ ილბლიანია. ვინც კი იქირავა, ერთ წელიწადში ბიჭი გაუჩნდა...

– რას ამბობ, თორმეტი სული ხუთ ოთახში როგორ მოვთავსდებით!.. ეს ბინა ვნახოთ, ზუსტად ჩვენზეა გამოჭრილი...

– აქ ვერ იცხოვრებთ, ეფენდი, – ჯიუტობდა დარაჯი.

სერმეთ ბეის აგარაკისთვის თვალი ვერ მოეწყვიტა. სახლს გარშემო ფართო აივანი ერტყა, რომელიც საძირკველზე ავსტრიული ქათმის კრუხივით გადაფაფრულიყო. სერმეთი ოცი წელია, რაც დაოჯახდა და ამ ოცის წლის განმავლობაში ასეთ ბუდეზე ოცნებობდა, ახლა კი ეუბნებოდნენ, აქ ვერ იცხოვრებო...

– რატომ? – ნერვულად და აჩქარებით მიუბრუნდა დარაჯს.



- ამ ბინას ალი ჰყავს შემოჩვეული, ეფენდი!

- რა ალი?

- ჩვეულებრივი. ღამლამობით გამოდის და მდგმურებს ძილსა და მოსვენებას უკარგავს...

სერმეთ ბეი ისეთი კაცი არ გახლდათ, რომ თვალით ნანახი და ყურით მოსმენილი, ყოველივე ბრმად ერწმუნა. არა, სანამ ხელით არ შეეხებოდა და არ შეიგრძნობდა, ისე ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებდა. სერმეთისათვის რომ გეკითხათ, თვალყური სიცრუის ბუდე იყო და სხვა არაფერი. ყოველი ცთომილება და ირეალური ამბავი ჩვენში ამ ოთხი კარიდან შემოდის... ყოველი მონაგონი ცრურწმენა, ჭორი და ათასი სხვა უსარგებლო რამ, რომელიც ადამიანის ტვინის უჯრედებში პოულობს საყრდენს, სწორედ თვალისა და ყურის გზით აღწევდა მიზანს... ხოლო ხელი... სულ სხვაა. ხელით შეეხები და შეიგრძნობ. ხელს ვერ მოატყუებ!

- ალი ჩვენ ვერაფერს დაგვაკლებს! - თავი გააქნია სერმეთ ბეიმ.

დარაჯი სერმეთ ბეის ისეთი თვალებით მიაჩერდა, თითქოს რაიმე ცოდვიანი და ურწმუნო სიტყვა ნამოსცდენოდეს, თითქოს მკრეხელობაში დაეჭიროს!..

- პირველად ყველანი ასე ამბობენ, ეფენდი, მერე ბინაში ერთ თვესაც ვერ ძლებენ და კუდამოძუებულნი გარბიან.

- როდის გავიქცევი, შენ არ გეკითხება. შენ აქაურობა დამათვალეებინე.

- გასაღები სახლის პატრონსა აქვს.

- სახლის პატრონი ვინ არის?

- ჰაჯი ნიაზ ეფენდი. აი, აქვე, გვერდით ბინაში ცხოვრობს.

- აბა, მაშ, ნავიდეთ და გასაღები გამოვართვათ!

– კეთილი, მაგრამ...

უკან დაბრუნდნენ და წითლადშეღებელი ძველი სახლისაკენ გაემართნენ, რომელსაც ხშირ ხეებს შორის მხოლოდ სახურავი მოუჩანდა.

გზაში მოხუცმა მსახურმა სერმეთ ბეის მოკლედ უამბო თეთრი აგარაკის ისტორია.

უკვე ათი წელი იქნება, რაც ამ სახლში დაბინავებული კაცი ერთ თვეზე მეტხანს ვერა ძლებს. ალი პირველად, ვითომცდა აქ არაფერიაო, ისე მოეჩვენება, მერე სახლს მოზრდილ ქვებს დაუშენს, ბოლოს კი ერთ ფანჯარასაც აღარ დატოვებს მთელს. მობინადრეებს ღამით ძილსა და მოსვენებას უკარგავს. შიშისგან თურმე ორ მათგანს გულის შეტევა მოსვლია, ერთს შვილის გაჩენის უნარი წართმევია, ხოლო ერთ დიასახლისს ექვსი თვის მუცელი მოშლია...

მათ გაიარეს აყვავებული ნუშის ხეებქვეშ, რომლის ჩრდილებშიც ცხვრები ბალახობდნენ და წითელი სახლის მწვანე კარს მიადგნენ.

დარეკეს.

\*\*\*

ჰაჯი ნიაზ ეფენდი ევკაფში<sup>1</sup> ნამსახურები კაცი იყო. კონსტიტუციის შემდეგ პენსიაში გავიდა და ბინებით ვაჭრობას მიჰყო ხელი. ვაჭარი ვაჭარია, მაგრამ ნიაზ ეფენდი ერთობ გულმართალი და პატიოსანი კაცის სახელს ატარებდა და ამის წყალობით ალებ-მიცემობის საქმეც კარგად მიუდიოდა. წელიწადში სულ ცოტა ასი ბინის ყიდვა-გაყიდვას მაინც ახერხებდა. მხოლოდ ეგ იყო, ამ თეთრმა აგარაკმა აზარალა. მაგრამ თავის სა-

<sup>1</sup> ნიშნავს ვაკუფის სამმართველოს, ხოლო ვაკუფი – ის ქონებაა, რომელსაც მუსულმანთა რელიგიური თემი შეწირულებით აგროვებს.



ხელს იმდენად უფრთხილდებოდა, რომ არ ნამუსობდა, ვინმე ბელა-ყრუ კაცისთვის შეეჩეჩებინა და ამდენი უსიამოვნებისაგან თავი დაეხსნა.

– რაში მჭირდება, ან ალაჰი რისთვის განვარისხო? – იტყოდა ხოლმე ხშირად.

ეგ კი არა, არც იმას მაღავედა, რომ აგარაკს ალი ჰყავდა შემოჩვეული...

კარი თავად ნიაზ ეფენდიმ გააღო. დარაჯმა მოახსენა, რომ სერმეთ ბეის გასაქირავებელი ბინის დათვალიერება სურდა.

– კეთილი, ნამობრძანდით.

წინ გაუძღვა. ბალისკენ გაემართნენ. ჰაჯი ნიაზ ეფენდიმ გზაში ყვითელი, უხეში ქსოვილისგან შეკერილი ჯუბის ჯიბიდან თითბრის გასაღები ამოიღო, ბალის კარი გააღო და სერმეთ ბეის მიუბრუნდა:

– ეს გასაღები ბინის კარსაც აღებს...

ბალი თავმინებებული და მოუვლელი აღმოჩნდა. იქაურობა გაუვალ შამბნარად ქცეულიყო. აგარაკის უკანა მხარეს ისეთი სიჩუმე ჩამონოლილიყო, კაცს ეგონებოდა, უღრანსა და უკაცრიელ ტყეში ამოვყავი თავიო.

დარაჯმა კართან დარჩენა ირჩია, სერმეთ ბეი კი სახლის პატრონს გაჰყვა. ბინას აუგი არ ეთქმოდა. პირველი სართული თავისი სათავსოებით მთლიანად მარმარილოთი იყო მოპირკეთებული. წყალსატევი, აბაზანა, ჭა, საქათმე, საჯინიბო თუ სხვა რამ, ყველაფერი კოხტად და ლაზათიანად იყო განწყობილი.

– ბინის ქირას რამდენს თხოულობთ?

– ძვირს არ ვიღებ, წელიწადში 180 ლირას, მაგრამ სამი წლის საფასური წინასწარ უნდა გადამიხადოთ.

– რატომ?

– რატომ, ბატონო, და, მტრები გადამეკიდნენ და



ბინა რომ ვერ გავაქირავო, ხმა დამიგდეს, ვითომ აქაურობას ალი ჰყავდეს შემოჩვეული. ამ ანკესზე მდგმურებიც ნამოეგებიან ხოლმე, ზოგიერთი აგარაკს შუა ზამთარში მიატოვებს და გარბის... ზამთარში ვილა იქირავებს. პოდა, ბინა ზაფხულამდე გამოკეტილია და ზარალის მეტი არაფერი მოაქვს... ზოგი მათგანი ნებით თუ უნებლიეთ მტრად მომეკიდა და ამ ქორებს კვერს უკრავს. ერთი-ორი წელიც თუ ასე გაგრძელდა, ალბათ ველარც გავყიდი და ველარც გავაქირავებ.

- რამდენი ხანი იქნება, რაც თქვენი ბინა ცარიელია?

- მართალი რომ ითქვას, დღემდე თითქმის არც მოცდენილა, ეფენდი, მაგრამ მდგმურები მეზობლების ქორებს აპყვებიან ხოლმე, დიდხანს ვერ ჩერდებიან და გარბიან, ეფენდი.

- მე არ მეშინია!

- ინშალაჰ!

- მაგრამ სამი წლის გადასახადის ერთბაშად მოცემა ძნელია...

- რა ვქნა, როგორ მოვიქცე, ეფენდი, თუ გსურთ...

სერმეთ ბეის აგარაკზე გული მეტისმეტად შეუვარდა. ქირაც ხელმისაწვდომი ჰქონდა. ახლა სამოთახიან ქოხმახებში წელიწადში 150 ლირას მაინც თხოულობენ.

ხელშეკრულება იმავე დღეს გააფორმეს. მდგმურმა აგარაკის პატრონს სამი წლის ქირა 540 ლირა ჩაუჩხრიალა. როცა სერმეთ ბეი ჰაჯი ნიაზ ეფენდის სახლიდან გამოვიდა, დარაჯისკენ გაემართა და საჩუქრად ოცდახუთლირიანი გაუნოდა.

- თქვენი ფული წყალში გადაყრილია, ეფენდი. სამ წელს კი არა, სამ თვესაც კი ვერ გაძლებთ მაგ აგარაკზე, - უთხრა დარაჯმა.

- ნახავ, თუ ვერ გავძლებ!

– ვნახავ. ჰაჯი ნიაზ ეფენდი ყველა მდგმურს სამი წლის ქირას წინასწარ ართმევს, მაგრამ არც ერთ მათგანს აქ სამი თვეც კი არ გაუტარებია. გადახდილი ფულები კი ფაა-ფუ!..

\*\*\*

ერთი კვირის შემდეგ სერმეთ ბეი თავისი ხალხმრავალი და ხმაურიანი ოჯახით ბინაში ჩასახლდა. ჭეშმარიტად განცხრომის მოყვარული ოჯახი გახლდათ. ყოველ ღამე მათი ბინიდან მუსიკის ხმა ისმოდა, ნათესავები მიდი-მოიდოდნენ, ჭამდნენ, სვამდნენ და დროს მხიარულად ატარებდნენ. მათ ოჯახში გამუდმებით ტრიალებდა ოთხი-ხუთი სტუმარი. სერმეთ ბეი სულითა და ხორციით აღმოსავლელი კაცი გახლდათ, მაგრამ მეტი სმეტად მოსწონდა ევროპელების ერთი ნათქვამი: „დღისით გარჯა, ღამით ხარჯვა“. ხშირად თვითონაც იმეორებდა ხოლმე. ნელმაგარი ოჯახი ხელგაშლილი ცხოვრების საშუალებას აძლევდა კიდეც. ანდა, თავის გუნებაზე რატომ არ უნდა ეცხოვრა? ბავშვები სკოლაში დადიოდნენ, ქალიშვილები დიდ-დიდ სავაჭრო სახლებში ჰყავდა მდივნებად მოწყობილი, ცოლი მუსიკას ასწავლიდა ქალთა პანსიონებში. ოჯახში ერთადერთი უმუშევარი 75 წლის დედა ჰყავდა და ისიც უსაქმოდ რომ ვერა ძლებდა, დღენიადაგ სამზარეულოში მოსამსახურეებს თავს დასტრიალებდა. მთელი ოჯახი შუალამემდე ფეხზე იდგა, შუალამისას ივახშმებდნენ და მაშინვე თავს ძილს მისცემდნენ ხოლმე.

რაც სერმეთ ბეის ოჯახი აგარაკზე დაბინავდა, ორი კვირაც კი არ იქნებოდა გასული, რომ ერთ ღამეს ქვედა სართულიდან საშინელი კივილი მოისმა. იმავე წამს დაფეთებული შინამოსამსახურე, ართემისია, ზემოთ

ავარდა და სერმეთ ბეის ძლივძლივობით გააგებინა სახლის უკან ნაძვნარში რალაც თეთრი დადისო...

– მოგჩვენებია, – აგდებით უთხრა სერმეთ ბეიმ.

ართემისიას ნათქვამი სხვა შინამოსამსახურეებმაც დაადასტურეს. მაგრამ სერმეთ ბეიმ არც მათ დაუჯერა. მაშინ მთელი ოჯახი სახლის უკან აივანზე გაეფინა. ართემისიამ თითი გაიშვირა ნაძვნარის ერთი კუთხისაკენ და ყველამ ცხადად დაინახა თეთრი ლანდი, რომელიც ხის ქვეშ იდგა და თითქოს სახლისკენ იყურებოდა... სერმეთ ბეიმ თვალები მოიფშვნიტა.

– ხედავ, რა ძალა ჰქონია შთაგონებას?!

ცოლი, ბავშვები, ქალიშვილები – ფერდაკარგულნი ცაბცახებდნენ.

– რომელ შთაგონებაზე ლაპარაკობ, მამა, ვერა ხედავ, ჩვენ თვალწინა დგას? – შეეპასუხა უფროსი ქალიშვილი მამას.

– მაშ, რასა ჰქვია შთაგონება? რაც ამ ბინაში გადმოვსახლდით, ყველას ალი აკერია პირზე, სხვა ალარაფერზეა ლაპარაკი. ამიტომაც ახლა არარსებული რალაც ცხადად გვეჩვენება.

– შეუძლებელია!

– რატომ?

სერმეთ ბეიმ შეშინებულ ოჯახს შეახსენა, რომ ილუზიონისტი კანოვი მთელი თეატრის თვალწინ ვილაცას ჯიბიდან საათს აცლის, მაგრამ სინამდვილეში ხომ არ აცლის? წინასწარ შემუშავებულ ილუზიას ჩვენი თვალყური იმეორებს და მეტი არაფერი! ამ მოქმედებას მხოლოდ ვხედავთ და გვესმის, ხომ არ ვეხებით? მაგრამ თუკი ხელს შევავლებთ, ილუზიაც გაქრება...

უცებ სერმეთ ბეიმ კიბე ჩაირბინა და ბალში გავარდა, იფიქრა, ერთი იმ ლანდს ხელს შევავლებო, მაგრამ ლანდმა სერმეთ ბეი შეამჩნია თუ არა, უცებ ადგილს

მოსწყდა და გაქრა. იმ ღამით სახლში სერმეთ ბეის გარდა არავის სძინებია.

...ეს იყო და ეს. ამის შემდეგ თეთრ მოჩვენებას ყოველღამე ხედავდნენ. სერმეთ ბეი რამდენჯერაც გამოეკიდა, მოჩვენება იმდენჯერ გაექცა და თვალსა და ხელს შუა გაქრა. ამ ამბავს ცოტა შეეჩვივნენ კიდეც, მაგრამ ერთ ღამეს, როცა ყველას ღრმა ძილით ეძინა, რაღაცამ ბინა საშინლად შეარყია. ყველანი, დიდ-პატარიანად, აივანზე გამოიშალნენ, მაგრამ ვერაფერი შენიშნეს. ძილით კი ბაღჩაში, სასადილო ოთახის კედლის ძირას ვეებერთელა ქვა იპოვეს.

– თუ ამ სახლიდან არ გადაგვიყვან, ჩემი ამაგი არმად ჩაგეთვლება, შვილო, – გაუცხხარდა მოხუცი სერმეთ ბეის.

სერმეთ ბეი დიდ გაჭირვებაში ჩავარდა. როგორ უნდა გადაეყარა ხუთას ორმოცი ლირა სულ ორი თვისთვის? არადა, სახლის კედლებს ყოველ ღამით რახარუხი გაუდიოდა. ძილს ვილა ჩიოდა, ნერვიულობისგან სიგიჟემდე იყვნენ მისულელები. სერმეთ ბეი იმ ღამდს ყოველ ღამე მისდევდა, მაგრამ ერთხელაც ვერ მოახერხა, რომ ხელი შეეველო და დარწმუნებულყო, მოჩვენება სულიერი იყო თუ უსულო. მეზობლები, რომლებსაც ღამღამობით თეთრი აგარაკიდან ატეხილი ხმაური აღვიძებდათ, ეუბნებოდნენ, თუ დროზე გუდა-ნაბადს არ აიკრავ, ალი კარ-ფანჯრებსაც სულ ერთიანად ჩაგიმტვრევსო. როცა სერმეთ ბეის ხელმოწერილი კონტრაქტის ერთი პუნქტი გაახსენდებოდა – „თუ დამქირავებელი ბინას ვადამდე მიატოვებს, რემონტის ხარჯებს თვითონ გადაიხდისო“ – ტანში გასცრიდა ხოლმე. თუმცა, სანამ ჩამსხვრეული ფანჯრების საქმეს მოაგვარებდა, ერთი სხვა რამ ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ გამძლეობა აღარ ეყო და გადაწყვიტა, ბინა დაეცალა. თუმცა ახალი

და შესაფერი ბინის შოვნა არც ისე იოლი აღმოჩნდა. იმათ აგარაკზე კი ათასგვარი ქორი და ლეგენდა დადიოდა – თითქოს, იმ არემარეზე, სადაც აგარაკი იდგა, ადრე სასაფლაო ყოფილიყო, ხოლო სამზარეულოს ქვეშ ხუთასი წლის წმინდანი განისვენებდა.

მაგრამ სერმეთ ბეის მაინც არ სჯეროდა, რომ ის თეთრი ლანდი ხორციელი არ იყო. ის ალია თუ რალაც სხვა, რალა ყოველთვის ნაძვნარს აფარებდა თავს და იქ უჩინარდებოდა?

ბოლოს სერმეთ ბეიმ გადაწყვიტა, ნაძვნარში დამალულიყო, მიჰპარვოდა და ხელით მოესინჯა თეთრი მოჩვენება, მაგრამ ოჯახის წევრებმა ხელები გაასავსავეს – რას ამბობ, ადგილზე გაგათავებსო.

სერმეთ ბეიმ თავისი არ დაიშალა, მეორე საღამოს ბუჩქნარს მიაშურა, ერთ დიდ ნაძვზე აცოცდა, ტოტზე მოხერხებულად ჩამოჯდა და შუალამემდე სულგატრუნული უცდიდა. არც სახლში ეძინა ვინმეს. შიშითა და ცნობისმოყვარეობით ატანილნი, გასუსულები ელოდნენ, რა მოხდებოდა. სერმეთ ბეი ხიდან კარგად ხედავდა, თუ რა საცოდავად მიდი-მოდოდნენ მისიანები აივანზე. უეცრად გული ლამის ბუდიდან ამოუვარდა – ალი გამოჩნდა!..

სერმეთ ბეი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ეს ყოველივე შთაგონების შედეგიაო და როგორც კი აჩრდილს ხელს შეახებდა, მაშინვე გაქრებოდა ან... მაგრამ ახლა იგრძნო, რომ მუხლებმა კანკალი დაუნყო.

შიშმა თუ ამიტანა, მერე რალას დავაკლებ იმ მოჩვენებასო, გაუელვა გუნებაში და თავი გაიმხნევა – მე კი არ მეშინია, სხეულს, მხოლოდ ჩემს სხეულს ეშინიაო.

სერმეთ ბეი ფრთხილად ჩამოხტა ხიდან და ფეხაკრეფით ალს გაჰყვა. იგი გარკვევით ხედავდა თეთრ მოჩვენებას. სერმეთ ბეი ისე წაადგა თავს, რომ

მას არაფერი გაუგია. მერე ფრთხილად შეახო ხელი. მოჩვენება შეკრთა, მაგრამ არ გამქრალა... მობრუნდა და როცა სერმეთი ბეი დაინახა, იშვირა ფეხი და მოკურცხლა.

რაკი მოჩვენება არ გაუჩინარდა, სერმეთ ბეი მაშინვე მიხვდა, რომ ავ სულთან არ ჰქონდა საქმე და უმალ დაედევნა. ნაძვნარს ბოლოში დაბალი ლობე გასდევდა, ლობეზე კი ფიცარი იყო აყუდებული. როცა მოჩვენება იმ ფიცარზე გადადიოდა, სერმეთ ბეი სწვდა და დაითრია. ლანდი ძალზე ღონიერი აღმოჩნდა, მაგრამ სერმეთ ბეიმ მაინც დაიმორჩილა. იმან ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და ფაფხურს თავი დაანება.

– ახლა კი გიჩვენებ სეირს, ყველას წინაშე უნდა გაგაპამპულო, – დაემუქრა სერმეთ ბეი, ლანდი გუდურასავით ზურგზე მოიგდო და სახლისაკენ ძუნძულით გამოეშურა, თან თავისიანებს გასძახოდა, არიქა, ლამპა მოიტანეთ, ერთი ვნახოთ, ვინა ბრძანდებაო.

სახლეული ბაღჩის კარს მოაწყდა.

– კაცი ყოფილა! მე ხომ გეუბნებოდით, ქვეყნად ავი სულელები არ არსებობენ-მეთქი, არც ახლა დაიჯერებთ? – გაჰყვიროდა სერმეთ ბეი.

მოჩვენებას არა და არ უნდოდა, რომ თავზე მოხვეული ზენარი გადაეძროთ. სერმეთ ბეიმ ძალით მოჰგლიჯა და... როცა წვერ-ულვაშგაბანჯგელული ჰაჯი ნიაზ ეფენდი დაინახეს, დაბნეულები ადგილზე გაშეშდნენ. საცოდავი სახეს ხელებით მალავდა. ზურგზე ლამის პერანგი გადახეოდა.

სერმეთ ბეიმ ხარხარი ატეხა.

ქალები, ბავშვები, მოსამსახურეები პირდაღებულნი შესცქეროდნენ.

– ეფენდი, რატომ აშინებდი და აგიჟებდი მუჰამედის სამწყსოს? – წარამარა ეკითხებოდა დიდი ქალბატონი.



– მე კარგად ვიცი, რატომაც, – ჩაილაპარაკა სერმეთ ბეიმ და უფროს ქალს უბრძანა, სანერ-კალამი, ქალალდი და ჩვენი დადებული ხელწერილი ჩამოგვიტანეო.

ჰაჯი ნიაზ ეფენდი გაშტერებული იდგა, პასუხს არ იძლეოდა და სახე ბნელისკენ მიჰქონდა.

– აბა, აილე ეგ კალამი და ქალალდი, რაც გიკარნახო დანერე და ხელი მოაწერე, თუ არ გინდა, შენი თვალთ იხილო, თუ როგორ იტანჯებიან შენს მიერ საიქიოში უდროოდ გაგზავნილი ბავშვები, – მიუბრუნდა სერმეთ ბეი ჰაჯი ნიაზ ეფენდის.

ნიაზ ეფენდიმ კალამი კანკალით აიღო ხელში და ცოტა ყოყმანის შემდეგ დანერა:

„მე, ჰაჯი ნიაზ ეფენდიმ, სერმეთ ბეისგან წინასწარ მივიღე ექვსი წლის ბინის ქირა 1080 ლირის ოდენობით“...

– ესეც ასეეე!.. აბა, ახლა ხელიც მოაწერე!..

ჰაჯი ნიაზ ეფენდიმ ქალალდს ხელი მოაწერა და მიუხედავად იმისა, რომ აღარც ზენარი ეხვია და აღარც მოჩვენება იყო, იქითკენ გაემართა, სადაც ყოველლამ იმალებოდა ხოლმე.

\*\*\*

ყველა გაცემული იყო – სერმეთ ბეი უკვე ორი წელია, ამ აგარაკზე ცხოვრობს და გადასვლა ფიქრადაც არ მოსდის.

– ეტყობა, შენს ბინას შემოჩვეული ავი სულელები სხვასთან გადასახლდნენ. იმ შენს მდგმურს აქედან წასვლის პირი არ უჩანს, – ეუბნებოდნენ ჰაჯი ნიაზ ეფენდის მეზობლები.

ამ სიტყვებზე ჰაჯი ნიაზი გაყვითლდებოდა, მერე აღმური გადაჰკრავდა სახეზე და პასუხად თავისთვის ჩაიბურტყუნებდა ხოლმე:



– მაგათ არც აბდესტი სწამთ და არც მარხვა, არც ნი-  
აზისა სჯერათ და არც ნამაზისა. მთელი ოჯახი – დიდი  
თუ პატარა, ბავშვი თუ მოზარდი, დილიდან სალამომდე  
თუ სალამოდან დილამდე ლოთობას არის გადაყოლილი.  
მაგათ ალი კი არა, ქაჯი და ეშმაკიც ვერაფერს დააკ-  
ლებს.

## გაყაყაბის შელოცვა

პროვინციის სამყარო...

როგორი მშვენიერია სტამბოლის გარეთ ცხოვრება, მხოლოდ მან იცის, ვისაც იქ უცხოვრია, ვისაც იქ წლები გაუტარებია.

ჯერ ხალხის სიჭრელე იხილეთ: ერთი მხრივ, ღვთისმეტყველთა და კეთილშობილთა საზოგადოება...

მეორეს მხრივ, ჩინოვნიკობა, ოფიცრობა, პედაგოგები...

შემდეგ? შემდეგ – ადგილობრივი მოსახლეობა, მინისა და მამულის მეპატრონეები.

ყველა ფენას, ყოველ წრეს თავისი კაფე აქვს, თავისი გასართობი და გემოვნება გააჩნია.

ერთადერთი, ვისაც „შინაური კაცი“ შეიძლება ეწოდოს, მუნიციპალიტეტის ექიმი. ის ყველასთან ერთნაირად საუბრობს, ყველასთან ურთიერთობა აქვს, კაფეში ყველასთან შედის, მასწავლებლებთანაც, ჩინოვნიკებთანაც, ოფიცრებთანაც.

ყველაზე კეთილშობილთ კლუბად აფთიაქი ამოურჩევიათ. დიდი ჩინოვნიკებიც აფთიაქს ეტანებიან. ადვოკატთა კანტორებიც აფთიაქს დამსგავსებია...

ერთი სიტყვით, პროვინცია მეტად თავისებური, ძალზე სასიამოვნო სამყაროა.

შვიდი-რვა, იქნება ცხრა წელიც კი იყო, რაც სტამბოლის მახლობელ ერთ პატარა დაბაში მასწავლებლად ვმუშაობდი.

პროვინციაში, ამ თავისებურ, სრულიად განსხვავებულ სამყაროში, სკოლა სრულიად სხვა, დამოუკიდებელი ქვეყანა გახლავთ. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით – სამყაროა სამყაროში!..

პროგრამები, ურთიერთსანიშნავი მიზნები და მისწრაფებანი, ხნიერი და ახალგაზრდა, ჭკვიანი და ჩერჩეტი, წყნარი და თავქარიანი, ათასგვარი ხასიათის კაცი, რომელთაც ოთხი-ხუთი სახის სასწავლებელი დაუმთავრებიათ: დირექტორი, მოადგილე, პედაგოგები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები...

სკოლის მოსწავლეები მოსულები იყვნენ ჩვენი, ოდესღაც უზარმაზარი სახელმწიფოს ყოველი კუთხიდან, იმ სახელმწიფოსი, რომლის ერთ მხარეზე მზე რომ ჩადიოდა, მეორე მხარეს უკვე ამოსვლას იწყებდა. სხვადასხვა რასისა და ეროვნების ბავშვებს მხოლოდ სასწავლებელი აერთიანებდა... მაგრამ მიუხედავად ამგვარი შესამჩნევი და ნათელი კონტრასტებისა, რა გულწრფელი, რა შესაშური ჰარმონია სუფევდა. ფანატიკოსები, რეაქციონერები, ლიბერალები, რომელთაც არ გააჩნდათ არავითარი განსაზღვრული და მკვეთრი პრინციპები, ძმებივით ცხოვრობდნენ ერთმანეთის გვერდით.

მათემატიკის მასწავლებელი გვყავდა, რომელიც უაღრესად თავისუფალი აზრების მქონე კაცი იყო. ბუნებისმეტყველების პედაგოგს, ძალზე სერიოზულ ახალგაზრდას, ჩვენ, ყველანი უვიც, გაუნათლებელ ბრიყვებად მივაჩნდით და ვეცოდებოდით კიდეც. ლიტერატურას მე ვასწავლიდი. ფრანგული ენის მასწავლებელი ერთი ებრაელი იყო, რომელმაც თურქული კარგად არ იცოდა. საღამოობით, მისი მორიგეობის დროს, მეცადინეობისას თუ ბავშვები რაიმე კითხვას დაუსვამდნენ, მისთვის უცნობ თურქულ სიტყვებს რვეულში

ლათინური შრიფტით იწერდა და მათ მნიშვნელობას მეორე დღეს მე მეკითხებოდა ხოლმე.

ერთხელ იმ საცოდავისთვის უკითხავთ „ჯეზები რაჰმანის“<sup>1</sup> მნიშვნელობა. მას კარგად ვერ გაუგია და რვეულში „ჯეზები რაჰმანი“ ჩაუნერია. მეორე დღეს სასწავლებელში დამიჭირა: რას ნიშნავს „ჯეზები რაჰმანი?“<sup>2</sup>

ასეთი რამ არ არსებობს-მეთქი, ვუთხარი და უნებლიეთ გამეცინა.

არ დამიჯერა და ჩამაცივდა. მერე ის მოსწავლევც მოაყვანიხა, რომელმაც ამგვარი რამ ჰკითხა. წიგნი გადაშალეს და როცა გაირკვა, რომ მას შეცდომით ჩაუნერია, სასაცილოდ აიგდეს და საწყალს ზედმეტ სახელად „ღვთიური ყავადანი“ შეარქვეს...

ახლა დირექტორი... მე ქვეყნად იმნაირი წესრიგის მოყვარული, კანონებისა და პრინციპების მიმდევარი არ მინახავს. არავისთან ჰქონდა პირადი ურთიერთობა და მეგობრული დამოკიდებულება, სასწავლებლის ცხოვრებას გაურბოდა და განმარტოებული ცხოვრობდა, ვითარცა მითოლოგიური კერპი. ჩვენს შორის საუბარი მხოლოდ რაიმე ოფიციალური საქმის გამო თუ გაიმართებდა. პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, რომლებსაც ის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, არც ერთ ჩვენგანს ხმის ამოღების უფლებას არ აძლევდა, ყველას მხოლოდ ოფიციალურ მოხსენებებს აწერინებდა და როგორი საკითხიც უნდა წამოჭრილიყო, იმავე სიტყვით, იმავე ფრაზით უკვე ცნობილი ოფიციალურობით დაუსვამდა რეზოლუციას: „შესრულდეს“. ამის შემდეგ

<sup>1</sup> მონყალე, გულმონყალე, ლმობიერი (ალაჰის უპითეტი)

<sup>2</sup> ჯეზები - ნიშნავს რელიგიურ ეგზალტაციას, ექსტაზს. ჯეზე კი აღმოსავლური ყაიდის სპილენძის ან თუნუქის გრძელყურიანი ყავადანია. აღნიშნული შეცდომის შედეგად მიღებულია უაზრო ფრაზა „ღვთიური ყავადანი“, ნაცვლად „ღვთიური ექსტაზისა“.

ქალაქი კანცელარიაში იგზავნებოდა და საკითხიც  
გადანყვეტილად ითვლებოდა.

ჩემს ამხანაგებს შორის, ყველაზე მეტად  
ღვთისმეტყველების მასწავლებელი ბაჰირ ეფენდი  
მიყვარდა. ბაჰირ ეფენდის მედრესეს შემდეგ უნივერ-  
სიტეტიც დაემთავრებინა. უკვე შუახანს მიახლოებული,  
მაგრამ მხნე, მოხერხებული, მედგარი, უცნაური და მხ-  
იარული ხასიათის კაცი გახლდათ. ჩვენს მეგობრობას  
საფუძვლად აღზრდა-განათლების სისტემაზე ერთ-  
ნაირი შეხედულება დაედო. საქმე ის არის, რომ საზოგა-  
დოდ პატრიოტი და ლიბერალი კაცი კი ვარ, მაგრამ  
პედაგოგიკაში მუდამ კონსერვატიული მიმართულება  
მწამდა და მწამს. ჩემი აზრით, სასწავლებელი არ არის  
სოციალური რევოლუციის აზრების გაღვივებისა და  
რევოლუციის მოსახდენი ადგილი. ამისთვის საზოგა-  
დოებრივი ცხოვრება არსებობს და ყოველივე ზემოხ-  
სენებული იქ უნდა გაჩაღდეს. პედაგოგიკის მოვა-  
ლეობაა, ბავშვს ტრადიციული აღზრდა და განათლება  
მისცეს. ბაჰირ ეფენდიც ასეთი მრწამსის იყო და ჩვენ,  
ორნი ერთად უკვე გარკვეულ ძალას წარმოვადგენდით,  
რის წყალობითაც კრებებზე ლიბერალებსა და ახალი  
ეპოქის პედაგოგიური თეორიებით აღზრდის მომხრეებს  
პირში ბურთს ვჭრიდით.

ამის გარდა მოჯადოებული ვიყავი ბაჰირ ეფენდის  
მეტყველებითაც. როდესაც ის ამბობდა, „მეზნი ალეიჰ“,  
„მეზნი ლეჰ“<sup>1</sup>, პირდაპირ აღტაცებული შევეყურებდი.  
ისეთი ლაპარაკი იცოდა, თითქოს გამუდმებით ჩხუბობს

<sup>1</sup> მეზნი ალეიჰ, მეზნი ბიჰ, მეზნი ლეჰ - არაბული ენის თანდებულები,  
რომლებიც იხმარებიან თუქულ ენაშიც და რომლებიც მოთხრობის  
გმირის აზრით, ენას აძლევენ არქაულ, პათეტიკურ სურნელს. უფრო  
ნათელი რომ იყოს, იგივეა, რომ გვეხმარა ძველი ქართული ენის  
თანდებულები - „თვინიერ“, „ზედა“, „შინა“, „კავშირები“ - „გინა“, „გარნა“  
და სხვ.



და ილანძლებათ. ლაპარაკის დროს ყარაგიოზივით მოხერხებულად იქნედა მუშტს, თითქოს თავის სიტყვას მეტი დამაჯერებლობა უნდა მისცესო. ერთი ნაკლი ჰქონდა, ნარგილე გაგიჟებით უყვარდა და დღე ისე არ ღამდებოდა, რომ ათჯერ მაინც არ მოენია, სულ ერთია, ყავახანაში იყო, სკოლაში თუ სხვაგან. მერედა, ნარგილე პაპიროსი ხომ არ არის?.. ეს ვეებერთელა დანადგარი უნდა დაემალა დირექტორისთვისაც, ინსპექტორებისთვისაც და...

ერთხელ კაფეში ვისხედით და ვფიქრობდით, თუ როგორ შეგვექმნა პორტატული ნარგილე... ან ისეთი, რომლის დაშლაც შესაძლებელი იქნებოდა... კაცი მოსწევ და დაშლი. ჭურჭელი სურას უნდა მგვანებოდა და ვინ რას მიხვდებოდა? სატუჩეს კი ჯიბეშიც შეინახავ...

- მარფუჩს რაღას უზამ? - მკითხა მან.
- ჯუბის შიგნით წელზე შემოირტყამ...
- დაიმტვრევა...
- მაშ, ფესის შინამოში ჩაახვიე...
- არ ჩამეტევა.

...

ამგვარ ტვინის ჭყლეტაში რომ ვიყავით, დავინახეთ, რომ კაფეში ექიმი შემოვიდა. იგი ჩვენკენ წამოვიდა, მოგვესალმა და ჩამოჯდა. მერე გვიამბო, რომ საზოგადოების ერთ ნაწილს უქმე დღეს ბექთაშების<sup>1</sup> თექემი<sup>2</sup> წასვლა გადაუწყვეტია. თან ბატკანი მიჰყავთ, ცოტადენი სასმელი მიაქვთ და საკრავებიც ექნებათ.

ექიმმა ჩვენც მიგვინვია.

- ჩვენ ვერ წამოვალთ, - ვუთხარი მე.

<sup>1</sup> ჩრდილების სახალხო თეატრის კომიკური პერსონაჟი

<sup>2</sup> სუფიურ-რელიგიური ძმობა, ორდენი, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა მცირე აზიაში XIII საუკუნის ბოლოსა და XIV საუკუნის დასაწყისში.

<sup>3</sup> სენაკი

– ჩვენ პედაგოგები ვართ. იქ, სადაც სასმელი და საზია, ჩვენი ნასვლა არ შეიძლება, – კვერი დამიკრა ბაჰირ ხოჯამაც.

ექიმმა დაიჟინა, კაცო, თქვენც ნუ დალევთ, ყურები დაიხშეთ, თვალები დაივსეთ და ეგ იქნებაო. ეგეც არ იყოს, რამდენიმე თქვენმა ამხანაგმა და კოლეგამ თანხმობა განაცხადაო.

– თუ ნარგილეს წამომიღებთ, წამოვალ, – უცებ მოლბა ბაჰირ ეფენდი.


– წამოვიღებ, ღმერთმანი, მე თვითონ წამოვიღებ, ჩემი ხელით ვატარებ, – ფიცსა და რწმუნებას მოჰყვა ექიმი.

რა მხიარული ახალგაზრდა იყო. მთელ დაბას უყვარდა, თვალში რომ ჩავარდნოდათ, ხელს არ ამოისვამდნენ. ავადმყოფები წამალზე მეტად იმის სიტყვისგან პოულობდნენ შვებასა და ნუგეშს.

\*\*\*

უქმე დღეს ერთი ხმაურითა და ხორხოცით მივადექით ბექთაშების თექეს. აქაურობა უძველეს, ბედნიერ დროთაგან ხელუხლებლად შემორჩენილ სამოთხეს ჰგავდა. თითქოს ისტორიის მღელვარე ქარიშხალს საუკუნოვანი ჩინარის ხეებს შორის გამომზირალი, განმარტოებით მდგარი, მყუდრო, თეთრი სახლის სახურავზე არც კი გადაუქროლიაო... თავიანთი სენაკის ახლოს ბექთაშებს ისეთი დიდი აუზი გაემართათ, რომ გარშემო ხელოვნური ჯებირები რომ არ დაგენახათ, იტყოდით, ბუნებრივი ტბააო. აუზის ზურმუხტოვან ტალღებში თეთრი დუმფარები თვლემდნენ.

დერვიშებმა ჭილობები გაგვიშალეს და ჩვენც მა-



შინვე წამოვგორდით. ტელეგრაფისტმა უთი<sup>1</sup> მოიძარ-  
ჯვა, ხოლო ნოტარიუსმა – სანთური<sup>2</sup>; მექამანჩე აქ იყო.  
გაისმა მუსიკის ხმა...

ექიმმა აიხირა, გინდა თუ არა, მერიქიფე მე უნდა ვი-  
ყოო. არაყი ჩამოასხა და ყველას ჩამოუარა. როცა ბაჰირ  
ეფენდის მიადგა, იმან იუარა, მე ჩემი ნარგილე მაქვსო...

– კაცო, ერთი ყლუპი...

– ჩემს სიცოცხლეში პირში ერთი ნვეთიც კი არ  
ჩამიშვია.

– კაცო, ერთი ყლუპი პირში გამოივლე და გადააქციე,  
ნუ ჩაყლაპავ.

– რა ფასი აქვს?

– ვალაჰ, შესანიშნავი სადეზინფექციო საშუალებაა.

...

ბაჰირ ხოჯას სულაც არ სურდა, რომ ფანატიკოსად  
ჩაეთვალათ. აილო კათხა და არაყი პირში ჩაიგუბა... მა-  
გრამ ჩვენი ექიმი რა ექიმი იქნებოდა, რაიმე რომ არ ეხი-  
მანდრა... მაშინვე ეცა ბაჰირ ხოჯას და ლიტინი დაუნყო.  
ბაჰირ ხოჯას სიცილი აუტყდა და.. არაყი გადაეყლაპა.  
მიუხედავად იმისა, რომ ხოჯა დიდ უარზე იდგა, იმ რამ-  
დენიმე ყლუპმა არაყმა შეუჩვეველ კაცზე მალე იმოქმ-  
ედა და გაამხიარულა.

ყველა ვიცინოდით, ვმხიარულობდით, ვხუმრობდით,  
მაგრამ თავი გასკდომაზე გვექონდა. ამ მწვანე, ხასხასა  
სამოთხეში ჯოჯოხეთური ხმაური იდგა. ერთმანეთისა  
არა გვესმოდა, რადგან აუზში მილიონ ბაყაყს მოეყარა  
თავი და ხმამაღლა გაუთავებლად ყიყინებდნენ.

– ვაი, დედა, – ამოიკვნესა ექიმმა, – კაცო, როგორ  
გავაჩეროთ ეს ოხრები, არადა, ნაილეს ყურები...

<sup>1</sup> უთი-უდი – აღმოსავლური სიმებიანი საკრავი

<sup>2</sup> აღმოსავლური სიმებიანი საკრავი



- ვერაფერს გაანყობთ, ვერ გააჩუმებთ, - გვითხრეს ლომი  
 დერვიშებმა.

ბაპირ ხოჯას გარდა ყველანი წამოვდექით. რაც კი  
 რამ მოგვხვდა ხელთ, ყველაფერი აუზს დავაყარეთ.  
 ჩვენმა თავდასხმამ ბაყაყები თითქოს გააბრაზაო,  
 უფრო მოუხშირეს ყიყინს. ექიმმა რამდენიმე გაზეთს  
 ცეცხლი მოუკიდა და აუზში ისროლა, მაგრამ თქვენც  
 არ მომიკვდეთ, ვერაფერმა გაჭრა. აღარც საზის ხმა  
 ისმოდა და აღარც სანთურისა.

- მეტი რაღა დაგვრჩენია, უნდა გავიქცეთ.
- სად წავიდეთ?
- სადაც უნდა იყოს, მხოლოდ რაც შეიძლება შორს  
 ამ აუზიდან.

ჩვენ რომ ამგვარ ბჭობასა და ფაციფუცში ვიყავით,  
 ამ დროს ბაპირ ხოჯას ხმა მოგვესმა:

- მე რომ მოვისურვო, ერთ წუთში გავაჩუმებ.
- ბაპირ ხოჯა და მისი ნარგილე აღარც კი გვახსოვდა.
- როგორ?
- ერთს შევულოცავ და...
- კარგი ერთი...
- მაშინვე გაჩუმდებიან.

ამ ყიყინისგან ყველას გუნება გვექონდა წამხდარი,  
 მაგრამ ბაპირ ხოჯას ნათქვამზე მაინც გავიცინეთ.

- ბაყაყები არიან, შაკიკი ხომ არ არის, შეულოცო  
 და გაჩერდეს, - ბურტყუნებდა ექიმი, - უბედურებაა,  
 დიდი უბედურება.

ბაპირ ეფენდი ექიმის სიტყვაზე გაცეცხლდა,  
 თავისებურად მუშტის ქნევა დაიწყო და ყველას ურ-  
 ნმუნო და გზასაცდენილი გვინოდა. ბაპირ ეფენდის  
 ყვირილმა და ბაყაყების ყიყინმა მხიარულების ნასახი  
 აღარ დაგვიტოვა. ყველამ ყურები ჩამოვყარეთ.

- ყველა თავის ადგილზე დაჯდეს, - ბრძანა ხოჯამ, -



მე აუზთან მივალ, შევულოცავ, თუ არ გაჩერდნენ, სახეში შემაფურთხეთ!..

- ასე იყოს, მიდი, ხოჯა, მიდი...
- ...

ხოჯას ამას როგორ დავუჯერებდით, მაგრამ იმის იმედით, რომ სეირის მოწმენი გავხდებოდით, ყველამ ჩვენ-ჩვენს ადგილს მივაშურეთ.

ხოჯამ თავის ნარგილეს ხელი წამოავლო, აუზთან მივიდა და ზურგი შემოგვაქცია, ის კი შევნიშნეთ, რომ უბერავდა და უბერავდა. ერთ წუთსაც არ გაუვლია, რომ ბაყაყები უცებ ჩაჩუმდნენ. ხოჯა მუშტშემართული, გამარჯვებული იერით დაბრუნდა.

- ღვთის გულისთვის, თქვი, რა გააკეთე, - ვეცით ხოჯას აქეთ-იქიდან.

- ვერ დაინახეთ, რაც გავაკეთე? როგორ, საკუთარი თვალებისაც აღარ გჯერათ? რა გავაკეთე და შევულოცე!..

ნახევარმა საათმა განვლო. ბაყაყებმა კვლავ ყიყინი გააბეს. ახლა უკვე შიში არაფრისა გვექონდა. ყოველ ნახევარ საათში ბაჰირ ხოჯა დგებოდა, თავის ნარგილეს ხელს წამოავლებდა, მთვრალეები ხართ და გამიტეხავთო, აუზთან მივიდოდა, ერთს შეულოცავდა და... ბაყაყები იმწამს ხმას ჩაინწყვეტდნენ ხოლმე. ბაჰირ ხოჯას შელოცვა მექამანჩე ალეკომაც კი ირწმუნა.

ექიმს არა სჯეროდა არც შელოცვისა და არც სხვა რამისა, მაგრამ თავისი თვალით იხილა და რაღა უნდა ეთქვა?!

ამ ამბით გაცხებულმა ჩინოვნიკებმა არყის სმასაც მიანებეს თავი. ბექთაში დერვიშები მდუმარედ უყურებდნენ ბაჰირ ხოჯას. ვინ იცის, გონებაში რა აზრები უტრიალებდათ.

მეორე საღამოს მე და ბაჰირ ეფენდი კაფეში



ვისხედით და გაზეთებს ვკითხულობდით. მე გაზეთებს კი ვათვალისწინებდი, მაგრამ ნაკითხულისა არაფერი მესმოდა, სულ იმაზე ვფიქრობდი, თუ რით და როგორ გააჩერა ბაჰირ ხოჯამ ბაყაყები. მე კარგად ვიცოდი, რომ, თუ ვკითხავდი, როგორ გააჩუმე-მეთქი, ის გუშინდელივით მიპასუხებდა – რა, საკუთარ თვალებსაც აღარ უჯერებ, ბრმა ხომ არა ხარ, შევულოცე და გავაჩერეო, მიპასუხებდა და მეც ხმას იმ ბაყაყივით ჩამაკმენდინებდა. მაგრამ მე არც ისეთი ტუტუცი ვიყავი, რომ ან დამეჯერებინა და ან არ მეთქმევინებინა... მე მას სხვაგვარი მახე დავუგე, კამათში ჩავიტყუე. ჯერ გაზეთების კითხვა მივატოვებინე, შემდეგ ძალზე საინტერესო თემა წამოვჭერი. მე ვუხსნიდი, რომ ცხოველებს, დიდს და მცირე ზომისას, სული არ გააჩნიათ, ისინი ისევე ცხოვრობენ, როგორც, ვთქვათ, მცენარეები...

– მეც მაგ აზრისა გახლავარ, – დამეთანხმა ჩემი მეგობარი.

– ცრუობ, – ვეცი მაშინვე.

– ღმერთმანი...

– ტყუილს ამბობ.

– შენ რა იცი?

– რა ვიცი და შელოცვა მხოლოდ სულიერ არსებებზე ახდენს ზემოქმედებას. შენ კი ბაყაყებს შეულოცე... მაშასადამე, შენ გცოდნია, რომ ცხოველები სულიერი ცხოვრებით ცხოვრობენ. ახლა კი მეუბნები, რომ შენი აზრისა გახლავარო...

ხელები მაგიდიდან ჩამოუცვივდა. საოცრად შეწუხდა, სკამის ზურგს მიეყრდნო და გაჩუმდა. თან თვალი თვალში გამიყარა.

რა უნდა ექნა? – დავაფურთხე, წვერებს მოხვდა, ავაფურთხე – უღვაშსაო... მსხვილი წარბები შეჭმუხნა:

- მე ბაყაყებისთვის არ შემილოცავს!..

- მაშ, როგორ გააჩუმე?

- ...

კრიჭა შეეკრა, მოიღუშა, გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა - თუ ჭკუა ჰქონდა, ან უნდა ელიარებინა, რომ უვიცი და რეგვენი იყო, ან სიმართლე დაეფქვა...

- თქვი, თქვი, როგორ გააჩუმე ბაყაყები?

- იცი, ჯანუმ... შენც ხომ ტუტუცი არა ხარ?! შელოცვა შეიძლება? მე...

- ჰო, შენ რა გააკეთე?

- ნარგილეს მარფუჩი<sup>1</sup> აუზში ჩავუშვი...

- მერე?

- ბაყაყებს გველი ეგონათ, მაშინვე აუზის ძირში ჩაცვივდნენ...

\*\*\*


...მაგრამ პროვინციის ცხოვრების ერთი თავისებურება საიდუმლოების შენახვაა...

- პატიოსან ადამიანებს რწმენა არ უნდა მოუსპო. მათ მეცნიერების ჭეშმარიტება არ სჭირდებათ. იცი, არავისთან წამოგცდეს, რომ ბაყაყები მარფუჩით გავაჩუმე. დაე, სწამდეთ, რომ შელოცვამ გააჩუმა, - მითხრა ბოლოს ბაპირ ხოჯამ.

ეს საიდუმლოება არსად და არავისთან წამომცდენია.

ხოჯას შელოცვის სასწაულმოქმედება მთელმა დაბამ შეიტყო. მით უმეტეს, რომ ამისი მოწმენი ბექთაშებიც იყვნენ. ექიმსაც ეჭვები ნელ-ნელა გაეფანტა და როცა საუბარი ბაპირ ხოჯას შელოცვაზე ჩამოვარდებოდა, სანყალი თავს ჩაქინდრავდა და სრულიად სერიოზულად იტყოდა ხოლმე:

<sup>1</sup> ნარგილეს გრძელი მილი



- ეჰ, ვინ იცის, ამქვეყნად რამდენი რამ არის ამოუცნობი, ჩვენმა მეცნიერებამ ასი მილიონიდან ერთიც რომ ამოიცნოს, ესეც დიდი ამბავია...

ალარ ისმოდა მუნიციპალიტეტის ექიმის მხიარული, გიჟმაჟური ხარხარი.

## პირველი ჭალარა

„და არა რაი არს ყოველივე ახალ მზესა ქუეშე“... —  
ეს ძველთაძველი სიბრძნე კვლავ გამახსენდა, როდესაც  
გუშინდელმა დაღლილ-დაქანცულმა, ნუხანდელმა  
ლამენატეხმა, უძილომ, დილით სასიამოვნო აბაზანის  
შემდეგ, სარკეში ჩავიხედე, თმა გადავივარცხნე და  
მოულოდნელად საფეთქელზე თეთრი ბენჭი შევნიშნე...  
ჭალარა!..

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ კაცი ჭალარის  
გამოჩენამ შეიძლება ისე შეაშფოთოს და დაანალღ-  
ლიანოს, თითქოს დიდი უბედურება დასტეხოდეს  
თავს. იმისთვის, ვინც პირველად საკუთარი ჭალარა  
აღმოაჩინა, უფრო დიდი საშინელება ამქვეყნად  
შეიძლება არც კი არსებობდეს, მისთვის ამ სიტყვაზე  
შემადრწუნებელი სხვა სიტყვა შეიძლება არც კი მოი-  
ძებნებოდეს. მე ამ ნაღველსა და მწუხარებაზე ასი რო-  
მანი მაინც წამიკითხავს. დიახ, წამიკითხავს იმ ცივი  
ჭირხლის შესახებ, რომელსაც წუთისოფელი ადამიანის  
ცხოვრების გვიან შემოდგომაზე ჩამოჰყრის ხოლმე და  
რომელიც დაზამთრების ერთ-ერთი უეჭველი ნიშანია.

უზრუნველი ახალგაზრდა, რომელსაც არც კი  
ახსოვს სიკვდილის არსებობა, ჭალარის აღმოჩენაზე  
ერთს წამოიყვირებს და უეცრად გამოფხიზლდება  
ცხოვრების ტკბილი ძილისაგან.

ეს აღმოჩენა მდებრობითი სქესის წარმომადგენელ-  
თათვის გაცილებით მტკივნეულია.

მართალი რომ ვთქვა, მე ასეთი მწვავე ტკივილი არ მიგრძნია, მაგრამ ამ აღმოჩენამ ღრმად კი ჩამაფიქრა... იქნებ იმიტომაც არ მიგრძნია, რომ, რაც თავი მახსოვს, მიბაძვის საშინელი სიძულვილი მდევს. არ მინდოდა აქაც ჩვეულებრივი და ბანალური ვყოფილიყავი.

ბავშვობა კანლიჯაში<sup>1</sup>, ერთ დაფაბფაბებულ სახლში გავატარე. ჩვენს მეზობელს გასაოცარი მაიმუნი ჰყავდა. იაკუთს ეძახდნენ. უკანალი ისე ჰქონდა მოშიშვლებული, ზედ ერთი ბენვიც კი არ გააჩნდა. დილიდან საღამომდე ამ მაიმუნთან თამაშით ვერთობოდი. რასაც გავაკეთებდი, ისიც უკლებლივ იმეორებდა. თავს დავუკრავდი და მივესალმებოდი, ისიც მესალმებოდა, ტაშს შემოვკრავდი, ისიც შემოჰკრავდა, „ულვაშს“ გადავიგრეხდი, ისიც გადაიგრეხდა, მუშტს მოვუღერებდი, ისიც მომიღერებდა... ის კი არადა, ცდილობდა, რომ გამოხედვაც ჩემი გადაეღო. თვალებს ხუჭავდა, ახამხამებდა... ახლა, თუ ვინმეს რამეში ნავბაძავ, ის მასხარა ცხოველი წარმომიდგება თვალწინ და საკუთარ თავს ვეუბნები:

– მაიმუნი ხარ და ეგ არი!..

ჯაგრისი მივაგდე, ის ჭალარა ამოვიძრე და გულდასმით შევათვალეიერე. გულზე სევდა შემომანვა, უმიზეზო სევდა... ნესტიანი, ცივი ნისლივით შემომეხვია... „ცხოვრება არარაობაა, იმედები – უიმედო, მიზნები ფუჭი და უაზრო...“

ენაზე რუზმონდის სტრიქონები მომადგა. სარკიდან მოპასანის მოთხრობების გმირი მიმზერდა.

– კაცო, ამ ლიტერატურასა და მის გმირებს დაეხსენი! აი, ეს ჭალარა!.. მერე, უჩვეულო რა მოხდა? კაცი ოცდაათი წლისა ხარ...

<sup>1</sup> სტამბოლის რაიონი ბოსფორის სრუტის აზიის სანაპიროზე



ჰო, უკვე ოცდაათი წლისა ვარ.

ფანჯრიდან შემოჭრილი დილის მზის სხივები სარკეს ეცემოდა, ირეკლებოდა და თვალს მჭრიდა. შემოვბრუნდი და ფართო ფანჯრის რაფას დავეყრდენი. ფანჯრიდან სტამბოლის მშვენიერი სანახაობა გადაიშალა. კანდილისა და კაბათაშის<sup>1</sup> სახურავები, ვერცხლისფერი ზღვა, უსკუდარი, კუზგუნჯუკი<sup>2</sup> და ჩანლიჯა მზის შარავანდედით იყო მოსილი. მარჯვნივ, ქალაქის დასასრულს, კარაჯა აჰმედის კვიპაროსები<sup>3</sup> მწვანედ გამოიციქირებოდა.

ჩემს გულში ჩამონოლილი ის ცივი და ნესტიანი ნისლი თანდათან გაიფანტა. კაცმა რომ თქვას, განა ღირს მწუხარებად ჭაღარა, რომელიც კაცს ცხოვრების ოცდამეთერთმეტე წელს გაუჩნდა?

ესეც არ იყოს, ეს მწუხარება, პირველი ჭაღარის აღმოჩენით გამოწვეული, უკვე ტრადიციულია, უკვე გაცვეთილია და ლიტერატურაში ათასობით მაგალითის პოვნა შეიძლება. მით უმეტეს, როგორც მოგახსენეთ, ნაბაძვის სასტიკი მტერი გახლავართ და ხელმეორედ იმის განცდა და შეგრძნება, რაც ჩემამდე უკვე შეუგრძნიათ და განუცდიათ, გუნებას მიმღვრევს.

- ნეტავ, კიდევ ოცდაათ წელს თუ იცოცხლებ? - ვეკითხები საკუთარ თავს, რათა ჩემი ფიქრების მდინარე სხვა კალაპოტში ჩავაყენო.

- შეიძლება იცოცხლო!..

- ...

<sup>1</sup> სტამბოლის რაიონი ბოსფორის ევროპულ ნაწილში, კანდილისა და დოღმაბალჩეს შორის

<sup>2</sup> სტამბოლის რაიონი ანატოლიაში

<sup>3</sup> უსკუდარის რაიონში არსებული სასაფლაო, რომელიც XIV საუკუნის სახალხო გმირის კარაჯა აჰმედის სახელს ატარებს. მოთხრობაში ამ სასაფლაოს კვიპაროსებია ნახსენები.

- შეიძლება ვერც იცოცხლო!

- ...

მერედა, არის რაიმე განსხვავება განვლილ ოცდაათ წელსა და ოცდაათ წამს შორის?

თვალწინ ჩემი სოფელი წარმომიდგა, სადაც ბავშვობა გავატარე, გამახსენდა, როგორ ჩამოვედი სტამბოლს... გამახსენდა სკოლა, გამახსენდა ევროპა...

საწყალი დედაჩემი, რომელიც ამ ხუთი წლის წინ გარდაიცვალა, ხშირად მეტყვოდა ხოლმე:

- დაიცა, ჯერ ოცდაათი წლის გახდი. იმის შემდეგ ცხოვრება ისე გაირბენს, დარდის დროსაც კი ველარ იპოვი!..

მართალი რომ ითქვას, აქამდე არც საფიქრალი და არც სასუხარო არაფერი მქონია.

ბედმა წარმატების გზაზე მატარა, მაგრამ იმ წარმატებებს ყოველთვის რალაც გულსატკენი და ჩემთვის უსიამოვნო გრძნობა სდევდა თან.

მაგალითად, სასწავლებელში ყველაზე მეტ დროს ლიტერატურას ვანდომებდი, პირველი მონაფე კი მათემატიკურ საგნებში ვიყავი. სულითა და გულით მინდოდა ხელოვნებათმცოდნეობის სასწავლებლის ფილოლოგიის ფაკულტეტზე შევსულიყავი, მსურდა თავისუფალი, ბედნიერი, უზრუნველი ხელოვანი ვყოფილიყავი (უნებურად მეცინება), მაგრამ საინჟინრო სასწავლებელში ამოვეყავი თავი და ინჟინერ-არქიტექტორი გავხდი... სასწავლებელი აქაც წარჩინებით დავამთავრე. მეცნიერება, რომელმაც მე შემიფარა, ჩემთვის სხვა არა იყო რა, თუ არა მარადიულად არსებულის განმეორება.

ქვეყანა კი იცვლება, მაგრამ აქსიომები უცვლელი რჩება. ცალკეულ გეომეტრიულ ფიგურებს მართოდენ ასოთა მნიშვნელობანი თუ შეიძლება შეენაცვლოს.

ტიქნიკურ სასწავლებელში კი ვსწავლობდი, მაგრამ



ლიტერატურა არ მიმიტოვებია!.. ყოველ წელიწადს ჩემსისქე რომანებს ვკითხულობდი. გაორებული კაცი ვიყავი. ერთ ნახევარს გატაცებით უყვარდა ხელოვნება, ლიტერატურა, წერდა ლექსებს... მეორე ნახევარი მექანიკოსი გახლდათ, ცივი, გამომშრალი და უგრძობელი კაცი. ეს მეორე ნახევარი მეტად ძლიერი და მიზანსწრაფული პიროვნება აღმოჩნდა. თავის მომავალ პროფესიას არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდა; ათასში ერთხელ თუ წაიმეცადინებდა, მაგრამ იმის გამო, რომ კარგად ითვისებდა და საგნებს სანიმუშოდ აბარებდა, სახელმწიფო ხარჯით გაგზავნეს ევროპაში სწავლის დასასრულებლად. ევროპაშიც „პოეტი“ სულდგმულობდა – „ინჟინერ-არქიტექტორი“ კი ერთხელაც არ დაინტერესებულა ენახა თალი თუ კამარა, გუმბათი თუ მონუმენტი...

როცა ევროპიდან სტამბოლში პირველი ხარისხის დიპლომი ჩამოვიტანე, მაშინვე სამუშაოდ გამამწესეს და ახალბედა ინჟინერ-არქიტექტორისთვის შეუფერებელი ხელფასი – ორმოცი ლირა დამინიშნეს.

ჩემი დანებებულების კანცელარიის სიმყუდროვეში კვლავ განვაგრძობდი მხატვრული ლიტერატურის კითხვას. ამავე დროს, ჩემი სახელი, როგორც ინჟინერ-არქიტექტორისა, დღითი დღე იზრდებოდა. მე ჯერ ერთი ნახაზიც კი არ მქონდა შესრულებული, გაზეთები კი „ცნობილ არქიტექტორად“ მიხსენიებდნენ.

მაინც რა მევალებოდა (კვლავ მეცინება)? ყოველდღე, სადილობამდე ორი საათით ადრე, შევდიოდი დიდ კაბინეტში, რომელშიც ჩემ გარდა არავინ იყო და მაგიდაზე წინასწარ გამზადებულ რალაც ქალღმერთებს ნაუკითხავად ვანერდი ხელს...

სამსახური ახლად რომ დავინყე, იმ ქალღმერთებს კეთილსინდისიერად ჩავაბუღებულებდი ხოლმე, მაგრამ

როცა დავრწმუნდი, რომ ყველა მათგანი ერთმანეთს ტყუპის ცალივით ჰგავდა, მაშინ ამ უსიამოვნო მოვალეობაზე უარი ვთქვი. ჩემმა შრომამ და თავდადება მინისტრის ყურამდე მიაღწია. მაშინ საინჟინრო სასწავლებელში ლექციები მომცეს – მატერიალურად უფრო მომაგრდება, თანაც მის ცოდნას გამოვიყენებთო. კვირაში სამ საათს ვკითხულობდი, თვეში ოც ლირას ვიღებდი...

არ ვსვამ, ბანქოს არ ვთამაშობ, გართობა და დროსტარება არ მიყვარს. ხმაურიან და აურზაურიან ცხოვრებას გავურბივარ. ჩემი საყვარელი საქმე კითხვაა, მხოლოდ მხატვრული ლიტერატურის კითხვა. მიყვარს ფიქრი, ოცნება. ამგვარ ყოფაში თვეში 60 ლირა თავს გადამდიოდა. ჩემი საყვარელი კლასიკოსი მწერლების უძვირფასესი და უნიკალური გამოცემანი შევიძინე. აიასფაშაზე<sup>1</sup> ერთ ფეშენებელურ სახლში ბინა ვიქირავე. თითქოს ყველაფერი მაქვს, არაფერი მაკლია, მაგრამ, ეული ვარ, უთვისტომო... სტამბოლში არც ახლობელი და არც შორეული ნათესავი არ გამაჩნია.

უბედური არ მეთქმის, მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, რომ ბედნიერი კაცი ვიყო. შარშანდლიდან ნალველი შემომეპარა. გავილიე, ჩამოვხში. ნამდვილად ნევრას-თენია დამეწყო-მეთქი, ამ ეჭვმა ექიმთან მიმიყვანა.

– გადატვირთული ხართ! ნაკლები წერეთ და იკითხეთ. სამხიარულოსა და თავშესაქცევს მიეტანეთ... ადრე დანექით, გვიან ადექით... ისეირნეთ სუფთა ჰაერზე, ზღვის სანაპიროსა და მინდორ-ველზე... მოწყენილობა თქვენი ჯანმრთელობის მტერია!

– მაგრამ, ექიმო, წერა-კითხვას იმიტომ ვეტანები, რომ მოწყენილობას გავექცე. ესეც თუ ავიკრძალე?..

– კარგი, კარგი, მაგრამ წერით მაინც ნუ წერთ...

<sup>1</sup> ოსმალთა დიდგვარი (1482-1539), რომლის სახელიც ჰქვია სტამბოლის ერთ-ერთ რაიონს.



- რას ვნერ, ექიმო, მხოლოდ დოკუმენტებს ვანერ ხელს, - ვუთხარი მკურნალს.

- აჰ, ეს არ გავნებთ!

- მაგრამ, ჩემს გულს მხიარულება მაინც არ ეკარება...

- რატომ?

- აი, სწორედ მაგის გასაგებად გეახელით...

ექიმი ძონძროხა, მხიარული და ხალისიანი კაცი იყო. ტარსიკონის დივანის კიდეზე ხელი დაჰკრა და მითხრა:

- კარგი, მაგისტვის მოხვედით და გეტყვით.

მერე დიდხანს მეკითხებოდა, ცოლიანი ვარ თუ უცოლო, რამდენი წლისა ვარ, რას ვსაქმიანობ, ხელფასი რამდენი მაქვს, ერთი სიტყვით, ათასგვარი კითხვა მომცა. მე მოკლედ და კონკრეტულად ვპასუხობდი. ბოლოს სიცილი აუტყდა:

- კარგი, კარგი, ყველაფერი ნათელია. თქვენი ავადმყოფობაც დადენილია!

- ?

პირდაპირ შემომხედა და სიცილით მითხრა:

- თქვენ დაავადებას სინეკურა ეწოდება!

- სინეკურა?

- დიახ...

უცებ ვერაფერს მივხვდი. ასეთი ავადმყოფობა არ გამეგონა.

- ეს რა დაავადებაა, რისგან ჩნდება?

- ბედნიერებისგან ან უსაქმურობისგან.

მაინც ვერაფერს მივხვდი:

- უსაქმურობა ბედნიერებაა?

- ძველ ენებში უსაქმურობასა და ბედნიერებას ერთი სიტყვით გამოხატავდნენ. მაგრამ თუ ადამიანს ბედნიერება მოსჭარბდა და გაუხანგრძლივდა, არსი გაუფუჭდება - ამან კი მოწყენილობა და ნალვლიანობა იცის...

- ...

ექიმმა, თითქოს სკოლის მონაფე ვყოფილიყავ, იმის ახსნა-განმარტება დამინყო, თუ რა არის ბედნიერება და სიამოვნება, რა - უბედურება და მწუხარება. წრეს გადასული და ხანგრძლივი ბედნიერება ბოლოს და ბოლოს უბედურებაში გადადის და მას კაცი მალე ეგუება. ჩემი ექიმის განმარტებით გამოდის, რომ უსაქმურობა, ანუ „თავისუფლება იძულებითი მუშაობისგან“ ბედნიერება ყოფილა. ამ ბედნიერებას ზოგჯერ შავი ღრუბლები გადაეფარება ხოლმე. უსაზღვრო და უსამნო ბედნიერება ჭირია და განსაცდელი.

- თუ გსურთ, რომ ამ ნალველსა და მოწყენილობას თავი დააღწიოთ, თქვენს უზრუნველ სამსახურს გამოეთხოვეთ, - მითხრა ბოლოს.

- მერე, რა ვაკეთო? მე სხვა შემოსავალი არაფერი გამაჩნია, - გამეცინა მე.

- ეგ უკეთესი. თქვენ იძულებული იქნებით, ფული იშოვოთ. ხელმოკლეობა გაიძულებთ, იმუშაოთ.

- შემდეგ?

- ახლა ყოველი თვის ბოლოს თქვენს მაგიდაზე 60 ლირა ხვავდება ხოლმე, არც კი იცით, საიდან და როგორ მოვიდა ეს ფული. სამსახურს რომ თავს დაანებებთ, მაშინ მისი შეგროვება შრომითა და გარჯით მოგიწევთ. თქვენი ნერვული სისტემა, ტვინი, გონება, თვალები, ხელები, შეუსვენებლივ იშრომებს, თქვენც ბევრი სირბილი მოგიწევთ.

- არა, ექიმო, ეს რჩევა ხელს არ მაძლევს...

- ხელს არ მაძლევთ და შეურიგდით მაგ თქვენს ავადმყოფობას, იყავით სინყნარესა და სიმშვიდეში, უცადეთ, როდის დაგლუპავთ ეგ თქვენი „ბედნიერება“...

თავდახრილი ვიღიმებოდი. მართლაც, ახალგაზრდა კაცი სინეკურისტად ვიქეც. ფაქტია, ჩემი სნეულება



ჩემივე უზრუნველი ცხოვრების შედეგი იყო. ერთი კი ცხადია – მოხუცებულ კაცს ახალგაზრდის საქმე არ შეეფერება, ახალგაზრდას – მოხუცებული კაცისა. მაგალითად, ლამაზი და მოხდენილი ქალი, ბევრი ძილი, უხვი და მსუყე საქმელი, რა მოხუცის საქმეა?..

ასე იყო თუ ისე, ჩემი ექიმის დასკვნით, კეთილი ცხოვრება მლუპავდა.

ამ ფიქრებში რომ ვიყავი გართული, ჩემი ენამოუღლებელი ექიმი საუბარს განაგრძობდა და იმ ავადმყოფობებს მისახელებდა, რომელთა გამომწვევ მიზეზად უსაქმურობა ითვლებოდა. ასეთი ყოფილა შაქრის დაავადება, ნეკრესის ქარი და კიდევ ბევრი სხვა.

– ბატონო ექიმო, იქნებ ტანვარჯიშს მოვკიდო ხელი? – ვკითხე მე.

– ტანვარჯიში თქვენს მუსკულატურასა და ნერვულ სისტემას უფრო გადალლის, მაგრამ მარტო ნერვები კი არა, თვით თქვენი სულიც, გრძნობაც, აზროვნებაც მოითხოვს ფიზიკურ შრომასა და დატვირთვას.

– მაშასადამე, სულიერ ვარჯიშს.

– დიახ...

– მაგრამ როგორ?

– ...

ექიმმა ეს ვერ ამიხსნა. კვლავ შემომხედა და ამ შემოხედვაში აშკარად იგრძნობოდა შური... აშკარად ჩანდა, რომ ექიმს ჩემი ბედისა შურდა... მე ამას ისე ნათლად ვხედავდი, როგორც მზეს ვხედავ ხოლმე!..

– თქვენ თქვით, რომ ინჟინერ-არქიტექტორი ხართ?

– დიახ.

– მაშინ, რადგანაც დრო ბევრი გაქვთ, ინკოგნიტოდ კი არა, პირდაპირ, სხვისგან დაუფარავად მიჰყევით თქვენს საყვარელ საქმეს. ის თქვენ ბევრ ენერგიასა და დროს ნაგართმევთ.



– მე მოსამსახურე გახლავართ, სხვაგან მუშარბა არ შეიძლება!..

– მე ამას კი არ გეუბნებით, რომ მატერიალური დაინტერესებით იშრომოთ!..

– მაშ?

– იშრომეთ შრომისთვის... მაშასადამე, მიზანი არა მატერიალური ინტერესი, არამედ შრომაა!

– ?

– თქვენ თურქი ხართ?

– დიახ.

– ნაციონალისტიც ხართ?

– ...

პასუხი დროზე ვერ გავეცი. ასეთ კითხვაზე პირველად უნდა მეპასუხა. ჩემს სინდისს ჩავეძიე, რა პასუხი უნდა გამეცა; არც მან იცოდა. კაცმა რომ თქვას, ყური კი მომიკრავს, რომ თურქეთში არსებობს ერთი წყება ხალხისა, რომელსაც ნაციონალისტებს ეძახიან, მაგრამ ამის მეტი არაფერი ვიცოდი. თურქული ჟურნალ-გაზეთები რომ მეკითხა, ჩემთვის ყველაფერი ნათელი იქნებოდა და არც პასუხი გამიჭირდებოდა, მაგრამ მე მათ არასოდეს არ ვათვალიერებ.

ხმა არ ამომიღია. ექიმი უხერხულად შეიშმუშნა.

– იქნებ კოსმოპოლიტი ხართ?

– არა.

– თქვენი ავადმყოფობის ერთ-ერთი მიზეზი ესეც გახლავთ.

არც ნაციონალისტი ხართ და არც კოსმოპოლიტი. ჩემო კარგო, თქვენ სალხინებელში ყოფილხართ. სალხინებელი კი ადამიანთათვის არ არის განკუთვნილი. იქ მხოლოდ ცხოველები იმყოფებიან. ადამიანები ან სამოთხეში ნეტარებენ, ან ჯოჯოხეთში იტანჯებიან!

ამ უცნაურმა ექიმმა განმიმარტა, რომ მე ისევე



მესაჭიროება იდეალი, როგორც გული, ღვიძლი ან თირკმელები. ადამიანს იდეის გარეშე სიცოცხლე არ შეუძლია. იდეურად გაკოტრებული კაცი ან გიჟდება, ან ტყვიას იხლის შუბლში. თუ კაცს იდეა ერთბაშად კი არა, თანდათანობით, ნელ-ნელა ჩაუქრა, შაქრის ავადმყოფობა, ნევრასთენია, ფსიქიკური დეპრესია ან ისტერია ეწყება ხოლმე...

- ასე რომ, თქვენ რაიმე განსაზღვრული იდეა არა გაქვთ!

- შესაძლებელია!

- მაშინ, ჩემო კარგო, ეცადეთ და რაც შეიძლება სწრაფად შეიძინეთ იგი. თუ არადა...

- ?

- ...

ვინ უწყის, ჩვენზე ამ ცხოვრების რამდენი წერილმანი და უმნიშვნელო მოვლენა ტოვებს ღრმა კვალს. ხშირად ეს „უბრალო“ რამ შეგვაცვლევინებს ხოლმე ნლობით გაკვალულ გზას და ახალი მიმართულებით გაგვამგზავრებს. ჩემზე, ყოველგვარი იდეისგან დაცლილ კაცზე, ღრმა შთაბეჭდილება დატოვა ექიმის პარადოქსულმა რჩევა-დარიგებამ. ჩემი პათოლოგიური შთაბეჭდილებების წყალობით ექიმის ნებას დავემორჩილე...

ჩემი ექიმი ცამდე მართალი იყო - მე არც ნაციონალისტი ვიყავი და არც კოსმოპოლიტი. არადა, ჩემთვის ჰაერივით იყო საჭირო იდეა, იდეალი. მაგრამ იდეას კაცი ტანსაცმელივით ხომ ვერ შეიძენს.

ლიტერატურა მიყვარს. ექიმის რჩევა-დარიგება შეიძლება გამომადგეს. რომანის დანერა ჩავიფიქრე, წერაც კი დავიწყე, მაგრამ დროზე მოვედი გონს... თუკი გამოვაქვეყნებდი, დიდი სკანდალი და უსიამოვნება მელოდა... ასე იტყვიან - ცნობილს, არა, რატომ „ცნო-



ბილს“? ცნობილს კი არა, ვილაც ბატონ ინჟინერს რომელიმე მანი შეუთხზავს და დაუბეჭდავს კიდეცო! საქართველოს ენციკლოპედია

ზუსტად ის ამბავი გადამხდებოდა, რომელიც ერთ ყოფილ მინისტრს გადახდა თავს, როცა მან ასეთი წიგნი გამოსცა: „მუსლიმთა ვალდებულებანი რელიგიური მოძღვრების მიხედვით“...

არა, რატომ უნდა ავიგდო თავი? ჯღაბნას ხელი შევეუშვი და ნაციონალისტური მიმდინარეობის შესწავლა დავიწყე. ორი თვის შემდეგ წაკითხულსა და შესწავლილს თავი მოვუყარე და ასე ჩამოვაყალიბე:

1. ადამიანებს, რომელთაც აქვთ ერთი ენა და ერთი რწმენა, ერთიან ერს შეადგენენ; თურქებიც ერთი ერია, ერთი ნაცია. მაგრამ იმის გამო, რომ აქამდე სხვა ერის შვილებთან ერთად ცხოვრობენ, თავიანთ ერს, ნაციას, კულტურას უარყოფენ და ცდილობენ, მიჰბადონ სპარსელებსა და არაბებს;

2. ხალხი ერად რომ ჩამოყალიბდეს, საჭიროა მოდერნიზირება, გარდაქმნა შეგვეძლოს, ამიტომ უნდა ცდილობდე უცხოელს მიჰბადო, უცხოელად გარდაიქმნე;

3. სხვათა შორის, როგორც ყველა სხვა ერს, თურქებსაც უნდა ჰქონდეთ თავიანთი ინდივიდუალური და სპეციფიკური ფიზიონომია კულტურის სხვადასხვა სფეროში. როცა ასეთი ინდივიდუალური ფიზიონომიის მიღებას შეძლებ, მაშინ იწყებ პროგრესს და განვითარებას.

ამ რეზიუმეს შემდეგ ქვეყანას გადავხედე და იგი ახალი თვალსაზრისითა და საზომით გავზომე. რა დავინახე? მწერლები სალაპარკო, ხალხური, ბუნებრივი ენით წერას ცდილობენ, პოეტები ეროვნული ლიტერატურის, ეროვნული ლექსისა და ვერსიფიკაციის ფორმების შექმნას ლამობენ, სამართალმცოდნეებს ეროვნული სამართალმცოდნეობა სურთ დაამკვიდრონ, ეთიკოსებს ეროვნული ეთიკის დაფუძნება გადაუნყ-

ვეტიათ, პედაგოგები ეროვნული პედაგოგიკის აყვავებისთვის ცოდვილობენ. მეც, როგორც ხელოვნების მოყვარული და მცოდნე, ეროვნული, ნაციონალური ხელოვნების ფესვების ძიებას შევეუდექი. ამ მიზნით ბურსასა<sup>1</sup> და კონიაში<sup>2</sup> გავემგზავრე და იქიდან იმდენი ძველი წიგნი და ხელნაწერი ჩამოვათრიე, რომ რამდენიც არ ვეცადე, ნახევრის ნაკითხვაც კი ვერ შევძელი. სამაგიეროდ, ჯანმრთელობა გამომისწორდა.

ახლა აღარც თავზე ვფიქრობდი და აღარც ავადმყოფობისა მეშინოდა. ჩემი შრომისა და გამოკვლევის ერთი სტრიქონიც კი არ მქონდა დაბეჭდილი, რომ სრულიად უსაფუძვლოდ სახელი გამივარდა. რაც უფრო გულმოდგინებით ვეძიებდი თურქული ხელოვნების ძირებს, მით უფრო აშკარად ვატყობდი, რომ მძვინვარე ნაციონალისტი ვხდებოდი.

ეროვნულს და ინდივიდუალურს, რომელსაც ადრე ფანჯრებსა და თალ-კამარებში, საფლავის ქვებსა და აკლდამებში, ფაიფურსა და მინიატურაში ვეძებდი, ახლა ყოველგვარ წერილმანში ვპოულობდი. ადრე რომ ლექსები მიყვარდა, ახლა შევიჯავრე... შევიჯავრე იმიტომ, რომ თურქული ეროვნული ლიტერატურის კანონ-კოდექსებით არ იყო შექმნილი და უხამსი მიმბაძველობის დალი ესვა. ნელ-ნელა ნაცნობ მეგობრები შემომეცალნენ, აღარც მე მომდიოდნენ თვალში – ისინი უიდეონი, ნიჰილისტები და კოსმოპოლიტები იყვნენ, მათ კლუბების, ბანქოსა და გართობა-დროსტარების მეტი არაფერი იცოდნენ!

<sup>1</sup> ქალაქი თურქეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში

<sup>2</sup> ქალაქი თურქეთის ცენტრალურ ნაწილში. იგი იყო სელჩუკთა სახელმწიფოს დედაქალაქი და მისი საფუძველი. ავტორი ამ ქალაქებზე როცა საუბრობს, მხედველობაში აქვს თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს ეროვნულ-ნაციონალური სანყისები, რომელთაც ხელოვნების სფეროში ეძიებდა.

ნინა კვირას ჩემი ნიგნის წინასიტყვაობა დავამთავრე. ნიგნს ასე უნდა დავარქვა: „ძველი თურქული ხელოვნების კვალი ანატოლიაში“. ამ შრომამ ისე დამქანცა და გადამლალა, რომ მთელი კვირაა აღარაფერს გავკარებივარ. მაგრამ რა? ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყენილობამ თავი კვლავ წამოყო. კვლავ ყველა წვრილმანს დაუწყო თვალთვალი... ამ დილით ნაპოვნმა ერთმა ქალარამ კი ლამის ისე დამანალვლიანა, რომ...

\*\*\*

პირველ ყოვლისა, ჩემი დადარდიანება ათასი ჩემისთანა კაცის მწუხარების გამეორება რომ არ ყოფილიყო, იმ კაცისა, რომელმაც ჩემსავით პირველი ქალარა იპოვა და ცხვირი ჩამოუშვა, შევეცადე, ფიქრი შემეცვალა. მაშინვე მაგიდას მივუჯექი და ჩემი თხზულების გადასათეთრებლად გადადებულ რვეულში ეს ყველაფერი ჩავანიკნიკე.

ამ ადგილზე უნებურად შევჩერდი. კალამი ხელში შემაცივდა და დიდხანს, დიდხანს ვფიქრობდი. ძალიანაც არ მინდა, ძალიანაც ვერიდები, მაგრამ მაინც უპიგონი ვარ, მაინც წამბაძველი გახლავართ. ეს სტრიქონები პირველი ქალარით გამონვეული შთაბეჭდილებებია და განა მე პირველი ვნერ ამ საგანზე?

პირველი ქალარა!..

ქვეყანა დაინგრა?.. არც ვიფიქრებ და არც ვიდარდებ!

– მაშ, სიბერის დაღმართს ჩავუყევი და ეგ არი?

– ...

– რა უნდა ვქნა?

– არაფერი, რა შეგიძლია?

– მაგრამ, იქნებ ცოლი შეგერთო?

– შეირთე, რაღას უცდი?

– ...

– არა, მაინც რას ვუცდი?

იქნებ ამ საკითხზე არც მიფიქრია? არა, როგორ არ მიფიქრია... გულში რამდენიმე გრძნობა და მღელვარება ჩამიმარხავს. მეგონა, რა დღესაც ცოლს მოვიყვან, ჩემი ცხოვრებაც იმ დღეს დასრულდება-მეთქი.

მაგრამ რა იქნება, ერთ მშვენიერ დღეს დავექორნინდე?

არაჩვეულებრივი არაფერი მოხდება, როგორც სხვა, მეც ისე.

აჰა, ისევ „როგორც სხვა“ ...

რა ძნელია სხვების მიბაძვა. რა თქმა უნდა, იმათ დავემსგავსები, ვინც ჩემამდე ცხოვრობდა.

იმათსავით დავინიშნები, იმათსავით ახალგაზრდა სიძე-კაცი ვიქნები, იმათსავით დავწვრილშვილდები, იმათსავით მეოჯახე კაცი დავდგები; იმათსავით დავბერდები, იმათსავით... ღმერთო ჩემო, იმათსავით იმქვეყნის გზას გავუდგები!..

მაშ, რა არის ახალი იმ მზის ქვეშ, რომლის სხივები პირდაპირი კუთხით ირეკლება თეთრი ფურცლიდან, რომელზედაც ამ სტრიქონებს ვწერ!

რა არის ახალი?!

– არარა...

დიახ, დიახ, მეც ისევე დავექორნინდები, როგორც ათასი ჩემი მსგავსი დაქორნინდა...

ერთი ფინური ანდაზა გამახსენდა, რომელიც ამ მზის „ქუეშე“ აგერ მთელი ხუთი ათასი წელია მეორდება – ეული კაცის ცხოვრება ამქვეყნად მეტისმეტად მწუხარე და ნაღვლიანია, წყვილის ცხოვრება – სასიამოვნოა, ხოლო თუ სამნი იქნებიან, მაშინ ცხოვრება ტკბილზე ტკბილიაო.

ჰოდა, ამ ეულობას როგორმე თავი უნდა დავაღწიო.

## რა თავში ვიხლი სიმდიდრას...

7 იანვარი, 1916

ნათქვამია, იმ ერს, რომელსაც ისტორია არა აქვს, ბედნიერიაო. მე კი ვიტყვოდი, ადამიანი, რომელსაც მოსაგონარი არაფერი გააჩნია, ბედნიერზე ბედნიერია. რატომო, თუ მკითხავთ, გიამბობთ.

ისტორიის შესწავლა მქონდა გადაწყვეტილი და მთელი ხუთი წლის განმავლობაში აუარებელი წიგნი გადავიკითხე. რამბაუდისა და ლავისის<sup>1</sup> შრომებს ჯერ კიდევ სკოლაში გავიცანი. ამის შემდეგ სპეციალურ ლიტერატურას ბუკინისტებისაგან ვიძენდი და ჩემი ბიბლიოთეკა თანდათან გაიბერა. ყურადღება ერთ მოვლენას მივაქციე: ის, რასაც ისტორია ჰქვია, მხოლოდ და მხოლოდ უბედურებაზე მოგვითხრობს. ბედნიერებაზე ან ხმას არ იღებს, ან თუ იტყვის რამეს, ისიც ზერელედ, სხვათა შორის... თვით ყველაზე მშვიდობიან საუკუნეებშიც კი უბედურების, მუხანათობის, სიმწარისა და შხამის მიგნება უფრო ადვილია. ისტორიიდან, რომელიც კაცობრიობის ხსოვნას წარმოადგენს, კარგად არის ცნობილი, რომ მწუხარებისკენ და მელანქოლიისკენ ლტოლვა ადამიანის ხვედრია. უბედურება, ტრაგედია, ნაღველი ჩვენს სულში ჭრილობასავით ღრმა კვალს ტოვებს. ჩვენი ბედნიერება, ჩვენი მხიარულება, ჩვენი სასიამოვნო დღეები კი სიზმარივით ადვილად

<sup>1</sup> XIX საუკუნის ფრანგი ისტორიკოსი



ქრება და გვავეინყდება. აი, ამ დილას ჩემს ზანდუკში  
ეს რვეული ვიპოვე. ათიოდე წლის წინათ რალაც-რა-  
ლაცების ჯღაბნა დამიწყია, იმ ნანერებს გადავხედე;  
შიგ ერთი სიტყვაც კი არ აღმოჩნდა ბედნიერი დროის  
გასახსენებელი. სამაგიეროდ, დანვრილებით მქონდა  
აღწერილი, თუ სიმსივნით დაავადებული საცოდავი  
დედაჩემი დღითი დღე როგორ დნებოდა და ქრებოდა,  
კიბოს ბრჭყალებისგან ნატანჯი და ნაგვემი, როგორ  
უჩუმრად მიდიოდა არარაობაში... ეჰ, დრო, დრო რა  
ვერაგი და საშინელი წამალია. ახლა იმ ტკივილის მე-  
ათასედსაც აღარ განვიცდი.

შემდეგ საზღვარგარეთ წავსულვარ. ამის შესახებ  
მხოლოდ ორი ბნკარი გამიმეტებია. შემდეგ დავექორ-  
წინდი. ამაზე კრინტიც არ დამიძრავს. ბავშვი შემეძინა...  
სრული სიჩუმე!

ჩემდა უნებურად, გაყვითლებულ ფურცლებს დავ-  
სუნე. არ ვიცი კი, რატომ და, თუმცა მზის სხივები  
არასოდეს მიჰკარებია, მაინც გაყვითლებულიყო.  
მკვეთრი, თავბრუდამხვევი, ავადმყოფი შემოდგომის  
სუნი ასდიოდა. ეჰ, ეს სუნი, ძველი ქალაქების, ძველი  
ნიგნების, ძველი რვეულების დაუვინყარი და მწუხა-  
რების აღმძვრელი სუნი!..

ისე, კაცმა რომ თქვას, უკეთესიც კი იქნებოდა,  
ეს ჩემი რვეული საერთოდ არ არსებულიყო! რა უში-  
ნაარსო, რა მოსაწყენია ერთმანეთის მსგავსი ის უნ-  
დილი დღეები, როცა არც არაფერი შეგემთხვევა და  
არც არაფერი გადაგხდება თავს. თუმცა უდრტვინველი  
და უმტკივნეულო რამ კი არის. ომმა ეს სინყნარე და  
სიცარიელე უეცრად დაარღვია. ჩვეულება ისე მომჩ-  
ლუნგებია, მთელი ორი წლის მანძილზე რვეულში  
არაფერი არ ჩამინიშნავს. მაინც როგორ უნდა მოიქცე  
კაცი, როდესაც რწმენის, შრომის, მეცნიერების იდეა-



ლის იმ სულიერი კმაყოფილებით ცხოვრობ, რომელსაც სხვა რამ ამქვეყნიური ნეტარება არ შეედრება და მოულოდნელად მრისხანე და შესაზარი ყოფის წყევდიადში ამოყოფ თავს? როგორ უნდა მოიქცე კაცი, როცა იძულებული ხარ შიმშილის ქარიშხალის დროს უსასოობის უდაბნო გადალახო, როცა იძულებული ხარ, უყურო, შენ გვერდით როგორ ნელ-ნელა, უტყვად იხოცებიან შენი ახლობელი ადამიანები... როგორ უნდა მოიქცე?

დღეს მე ერთი უბედური კაცი გახლავართ!..

ჩემს ცოლს რაც კი რამ ებადა, ყველაფერი გავეყიდეთ და შევეჭამეთ. მზითევში მოტანილი სელის პირსახოციც კი აღარ დაგვრჩა. საწოლები, თეთრეული, მამაჩემისგან დანატოვარი კაკლის ხის კარადა, თვით ბავშვის, ჩემი ორჰანის სათამაშოებიც კი ერთმანეთის მიყოლებით გაგვექონდა ძველმანების ბაზარზე. ხელფასი 15 ლირა მაქვს. დედისაგან ნაჩუქარი სახლი, რომლის შემოსავალი 60 ლირას არ აღემატებოდა, დავაგირავეთ. საკვებად წიგნაკებზე აღებული პურის, სკოლაში გაცემული ზეითუნის ზეთისა და ბულგურის<sup>1</sup> მეტი არაფერი გაგვაჩნია. ჩემი ცოლის სიმტკიცითა და შეუპოვრობით გაოცებული ვარ. ყველაფერს ასწრებს, სახლის საქმეებსაც აგვარებს, ბავშვს უვლის, გამუდმებით არღვევს ძველ წინდებს და შედარებით უკეთესს კემსავს, მეცა და ბავშვსაც გვაცმევს, თან გვაიმედებს:

– ღმერთო, ერთი ეს ომი დამთავრდეს და ყველაფერი დაგვაინწყდება.

მე კი არა მგონია, ამ უბედურებას ასე მალე მოელოს ბოლო. ნეტავ, რა გველის, როგორ ვიქნებით? ზოგჯერ საზღვარგარეთ წასვლაზე ვფიქრობ, მაგრამ

<sup>1</sup> მსხვილად დაფქული ხორბალი

ჩამოსულები ამბობენ, იქაც შიმშილობააო. ხვალეს გახსენებაც კი გონებას მირევს. ახლაც ისე ვარ ნირნამხდარი, ორი წინადადებისათვის თავი ვერ მომიბამს. რა დავწერო, აღარ ვიცი...

#### 14 იანვარი

ამ უბედურ რვეულში მეტი რომ არაფერი ჩამეწერა, აჯობებდა. გუშინ ორჰანი ავად გაგვიხდა. ჩემმა მეზობელმა ექიმმა, რომელმაც თავისით, შინაურულად შემოგვიარა და ბავშვი ინახულა, გვითხრა, რძე უნდა ასვათო. სათქმელად ადვილია! ერთი ოყა ნახევარი ლირა ღირს. რაც წიგნები მქონდა, ერთ მუშას ავკიდე, წავიღე და ერთიანად გავეყიდე. სამოცი ლირა შევაგროვე, ოცი ლირისა ხის ნახშირი შევიძინე.

#### 30 იანვარი

ცოტა რომ დავფიქრდი, დავრწმუნდი, ცხოვრება ველარ ჩადგებოდა წესიერ კალაპოტში. ერთ საღამოს, როცა ფეხსაცმელებს ვანმენდინებდი, მნმენდავს ვკითხე, თვეში რამდენი ყურუში გამოგდის-მეთქი.

– ოცი ლირა, – მიპასუხა 15-16 წლის ბოშა ბიჭმა.

მე კი, ოცდათერთმეტი წლის კაცმა, ფუფუნებაში გაზრდილმა, ძირძველი ოჯახის შვილმა, ცოლ-შვილის პატრონმა, თვეში 15 ლირით თავი როგორ გავიტანო? კარგი, სხვას თავი დავანებოთ, უკვე ორი წელია, ყველაფერს, რაც კი მაბადია, ვყიდი. აღებულ ფულს იმ 15 ლირას ვუმატებთ და შიმშილით სიკვდილისგან თავს როგორღაც ვიხსნით. მაგრამ, ამის შემდგომ რაღა ვქნა, გასაყიდი რომ არაფერი მაქვს?! რამე საქმე უნდა გამოვიინახო. მასწავლებელი ჩვენს დროში ადამიანს კი არა, ქათამსაც ველარ გამოკვებავს.

#### 16 თებერვალი

ორი კვირაა, სამუშაოს დავეძებ. ბოლოს ერთ გამომცემელს მივაგენი. გვერდის თარგმანში ათ ყურუშს



მიხდის. ისე ვარ გახარებული, რომ... ყოველ ფორმაში 160 ყურუში მერგება, 300-გვერდიან ნიგნში 30 დოლარს ავიღებ.

**7 აპრილი**

ყოველ ღამით 10 გვერდს ვთარგმნი. ამისათვის 4 საათი სრულიად საკმარისია. ასეა თუ ისე, ჩვენი ყოფა გაუმჯობესდა. ორჰანისთვის რძესაც ვყიდულობ. მე და საემიჰამაც ტალონებზე თითო წყვილი ფეხსაცმლის შეძენა მოვახერხეთ. მაგრამ გამუდმებულმა მუშაობამ თვალები ამატკივა. თუმცა გამოსავალი მოვნახე – გასულ კვირას სათვალე შევიძინე.

**2 მაისი**

გუშინ ერთი ამხანაგი შემომხვდა. სკოლიდან გარიცხეს. ვერც სკოლა დაამთავრა, ვერც რაიმე პროფესიას დაეუფლა. იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს. ახლა ვაჭრობას მისდევს.

– ზუსტად სამოცი ათასი ლირა მაქვს. ორ თვეში გავაკეთე!

- ხუმრობ? – გამეცინა.
- ღმერთმანი. თუ არ გჯერა, ბანკში იკითხე.
- ვა, როგორ მოაგროვე, კაცო?!
- „დაახლოების ჯგუფს“ თუ მიაგნებ, ადვილი საქმეა!

უეცრად ვიგრძენი, რომ დაუოკებელი სიხარბე დამეუფლა. ორ თვეში რომ სამოცი ათასი ლირა შევაგროვო, ხუმრობა საქმეა? გამახსენდა, გერმანელებისაგან ნაყიდ კარბიტის ღამპის შუქზე ყოველ საღამოს ერთი ლირისთვის ოთხი საათის განმავლობაში ოფლს როგორ ვღვრიდი, თვალებს ვითხრიდი.

- კაცო, ეს „დაახლოების ჯგუფი“ რაღაა?
- რა და, თოფალთან დაახლოების საშუალებაა!
- ეს თოფალი ვიღაა?
- ვაი, სირცხვილო! კაცო, პატაგონიაში ხომ არა ხარ?



თოფალი ვინ არის, არ იცი? ღმერთო, მაღალ... იმას-  
თან საქმის დაჭერა ერთ ნუთში მილიონერად გახდის  
კაცს. დღეს მთელი თურქეთი ხელში უჭირავს! იმისი  
ერთი სიტყვაც კმარა, რომ 75 მილიონი ლირა უეცრად  
ამოძრავდეს...

ამხანაგი კარგა ხანს მიყვებოდა მომარაგების  
უფროსის დამსახურებაზე, იმის მონყალე ხასიათზე...  
პირდაღებული ვუსმენდი. ბოლოს გამოვუტყედი, რომ  
სამხედრო სამინისტროსა და „ითიჰათისტების“ საქმი-  
ანობისა არაფერი გამეგებოდა.

შევებრალე და მანუგემა:

– ცხვირი ნუ ჩამოუშვი. კაცმა რომ თქვას, აუცილე-  
ბელი არც არის, თოფალს დაუკავშირდე. აი, ერთი იმისი  
კაცი რომ აგიყვანდეს, საკმარისია.

– კაცო, თუკი ასეა, შენ აგეკიდები!..

– ნელა გაიარე, ფეხი არაფერს წამოჰკრა, – ახარ-  
ხარდა ჩემი ამხანაგი, – ხომ გაგიგონია, ყვაფი ჩხიკვის  
მამიდაო, ასე ვარ დაკავშირებული ერთ იმის კაცთან.

...მაგრამ, მოიცა! იცი, რას გეტყვი, ერთი საქმისთვის  
კაცი გვჭირდება. მოდი, ძმაო, და, იმას მოგიხერხებ, რომ  
ყოველდღიურად 80-90 ლირა მაინც გააკეთო...

დღეში 80-90 ლირა!.. ყურებს არ დავუჯერე, იმ ახ-  
ლად გამდიდრებულს ლამის ვეცი და ხელები დავუ-  
კოცნე... უეცრად გულზე მომეშვა. გამდიდრების იმედი  
კაცს შვებას ისე მალე მისცემს, როგორც გულწასულს –  
ჰაერი.

– ხვალ ჩემთან მოდი ომერ აბიდის სასტუმროში,  
მეორე სართულზე ვარ.

ხვალ მასთან უნდა წავიდე. გესმით, ფული ისე უნდა  
მოვიგო, რომ კაპიტალი არ დავაბანდო! მართალი რომ

<sup>1</sup> XIX საუკუნის მიწურულის თურქეთის ბურჟუაზიის პოლიტიკური პარტიის წევრები

ვთქვა, არაფერი მესმის, რა ხდება. მეც ისე უნდა გავმ-  
დიდრდე, როგორც ბევრი სხვა. სამუდამოდ დავემშვი-  
დობები ამ მათხოვრულ ყოფას, ამ დაფახფახებული ხის  
გამურულ სახლს, ამ... ბალღინჯოების ლაშქარს!.. ისე  
ვიყავი გახარებული, რომ ჯერ არ დაბადებულ ბავშვს  
სახელს ვარქმევდი...

ორი დღეა, თარგმანს თავი დავანებე. ეჰ, ნეტავ,  
შემეძლოს, ეს ქაღალდები წავილო, იმ ჩემ გამომცემელს  
თავში ვახალო და ვუთხრა, აილოს, დაბეჭდოს და ფუ-  
ლიც თვითონ მოიხმაროს.

სემიჰა ჩემს საქმიანობას ეჭვის თვალითა და შიშით  
შესცქერის.

– შენ რაღაც გემართება, რატომ აღარ თარგმნი, რა-  
ტომ მიატოვე? – არ მეშვება ცოლი.

მე თავის ტკივილს ვიმიზეზებ.

ხვალ სკოლაში მელოდონ, სანამ არ მოსწყინდებათ.  
საცოდავი სერ მუითი, ვინ იცის, რა მედიდური პოზით  
გამომიქვითავს გაცდენილი საათების საზღაურს...

ჩერჩეტი!

### 15 სექტემბერი


ორი დღის წინ ბუიუკადადან დავბრუნდი, დღეს  
კი ახალ ბინაში შევსახლდით. წელიწადში 750 ლირას  
ვიხდი, მაგრამ შესანიშნავი რამ არის. ექვსი ოთახია,  
აბაზანა, ცენტრალური გათბობა, ელექტროგაყვანი-  
ლობა... ერთი სიტყვით, არაფერი აკლია. ავეჯზე ზუს-  
ტად ხუთი ათასი ლირა დამეხარჯა. ჩემი ბიბლიოთეკა  
უნდა აღვადგინო. ეს ოხერი ბედნიერება სიზმარივით  
სწრაფად გარბის. ველარც კი ვიგონებ, როგორ გავა-  
ტარე ეს ზაფხული. ყბადალებული ჩემი სკოლა არ მი-  
ვატოვე. ავდექი და ჩემს ადგილზე ერთი სანდო კაცი  
მოვიყვანე. იმ 15 ლირას ჩემი ათი ლირა დავუმატე, დი-  
რექციას კი ავადმყოფობის ცნობა შევაჩეჩე. სკოლის

მიტოვება არ შეიძლება, მაშინვე ჯარში მიკრავენ თავს. კომერსანტობა სამხედრო სამსახურიდან ვერ დამიხსნის.

იმ ამხანაგმა პირველსავე წუთებში სამი ათასი ლირა მომაგებინა. მე მისი დიდად მაღლიერი ვარ, კაცად მაქცია.

ჩვენ ფქვილის საქმეებს ვატრიალებდით. კაცმა რომ თქვას, ახლა ამაზე სარფიანი სხვა არაფერია. ცოტ-ცოტა შაქარსაც ვიძენთ.

ოთხი თვის წინათ ეს ნაწერები წავიკითხე და გამეცინა. ღმერთო მაღალო! ამ სილატაკეში რამ გამაძლებინა? დღეში ოთხი საათი გამოკეტილ ოთახში თავს იხეთქავდე და მხოლოდ ერთ ლირას იღებდე! თანაც, ეს უდავო და უეჭველი სისულელე სიქველე გეგონოს!.. მე კი, მაღლობა ღმერთს, იოლად მოვიშორე ის ცრუ ლირსება, რომელიც გაჭირვებულ ცხოვრებას მუდამ თან ახლავს. ის გარემო და საზოგადოება ახლა რომ შევიძინე, ცოტა დაბალ საფეხურზეა. მაგრამ არავითარ შემთხვევაში ცრუ მეცნიერება არ გეგონოთ. ამ ქვეყანაზე ყველა მცდელობა, ფილოსოფია თუ სურვილი ერთია – ფულის მოხვეჭა! აქ არავითარი აბსტრაქცია, შეუცნობადი და საოცნებო არ არსებობს. გასაგები, ნათელი, მაგრამ ბაზრის დახლართული ფასები და აფიორაა. ამ საქმეში სიმარჯვე და მოხერხებულობა დიდი რამეა. მე ასე მგონია, რომ ერთ წელიწადში იმ ჩემს ამხანაგს უნდა ვაჯობო. ეჰ, სად ვიყავი, რატომ ომის დასაწყისშივე არ მოვეკიდე ამ საქმეს. დღეს ჩვენ ისევ ღარიბებად ვითვლებით. ახლა თურქეთში ისეთი კაციც მოიძებნება, რომელმაც ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში 10 მილიონი ლირა მაინც მოაგროვა. იმდენი იყბედონ ამერიკელებმა, სანამ არ მოსწყინდებათ! კარგა ხნის წინათ ერთმა ამხანაგმა ფრანგული წიგნი წამა-



კითხვა, წიგნს ასე ერქვა – „სიმდიდრის ანბანი“. ერთი მილიონერის ცხოვრება იყო აღწერილი. იმ მილიონერს თავისი კაპიტალის დაგროვება ერთი დოლარიდან დაუწყია და მთელი 30 წელიწადი დღედაღამ შრომაში გაუტარებია. კაცმა რომ თქვას, თუ ოცდაათი წელიწადი სული ამოირთვი, რისთვის გინდა ან გონიერება, ან მოხერხება? აი, თოფალთან საქმე დაიჭირე, ბალკანეთის მატარებელზე ან ანატოლიაში ერთი თვე გაძვერ-გამოძვერი და...

ახლა აღარ მგონია, რომ ამ ჩანაწერებს გავაგრძელებ. ასე ყოფილა, კაცი თუ გამდიდრდა, წერა-კითხვა ჭირის დღესავით შესძულდება. მე მაინც მინდა წარსულ დღეთა მოსაგონებლად მქონდეს. დიახ, არავითარი საფუძველი არ გაგვაჩნია, ჩვენი ძველი, ღარიბული ცხოვრება დავივიწყოთ. ამ რვეულს შევავსებ და ჩემს ბიბლიოთეკაში შევინახავ.

არა, მაინც რა ქალია სემიჰა... ერთი თუ გადაგეკიდა, მორჩა და გათავდა!

სასადილო ოთახი მე არ გამაწყობინა; პსალთის მალაზიაში უნდა წავიდეთ, დავათვალიეროთ და ჩვენც ისე დავალაგოთ...

**2 თებერვალი, 1917**

ეჰ, შენ ჩემო საბრალო, გულღია და მართალო რვეულო! რომ იცოდე, როგორ ვღელავ, როდესაც ხელში აგიღებ ხოლმე. საშინელი სულიერი კრიზისი მტანჯავს, იმ დამნაშავეს ვგავარ, რომელსაც ცოდვა გულს ვერ დაუტევია და ბაგეთაგან გადმოუნთხევია.

გუშინნინ ჯერაჰ ფაშაზე ერთ ჩემსავით ახლად გამდიდრებულ ტიპთან სტუმრად ვიყავი. საზანდარები ჰყავდა მონვეული. შუალამემდე შევეყვით ქეიფს, ვსვამდით, ვჭამდით, ვღრეობდით, გათენებისას წამოვედით. ძალზე ციოდა. ეტლი ვერსად ვიპოვე, აქსარაის ფეხით



ჩავუყვივი. ვერც იქ ვიპოვე ეტლი. ვალიდეს ჯამი დავ-  
 ლანდე. აქ მამაჩემს ბავშვობისას სადღესასწაულო  
 დღეებზე დავყავდი ხოლმე. დაუვინყარ მოგონებად  
 ჩამრჩა ის დღეები. ყველაფერი გავერანებული დამხვდა.  
 ლალეს მეჩეთი და ჰასან ფაშას სასტუმროც ვნახე. რა-  
 ლაც ნალველი შემომანვა და ნაბიჯს ვუკელი. ჩვენ აქ,  
 იენიკაფისკენ ჩამავალ ქუჩაზე ერთ დიდ სახლში ვცხოვ-  
 რობდით, რომელსაც ბაღჩა, სარდაფი და აუზი ჰქონდა.  
 ეს იყო ასე, 25-26 წლის წინათ... მეზობლებს გოგოები  
 ჰყავდათ. იმათ კი ისეთი როხროხა ხმები ჰქონდათ,  
 რომ... გამახსენდა ჩემი ბავშვობა. ამ ნახანძრალზე კაცი  
 მიაგნებდა კი იმ ადგილს, მაშინ რომ ვცხოვრობდით?  
 ნეტავ, აუზი თუ მაინც გადარჩა? დანგრეულსა და გავ-  
 ერანებულ მიდამოში გზა ამერია. არც არავინ ჩანდა,  
 რომ მეკითხა. ჩამოქცეულ-ჩამოშლილ ბუხრებს სიჩუმე  
 დაუფლებოდა. იმ სახლის გასწვრივ, რომელსაც ვეძე-  
 ბდი, ერთი ბინა გადარჩენილიყო. მივედი და შევიხედე.  
 შიგნით ვილაც გასაცოდავებული პირები დაბორი-  
 ალებდნენ, ბუხარში რალაცას ეძებდნენ. რას ეძებთ-  
 მეთქი, შევეკითხე.

- მკვდარს ვეძებთ!
- რა მკვდარს, კაცო...
- მკვდარს ვეძებთ!

იმათში ერთი თეთრწვერა, ჩია მოხუცი ერია, მომი-  
 ბრუნდა და მითხრა:

- ადამიანის გვამს ვეძებთ, შვილო.
- ადამიანის გვამს?
- ჰო...

ჩემი გაოცება რომ შენიშნა, შეჩერდა, თავით ფეხე-  
 ბამდე ჩამწურა და თავი გააქნია.

- ჰეი, გიდი! ბატონო, როგორ გეტყობა, შენ ჩვენი  
 ამბები არც კი იცი. მუნიციპალიტეტის ხალხი გახ-



ლავართ. ყოველ დილას მოვდივართ ამ ნანგრევებში, შიმშილისგან დახოცილებს ვაგროვებთ, მერე ურემს ვავსებთ, მიგვაქვს და მიწას ვაბარებთ.

– შიმშილისაგან იხოცებიან? – წამოვიძახე და ადგილზე გავიყინე. ასე მომეჩვენა, თითქოს გულისცემა შემიჩერდა კიდეც. მუხლი მომეკვეთა...

მოხუცს მცირე გაღიზიანებაც ეყო. უცებ ცეცხლში ჩაგდებულნი, იმედგადაწყვეტილი მქადაგებლის განწირული ხმით აყვირდა:

– ორი წელია, მუსლიმები ასე უპატრონოდ იჩაგრებიან, უილაჯობით, უსმელ-უჭმელობით, სიცვიითა და ყინვით ძალღებავით იხოცებიან. ამ არამზადებმა თუ დიდხანს კიდეც იბოგინეს, დედამიწაზე ერთი მუსლიმიც აღარ დარჩება.

– ეს არამზადები ვინლა არიან? – ვკითხე უნებურად.

– ვინ იქნებიან? ვინც ქვეყანას პურის ნაცვლად ქვიშასა და ტალახს აჭმევს; ისინი, ვინც ლუკმა-პური მოსპო; ისინი, ვინც ღარიბ-ღატაკებს დაუნდობლად ატყავებენ, თვითონ მდიდრდებიან და ავტომობილებით დაგრიანებენ! ღმერთო მაღალო, როდის იქნება, რომ ყველა იმათგანი სახრჩობელაზე ჩამოკიდებული დავინახო?!

მე ხმა არ ამომიღია, ან რა უნდა მეთქვა?

ის არამზადები ჩვენა ვართ. იმ საცოდავებს შიმშილით ჩვენ ვხოცავთ. მაშინ ვინ აღმოაჩინა მდინარე ქალითჰანეში „ფქვილის დიდი მადანი“? უკვე სამი თვე იქნება იმ წმინდა თიხას ფქვილში ვურევთ.

ამ ხალხს ხმის ამოუღებლად, მონუსხულივით დავდევი. მხოლოდ ორი გვამი ვიპოვეთ. დავხედე და ერთიანად მოვიშხამე, ჩონჩხზე ცარიელი ტყავი ჰქონდათ გადაკრული. ერთი ქალი იყო, ყვითელი თმა გახეშებული.



ტუჩები ისე მოვიკვნიტე, რომ სისხლი წამომივიდა. ასე მეგონა, მიცვალებულებს გაყინული ცისფერი თვალები ჯიუტად ჩემთვის მოეშტერებინათ... უეცრად რალაც შემზარავი შიში დამეუფლა. დავკარი ფეხი და გიჟივით გამოვვარდი. არ მახსოვს, ბეიაზიდთან როგორ გავჩნდი. ის კი მოვასწარი, რომ ეტლში ჩავხტი, სახლში მისულს გული მქონდა წასული. ექიმი მოეყვანათ და ძლივს მომასულიერეს თურმე. როცა ცოტა დავმშვიდდი, სემიჰას ყველაფერი დანვრილებით ვუამბე. სემიჰა ატირდა. ახლა სანოლიდან ველარ ვდგები.

საშინელი ანარქისტი გავხდი. უნდა ის არამზადა თოფალი ჩავაძაღლო და მაშინ ჩემს ქვეყანაში შიმშილისგან აღარავინ მოკვდება. თოფალი, კარასულუ, ბაირამზადე და მისთანანი ჩვენს ქვეყანას შავი გველეშაპივით შემოხვევია, შემოხვევია და სისხლს სწოვს, წრუპავს! დიახ, უცილოდ უნდა წუთისოფელს გამოვასალმო. ერთ-ერთი მათგანის სიკვდილი ქვეყანას უფრო მეტ სიკეთეს მოუტანს, ვიდრე სანგრებში მტრის მთელი რაზმის ამონყვეტა.

**16 მარტი**

იმათი დახოცვის თავი ვინ მომცა. ისინი სახრჩობელის ღირსნი კი არიან, მაგრამ ვინ რას დააკლებს. შვიდთავიანი გველეშაპის ღონე აქვთ.

მართალია, იმათ ვერაფერი დავაკელი, მაგრამ საკუთარი თავი კი გავანადგურე, რაც მქონდა და რაც მებადა, ყველაფერი გავყიდე. ფულად ვაქციე. მერე ეს ფული სასადილოებს, ზოგი ღარიბ-ლატაკთა დამხმარე საზოგადოებას ვუანდერძე. ბინა მივატოვე. სემიჰა და ორჰანი ნავიყვანე და უსკუდარის ერთ უბანში პატარა ბინა ვიქირავე. კიდევ კარგი, სკოლა არ მივატოვე. კვლავ მასწავლებლობა დავინყე. ამხანაგებმა გაკოტრებულად გამომაცხადეს. ჩემ გამომცემელს მი-



ვაკითხე, ჩემი თარგმანი ძალიან მოსწონდა და ახლა გვერდში 12 ყურუშს მაძლევს. ღამლამობით ვთარგმნით, მე ვკარნახობ, სემიჰა იწერს. ასე რომ, თვეში 50 ლირას შეგროვებას ვახერხებთ. იმ ოჯახისთვის, რომელსაც ხელმომჭირნეობა შეუძლია. ეს ფული ბევრიც არის, მაგრამ გასული ათი თვე საშინელი კოშმარივით დამდევს, გონებიდან ველარ ამომიგდია. ვერ შევძელი დამევიწყებინა ისინი, ვინც შიმშილით ამოვწყვიტე, ვის სისხლსაც 10 თვის განმავლობაში ვწოვდი, ვის წილსაც მე ვჭამდი, ვისაც რძე და შაქარი ენატრებოდა... შავი აჩრდილი გამუდმებით თან დამყვება და ჩამსისინებს:

– შენც მძარცველი ხარ, სისხლის მწოველი, შენც...

სულ სახრჩობელები მეღანდება, აღმართული სახრჩობელები. ერთ-ერთ მათგანზე ჩემი სხეული ქანაობს. ასე მგონია, ეს მწველი ცეცხლი სულსა და სხეულში რომ ჩამვარდნია, არასოდეს ჩაქრება. ასე მგონია, ეს ტანჯვა საფლავშიც არ მომასვენებს.

## ქმადნაფიცები

გონენში ვარ დაბადებული. ოცი წელი მაინც იქნება, იქ აღარ ვყოფილვარ და იმისი ბევრი კუთხე-კუნჭული რალაც მოუხელთებელ, ყავლგასულ სიზმრად მექცა. ახლაც ჯიუტად ვცდილობ, გავიხსენო ბაზრის წინ მდგარი მეჩეთი, რომელსაც მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ოფიცერთან, მამაჩემთან ერთად ჩავუვლიდი ხოლმე. ვცდილობ, გავიხსენო მინგრეულ-მონგრეული პატარა შადრევანი, იქვე ჩამომავალი ნაკადული, რომელსაც დღენიადაგ ჩამოჰქონდა ნაფოტები და რალაც ჩინჩხვარი, მინდა გავიხსენო მოზრდილი, ღრმა, ცხელი ნყლით სავსე აუზი, სადაც დასაბანად დავდიოდით, მაგრამ ამ ჩემს მეხსიერებას ეს ოხერი, დავინწყების თეთრი ბურუსი ფარდასავით ჩამოეფარება და დაუზოგავად შლის და შლის ფერებსა და სახეებს.

დიდი ხნით უცხოეთში ხეტიალის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულ კაცს თავისი სოფლის არემარე რალაც გაურკვეველ ნისლში ჩაფლული დაუხვდება. მისთვის ოდესლაც საყვარელ ადგილებს ცხადად ველარ იგონებს. ეს კი დიდი სევდის ამშლელი გრძნობა გახლავთ. მეც, აი, ასეთი შეგრძნებები დამეუფლა და ამან კარგა გვარიანად შემაშფოთა კიდევ. სალამოობით კამეჩების ნახირისა და თხების ფარისაგან ამტკვერებული. მოუკირწყლავი გზები, ხავსმოკიდებული, შავკრამიტიანი სახურავები, ჩამონგრეული, დაშლილ-დაბზარული კედლები, ხის პატარა ბო-



გირები, თვალგაუნვდენელი ველ-მინდვრები, დაბალი  
 ლობეები... ეს ყველაფერი იმ ბურუსში იფანტება და  
 ქრება.

ცხადლივ მხოლოდ ჩვენი სახლი და სკოლა მახსოვს.  
 მოზრდილი ბალი, ბალში საზაფხულო ვილის არქიტექ-  
 ტურულ სტილზე აგებული ქათქათა სახლი. სახლის მარ-  
 ჯვენა ფრთა თეთრფარდებიან ოთახს ეკავა, რომელშიც  
 მუდმივად ვცხოვრობდით. დილაობით დედაჩემი ფან-  
 ჯრის რაფაზე თოჯინასავით წამომასკუპებდა და ან  
 გაკვეთილებს მამეორებინებდა, ან რძეს მასმევდა.  
 ეზოს მეორე მხარეს, რომელიც ფანჯრიდან მკაფიოდ  
 მოჩანდა, ბანიანი შენობა იდგა, რომელსაც ერთადერთი,  
 ისიც შუშებჩაუსმელი სარკმელი ჰქონდა. მე იმ შავი  
 ხვრელისა ძალიან მეშინოდა. იქ მელანდებოდა საზა-  
 რელი დათვი, ის დათვი, რომელზედაც ყოველ სალა-  
 მოს გრძელ-გრძელსა და საშინელ ზღაპრებს მიყვებოდა  
 აბილ ბებო. ეს ქალი იყო ჩვენი შინამოსამსახურეც,  
 მრეცხავიც, მზარეულიც, ლოგინის გამშლელ-ამლაგე-  
 ბელიც, მამაჩემის ცხენისა და მონადირე ძაღლების  
 მომვლელ-პატრონიც. აბილ ბებოს მონაყოლი ზღაპრე-  
 ბის მიბაძვით ყოველ დილას ვიგონებდი საზარელ სიზმ-  
 რებს და მერე სანყალ დედაჩემს ვუყვებოდი, რომელიც  
 ცნობისმოყვარეობით მისმენდა, მერე თავისებურად  
 ხსნიდა და განმარტავდა ხოლმე. ვუყვებოდი, თუ ერთმა  
 უზარმაზარმა, გავეშებულმა დათვმა მთებში როგორ  
 გამიიტაცა, როგორ შემათრია უღრან ტყეში, თავის ბუ-  
 ნაგში, როგორ მომაჭამა ცხვირ-პირი, მერე ბაირამიჩის  
 გზაზე წყლის ნისქვილის ბორბლებში როგორ ჩამაგდო.  
 ამის გამგონე დედაჩემი გამუდმებით იმეორებდა –  
 ღმერთმა კეთილად აგიხდინოსო. დედაჩემი, როცა ჩემს  
 სიზმრებს ხსნიდა, იმასაც მინინასწარმეტყველებდა,  
 რომ მე დიდი კაცი, დიდი ბეგი, დიდი ფაშა გავხდე-



ბოდი, რომ მე თითსაც კი ვერავინ დამაკარებდა... ამის გამგონეს ჩემივე მოჩმახული ცრუ ზღაპრები მავინყდებოდა და ბედნიერზე ბედნიერი ვიყავი მაშინ...

\*\*\*

აი, ის კი ვერ გავიხსენე, ქუჩებში ვისთან ერთად დავიარებოდი. ერთსართულიანი, კედლებშეუფთქავი სკოლა გვექონდა. ალაყაფით თუ შევიდოდით, დახურულ ეზოში აღმოვჩნდებოდით. შენობისგან მოშორებით ბაღია იყო, ბაღიაში ერთი ხეც კი არ იდგა. ბაღის ბოლოს ფენისადგილი, იქვე დიდი კასრი, განსაბანი წყლით სავსე. სკოლაში გოგო-ბიჭები ერთად სწავლობდნენ, ერთად თამაშობდნენ. უფროს მასწავლებლად, ჩვენ რომ „დიდ ხოჯას“ ვეძახდით, ერთი თავგადაქუცული, ინით შეთხუპნილი, აყლაყუდა, კუზიანი და გამორჩეულად დედაბერი გვყავდა. ცისფერი თვალები ნიადაგ ბოროტად უელავდა, ნისკარტივით მოკაუჭებული ცხვირით ბუმბულგაცვენის ხინჩლიან ძერას წააგავდა. „პატარა ხოჯა“ მამაკაცი იყო, „დიდი ხოჯას“ შვილი. აშკარად ეტყობოდა, ჭკუაზე რომ აფრაკად ბრძანდებოდა. ბავშვებს იმისი არ ეშინოდათ. მე სულ უკან ვიჯექი, სადაც დედაბრის გრძელი ჯოხი ვერ მწვდებოდა. ალბათ იმიტომ, რომ ღია, ყვითელი თმა მქონდა, გოგოები „თეთრ ბატონს“ მეძახდნენ. ბიჭები და მოზრდილები ან სახელით, ან კი სულაც „კაპიტნის შვილობით“ მომიხსენიებდნენ. კლასის კარების იმ ფრთიდან, რომელიც არ იღებოდა, რალაც უსიცოცხლო სახით ასეთი წარწერიანი ორი ფირფიტა შემოგვცქეროდა – „მოვიდა“-„წავიდა“. ეს მასწავლებლის წასვლა-მოსვლის „ჟურნალი“ გახლდათ. სქელ კედლებზე, ჭერის სიახლოვეს, ვინრო სარკმლები დაე-

ტანებინათ, საიდანაც კლასში მკრთალი სინათლე იჭრებოდა. მოსწავლეები ერთად, გუნდურად, ყვირილით სწავლობდნენ და იმეორებდნენ გაკვეთილებს.

\*\*\*

სკოლაში ერთადერთი სასჯელი არსებობდა – ჯოხი! დამნაშავე გოგო-ბიჭებს გააწვენდნენ ფალაქაში<sup>1</sup> და შეუბრალებლად ურტყამდნენ. სკოლაში ისეთი არავინ იყო, რომელიც ფალაქას ხსენებაზე შიშით არ აკანკალებულიყო. მცირე დანაშაულისთვის უფრო იოლ სასჯელს იყენებდნენ – ან „პატარა ხოჯას“ ალიყურს, ან „დიდი ხოჯას“ გრძელ ჯოხს, რომლის გამოისობითაც სანყალ დამნაშავეს თავზე შეჭველად კოპი დააჯდებოდა ხოლმე. ჩემი მფარველების გამო, ის ჯოხი არასოდეს მომხვედრია. მხოლოდ ერთხელ „დიდმა ხოჯამ“ სიცრუე დამაბრალა და თავისი ჩინჩხვარივით ხმელი თითებით ყური ისე მომიგრიხა და ამინია, რომ დანითლებული მეორე დღესაც მტკიოდა. ეს ამბავი კი ასე მოხდა: ბაღში განბანვისათვის გამოსადეგი წყლიანი კასრი რომ იდგა, ერთხელ იმას ონკანი მოაგლიჯეს. ეს, აი, იმ ავადმყოფმა, გაჩხიკულმა ბიჭმა ჩაიდინა, მუდმივად ცისფერი ჩეფქანეთით<sup>2</sup> რომ დაიარებოდა. „დიდი ხოჯა“ დამნაშავეს ეძებდა. მე შევატყობინე, ის ბიჭი ფალაქაში უნდა ჩაენვინათ. იმან იუარა, მე არ მომიგლეჯიაო. ამ დროს ერთი მოსწავლე გამოვიდა და განაცხადა, მართალია, ონკანი მაგან კი არა, მე მოვგლიჯეო. ის მოსწავლე თვითონ ჩანვა ფალაქაში და დანაშაულისათვის რამდენ

<sup>1</sup> აკენის მსგავსი დასასჯელი მონყობილობა, რომელშიც ჩაანვენდნენ დამნაშავეს, ფეხებს შეუკრავდნენ და ფეხის გულებზე ჯოხს ურტყამდნენ. იყენებდნენ ბავშვების დასასჯელად.

<sup>2</sup> მოკლე, მოქარგული, გაჭრილსახელოებიანი ხიფთანი



როზგსაც იმსახურებდა, იმდენი უთავაზეს. მაშინ „დიდი ხოჯა“ მომიბრუნდა, აქაოდა, ტყუილი თქვიო, ლამის ყური ამახია.

მე ვტიროდი, მწარედ ვტიროდი, ტყუილი არ მითქვამს, ჩემი თვალი დავინახე, კასრს როგორ მოაგლიჯა ონკანი. სალამოს შესვენების შემდეგ ის მოსწავლე დავიჭირე, რომელმაც დანაშაული თავის თავზე აიღო:

– მატყუარობა რატომ დამაბრალე? ონკანი ხომ შენ არ მოგიგლეჯია?

– მე მოვგლიჯე.

– არა, ჩემი თვალით დავინახე, ონკანი იმ ბიჭმა მოაგლიჯა.

ის მოლბა, აღარ დაუჟინებია. სახეში შემომხედა. ერთხანს ასე შემომცქეროდა. მივხვდი, თუ პირობას მივცემდი, რომ ხოჯას ამბავს არ მივუტანდი, ყველაფერს მეტყოდა. მე დავიფიცე.

– ონკანი აღიმ მოაგლიჯა, ეს მეც ვიცი. მაგრამ ის ძალზე სუსტი ბიჭია, შენც კარგად ხედავდი. თანაც ნაავადმყოფარია. ახლახან წამოდგა ლოგინიდან. ფალაქას ვერ გაუძლებდა, მოკვდებოდა.

– მაგრამ, იმის მაგივრად შენ რატომ ჩანეკი?

– რატომ და, ჩვენ ძმადშეფიცულები ვართ. ის დღეს ავად არის, მე კი – კარგად. ჯანიც არ მაკლია, ჰოდა, გადავარჩინე.

კარგად ვერ გავიგე, კვლავ შევეკითხე.

– ეს ძმადგაფიცვა რაღაა?

– არ იცი?

– არა!

იმან გაიცინა და სანამ გამშორდებოდა, მითხრა:

– ჩვენ ერთმანეთის სისხლი გვაქვს შესმული. ამას ძმადშეფიცვა ჰქვია. ასეთებს სისხლით ძმაკაცები ეწოდებათ. ისინი ერთმანეთს სიკვდილამდე ეხმარებიან.

\*\*\*

ამის შემდეგ დავაკვირდი. სკოლაში ბევრი მოსწავლე იყო ძმადშეფიცული. ეგ კი არა, ასეთები გოგოებიც კი აღმოჩნდნენ. ერთ დღეს ისიც გავიგე, თუ როგორ ხდებოდა ძმად შეფიცვა. ეს რიტუალი კლასის უკანა რიგებში ჩაატარეს. „პატარა ხოჯა“ აბდესტის მისაღებად გარეთ იყო გასული. „დიდ ხოჯას“ ჩვენთვის არ ეცალა. ჩვენკენ ზურგშექცეული, ლოკოკინასავით ნელა ირჯებოდა და ნამაზით იყო გართული. ორმა ბიჭმა ხისტარიანი დანით ხელი გაიჭრა. მერე გაჭრილი ხელები ერთმანეთს დაადეს, სისხლი ერთმანეთში აურიეს და სათითაოდაც გამოწოვეს. ნანახმა ჩამაფიქრა. ძმადნაფიცი რომ მყოლოდა, ხოჯა ყურს ვერ ამინევდა და იქნებ საერთოდ ფალაქასგანაც დავეხსენი. იმ ვეება სკოლაში მარტოსულად, უთვისტომოდ ვთვლიდი თავს. ჩემი ფიქრი დედას გავანდე, იქნებ მეც ვინმეს ძმად გავეფიცო-მეთქი. დედამ უარი მტკიცა, ეს შენთვის შეუფერებელი საქციელი იქნებაო.

\*\*\*

მე არ დავუჯერე. გონებაში სულ ეს ძმადგაფიცულობა მიტრიალბდა, მაგრამ ვისთან უნდა გავფიცულიყავი? შემთხვევით გაცნობილს ხომ ვერ დავუკავშირდებოდი?

პარასკევობით ჩვენს ბაღში მეზობლის ბავშვები იყრიდნენ თავს. საღამომდე ვთამაშობდით, ვერთობოდით. ჩვენ შორის სახლის პატრონის, ჰაჯი ბუდაქის ჩემი ტოლა ბიჭიც იყო, რომელსაც მისტიკი ერქვა. მე ეს სახელი ძალიან მომწონდა. მის წარმოთქმაზე რაღაც სასიამოვნო გრძნობა მეუფლებოდა და ხშირად ვიმეორებდი. გოგოები ამ ლამაზ სახელზე ლექსებსაც



კი თხზავდნენ. სადაც კი შეხვდებოდნენ – ბაღში თუ ქუჩაში, წინ გადაუდგებოდნენ, მუშტებს შეკრავდნენ და ერთხმად გაჰყვიროდნენ:

მისტიკა, მისტიკა,  
 ურემში, გაიშტრიკა,  
 სამი სანთელი ავუნთეთ.  
 ის უფრო გაიტიკა!..

მისტიკი არ ბრაზდებოდა, მხოლოდ იცინოდა. ზოგჯერ ამ ბეითებს ჩვენც, ბიჭებიც ვიმეორებდით.

ამ ორმა პატარა ბეითმა ჩემზედაც მოახდინა შთაბეჭდილება. სიზმრად ვხედავდი, ეს ახტაჯანა გოგოები მას კუპრით აქოთებულ მუჰაჯირის ურემში როგორ ტენიდნენ, გარშემო სამ სანთელს როგორ უნთებდნენ და სეირს როგორ უცქერდნენ. რატომ იყო მისტიკი ასეთი უწყინარი და თვინიერი? ამ მეტიჩარა გოგოებს რატომ არ მიუზღავდა სათანადო პასუხს? ის ხომ ყველაზე ლონიერი ბიჭი იყო. ყველაფერი ბრგე და მოსული ჰქონდა – თავი, ხელები, ფეხები. ჭიდაობაში ხომ ყველას ერეოდა. ზაფხულობით, ყოველ პარასკევ დღეს, ჩვენთვის მთელი კონა ნერგის ტოტები მოჰქონდა. იმ ტოტებიდან ჯოხის ცხენებს ვთლიდით, ამოვიდებდით ლაჯებში და ჰერი!.. ერთმანეთს სირბილში ვეჯიბებოდით. მისტიკი ამ ჯირითშიც ყველას გვჯობდა. ერთხელაც, ერთ პარასკევ დღეს, მისტიკმა ნერგის ტოტების მთელი კონა მოიტანა. მე ჩემთვის ყველაზე გრძელი ტოტი ამოვირჩიე, დანარჩენი ბიჭებს დავურიგე. იმ ტოტებს დანით ვსხეპდი, ბოლოებს ვაჭრიდი, წინ ნესტოებს ვუკეთებდი, თითქოს ცხენის თავი ყოფილიყოს. ამ საქმეს ყველაზე კარგად ვართმევდი თავს.

ჩემთვის ჯოხის ცხენი დავამზადე. მისტიკი და ბიჭები მოუთმენლად ელოდნენ, როდის გამოვუთლიდი მათაც საჯირითო „ცხენებს“. როგორღაც, ისე მოხდა,

რომ ნერვის ტოტის ლოპო გასკდა, დანა ტოტის სველ გულზე ასხლტა და მარცხენა ხელის საჩვენებელი თითი გამოიჭრა. სისხლმა იფეთქა, თითზე ჩამოიღვარა. იმ წუთში გონებაში ერთმა აზრმა გამოიღვა – ძმად გაფიცვა!.. თითის ტკივილმა სულ გამიარა.

– მისტიკ, ეს ხელი მაინც გამეჭრა. მოდი, შენც გაიჭერი და ძმად გავიფიცოთ, ჰა?

იგი ერთხანს ჩუმად იყო, თვალებით მიწას ჩაშტერებოდა. მერე დიდი მრგვალი თავი გააქან-გამოაქნია.


– ძმადგაფიცვა ასე არ უნდა. თითები კი არა, მკლავები უნდა გავიჭრათ.

– რა განსხვავებაა, – გავჯიუტდი მე, – სისხლი სისხლია, მკლავიდან წამოვა თუ თითიდან!..

დამეთანხმა. დანა გამომართვა და მკლავი ღრმად გაიჭრა. ისეთი სქელი სისხლი აღმოაჩნდა, კი არ გამოიღვარა, სქელ კოლტად შეიკრა, გაიბერა. ჩვენ ჭრილობები შევაერთეთ. ჯერ მე გამოვწოვე სისხლი, მერე იმან. სისხლი მლაშე და თბილი იყო.

ახლა აღარ მახსოვს, მას შემდეგ რამდენი დრო გავიდა, ნახევარი თუ მთელი წელი. ისიც კი დამავინწყდა, მისტიკთან ძმადგაფიცული რომ ვიყავი. ჩვენ კვლავ ერთად ვთამაშობდით, სკოლიდან სახლებში ერთად ვბრუნდებოდით.

ერთ ძალზე ცხელ დღეს „დიდმა ხოჯამ“, როგორც მას სჩვეოდა ხოლმე, პარასკევობით, ცოტა ადრე გაგვათავისუფლა. მე და მისტიკი ტაატიტ მივუყვებოდით ამტვერებულ ქუჩას. ფესი მოვიხადე, თავზე ცხვირ-სახოცი დავიფარე. ახლა სახის შემშრალება აღარ შემეძლო, ოფლი კი წურწურით ჩამომდიოდა. ქუჩა დიდი, განიერი იყო. ერთ მხარეს დანგრეული კედლის საძირკვლის ნანგრევები მიუყვებოდა. უეცრად ჩვენს



ნინ უზარმაზარი შავი ძალღი გამოჩნდა, რომელსაც რამდენიმე ხელკეტიანი კაცი ყვირილით მოსდევდა. ჩვენს დანახვაზე უფრო აყვირდნენ – გაიქეციოთ, თორემ ძალღი დაგკბენოთ. შვეშინდით და დავიბენით. მე უფრო ადრე მოვეგე გონს და მისტიკს შევძახე, გავიქცეთ-მეთქი. მაგრამ უკვე გვიან იყო, ძალღი სწრაფად გვიახლოვდებოდა. თვალეი ცეცხლივით უელავდა. ზურგს უკან დამიდექიო, მიყვირა მისტიკმა, თვითონ კი წინ ამეფარა. ძალღი მისტიკს ეცა. ისინი ერთმანეთს შეეჭიდნენ. ძალღი უკანა ფეხებზე აღიმართა და ცდილობდა, მისტიკი დაეკბინა. ცოტა ხნის შემდეგ ორივე მინაზე გორაობდა. მისტიკის ფესი და ქოშეი აქეთ-იქით მტვერში ეყარა. ეს შეტაკება უსასრულოდ მეჩვენებოდა. ამასობაში მდევარიც მოვარდა. იმაო კეტეი დაუშინეს გავეშებულ ძალღს. ენაგადმოგდებული, ნაცემი ძალღი კუდამოძუებული ძუნძულით გაგვემორდა. მისტიკი გადარჩა. სანყალს ხელეიდან და ცხვირ-პირიდან სისხლი სდიოდა.

– ეს არაფერია, – გულს არ იტეხდა მისტიკი, – ცოტა დამკანრა, ეგ იყო და ეგ...

შინ ნაიყვანეს. მე მაშინვე სახლისკენ მოვუსვი და დედაჩემს ყველაფერი დანვრილებით ჩავუკენჭე. აბილ ბებომ მაშინვე მინაზე გამანვინა, კუნთებისა და მუცლის ზელა დამიწყო, თან ლოცვებს ბუტბუტებდა. ზოგჯერ ისე შემიბერავდა ხოლმე, რომ მონაბერი ნივრის სუნისაგან ცხვირცემინება დამეწყო.

მისტიკი მეორე დღეს სკოლაში არ გამოჩენილა, მესამე დღესაც არ მოვიდა. დედას შევეხვეწე, ჰავი ბუდაკთან ნავსულიყავით და მისტიკი მოგვენახულებინა.

– ავად არის, შვილო, – მითხრა დედამ, – ღმერთმა ქნას, გამოჯანმრთელდეს და თქვენ ისევ ერთად იქნებით, ახლა კი ნუ შევანუხებოთ, უხერხულია.



ამის შემდეგ სკოლაში იმ იმედით მივდიოდი, რომ მისტიკი იქ დამხვდებოდა.

მაგრამ ის აღარ გამოჩენილა.

ძალღი ცოფიანი ყოფილა. მისტიკი ჯერ ქალაქ ბანდარმის საავადმყოფოში დააწვინეს, იქიდან კი სტამბოლში გადაიყვანეს. ბოლოს გავიგეთ, რომ მისტიკი მომკვდარა...

როდესაც მოწმენდილ, ნათელ დილით საწოლიდან წამოვდგები, ისევე, როგორც ყველას, მეც ბუნდოვნად გამახსენდება ჩემი ბავშვობა. მინდა წარმოვიდგინო, მეხსიერებაში აღვადგინო მშობლიური მხარის ჩამავალი მზით იისფრად ქცეული არემარე. ამ დროს ჩემდა უნებურად მარცხენა ხელის საჩვენებელ თითს დავხედავ ხოლმე, რომლის პირველ ფალანგაზე ახლაც მატყვია ნაჭრილობევი თეთრი ხაზი და რომელიც აქამდე წმინდა ნიშად მესახება. ახლაც ცხადად ვგრძნობ ჩემი მეგობრის თბილ ტუჩებს, ჩემი ძმადგაფიცულისას, რომელმაც ჩემს გადასარჩენად უშიშრად შეუტია ვეება, შავ, მეცხვარის ცოფიან ძალღს. მე გადამარჩინა, თვითონ კი თავი დაიღუპა...


## ყურანზე დაფიქვება

ეჰ, ამ თხუთმეტი-ოცი წლის წინათ რა ტკბილი იყო ცხოვრება! თავისუფლად შეგეძლო შენი წილი წუთი-სოფელი სიამოვნებაში გაგეტარებინა. მაშინ ქალი ქალობდა, კაცი - კაცობდა. სულიერებაც სხვაგვარი რამ იყო. ყველაზე მძიმე ცოდვაც კი რწმენის, სინდისის, ეტიკეტისა და დელიკატურობის ფარდის მიღმა, სხვათაგან შეუმჩნევლად იბადებოდა და ქრებოდა კიდევ. ჯერ არ იყო დაკარგული ის მომხიბვლელობა, რომელიც რწმენას თან სდევს ხოლმე. მე იმ წლებში ხოჯა ჰაფეზ სიდკი მოლას ცნობილ სახლს ვიყავი თავშეფარებული, დოღანჯილარში რომ ედგა. თანაც უღვთოდ გახლდით შეყვარებულ ერთ ბუთხუზა გოგოზე, რომელსაც მათლუბე ერქვა. ახლაც თვალწინ მიდგას უკანასკნელი ხანძრების დროს გადამწვარი, აგურისფრად შეღებილი, კედლებდაბზარული სახლი, ხშირი სურითი დაბურული ბაღჩა, მარმარილოთი მოპირკეთებული ქა. დიასახლისი ჰაჯი ხანუმი მეტისმეტად ღვთისმოსავი ქალი იყო. ძონძროხა, მოზრდილ თავშალში გამოკრული, საიდანაც ორი ცისფერი თვალი მოუჩანდა, ღრუბლებში გაჩენილ ანგელოზს მოგაგონებდათ. უხამსი კი არა, ერთი მკრეხელური სიტყვა არ დასცდებოდა. იმისი უპირველესი და მუდმივი საზრუნავი იყო აბდესტი, ნამაზი და მარხვა. თუ ვინმეს იმისი რომელიმე გოგო შეუყვარდებოდა, იმდენს იზამდა, რომ იმ აშოქსაც ღვთისმოსავად მოაქცევდა. ბინაში ქუჩისკენ გამავალი



ოთახი ჰქონდა, რომელსაც ყიბლის მხარეს მიპრაბის მსგავსი ნიში ჰქონდა დატანებული. ჰაჯი ხანუმის სამფლობელო ტიპურ პატარა მეჩეთს წააგავდა. ის ხშირად წამოდგებოდა ხოლმე იატაკზე გაფენილი ბამბის მოქარგული სეჯადედან<sup>1</sup> და ზემო სართულზე ავიდოდა, რათა დაეხედა სამზარეულოსა და გუსულჰანესთვის<sup>2</sup>, რომელშიც გამუდმებით ცეცხლი გუზგუზებდა. ჰაჯი ხანუმის გოგოებიც ღვთისმოსავეები იყვნენ. დიასახლისი არც ერთ მათგანს ევროპულად არ აცმევდა. არც ერთმა არ იცოდა არც კორსეტი, არც პუდრი, არც სურმა. რა ლამაზი იყო ენთარიში<sup>3</sup> გამოკრული ჩემი ბუთხუზა მათლუბე! როცა მივიდოდი, ახლანდელელებით მაშინვე კისერზე კი არ ჩამომეკიდებოდა. ხელს ნამავლებდა და მეტყოდა – აბა, ჩემო ლომო, გუსულჰანეში ავიდეთო. დამბანდა, გამასუფთავებდა, თეთრეულს გამომაცვლევიანებდა, აბდესტს მიმალეზინებდა. მხოლოდ ამის მერე ჰაჯი ხანუმის ხელზე საკოცნელად იმის ოთახში ჩავდიოდით. რამდენჯერმე ისეც მოხდა, რომ ნამაზი იმის ოთახში გვერდიგვერდ მყოფებმა მივიღეთ. ეს უფრო რამაზანის დღეებში ხდებოდა. ერთხელ მთელი რამაზანი მათლუბესთან ერთად გავატარე. სადილამდე ერთი საათით ადრე ჰაჯი ხანუმი კარზე მოგვიკაკუნებდა, გაგვალვიძებდა. ჩვენ გავრბოდით გუსულჰანეში, გავიხდიდით, აბდესტს მივიღებდით და სუფრასთან გასუფთავებულ-გალვრიჭინებულები, ჯერ კიდევ სველთმიანები დავსხდებოდით. რა სასიამოვნო იყო ნასაუზმევს მარხვის ლოდინი... ზოგჯერ ისე ხდებოდა, ნამაზს მივიღებდით და ისევ დავწვებოდით ხოლმე.

<sup>1</sup> სამლოცველო ხალიჩა  
<sup>2</sup> სადგომი ან ოთახი სარიტუალო განბანისათვის  
<sup>3</sup> ქალის გრძელი, სახელოებიანი კაბა



ხშირად ჰაჯი ხანუმი ნამაზის შემდეგ თავის გოგონებს მეჩეთში წაიყვანდა ზნეობრივ ცხოვრებაზე ქადაგების მოსასმენად. მაშინ მე ჰაჯი ხანუმს ვებუზღუნებოდი – ჰაჯი ხანუმ, მათლუბე სახლში დატოვე, რა, აქ მარტომ რა უნდა ვაკეთო?

– ნაფილე<sup>1</sup> ნამაზი შეასრულე, აშირი<sup>2</sup> ნაიკითხე და აღარ მოგწყინდება, შვილო, – მეტყოდა ხოლმე ჰაჯი ხანუმი. ამ სახლში მოსული მამაკაცი მხოლოდ ნათესავი ან ნაშვილები უნდა ყოფილიყო. მათლუბე ჩემ გარდა არავის ეჩვენებოდა, ძმასაც კი გაურბოდა.

\*\*\*

ერთ დღეს მეორე ნამაზის შემდეგ ჰაჯი ხანუმის ოთახში ვისხედით. მათლუბე თეთრეულს აუთოებდა, კადრიე და ფირდევსი კი საბანს ალიანდაგებდნენ. ვილაცამ კარზე დააკაკუნა. მათლუბე გაიქცა და უმაღლ მობრუნდა:

- ჰაჯი ნენე, საბრია...
- საბრი?
- ღმერთმანი ის არის.

ერთმანეთს გადავხედეთ. ჰაჯი ხანუმი სეჯადედან წამოდგა. მათლუბე გაფითრდა. დაბნეულმა გოგონებმა საბნები წამოკრიბეს.

- ეს საბრი ვინ არის? – ვიკითხე.
- მათლუბეს ბიძაშვილია, – მიპასუხა ჰაჯი ხანუმმა, –

შემდეგ მათლუბეს მიუბრუნდა:

- აბა, წადი და კარი გაულე.
- ვაი, მე აქ უნდა დავრჩე? – წამოვიძახე შეშინებულმა.

<sup>1</sup> მუსლიმთა ყოველდღიურად შესასრულებელი ლოცვა

<sup>2</sup> ყურანის მეათე ლექსის ნაწილი



- შენი აქ დარჩენა შეიძლება? - გაიცინა ჰაჯი ხანუმმა, - საბრი ღვთისმოსავი კაცია. შენი აქ ყოფნა თუ იყნოსა, არც ერთ ჩვენგანს ცოცხალს არ დაგვტოვებს.

- რა უნდა ვქნათ?

- წადი, თეთრეულის კარადაში შეძვერი.

- რომ მიპოვოს?

- არ მოგძებნის.

- რომ დაეჭვდეს და მომძებნოს?

- მას ჩემი სჯერა და მენდობა. მიდი, სასწრაფოდ შეძვერი, მხოლოდ არ დაახველო, ხმა არ გაიღო.

ადგილიდან წამოვხტი. გოგოებმა საბნები და თეთრეული კარადიდან გამოყარეს. კარადაში შევძვერი. იქ უკუნი სიბნელე იყო. სუნთქვა შემეკრა.

იმ ერთი ზღაპრის გმირივით დამემართა, რომელიც ბნელ ქაში აღმოჩნდა და ვერაფერს ხედავდა. მეც კარადის კარიდან ამოვარდნილი ნუჟრისგან დანატოვარი ხვრელით შემომავალი სხივის მეტს ვერაფერს ვხედავდი. არ გასულა ერთი წუთი, რომ საბრი ოთახში შემოვიდა. მე მაშინვე მარჯვენა თვალი იმ ხვრელს მივაბჯინე. საბრი ვეება, გრძელულვაშა, შავფესიანი ახალგაზრდა კაცი აღმოჩნდა. ხანუმი მოიკითხა თუ არა, მაშინვე აბუხუნდა:

- ჰაჯი ხანუმ, გავიგე, რომ მათლუბე აქ უცნობებს ერჩვენება. იმიტომ მოვედი, რომ ამისთვის ცხრა პირი ტყავი გავაძრო!..

ჰაჯი ხანუმს წარბიც კი არ შეუხრია:

- ღმერთო, დაგვიფარე... შენ სიზმრად რალაც გინახავს. გასულ კვირას შენი დეიდაშვილი იყო მოსული. მათლუბე იმისთვისაც კი არ მიჩვენებია. შენ რა, არ იცი, ვინ ვარ და რა ვარ?

- ვიცი, მაგრამ?..

- ...

- ამბობენ, ის ვილაცა, აი, რომელიც უყვარს, ახლაც ამ სახლშია...

- ვალლაჰ, ჭკუიდან გადასულხარ! ვინ ამბობს?

- ვილაც-ვილაცეები ამბობენ...

- ცილისმნამებლებს თვალეები უნდა დაევესოთ. იცი რა, აი, შენ და აი, სახლი. თუ გინდა თავდაყირა დააყენე...

საბრი შეყოყმანდა. იმისი კბილების კრაჭუნი მესმოდა. წითელქსოვილგადაკრულ ბალიშზე ჩამოჯდა. ყვითელი სარჯის პიჯაკის შიგნიდან ხანჯლის ქარქაში მოუჩანდა. ტანში ცივად გამაჟრიალა. თან ქინძისთავიც კი არ მქონდა. მთელი ჩემი იარაღი მათლუბეს ბალიშის ქვეშ ენყო. ჰაჯი ხანუმმა სიჩუმე დაარღვია:

- არა, საბრი, შენი ასეთი ეჭვიანობა რალაც არ მომწონს, - თქვა და თავი გააქნია, - მე ნამუსიანი ქალი ვარ. ზედ შემოხედვაც კი არ მინდა შენი. ეს-ეს არის აბდესტი მივიღე. შენ გეფიცები, დაბრმავდეს მატყუარას თვალეები, ეს ქვეყანა ველარასდროს იხილოს.

შემდეგ გულხელდაკრეფილ, გახევებულსა და გაყვითლებულ მათლუბეს მიუბრუნდა:

- ჩემო გოგო, აბდესტი მიღებული გაქვს?

- დიახ, ხანუმ...

- აი, იმ კედელზე რომ ყურანი კიდია, აქ მომიტანე!

მათლუბე წავიდა. მიჰრაბის მინამგვან ადგილას მწვანე აბრეშუმის ბოლჩაში გამოკრული ყურანი ჩამოხსნა, აკოცა. თავზე დაიდო, მოწინებით გულში ჩაიკრა და ხანუმს მიუტანა. ჰაჯი ხანუმმა ყურანი გამოართვა, აკოცა, თავზე დაიდო, მერე მარცხენა ხელში დაიჭირა, მარჯვენა ზედ დაადო:

- ალლაჰ, ვალლაჰ, თალლაჰ, დაე, ამ წიგნმა მომსპოს და გამაცამტვეროს თუ მათლუბეს შენ გარდა ვინმეს სახე ენახოს! ახლა მაინც თუ გჯერა, თუ მენდობი?



- მჯერა და გენდობი.

- თუ იმ ვილაც ქორიკანებს დაუჯერებ, ჩემთან ნულარ მოხვალ...

- ბოდიშს გიხდი, ნენე ხანუმ...

- არა, მე ასეთ შერცხვენას ველარ ავიტან.

კვლავ აკოცა ყურანს, კვლავ თავზე დაიდო, მერე მათლებეს გადასცა. მათლებემაც აკოცა. სათანადო რიტუალის შემდეგ მწვანე ბოლჩიანი წიგნი კედელზე ჩამოკიდა. მე კარადაში მეხდაცემულივით შევხტი, გული ამოვარდნაზე მქონდა. წელსქვემოთ თითქოს მოვწყდი კიდეც. იმ დროს ძალიან ღვთისმოსავი ვიყავი და მეგონა, რომ მოვკვდებოდი. ამ ცრუ ფიცმა მთელი არსებით შემძრა. მაშინ ფიცი წმინდა რამ გახლდათ. ათასი ლირაც რომ მიგეცათ, ცრუ მონმეს ვერ იშოვიდით. ძველად ცრუმაფიცრებს იჭერდნენ და ადგილზევე უსპობდნენ სიცოცხლეს. ჩვენი დროის „ისპანკასა“ და ტიფს კი არ ჰგავდა... მას მერე, რაც საბრიმ ჰაჯი ხანუმის ფიცმტკიცი ირწმუნა, წამოდგა, ხანუმს ხელები დაუკოცნა და ძირს ჩავიდა. როგორც კი ქუჩაში გამავალი კარი დაიხურა, მაშინვე გარეთ გამოვვარდი. ხანუმმა ამ დღეში რომ დამინახა, თვალები ფართოდ გააღო:

- შვილო, ძალიან შეგეშინდა?

- არა!

- მაშ, რა მოხდა, სახეზე ფერი აღარ გადევს?!


- ეს იმ ფიცის გამოა...

- რომელი ფიცისა?

- აი, იმისა, შენ რომ დაიფიცე!

- მეე? - ჰაჯი ხანუმს გაეცინა.

- შენ ხომ განბანვის შემდეგ ყურანს ხელი დაადე და დაიფიცე... დაიფიცე, რომ შენ გარდა მათლებეს სახე არავის არ უნახავსო. იმ ვილაც ოხერს შეჰფიცე, თითქოს ყოველლამე ერთად რომ ვნევართ, არც კი იცოდნი...



– ჩუმად. ასეთი სიტყვების გაგონებაც კი არ მინდა. მოდი, აქ დაჯექი, ის შენი დაა, ეს ჩაიბეჭდე თავში.

შემდეგ დაბრუნებულ მათლებს მიუბრუნდა:

– მიდი და ყურანი მოიტანე, ვჭამოთ, ჩემო გოგო.

– ახლავე...

ყურანის ქამის თაობაზე მთლად თავგზა ამებნა, გამოვყეყეჩდი.

მათლებე გაბრუნდა, მწვანე ბოლჩაში გამოკრული წიგნი მოიტანა. ამჯერად არც უკოცნია და არც გულში ჩაუკრავს. წიგნი ჩემსა და ჰაჯი ხანუმს შორის დადო. პატარა ბუთხუზა ხელებით ბოლჩა გახსნა. ბოლჩაში მეორე, ყავისფერი ერთი ბოჩლაც იდო. ისიც გახსნა. გამოჩნდა ვარდისფერი ყუთი. მათლებემ ყუთს თავი ახადა. ყუთი სავსე იყო ყვითელი, შესანიშნავი ლელვის ჩირით. ხმა არ ამომიღია, მხოლოდ თავი გავაქნ-გამოვაქნიე. ის ჩირი სიცილ-ხარხარით შევჭამეთ.

– შვილო, მიხვდი თუ არა, რომ ჩემი ფიცი არავის არაფერს ავნებს, – მითხრა ჰაჯი ხანუმმა და ლოყაზე მაკოცა.

– მიხვდდი.

ჰაჯი ხანუმი მათლებს მიუბრუნდა:

– შენი უფროსი ძმა სანოლ ოთახში შეიყვანე, დაამშვიდე, თორემ იმ ოტროველა საბრიმ, ცოტა არ იყოს, შეაშინა...

\*\*\*

აფსუს, ახლა სტამბოლში მათლებსავით ქორფა, სუფთა, შეუთხუპნავს, უცოდველს ველარსად ნახავ. არც საბრივით გამბედავს, ღვთისმოსავს, აი, იმისთანას, რომელიც რწმენისთვის მეგობრის მოკვლასაც არ მოერიდებოდა... ეს იყო კაცი, რომელსაც ფიცისა სჯეროდა... მე არ ვიცი, რატომ და როგორ მოხდა, რომ ისეთი გემრიელი ლელვის ჩირის პოვნაც კი ასე გაჭირდა.

ეჰ, მართლაც, თხუთმეტი-ოცი წლის წინ ცხოვრება რა ტკბილი რამ იყო!..

ე. შ. ბ. 092/484



დაბეჭდა  
სსსკ „ფაფორიტი პრინტი“



ომერ სეიფედინი თურქი მწერალია. მას თურქულმა სალიტერატურო კრიტიკამ „ლამაზი თურქულის ამირბარი“ შეარქვა. სეიფედინი თორმეტი წლის განმავლობაში ქმნიდა მხატვრულსა თუ პუბლიცისტურ ლიტერატურას და მეცხრამეტე საუკუნის მიწურულსა და მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედში თურქეთში მიმდინარე პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ-ლიტერატურულ პროცესებს აღწერდა.

მის ნოველებსა და მოთხრობებში ჩვეულებრივი, ცხოვრებისეული ამბებია გადმოცემული, რაც ყველა ადამიანს შეიძლება გადახდეს თავს. არც ერთ მათგანში არ ჩანს შეგონება და დარიგება, თუმცა, მკითხველი ბოლომდე აცნობიერებს თითოეული მოთხრობის გმირის სევდისა და წუხილის მიზეზს და იმასაც ხვდება, რომ ასეთი სევდა უცხო არც მისთვის არის. ომერ სეიფედინის შემოქმედების გაცნობისას აუცილებლად გაგიჩნდებათ განცდა, რომ ავტორს ჩაფიქრებული აქვს „გაიძულოთ“, ძირისძირობამდე ჩასწვდეთ ადამიანის შინაგან, წინააღმდეგობით სავსე სამყაროს და სხვა კუთხით დაინახოთ და შეაფასოთ ერთი შეხედვით ძალიან მარტივი და ჩვეულებრივი ამბები.

K287.853  
3

ფასი 12.90 ლარი

sulakauri.ge

ISBN 978-9941-15-667-0



facebook.com/bakursulakauripublishing